კვირის პალიტრა
გზა
N9(194) 26/II.-3
ფასი 60 თ.

თემა: როცა მეგობრები მგრეები ცდებიან
(ფული, პოლიტიკა და სიყვარული)

რა ელის ოჯრუაშვილს...

...და ოჟუაშვილს?

პენსიები იმატებს... მაგრამ არ იმატებს

ეკა ბერიძე: „კიდევ ერთ ფეხმძიმობას ვერ გადავიტან"

ასაკობრივი სხვაობა „საქმროდ დიდი ხარ, მამად პატარა..."

ყველაფერი!

გამოვიდა „კვირის პალიტრის“ დამატება, ყოველთვიური მართლმადიდებლური ჟურნალი №2

ნაბიჯი ჭეშმარიტებისაკენ

ᲙᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲘᲐᲛᲔᲜᲢᲘ
ᲒᲖᲐ
№9 (194)
26 თებერვალი -
3 მარტი 2004
ფასი 60 თეთრი

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
„ᲭᲘᲠᲡᲐ ᲨᲘᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲐᲒᲠᲔᲑᲐ“ ᲐᲜᲣ ᲓᲐᲢᲘᲠᲔᲑᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲐᲓ 3
ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ 4
ᲐᲘᲬᲝᲜᲐ-ᲓᲐᲘᲬᲝᲜᲐ
ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲠᲡᲘ – ᲞᲚᲣᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲣᲡᲔᲑᲘ 6
ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐ
ᲠᲝᲓᲘᲡ ᲛᲘᲣᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲞᲔᲜᲡᲘᲝ ᲗᲐᲜᲮᲐ ᲡᲐᲐᲠᲡᲔᲑᲝ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛᲡ 8
ᲛᲐᲠᲩᲘᲔᲚᲘ
„ᲛᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲚᲔᲥᲘᲚᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲝᲓᲔᲡᲛᲔ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲔᲜᲘᲐ“ 9
ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐ
ᲝᲠᲒᲒᲘᲡ ᲓᲐᲮᲕᲠᲔᲢᲐᲛᲘᲡᲧᲘᲚᲘ, ᲔᲥᲕᲡᲧᲔᲠ ᲒᲐᲥᲪᲔᲣᲚᲘ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲘᲡ ᲝᲓᲘᲡᲔᲐ 11
ᲙᲝᲚᲔᲒᲐ
ᲠᲝᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ ᲐᲜᲣ „ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗ ᲤᲔᲮᲛᲐᲙᲘᲛᲝᲑᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲢᲐᲜ“ 12
ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲐ 14
ᲡᲐᲡᲘᲫᲝ
- „ᲨᲔᲜᲡ ᲗᲐᲕᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲕᲣᲗᲛᲝᲑᲓᲘ, ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲕᲘᲧᲝ...“ 18
- „ᲒᲐᲘᲚᲝ ᲩᲔᲛ ᲬᲘᲜ ᲤᲐᲜᲧᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲘᲥᲘᲓᲐᲜ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲒᲐᲓᲛᲝᲕᲘᲓᲐ...“ 19
ᲗᲔᲛᲐ
ᲠᲝᲪᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲛᲢᲠᲔᲑᲘ ᲮᲓᲔᲑᲘᲐᲜ 21
ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ
ᲫᲔᲑᲜᲘᲚᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲜᲣ ᲓᲝᲜᲥᲣᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ... 24
ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲜᲐᲢᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚ-ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲐᲥᲘ ᲒᲝᲩᲐ ᲓᲕᲐᲚᲘᲡ ᲣᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ 24
ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘ
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲨᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲕᲐ: „ᲭᲐᲝᲑᲡ ᲕᲐᲨᲠᲝᲑᲓᲘ ᲓᲐ ᲒᲔᲛᲘᲡ ᲙᲐᲞᲘᲢᲜᲝᲑᲐᲖᲔ ᲕᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑᲓᲘ“ 26
ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ
„ᲡᲐᲥᲛᲠᲝᲓ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲠ, ᲛᲐᲛᲐᲓ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ...“ 29

ᲗᲔᲛᲐ: ᲠᲝᲪᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲛᲢᲠᲔᲑᲘ ᲮᲓᲔᲑᲘᲐᲜ

ᲠᲝᲓᲘᲡ ᲘᲥᲪᲔᲕᲘᲐᲜ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲛᲢᲠᲔᲑᲐᲓ? ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲧᲝᲡ: ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐᲝᲑᲐ, ᲤᲣᲚᲘ ᲓᲐ – ᲠᲐᲝᲓᲔᲜ ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ – ᲓᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲪ ᲙᲘ!..

21

ᲠᲝᲓᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ ᲐᲜᲣ „ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗ ᲤᲔᲮᲛᲐᲙᲘᲛᲝᲑᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲢᲐᲜ“

ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ ᲛᲐᲚᲔ „ᲬᲣᲠᲐᲕᲡ“ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲡᲐᲪ ᲓᲐ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲡᲐᲪ ᲣᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲙᲔᲗᲓᲔᲡ. ᲤᲐᲠᲗᲝᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲐᲜᲘ ᲢᲝᲥᲨᲝᲣᲡ ᲬᲐᲧᲕᲐᲜᲐᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ, ᲐᲠᲒᲘᲡᲢᲘᲖᲛᲘ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘ, ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ...

12

„ᲛᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲚᲔᲥᲘᲚᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲝᲓᲔᲡᲛᲔ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲔᲜᲘᲐ“

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐ ᲒᲕᲘᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ, ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲡ, ᲒᲐᲜᲣᲠᲩᲔᲕᲚᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲡᲯᲔᲠᲐᲗ �თᲣ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲩᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ, ᲫᲐᲚᲖᲔ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲗ, ᲛᲐᲗ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲘᲓᲘᲐ, ᲠᲐᲪ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘᲐ ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲨᲘ, ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ.

9

„ᲡᲐᲥᲛᲠᲝᲓ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲠ, ᲛᲐᲛᲐᲓ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ...“

„ᲛᲔ ᲛᲐᲡ „ᲛᲐᲛᲘᲡ“ ᲕᲔᲫᲐᲮᲘ ᲓᲐ ᲡᲣᲚ ᲛᲘᲨᲚᲘᲡ – ᲐᲡᲔ ᲜᲣ ᲛᲝᲛᲛᲐᲠᲗᲐᲕᲝ. ᲛᲐᲛᲐᲩᲔᲛᲖᲔ ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲗ ᲣᲛᲪᲠᲝᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲒᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲡᲬᲧᲘᲜᲓᲔᲡ?.. ᲘᲪᲘᲗ, ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲑᲘᲭᲔᲑᲖᲔ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲔᲭᲕᲘᲐᲜᲝᲑᲡ?“

29

მოდა

მსოფლიოში ყველაზე სექსუალური ქსოვილი 32

ტაძარი

მიცვალებულთა კერძო და საყოველთაო მოხსენიება 34

ქართველები უცხოეთში

რატომ „დაასვა“ შაჰმა საიმქვეყნიო ნიშანი მასთან დაახლოებულ ალავერდი-ხან უნდილაძეს 35

„ოქროს ბურთის“ ლაურეატები

დიდი ფეხბურთის პატარა ბუდა 38

ფავორიტები

იეროს მადრიდისკენ მიუწევს გული 40

სპორტული მოზაიკა 41

რომანი

რუსუდან ბერიძე. თავისუფალი თემა (გაგრძელება) 42

ბომონდი 46

ავტო 48

შეუცნობელი

- საბედისწერო ნიანგი 50
- დახლართული საქმე 50
- აღთქმის კიდობნის საიდუმლოება 51

ვარსკვლავი

„ქორწილი აღარ შედგება!“ – ნუთუ, ეს ბრიტნის გამო ხდება? 52

საკითხავი ქალებისათვის 54

ჯანმრთელობა

- საქმიანი დედა 56
- გენური ინჟინერიით მიღებული პროდუქტი 57
- მოუსვენარი პატარა 57

იუმორი 59

ჰოროსკოპი

კვირის (1-7 მარტი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

შოუბიზნესი 62

ტესტი

ვინ ხართ თქვენ: კაპიტანი, მესაჭე თუ მგზავრი? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

„გაიღო ჩემ წინ ფანჯარა და იქიდან გოგონა გადმოვიდა...“

„სიმართლე რომ გითხრა, დაოჯახების მცდელობა რამდენჯერმე მქონდა, მაგრამ არ გამიმართლა. ისე, არ მეგულება არც ერთი ქართველი გოგონა, რომელიც ჩემნაირ ქმარს იგუებს: წარმოიდგინეთ, სასიმამრო რომ გამჩითავს, თავზე ბენდენით და ბლანქეთი, რას იტყვის? გოგოს გამომატანს?“

19

„ქორწილი აღარ შედგება!“

როგორც ამბობენ, სპირსი მომხიბლავ ჯასტინ ტიმბერლეიკთან განშორების შემდეგ, ჯერაც ვერ მოსულა გონს. სხვათა შორის, ბენი, ისევე, როგორც ბრიტნის ყოფილი შეყვარებული, „მსოფლიოს ყველაზე სექსუალური მამაკაცის“ ტიტულის მფლობელია.

52

გურამ ფირცხალავა: „ჭაობს ვაშრობდი და გემის კაპიტნობაზე ვოცნებობდი“



„გავგიჟდი: გიორგი საკაძის შემსრულებელი-მეთქი? – აბაო! დავედევნე. სანამ ის ლიფტით ჩავიდოდა მესამე სართულიდან, კიბით ჩავასწარი და ისევ წინ დავხვდი. მიხვდა ხორავა, ხელი გადამხვია და მკითხა – ოჩხომური ისევ მოდისო?“

26

თავისუფალი თემა

გვანცა კარამდე ფეხაკრეფით მივიდა და ის-ის იყო, ფრთხილად უნდა გამოეღო, რომ ზეინაბ-ხანუმმა კითხვა დაადევნა:

– გინდა, ჩემი ძმა გაგაცნო?

– რომელი ძმა? – მოულოდნელმა კითხვამ დააბნია გვანცა.

42

„ჭირსა შიგან გამაგრება“ ანუ დაცვრება ამერიკულად

როგორც მსოფლიო პოლიტიკის ტიტანები ამტკიცებენ, პრეზიდენტების ორი ძირითადი ტიპი არსებობს: კარგი და ცუდი. კარგი პრეზიდენტი ჰქვია სახელმწიფოს პირველ პირს, რომელიც ახალგაზრდაა, ენერგიული, მაღალი, ლამაზი, ემოციური, სამართლიანი და მოგზაურობის მოყვარული. დანარჩენი პრეზიდენტები კი, თურმე, კლასიფიკაციის მეორე ჯგუფს შეადგენენ. მოკლედ, ერთადერთი – ჩაისკენ მიდრეკილება არ წერია, თორემ, ზემოთ ჩამოთვლილ ყველა პირობას საკუთარი პიჯაკივით ირგებს ჩვენი პრეზიდენტი.

მართალია, მოშურნეები მას „მომთაბარე პრეზიდენტსაც“ უწოდებენ, მაგრამ მეზობელთან და მეგობართან თუ არ მიდი და შენთანაც არ დაპატიჟე, ესაა ცხოვრება?! ისედაც დავშორიშორდით და მალე ალბათ, შვილებიც ვეღარ იცნობენ ერთმანეთს...

ჰოდა, ამჯერად, ჩვენი პრეზიდენტი კარგ და საჭირო მეგობარ ქვეყანას, აშშ-ს ეწვია. თუმცა, პოლიტიკური დატვირთვის გარდა, ამ ვიზიტს სხვა მიზანიც ჰქონდა: მეხივით გავარდა ხმა მთელ მსოფლიოში, რომ დიდ მამასა და მარჩენალს, ჯორჯ ბუშს საყვარელი ძაღლი გარდაცვლოდა – სწორედ ის ინგლისური სპანიელი, ხშირად რომ ჩანდა კადრში პრეზიდენტის გვერდით.

აბა, გეკითხებით, ჩვენი არწასვლა სამძიმარზე, საქვეყნო სირცხვილი და თავის მოჭრა არ იქნებოდა?! მით უმეტეს, ჭირსა შიგან გამაგრება ისრე უნდა, ვით ქვითკირსაო – სწორედ რომელიღაც ამერიკელი პოეტის სიტყვები არ არის?.. თვითონ მისტერ ბუშსაც არაერთხელ უთქვამს – ჭირში რომ გვერდით დგიდგება, ისაა ძმობა, თორემ, ლხინსა და ქეიფში ყანწებით ხელში ყველანი მაგრები ვართო, – და წაუსვლელობა არაფრით არ იქნებოდა...

ასეთ შანსს ხელიდან როგორ გავუშვებდი?! ამიტომ, მწუხარების გაზიარების ნიშნად, ჩვენი ჩემპიონი ძაღლის, ცხონებული სიმბას სურათი მივიბნიე მკერდზე (ასე არ იციან ქელეხში?) და დელეგაციის თანმხლებ ჟურნალისტთა ჯგუფში შევძვერი. რადგან ტრაპზე არავინ დამაკავა, მივხვდი, რომ არ ვიყავი კორუმპირებული და ჩემი საპატიო ადგილი ამაყად დავიკავე „ბაგაჟში“ – 50 კილოგრამი ტვირთის გადატანა ხომ უფასოა...

იმ ჩემი ცოდვით სავსე პილოტს ალბათ კანისტრებით ბენზინის „ზაპასის“ წამოღება დაავიწყდა, თორემ, ისე, რა გვინდოდა გრენლანდიაში?! მე გრენლანდია ის შედევრი მეგონა, ბატონ ვასოს რომ თავში ეცემა „ცისფერ მთებში“ – თურმე ყინულოვანი კუნძული ყოფილა, სადაც ესკიმოსები ცხოვრობენ. ასეთი პატიოსანი და ხათრიანი ხალხი ჯერ არსად მინახავს: სირცხვილისაგან თვალებსაც ვერ ახელდნენ ბოლომდე და ნახევრად მოჭუტული თვალებით გვიყურებდნენ. თუმცა, ჩვენი პრეზიდენტი მაინც იცნეს და თვალები ბოლომდე რომ გაეხილათ, ალბათ ყველას გვიცნობდნენ...

მერე ყინულის სასტუმროში შეგვიყვანეს და ამით მოინდომეს ჩვენი გაკვირვება, მაგრამ ჩვენთან მთელი ეკონომიკა და საგარეო ვალებია გაყინული და ერთი სასტუმროს გაყინვა გაგვიკვირდებოდა?!

მოკლედ, ბევრი გვახალისეს მასპინძლებმა და მოგვიბოდიშეს, რომ ცოტათი ადრე მოგვიწია ჩასვლა: გაზაფხულზე თურმე არაფერი სჯობია გრენლანდიის ნახვას – ატამი და ბროწეული რომ აყვავდება და აკაციას ფუტკარი რომ შეესევა... ერთ-ერთი აბორიგენისგან ექსკლუზიური ინტერვიუს აღებაც ვცადე, მაგრამ ვერაფერი გავიგე: ისე ლაპარაკობდა, გეგონებოდათ, ერთსიმიან ფანდურზე უკრავსო... დამხვდურებს მადლობა გადავუხადეთ და რადგან გვეჩქარებოდა, ფრენა დროულად განვაგრძეთ...

ჩვენი დელეგაცია რომ შევიდა სამძიმარზე, „ჭირისუფალი“ ფეხზე წამოხტა და – ადექი, ნახე ვინ მოვიდაო!.. – ხმამაღლა შეყვირა. მივხვდი, რომ იქ ძაღლს უფრო აფასებენ, ვიდრე „ზოგიერთ“ ქვეყანაში კაცს და კიდევ ერთი ამერიკელი პოეტის ნათქვამს დავეთანხმე: ათას ცოცხალსა, ბევრჯერა, ასჯერ სჯობს ერთი მკვდარიაო...

დასახმარებელი ფულის „დაწერა“ იქაც სცოდნიათ, მაგრამ ჩვენ მოვიბოდიშეთ და ორმოცამდე ნისია ჩავაწერინეთ. გადაირია მასპინძელი ბუში – ეს რამ გაფიქრებინათო?! – და 200 მილიონი დოლარი აქეთ გამოუყო ჩვენს ქვეყანას, დამატებით დახმარებად.

აი, ასეთი წარმატებული გამოდგა ჩვენი პრეზიდენტის ვიზიტი შტატებში და ვინ იცის, კიდევ რამდენი ასეთი ვიზიტი აქვს ჩაფიქრებული...

P.S. ქართველი და ამერიკელი პრეზიდენტების დიალოგი:

– ამ ხის ძირში ჩემი მურადა მარხია. შენ ძალიან უყვარდი ჩემს მურადას.

– ვიცი...

– ასე ამბობდა, მიშა კარგი ბიჭია, მიშასნაირი თვალები არავის აქვსო...

პროვოკატორი

„ჩემი მეუღლის ბიზნესის მითვისება უნდათ“

— ქალბატონო მანანა, მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს გადაწყვეტილებას გია ჯოხთაბერიძისთვის სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით, თქვენ შევარდნაძეების ოჯახის პოლიტიკურ დევნად აფასებთ და არ გამორიცხავთ, რომ მომავალში, თქვენც დაგაკავონ. რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?

მანანა შევარდნაძე:

— გია ჯოხთაბერიძის დაკავება იყო კარგად დადგმული პოლიტიკური აქცია. ჩემი მეუღლე პირველ რიგში, როგორც ედუარდ შევარდნაძის ოჯახის წევრი, ისე დააკავეს. მეორე მიზეზი კი, დღეს მიმდინარე პიარკამპანიაა კერძო, მსხვილი კომპანიების წინააღმდეგ. მათ შორის აღმოჩნდა „მაგთიკომიც“, რომლის ხელში ჩაგდების სურვილიც ვიღაც-ვიღაცებს მოსვენებას არ აძლევს. მათ გიას თავიდან მოშორება უნდათ — მე ეს დანამდვილებით ვიცი. როგორც ერთი პირი, გამოძიებას ვერ ჩავატარებდი, მაგრამ მაქვს ინფორმაცია, რომ ჩემი მეუღლის ბიზნესის მითვისება უნდათ. ჩვენ სიმართლის დასადგენად აშშ-დან და ევროპიდან ჩამოვიყვანთ ადვოკატებს, რომლებიც სააშკარაოზე გამოიტანენ იმ კანონდარღვევებს, რომელსაც პროკურატურა ახორციელებს. მოვლენები კი ისე ვითარდება, რომ გამორიცხული არ არის, მეც დამაკავონ, მიუხედავად იმისა, რომ ქალი ვარ. ეს შეიძლება მათ ინტერესებში შედიოდეს, რადგან ყველაფერი კეთდება ედუარდ შევარდნაძის დისკრედიტაციისთვის. საქართველოში კი, ბოლო დროს, ბევრი რამე აგებულა შურისძიების ფაქტორზე, რასაც მოსახლეობაც მშვენივრად ხედავს, ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ მეც გიას ბედი გავიზიარო, რომელიც სრულიად უსამართლოდ ჰყავთ დაპატიმრებული. მე საქართველოს დატოვება არ მინდა, რადგან ეს არის ჩემი სამშობლო, მაგრამ თუ სიტუაცია არ შეიცვალა, ალბათ პოლიტიკურ თავშესაფარს მოვითხოვ.

„პარლამენტში აღარ ვიქნები, მაგრამ პენსიაზე გასვლას არ ვაპირებ“

— ბატონო ვახტანგ, „მრეწველებისა“ და „ახალი მემარჯვენეების“ გაერთიანების პროცესში თქვენ მონაწილეობა არ მიგიღიათ. ამჯერად არც ერთ ბლოკში არ გაერთიანდით და როგორც ამბობენ, პარლამენტიდან წასვლასაც კი აპირებთ...

ვახტანგ ხმალაძე, *პარლამენტის წევრი:*

— წინა არჩევნებზე, „ახლებთან“ ერთად საარჩევნო ბლოკში ვიყავი, მაგრამ მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ჩვენ, ლიბერალებს, საკუთარი შესაძლებლობები ძალზე მცირე გვაქვს. მინიმალური დაფინანსებაც არ გაგვაჩნია არა მარტო საარჩევნო კამპანიის, არამედ თვით პარტიული მუშაობისთვისაც, ამიტომ რომელიმე ბლოკში გაერთიანების შემთხვევაში, არ გვექნებოდა იმის შესაძლებლობა, რომ გაგვეტარებინა ის პოლიტიკა, რომელიც სწორად მიგვაჩნია. ეს მხოლოდ „ახლებს“ არ ეხებათ, ნებისმიერ გაერთიანებაში მნიშვნელოვანია, ერთნაირი წონა აქვთ თუ არა პარტნიორებს. როცა ასეთი ბალანსი არ არსებობს, მაშინ არც საფუძველი გაქვს იმისა, რომ მოითხოვო, ყველაფერი სრული შეთანხმებით მოხდეს. ლიბერალებმა ვერ შეეძელით ფინანსური პრობლემების გამო, სტრუქტურულად გამართული პარტიის ჩამოყალიბება. ასეთ პირობებში უთანასწორო „ქორწინებას“, ცალკე დგომა ვარჩიეთ. მე 28 მარტის არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებ, რაც იმას ნიშნავს, რომ პარლამენტშიც აღარ ვიქნები. თუმცა პოლიტიკიდან წასვლასა და პენსიაზე გასვლას არ ვაპირებ. მაშინ პარლამენტში არ ვმუშაობდი, მაგრამ ზურაბ ადეიშვილთან ერთად ვმონაწილეობდი ნორმატიული აქტების შესახებ კანონპროექტის მომზადებაში, რომელიც შემდეგ, პარლამენტმა მიიღო. ასევე აქტიურად ვიყავი ჩაბმული სხვადასხვა საკითხის განხილვაში. ასე რომ, დეპუტატის მანდატის გარეშეც შეიძლება აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას ეწეოდე. პარლამენტის შემდეგ, სახელმწიფო სტრუქტურაში სამუშაოდ არ გადავალ, ალბათ, რომელიმე იურიდიულ ოფისში გავაგრძელებ მოღვაწეობას. მაქვს კონკრეტული შემოთავაზებები, მაგრამ ამაზე ჯერ საუბარი არ მსურს. ■

„ურჩი ფეოდალების დრო დამთავრდა...“

— გენერალური პროკურატურა „საზღვაო ბანკის“ მუშაობით დაინტერესდა, რომლის დამფუძნებელიც ასლან აბაშიძის ოჯახია. ამბობენ, აჭარის ლიდერისთვის ეს ბანკი კრიმინალური ბიზნესის მთავარ ინსტრუმენტად იქცა, რაც ცენტრალური ბიუჯეტისათვის განკუთვნილი თანხით მანიპულაციის გზით ხდება. თქვენი აზრით, როგორ უნდა მოაგვაროს ცენტრალურმა ხელისუფლებამ ეს პრობლემა?

რომან გოცირიძე, *პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი:*

— პროკურატურა სწორად მოიქცა, როცა ბანკში არსებული სამართალდარღვევებით დაინტერესდა. დარწმუნებული ვარ, უამრავი კრიმინალური დანაშაული იქნება გამოვლენილი. მე არაერთხელ მითქვამს, რომ დაუშვებელი იყო, კერძო ბანკს აჭარის ტერიტორიაზე შეესრულებინა სახელმწიფო ხაზინის ფუნქცია და მასში სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის თანხების აკუმულირება მომხდარიყო. ცენტრალურმა ხელისუფლებამ ვერ მოახ-

„ოპოზიციურ გაერთიანებათა რეიტინგი ძალზე დაბალია“

— ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პოლიტიკური ბლოკების წარდგენის ვადა ამოიწურა. ოპოზიციამ გაერთიანება ვერ მოახერხა. ასეთ პირობებში, თქვენი აზრით, როგორი იქნება 28 მარტს არჩეული პარლამენტი და რამდენი პოლიტიკური ძალა იქნება მასში წარმოდგენილი?

გია ნოდია, *პოლიტოლოგი:*

— უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ახალ შემადგენლობაში პოლიტიკური ძალების მცირე სპექტრი იქნება წარმოდგენილი. ოპოზიცია გაერთიანებაზე საუბრობდა, რაც ამ ეტაპზე, მისი გამარჯვების განმსაზღვრელი ფაქტორი იქნებოდა, მაგრამ პარტიებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. ახლა კი, თითოეულ სუბიექტს ძალზე გაუჭირდება შვიდპროცენტიანი ბარიერის გადალახვა. ბუნებრივია, პარლამენტში უმრავლესობით მოვა „ნაციონალური მოძრაობა“, რომელსაც მოსახლეობის ნდობის მანდატი არ დაუკარგავს. „აღორძინების“ მდგომარეობა ამ ეტაპზე, ძალზე ბუნდოვანია. მისი შედეგი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ ჩატარდება არჩევნები აჭარაში: დემოკრატიული არჩევნების შემთხვევაში, გამორიცხული არ არის, მან ვერ შეძლოს ბარიერის გადალახვა. რაც შეეხება იმის პროგნოზირებას, თუ ოპოზიციური ბლოკებიდან რომელი გაიმარჯვებს, — ეს ცოტა ნაადრევია. უკვე არსებობს გარკვეული მონაცემები მათ რეიტინგთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში შესვლის შანსი არც ერთს არ აქვს. თუმცა, „მემარჯვენეებისა“ და „მრეწველების“ გაერთიანებას ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით შეუძლია, ისე წარმართოს საარჩევნო კამპანია, რომ შვიდპროცენტიანი ბარიერის გადალახვა მოახერხოს, რასაც ვერ ვიტყვით „ტრადიციონალისტებისა“ და ედპ-ის ბლოკზე. თანაც, თოფაძე უფრო ქარიზმატული ლიდერია, ვიდრე ასათიანი... არის

კიდევ ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი: მომავალ არჩევნებში გამარჯვებას შეძლებს ის ოპოზიციური გაერთიანება, რომელიც სწორად გამოხატავს ხელისუფლების მიმართ არსებულ უკმაყოფილებას... თუმცა, ერთი რამ უდავოა: 28 მარტს არჩეულ პარლამენტში, უარეს შემთხვევაში, გვეყოლება მხოლოდ ერთი პოლიტიკური ძალა, უკეთესში კი — სამი.

■

„რევოლუციას მორჩილი უმრავლესობა უყვარს...“

— თქვენ ჩაატარეთ მცირე მოკვლევა იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა ხელისუფლების ზეწოლის ფაქტები მასმედიის მუშაობასთან დაკავშირებით. როგორია პირადად თქვენი მოსაზრება — რა დამოკიდებულება აქვს ახალ მთავრობას პრესისა და ტელევიზიის მიმართ?

არჩილ გოგელია, *ფრაქცია „მაჟორიტარი“:*

— პარლამენტმა დამავალა მოკვლევის ჩატარება ამ საკითხთან დაკავშირებით. შევხვდი ტელეკომპანიების ხელმძღვანელებს — მათ, ვის არხებზეც ღამის ტოქშოუები შეწყდა. თითოეულმა მათგანმა განაცხადა, რომ ხელისუფლების მხრიდან ზეწოლას ადგილი არ ჰქონია და ღამის ანალიტიკური პროგრამები, განახლების მიზნით, დროებითაა შეჩერებული. გავესაუბრე ჟურნალ-გაზეთების, რედაქტორებსაც. მათი პოზიცია უფრო რადიკალურია: ისინი თითქმის ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად აფასებენ იმ პროცესებს, რომელიც საქართველოში ბოლო დროს ვითარდება. სახელმწიფო ტელევიზიის თანამშრომლებიდან, მხოლოდ ნატო ონიანმა განაცხადა ხმამაღლა, რომ „ტაიმაუტი“ ხელისუფლებამ დახურა, რადგან მისი პოზიცია არ მოსწონდა. ასეთია მასმედიის წარმომადგენლების დამოკიდებულება აღნიშნული საკითხის მიმართ. მაგრამ მე ჩემი შეხედულებები მაქვს: ჩემი აზრით, გაუმართლებელია „ახალი ეპოქისა“ და ჟურნალ „ომეგის“, სხვადასხვა მიზეზით დაპატიმრება. მით უმეტეს, რომ ეს გამოცემები ქართული მწერლობისა და კულტურის სამსახურში დგას და ინტელიგენცია კითხულობს. ხელისუფლების სისუსტის ნიშანია, სტამბა „ომეგა-თეგში“ სპეცრაზმის შეჭრის ფაქტი, რაზეც, ბუნებრივია, პასუხისმგებლობა ხელისუფლებას უნდა დაეკისროს. მთავრობამ უნდა შეისწავლოს ყველა დანაშაულებრივი გამოვლინება, თუმცა, არც ერთი რედაქციის მუშაობას ამან ხელი არ უნდა შეუშალოს. ხელისუფლებამ კი მასმედიასთან ურთიერთობა ცუდად დაიწყო. მან თავისუფალი პრესა თავის სასარგებლოდ გამოიყენა, დღეს კი, აღარ სჭირდება, რადგან რევოლუციას არა თავისუფალი აზრი, არამედ მორჩილი უმრავლესობა უყვარს...

■

ერხა, გაეხსნა რეგიონული ხაზინა და აღეკვეთა „საზღვაო ბანკში“ მთავრობის თანხების თავმოყრა. ყოველწლიურად 40 მილიონი ლარი, რომელიც აჭარას ცენტრალურ ბიუჯეტში უნდა გადაერიცხა, კომერციულ ბანკში რჩებოდა და აბაშიძე პირადი სურვილის შესაბამისად არამიზნობრივად ხარჯავდა. ეს ბანკი გახდა შავი ფულის გათეთრების ინსტრუმენტი, რომელსაც დღემდე იყენებს აბაშიძე და მისი გარემოცვა. ეროვნულ ბანკს დიდი ხნის წინ უნდა გაეჩერებინა მისი საკორესპონდენტო ანგარიშები, მაგრამ ვერ მოახერხა. ახლა ურჩი ფეოდალების დრო დამთავრდა. პარლამენტი დაამტკიცებს კანონპროექტს, რომლის მიხედვითაც აიკრძალება კომერციულ ბანკებში სახელმწიფო ბიუჯეტისათვის განკუთვნილი ანგარიშების გახსნა. ვინც ამ წესს დაარღვევს, სისხლისსამართლებრივი წესით დაისჯება. არავის არ უნდა ჰქონდეს უფლება, წელიწადში 40 მილიონი პირადი სურვილების დასაკმაყოფილებლად გამოიყენოს. „საზღვაო ბანკის“ საქმიანობა წარმოადგენს მრავალწლიან კრიმინალურ ამბავს, რომელსაც შესაბამისი შეფასება უნდა მიეცეს. ან აჭარის ხელისუფლება მოეგება გონს, ან ცენტრი თავად მიიღებს გადაწყვეტილებას, რაც ასლან აბაშიძისათვის სავალალო შედეგით დამთავრდება.

■

მოამზადა ხათუნა მაღრაძემ

საგარეო პოლიტიკური კურსი — პლუსები და მინუსები

ლელა ჭანკოტაძე

ამერიკის შეერთებულ შტატებში მიხეილ სააკაშვილის ვიზიტის ფონზე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ახალი ხელისუფლების საერთაშორისო პოლიტიკის საკითხი. საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია ამერიკის მთავრობის თანადგომა — ერთხმად აღიარებენ პოლიტიკოსები, — მაგრამ უმეტესობისთვის გაცილებით მნიშვნელოვანი, რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებაა. როგორი უნდა იყოს ახალი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური კურსი? — ამ კითხვაზე პოლიტოლოგებსა და პოლიტიკოსებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ.

გივი გოლოთაშვილი, პოლიტოლოგი:

— მისასალმებელია პირველი საგარეო პოლიტიკური ნაბიჯები, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ უკვე გადადგა. საერთოდ, ხელისუფლების შეცვლიდან ასი დღის განმავლობაში, შეფასებებისგან თავს იკავებენ ხოლმე. ამას „თაფლობის ას დღეს“ ეძახიან. მაგრამ იმდენად მოსაწონია მიხეილ სააკაშვილის ვიზიტი რუსეთის დედაქალაქში, რომ უკვე შეიძლება, გარკვეულ შედეგზე ვისაუბროთ. იგივე ითქმის აშშ-ში ვიზიტზეც. ძნელი სათქმელია, ამ ვიზიტს რა კონკრეტული შედეგი მოჰყვება, მაგრამ ეკონომიკის სფეროში თანამშრომლობა რომ გაფართოვდება, ეს უდავოა. ხშირად მეკითხებიან: საქართველოს ტერიტორიაზე თითქოს, ერთმანეთს ეჯახება რუსეთისა და ამერიკის ინტერესები და რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება ხომ არ გამოიწვევს აშშ-ის გაღიზიანებასო? მინდა დავამშვიდო ეს ხალხი. ამერიკელები ყოველთვის მოუწოდებდნენ საქართველოს წინა ხელისუფლებას (და ალბათ ახლაც იმავე აზრზე დგანან), — მოაწესრიგეთ ურთიერთობა რუსეთთანო. მიხეილ სააკაშვილმა სწორედ ამ სფეროს მოწესრიგებით დაიწყო.

— მაგრამ მის ვიზიტს რუსეთის დედაქალაქში მოწინააღმდეგეთა მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. როგორ ფიქრობთ — რატომ არ იქნა ეს ვიზიტი ერთგვაროვნად აღქმული?

— ახალი ხელისუფლება აკეთებს ზუსტად იმას, რასაც თავის წინამორბედს საყვედურობდა. მაგრამ წინა ხელისუფლებას რუსეთთან ურთიერთობის დასარეგულირებლად ნაკლები შანსი ჰქონდა, რადგან ედუარდ შევარდნაძე მიუღებელი ფიგურა იყო რუსეთის დღევანდელი ისტებლიშმენტისთვის.

— რამდენად მოსალოდნელია, რომ სააკაშვილმა აშშ რუსეთთან ურთიერთობის მოსაგვარებლად გამოიყენოს?

— როდესაც აშშ-სა და რუსეთს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს, იქ ყოველთვის უხილავი ჩრდილივით დგება საქართველოს საკითხი, რადგან რუსეთში ჯერ კიდევ არიან ძალები, რომლებსაც სურთ, საქართველოს მიმართ იმპერიული პოლიტიკის გატარება. სანამ ეს ძალები იარსებებენ, მანამდე აშშ-ის ჩარევა აუცილებელი იქნება.

— რამდენად განმსაზღვრელი შეიძლება იყოს წარმატებული საგარეო პოლიტიკა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად?

— საგარეო პოლიტიკაში წარმატებები ნიშნავს: ინვესტიციების მოზიდვას, მრეწველობის ამუშავებასა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას. ასე რომ, წარმატებული საგარეო პოლიტიკა ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროს წაადგება. მაგრამ ქვეყნის შიგნით პრობლემების მოგვარება მხოლოდ ჩვენს ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. ვშიშობ, რომ ასევე მხოლოდ ჩვენი ხელისუფლების სწორი საშინაო პოლიტიკის და არა წარმატებული საგარეო პოლიტიკის შედეგად შეიძლება მივაღწიოთ ქვეყნის მთლიანობის აღდგენას. თუმცა, საპირისპირო მოსაზრებაც არსებობს.

— ამერიკა საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადება. როგორ გგონიათ — ახალი პრეზიდენტის არჩევის შემთხვევაში, შესაძლებელია რადიკალურად შეიცვალოს აშშ-ის პოლიტიკა ჩვენ მიმართ?

— აშშ-ის ინტერესები მთელ მსოფლიოს მოიცავს. ვინც არ უნდა მოვიდეს ამ ქვეყნის სათავეში, საქართველოს მიმართ ინტერესი არ განელდება. ჩვენ საერთაშორისო პოლიტიკაში ახალბედა ქვეყანა ვართ, დასავლეთში კი, უდიდესი პოლიტიკური გამოცდილება არსებობს. აშშ-ში იცვლებოდნენ პრეზიდენტები, იცვლებოდა მთელი სახელმწიფო აპარატი, მაგრამ პოლიტიკური სტრატეგია პრაქტიკულად, უცვლელი რჩებოდა. ასე რომ, თუ ხელისუფლებაში ჯონ კერი ან ვინმე სხვა მოვა, ქვეყნის პოლიტიკური კურსი მაინც უცვლელი დარჩება.

— რისი მიღწევა უნდა შეძლოს ახალმა ხელისუფლებამ, მისი საგარეო პოლიტიკური კურსი წარმატებულად რომ ჩაითვალოს?

— პირველ რიგში, უნდა დარეგულირდეს ურთიერთობა რუსეთის მმართველ წრეებთან, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის მთლიანობის აღდგენას. რა თქმა უნდა, მხოლოდ ამის შედეგად აფხაზეთის დაბრუნება ვერ მოხდება, მაგრამ ეს ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. უნდა მოხდეს ეკონომიკის გაძლიერება, მხოლოდ ეს ორი უმთავრესი ამოცანა რომ გადაჭრას ახალმა ხელისუფლებამ, მისი მოღვაწეობა წარმატებულად ჩაითვლება.

გუგაზ სანიკიძე, პარლამენტის წევრი:

— არანაირი კონკრეტული წინადადებები არ ყოფილა წამოყენებული სააკაშვილის რუსეთში ვიზიტის დროს. საუბარი უნდა წარმართულიყო ძირითად საკითხებზე: სამშვიდობოების გაყვანა, დსთ-დან გამოსვლა... ამაზე საუბარი არც შედგა. ჩვენ ვნახეთ მხოლოდ მოფერება და დითირამბები: ეს დითირამბებიც ერთმხრივი აღმოჩნდა. ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ საგარეო პოლიტიკაში მიხეილ სააკაშვილმა გარღვევა მოახდინა. ჩვენმა ხელისუფლებამ, როგორც ჩანს, ბელორუსიის კურსი აიღო — ანუ დაბრუნება რუსეთის ფრთებქვეშ...

— ამ ვიზიტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა და ბევრმა ის წარ-

მატებულად შეაფასა...

— რუსულ პრესაში ეს ვიზიტი დადებითად არ შეუფასებიათ. ქართული პრესა, მოგეხსენებათ, ჩამორჩენილი პრესაა და პროვინციალიზმის ნიშანიც მრავლად აქვს. ალბათ, არანაირი შედეგი არ ექნება მიხეილ სააკაშვილის ამერიკაში ვიზიტს, რადგან მისი რუსეთში ვიზიტის შემდეგ, ამერიკელებს გაღიზიანება ეტყობათ. ეს არცაა გასაკვირი: სანამ ხელისუფლებაში მოვიდოდა, სააკაშვილი მკვეთრი განცხადებებით მხოლოდ იმის გამო გამოდიოდა, რომ მაშინ ეს მოდაში იყო. ვახტანგ რჩეულიშვილის გარდა, რუსეთს არავინ იცავდა. ახლა გამოჩნდა, რომ მაშინდელი მკვეთრი განცხადებები თურმე, არაფერს ნიშნავს. ცუდი სიურპრიზია, მაგრამ ეს არის პრორუსული ხელისუფლება. თუმცა, ეს ჩემთვის სიურპრიზი არ ყოფილა. ვერ ვხვდები, სხვებს რატომ გაუკვირდათ. ვნახეთ, რომ სააკაშვილი დსთ-დან გამოსვლას არ აპირებს. და, აქედან გამომდინარე, ვერც აფხაზეთს დაიბრუნებს. აფხაზეთი დაგვიბრუნდება, როდესაც საქართველოს მთელი ტერიტორიიდან რუსის ჯარი გავა. მხოლოდ ამის შემდეგ მოწესრიგდება რუსეთთან ურთიერთობაც. არსებობს მარტივი ლოგიკა: ადამიანი მაშინ იწყებს შენთან კარგ მეზობლობას, როცა შენ მისმართ ინტერესი აღარ აქვს...

ხათუნა ხოფერია, პარლამენტის წევრი:

— ჩვენს გუნდს გამოკვეთილი საგარეო ორიენტაცია ყოველთვის ჰქონდა. ჩვენი პრეზიდენტი მუდმივად აკეთებს აქცენტს იმაზე, რომ ჩვენ არა ვართ არც პროევროპელები და რაც პროამერიკელები — ჩვენ ვართ ქართველები და უნდა ვეცადოთ, საკუთარი ადგილი დავიმკვიდროთ მსოფლიო პოლიტიკაში. მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მიხეილ სააკაშვილი თავისი პირველი ვიზიტით რუსეთში ჩავიდა: რუსეთთან ურთიერთობის გარეშე, შეუძლებელია, საქართველოში მყარი ეკონომიკის ჩამოყალიბება. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ მას მოსკოვში დახვდა მთელი სპექტრი — როგორც პოლიტიკური, ასევე ფინანსურად ძლიერი ჯგუფების. მათ აღუთქვეს, რომ საქართველოში ინვესტიციებს განახორციელებენ. ბევრი მათგანი უკვე ჩამოვიდა და გაეცნო აქაურ გარემოს მათი ინვესტიციებისთვის. საქართველოს გადარჩენა სწორედ იმაშია, რომ ყველამ ნახოს და გაიგოს — ეს არის უსაფრთხო და ინვესტიციების ჩასადებად ხელსაყრელი ქვეყანა და არა ისეთი ქვეყანა, როგორიც ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს იყო, როცა ინვესტორს წილში ბევრი ადამიანი უჯდებოდა. ამიტომაც არ ამუშავდა საწარმოები და არ მოხდა უცხოური ბიზნესის დამკვიდრება. მიხეილ სააკაშვილის ვიზიტი აშშ-ში, დარწმუნებული ვარ, აღმატებული აღმოჩნდება. ჩვენ დიდი ხანია, სამხედრო თანამშრომლობა გვაქვს აშშ-თან. ეს თანამშრომლობა კიდევ უფრო გაიზრდება და დაიხვეწება. ახლა მთავარია, შევძლოთ იმ დიდი სახელმწიფოების ინტერესების დაბალანსება, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული მდებარეობა იზიდავს. შემოდგომის ბოლოს, უკვე პირველი შედეგები გვექნება.

— **რუსეთში სააკაშვილის ვიზიტის განხილვისას, მისი ოპონენტები აცხადებენ, რომ კონკრეტული საკითხები არ იქნა განხილული...**

— რა უნდა გაეკეთებინა საკაშვილს? ტრაპიდან როგორც კი ჩავიდოდა, ეშიშვლა ხმალი და ეყვირა — ჯარები გაიყვანეთო?! მან რუსეთთან მიმართებაში სწორი პოლიტიკა აირჩია და საკითხის სწორად დასმაც შეძლო. მან დაანახვა რუსეთს, რომ მის ჯარს საქართველოში არანაირი დატვირთვა არ გააჩნია... ეს იყო რუსეთთან ახალ ენაზე საუბარი. მე იმ პერიოდში, მოსკოვში გახლდით. ვიცი, იქაური ქართველების და ბევრი რუსის პოზიცია. იმ დროს, თვალს არ აცილებდნენ ტელეეკრანებს... წავიკითხე საკმაოდ სერიოზული რუსული გაზეთები. გამიკვირდა, რომ მიხეილ სააკაშვილის ვიზიტი აღწერილი იყო, როგორც რომანის სიუჟეტი — ყველა წვრილმანი განიხილა პრესამ...

კოტა ამირხანაშვილი, პარლამენტის წევრი:

— ახალი მთავრობის საგარეო პოლიტიკური კურსი ჯერ კიდევ მაშინ იყო განსაზღვრული, როცა მიხეილ სააკაშვილი, როგორც მომავალი პრეზიდენტი, წინასაარჩევნო პროგრამას გვაცნობდა. მე მომწონს და მსიამოვნებს, როცა ის ამბობს — ჩვენი პოლიტიკა იქნება ქართულიო. მე ყოველთვის ასეთი კურსის მომხრე ვიყავი. უმნიშვნელოვანესი იყო ვიზიტები მოსკოვსა და აშშ-ში. საქართველო ვერ იქნება დამოუკიდებელი, სხვა ქვეყნებთან კარგი ურთიერთობების გარეშე, მთელი მსოფლიო ისეა გადაჯაჭვული, რომ იზოლირებული, მე მგონი, მხოლოდ კუბა და კორეაა. საქართველო უნდა იყოს ინტეგრირებული ყველა იმ „სტრუქტურაში", რომელსაც მსოფლიო ცივილიზაცია ჰქვია. აქედან გამომდინარე, ჩვენი ახალი მთავრობის ეკონომიკური კურსი აბსოლუტურად სწორია. სულ ცოტა ხნის წინ გახლდით ავსტრიაში. ევროსაპარლამენტო ასამბლეაზე, ნინო ბურჯანაძესთან ერთად. ქართულ დელეგაციას ასეთი ფურორი არასდროს მოუხდენია. ყველა ცდილობდა, ქალბატონ ნინოსთან გადაეღო სურათი, ვერ აღგიწერთ, როგორი ამაღლებული და იმედიანი იყო დამოკიდებულება საქართველოს მიმართ. ზაფხულში, ევროსაპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის არჩევნები ჩატარდება. გავამხელ საიდუმლოს და ვიტყვი, რომ ყველა დელეგაციამ ასამბლეის პრეზიდენტის პოსტზე ქალბატონი ნინოს კანდიდატურის წამოყენება მოითხოვა. ეს უდიდესი მიღწევა და იმ პოლიტიკის მხარდაჭერის დასტურია, რომელსაც ახალი ხელისუფლება ატარებს. ■

როდის მიუახლოვდება საპენსიო თანხა საარსებო მინიმუმს

ემა ტუხიაშვილი

ჩვენს ქვეყანაში კვლავ არსებულმა ენერგოკრიზისმა თავი კიდევ ერთხელ მაშინ შემახსენა, როდესაც არანაკლებ საჭირბოროტო თემაზე — საპენსიო დავალიანებებზე სასაუბროდ, სახელმწიფო საპენსიო ფონდის თავმჯდომარესთან, ბატონ **ლადო ჟიპაშვილთან** *მივდიოდი: ლიფტით მეცამეტე სართულამდე ვერ მივაღწიე — დენი გამოირთო და სადღაც შუა გზაში, სრულ სიბნელეში აღმოვჩნდი. საბედნიეროდ, ბატონი ლადოს მობილური ტელეფონის ნომერი მქონდა, დაგვიანების მიზეზიც ავუხსენი და შველაც ვთხოვე. როგორც ჩანს, ახალი ხელისუფლება მართლაც, ოპერატიულად მოქმედებს, რადგან „მაშველი ბრიგადის“ წყალობით, რამდენიმე წუთში, უკვე თავმჯდომარის სამუშაო კაბინეტში ვიჯექი და პენსიონერთა წინაშე სახელმწიფოს ვალდებულებების შესრულებაზე ვსაუბრობდით.*

— ხელისუფლებამ უკვე დაიწყო თავისი ვალდებულებების შესრულება. მთელი საქართველოს მასშტაბით ყოველთვიურად ვარიგებთ პენსიებს და ვაფინანსებთ ჯანმრთელობის დაცვის პროგრამას. დიდი იმედი გვაქვს, რომ საპენსიო დავალიანებების დაგროვების პრობლემა მომავალში აღარ იარსებებს. ჩვენ მოვახერხეთ ის, რომ იანვარში გაგვეცა იანვრის პენსიები. ამ თვის ბოლომდე გადავრიცხავთ თებერვლის გასაცემ პენსიებს, მეტიც — ამ თანხის ძირითადი ნაწილი უკვე გადარიცხულია.

— ბატონო ლადო, ახალი ხელისუფლება პენსიების გაზრდის პირობასაც იძლეოდა. კონკრეტულად გვითხარით, როდის მიიღებენ ხანდაზმული ადამიანები მომატებულ პენსიებს?

— მინდა გითხრათ, რომ ეს პირობა ძალაში რჩება და აპრილში ან მაისში ჩვენი ფონდი უკვე მზად იქნება, დაიწყოს მომატებული პენსიების გაცემა. მაისში ყველა პენსიონერი მიიღებს 18 ლარს, რომელშიც შევა ძირითადი პენსია — 14 ლარი და ძველი დავალიანებების დაფარვის ანგარიშში 4 ლარი. შემდეგ, როდესაც მთლიანად დავფარავთ დავალიანებებს (მთელი საქართველოს მასშტაბით ამას, დაახლოებით ორი წელი დასჭირდება), ფაქტობრივად, მომატებული პენსიების დარიგებაზე გადავალთ.

— გამოდის, რომ თბილისელ პენსიონერებს რეალურად საპენსიო თანხა არ ემატებათ და საკრებულოს მიერ მომატებული სამი ლარითაც ძველი დავალიანებების დაფარვა მოხდება?

— უზნეობა იქნება, რომელიმე რეგიონში გავცეთ გაზრდილი პენსიები მაშინ, როდესაც ზოგან 15 და 20 თვის პენსიებია გაყინული... ამიტომ, როცა დაიფარება ძველი დავალიანებები, პენსიონერები კვლავ გააგრძელებენ მომატებული 4 ლარის მიღებას. ამასთანავე, თუ წელს, მომატებული პენსია 18 ლარს შეადგენს, გაისად ის 21 ლარს მიაღწევს, რაც პენსიების ზრდის ტენდენციას ასახავს.

— მაგრამ მაინც გამოდის, რომ საარსებო მინიმუმთან საპენსიო თანხის მიახლოებაც კი, შორეული პერსპექტივის საქმეა...

— ის, რომ ჩვენ ეტაპობრივად ვიწყებთ საპენსიო თანხის რაოდენობის მომატებას, სწორედ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია. თუმცა, სხვაობა ახლანდელ პენსიებსა და საარსებო მინიმუმს შორის იმდენად დიდია, რომ უახლოეს ერთ ან ორ წელიწადში ამ სხვაობის ბოლომდე აღმოფხვრა მართლაც, შეუძლებელი იქნება.

— გასაგებია, რომ შეუძლებელია ერთ-ორ წელიწადში მაქსიმუმის მიღწევა, მაგრამ იქნებ მაინც გვითხრათ კონკრეტულად, როდის იგრძნობს პენსიონერი რეალურ შედეგს?

— რეალური შედეგი გვექნება უკვე ორ თვეში, როდესაც მცირედით, მაგრამ მაინც მომატებული პენსიების გაცემას დავიწყებთ. ეს პროცესი გაგრძელდება და ყოველ რვა თვეში ერთხელ, მოსახლეობისათვის გასაცემი თანხის რაოდენობა გაიზრდება. ჩვენ არ გპირდებით იმას, რომ სამ წელიწადში პენსია საარსებო მინიმუმს გაუთანაბრდება, მაგრამ გპირდებით, რომ საპენსიო თანხების ზრდა პერმანენტულად გაგრძელდება.

— რა სახის დახმარებებია გათვალისწინებული ღარიბი და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ფენებისთვის?

— ჩვენ ვარიგებთ ე.წ. საოჯახო დახმარებებს: 30 ლარის ოდენობით — მარტოხელა პენსიონერებისთვის და პირველი ჯგუფის ინვალიდებისთვის და 35 ლარის ოდენობით იმ ოჯახებისთვის, რომელშიც ორი პენსიონერი ცხოვრობს და არ ჰყავთ მარჩენალი. შარშან ამ პროგრამის დასაფინანსებლად 14 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი. წელს, ვინაიდან აღრიცხვის შედეგად გაირკვა, რომ ამ ადამიანების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა, სახელმწიფოს დაგეგმილი აქვს, მათ დასახმარებლად ოცი მილიონი ლარი გამოყოს. ეს თანხა მთლიანად სოციალურად ყველაზე გაჭირვებულ ფენებს მოხმარდება.

— თუ გაგრძელდება დახმარებების გაცემა რეპრესიების

მსხვერპლად აღიარებულ ადამიანებზე?

— საქართველოში აღრიცხულია 12 ათასზე მეტი რეპრესირებული ადამიანი და ჩვენ საკმაოდ სოლიდური საპენსიო თანხების გაცემას ვგეგმავთ არა მხოლოდ ამ ადამიანებისთვის, არამედ მათი შვილებისთვისაც. დაგეგმილია აგრეთვე დახმარებები ინვალიდებისთვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლისას დაღუპულთათვის და ნაბრძოლი ადამიანებისთვისაც.

— ალბათ სიახლე არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ სოცუზრუნველყოფის სამსახურებშიც საკმაოდ მაღალი იყო კორუფციის დონე. ხომ არ აპირებთ პენსიონერთა სიების მონიტორინგის ჩატარებას?

— პირველი ღონისძიება, რაც ამ სფეროში მოსვლისას გავაკეთეთ, ის იყო, რომ იმ რაიონებში, სადაც ყველაზე ხშირად ხდებოდა დარღვევები, საპენსიო სამსახურების ხელმძღვანელები შევცვალეთ. მონიტორინგს რაც შეეხება — გვინდა, რომ ეს საქმე მთლიანად არასამთავრობო სექტორს გადავაბაროთ, რადგან, ის უფრო თავისუფალია თავის მოქმედებაში...

— კიდევ ერთი საკითხი, რომელიც პენსიონერთათვის საინტერესო იქნება: ხომ არ შეიცვლება პენსიების გაცემის ფორმა?

— ალბათ უფრო გამარტივდება და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი გახდება: ნებისმიერ პენსიონერს ექნება საშუალება, გახსნას ბანკში ანგარიში და კომფორტული საბანკო მომსახურების სქემით ისარგებლოს. ვისაც სურს, რომ მას კვლავინდებურად ფოსტალიონი მოემსახუროს — მისი ნებაა. თუმცა, ყველამ კარგად იცის, რომ ასეთი მომსახურებისთვის კუთვნილი 14 ლარიდან პენსიონერს ხშირად, ფოსტალიონისთვის ქრთამის სახით, ერთი ლარის გადახდა უწევს...

— მიიღებენ თუ არა საპენსიო დავალიანებებს აწ გარდაცვლილი პენსიონერების ოჯახები?

— საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ყველა გარდაცვლილი პენსიონერის ოჯახს სრულად უნდა დავუფაროთ საპენსიო დავალიანება. სადღეისოდ, ყველა იმ პენსიონერის დავალიანებაა გადახდილი, ვინც 2003 წლის ივნისამდე გარდაიცვალა. როგორც კი შესაბამის ტრანსფერს მივიღებთ, ეს პროცესი განახლდება, დავალიანებების სრულ დაფარვამდე. ■

„მის თვალებში დაღვრილია ყველა უსიამოვნება, რომელიც ოდესმე გადახდენია“

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მკითხველებს, განურჩევლად იმისა, საერთოდ სჯერათ თუ არა მარჩიელების, ძალზე აინტერესებთ, მათ მიერ გაკეთებული პროგნოზები, რომელიც ცნობილ ადამიანებს შეეხება. ეს ინტერესი მით უფრო დიდია, რაც უფრო აქტუალურია მოცემულ მომენტში, პიროვნების საქმიანობა. ამის გამო, ნათელმხილველ ნატაშა სკოროხოდოვასთან ამჯერად, ზაზა ოქუაშვილისა და ირაკლი ოძრუაშვილის ფოტოებით ხელში ვესტუმრე.

ლელა ჭანკოტაძე

„ზაზა ოქუაშვილი ბიზნესისთვისაა დაბადებული და დიდი წარმატებებიც ელოდება“

— წყნარი, მშვიდი, გაწონასწორებული, მაგრამ ზედმეტად ჯიუტი ზაზა ოქუაშვილი იმ ადამიანთა კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც თავადვე იქმნიან პრობლემებს და მერე, გამუდმებით წუწუნებენ. მისი ცხოვრების გზას თუ გადავხედავთ, კონფლიქტებითა და უსიამოვნებებით არის სავსე. ენის ამყოლია. ქალის ენის გამო შეიძლება, წონასწორობა დაკარგოს, იჩხუბოს, ურთიერთობები გაიფუჭოს. ეს მისი ხასიათის ყველაზე დიდი უარყოფითი თვისებაა. საკუთარ თავს კარგად იცნობს, იცის საკუთარი ხასიათის უარყოფითი მხარეები, ამიტომ ძნელია, მისი ნამდვილი სახის ხილვა. უფრო ხშირად, თამაშობს. წინდახედულიცაა, ეშმაკიც და შორსმჭვრეტელიც. მოახლოებულ საფრთხეს ყოველთვის წინასწარ გრძნობს. მის ხასიათში თანაბრადაა თავმოყრილი უარყოფითი და დადებითი თვისებები. ზაზას საჭირო ბალანსის მიღწევა შეუძლია. მას იმის უნარიც შესწევს, რომ გონებიდან ამოშალოს მისთვის უსიამოვნო მოგონებები, თან ისე, რომ თავადაც არასდროს გაიხსენოს და ამის გამო დისკომფორტი არ შეიქმნას...

— ახლა რას განიცდის?

— ძალზე შეშინებული და დაბნეულია. მიუხედავად იმისა, რომ ეს გარეგნულად არ ეტყობა, შინაგანად ზამბარასავითაა დაჭიმული. მისი თვალები მეუბნება, რომ სასოწარკვეთილებამდე ერთი ნაბიჯიღა აკლია. გრძნობს, რომ მისი ბედი უკვე სხვების ხელშია...

— კიდევ რა შეგიძლიათ გვითხრათ მისი ხასიათის თაობაზე?

— ზოგჯერ ფეთქებადი ხასიათიც აქვს. ჭკვიანია, შეუძლია, ისე იმოქმე-

დოს, რომ შეცდომა თითქმის არ დაუშვას. ის ბიზნესისთვისაა დაბადებული და დიდი წარმატებებიც ელოდება. დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ ცხოვრებაში არ აღმოჩნდება. შეიძლება დაეპატიმრონ, მაგრამ — მცირე ხნით. მალე გაათავისუფლებენ.

— მას დეპუტატის იმუნიტეტი იცავს...

— იმუნიტეტი ბოლომდე ვერ დაიცავს. ინერვიულებს კიდეც. დაძაბული და უძილო ღამეები ელოდება. მაგრამ გაურკვევლობა მალე დასრულდება და ის ჩვეულ ცხოვრების რიტმს დაუბრუნდება. ასე რომ, შეუძლია დამშვიდდეს. მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით შემიძლია გითხრათ: დიდი ფინანსური პრობლემები შეექმნება. ამას ვერ ასცდება. თუმცა, ესეც დროებითი იქნება. პრობლემები მას პირად ცხოვრებაშიც არ მოაკლდება. რამდენიმე წელიწადში, მის ინტიმურ სამყაროში ნამდვილი რევოლუცია მოხდება. თუმცა, ეს ამბები აღარ გახმაურდება, რადგან წლების შემდეგ, მისი სახელი საზოგადოებისთვის საინტერესო აღარ იქნება: ის ჩრდილში მოექცევა, პოლიტიკას ჩამოშორდება და მხოლოდ ბიზნესს მიჰყოფს ხელს. ათი წლის შემდეგ, მისი ბიზნესი აყვავდება. ჯერჯერობით საზღვარგარეთ ცხოვრება და გაურკვევლობა ელოდება. მასზე ძალზე დიდ გავლენას, პირად ცხოვრებაში მომხდარი, რადიკალური ცვლილებები მოახდენს. ათ წელიწადში, მისი ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვლება...

„ირაკლი ოქრუაშვილი ჯერჯერობით, მხოლოდ სამსახურსა და კრიმინალებზე ფიქრობს"

— ენერგიული და ტემპერამენტიანი — აი, რას მეუბნება ირაკლის თვალები. ის რისკისა და წარმატებისთვისაა დაბადებული. ძნელი არ არის, მის თვალებში ხასიათის შტრიხების აღმოჩენა, რადგან იმ იშვიათ ადამიანთა რიგს მიეკუთვნება, რომელთა თვალებიც, სულის სარკეს წარმოადგენს. ამიტომ იოლია მასზე საუბარი. რასაც აკეთებს, ყველაფერზე შეუძლია, ხმამაღლა ილაპარაკოს. ერთადერთი, რის გამოც შეიძლება, პრობლემები და სირთულეები შეექმნას, სწორედ ბევრი ლაპარაკია. სულ მალე, მას კატეგორიულად მოსთხოვენ გაჩუმებას...

— როგორ აეწყობა მისი ცხოვრება?

— ის გენერალურ პროკურორად დიდი ხნის მანძილზე იმუშავებს. მისი მოღვაწეობა ძალზე ნაყოფიერი იქნება, წარუშლელ კვალს დატოვებს და მის შესახებ დიდი ხნის მანძილზე, ემოციების გარეშე ვერ ისაუბრებენ. მაგრამ აუცილებელია ითქვას, რომ ბევრი ხიფათი ელის, იმაზე მეტი, რასაც გაახმაურებენ. მის სიცოცხლეს საფრთხეც დაემუქრება, თუმცა, საქმე სისხლიან გარჩევამდე არ მივა... მომავალში, ის შინაგან საქმეთა მინისტრად მოგვევლინება. თუმცა, ეს მრავალი წლის შემდეგ მოხდება. მანამდე, მას კიდევ ერთი შვილი ეყოლება. ბედნიერი ოჯახი, მყუდრო გარემო და ოჯახური იდილია მის ცხოვრებაში უმთავრესი ფასეულობა იქნება. ჯერჯერობით კი, მხოლოდ სამსახურსა და კრიმინალებზე ფიქრობს. კიდევ ერთი დიდი ხმაურიანი დაპატიმრებაა მოსალოდნელი, თანაც სავარაუდოდ — რამდენიმე დღეში, რის შემდეგაც, დაპატიმრებების სერია შეწყდება, უფრო მეტიც — დაპატიმრებულთა უმეტესობა ციხეს თავს დააღწევს და თავისუფლებას დაიბრუნებს. ოქრუაშვილს ყველაზე ხმაურიანი დაპატიმრება ჯერ არ განუხორციელებია...

— მისი ხასიათის თავისებურებებზე რა შეგიძლიათ გვითხრათ?

— წყენას ძნელად ივიწყებს. მის თვალებში დალექილია ყველა უსიამოვნება, რომელიც ოდესმე გადახდენია. საოცარი სიზუსტით შეუძლია თქვას, ვინ, რატომ და როდის აწყენინა თუნდაც ბავშვობაში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სამაგიეროს გადახდაზე ფიქრობს... ■

„Беглец, склонен к бегству“ — ეს სიტყვები წითელი ფანქრით ეწერა ჭაბუა ამირეჯიბის საქმეზე, რომელმაც 16 წელი ციხეებში, ბანაკებში წამებასა და გაქცევებში გაატარა. იმ პერიოდის პატიმართათვის, ის დღემდე დაუმორჩილებლობისა და სიმამაცის სიმბოლოდ რჩება. მისი, ციხის ზედამხედველებსაც ეშინოდათ და ერთი და იგივე ბანაკში ექვს თვეზე მეტხანს აღარ აჩერებდნენ, რათა კიდევ ერთხელ არ დაეგეგმა გაქცევა. მას სწამდა, რომ ყველაზე უსაფრთხო პატიმრობას, ყველაზე სახიფათო თავისუფლება სჯობია.

ორგზის დახვრეტამისჯილი, ექვსჯერ გაქცეული პატიმრის ოდისეა

ნათია თენიეშვილი

„მუდმივ შიშში ყოფნა სჯობია გარეთ, ვიდრე მონობაში – შიგნით, უშიშრად. ამიტომ გავრბოდი. გარდა ამისა, არ ვიყავი ის კაცი, ეგრე ადვილად დავნებებოდი“ – ამბობს მწერალი მისი შვილის – ქუცნა ამირეჯიბის მიერ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში, რომელიც ბატონი ჭაბუას „გულაგის“ (Главное управление лагерей) ბანაკებში გატარებულ წლებსა და მის გაქცევებზეა გადაღებული. ფილმსაც ასე ჰქვია – „მარბენალი“.

ფილმის პრემიერა „ლიტერატურულ კაფეში“ შედგა. გადაჭედილ დარბაზში სკამებსა და კიბის საფეხურებზე ადგილი რომ აღარ დარჩა, მაყურებლები პირდაპირ იატაკზე მოკალათებულები უყურებდნენ ფილმს და მისი მსვლელობისას ემოციებს ვერ ფარავდნენ.

ფილმში ბატონი ჭაბუა თავად დაჰყვება რეჟისორს და აცნობს იმ ადგილებს, სადაც დაიჭირეს, აწამებდნენ, საიდანაც გარბოდა. სურათში გამოყენებულია ძველი, საბჭოეთის დროინდელი კადრები, ახალგაზრდა ჭაბუა ამირეჯიბს კი, თავად ქუცნა ასახიერებს და ახმოვანებს.

საბოლოოდ, ბატონი ჭაბუა 1985 წლის 16 დეკემბერს გაათავისუფლეს. ერთ მშვენიერ დღეს, როცა იგი ბანაკის ეზოში კალათბურთს თამაშობდა, ოფიცერმა გამოაცხადა – Амиреджиби, на свободу! – მწერალს ერთი ტაიმი კიდევ ჰქონდა დარჩენილი. მშვიდად განაგრძო თამაში, მიიგო, მეგობრებს დაეშვიდობა, ბარგი აკრიბა და მხოლოდ ამის შემდეგ დატოვა ბანაკი. მას ამნისტია 38 წლის ასაკში შეეხო. ასე დამთავრდა ორჯერ დახვრეტას გადარჩენილი, ექვსჯერ გაქცეული, ოთხმოცდასამწელმისჯილი, „გულაგის“ პატიმრის ოდისეა.

„ჭაბუა 6 შვილის მამა, მწერალი და საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადამიანი გახდა. მისი შემოქმედება ნობელის პრემიაზე ლიტერატურულ დარგში რამდენჯერმეა წარდგენილი. ბედის ირონიით, გაქცევის შემდეგ სხვისი სახელითა და გვარით მცხოვრები, „შრომის წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოეს. კიდევ მრავალ ამბავს ინახავს ეს კაცი თავის მეხსიერებაში. საბჭოთა იმპერია და „გულაგის“ ბანაკები კი აღარ არსებობს “ – ნათქვამია ფილმში.

პრემიერის შემდეგ, რეჟისორს, ქუცნა ამირეჯიბს გავესაუბრე. მან მითხრა, რომ დიდ ეკრანზე ფილმის ჩვენება დაგეგმილი არ არის, რადგან ვიდეოფირზეა გადაღებული და ამის საშუალებას ხარისხი არ იძლევა. ტელეკომპანიებთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ალბათ უახლოეს მომავალში, ქართველ მაყურებელს რომელიმე არხით მისი ნახვის საშუალება ექნება.

როგორც ქუცნამ მითხრა, ფინანსური სახსრების უქონლობის გამო, ფილმზე მუშაობა ოთხი წელი გრძელდებოდა, იღებდა თავისუფალ დროს, ამონტაჟებდა ღამღამობით. „როცა ჭაბუამ თავისი ცხოვრების მთელი ეს წლები, ეკრანზე ერთიანად თავმოყრილი ნახა, ძალიან მოეწონა, მაგრამ მაინც იმოქმედა მასზე და ცოტა განიცადა...“

— მაშინ როგორი რეაქცია ჰქონდა ბატონ ჭაბუას, როცა იმ ადგილებს უბრუნდებოდა, სადაც იჭერდნენ და საიდანაც გარბოდა? არ იყო ეს მისთვის მძიმე?

– არა, აბსოლუტურად არა. პატიმრობიდან გაცქეცა დიდი რისკია, მაგრამ ხალისიც ხომ ახლავს თან?!. თითქოს ისევ იმ ასაკში გადავიდა და გახალისდა...

ფილმის ბოლო კადრში ბატონი ჭაბუა სახლის სადარბაზოში დგას და ამბობს – „ვერაფერი ვერ დამაკლეს“. მთელ ფილმს კი, ლაიტმოტივად გასდევს მწერლის ცხოვრების დევიზი – „არ არსებობს სიტუაცია, რომლიდანაც გამოსავალი არ მოიძებნება“... ■

უკვე დიდი ხანია, ტელეკომპანია „მზიდან“ წამოვიდა და „პირველ არხს“ დაუბრუნდა ეკა ბერიძის მეუღლე, წარსულში „მზის“ გენერალური დირექტორი — კახა ბექაური. ეკას, პატარა მარიამის გაჩენასთან დაკავშირებით, საკმაოდ ხანგრძლივი, პროფესიული პაუზა გამოუვიდა. ცნობილია, რომ ის „მზეზე“ არ დაბრუნდება. რა გეგმები აქვს სამომავლოდ ეკას, ვიხილავთ თუ არა „პირველ არხზე“, როგორი ტიპის გადაცემას გააკეთებს და როდის — ყოველივე ამის შესახებ თავად გვიამბობს.

ჩემს დაბრუნებას ეკრანზე

ან „კიდევ ერთ ფეხმძიმობას ვერ გადავიტან“

ნათია თენიეშვილი

— ძალიან უცნაურია, მაგრამ ჯერ ნამდვილად არ ვიცი, რას ვაპირებ. შეიძლება მოხდეს ისე, რომ „პირველ არხზე“ დაბრუნება მომიწიოს. რაღაცებს ველოდები, თუ რას — ჯერჯერობით მინდა, საიდუმლოდ შევინახო.

— შენ თქვი — შეიძლება, „პირველ არხზე“ დაბრუნება მომიწიოსო. მოგიწიოს — რას ნიშნავს?

— თუ ის გეგმები, რაზეც მე ვფიქრობ, ჩაიშალა, ასეთ შემთხვევაში შეიძლება, წავიდე „პირველ არხზე“ — ამიტომ ვთქვი სიტყვა „მომიწიოს“. იმ გეგმებზე ლაპარაკს კი, მხოლოდ მას შემდეგ შევძლებ, როცა ყველაფერი გაირკვევა.

— ტელეკომპანია „მზიდან“ მაშინ წამოხვედი, როცა მარიამი უნდა გაჩენილიყო. რატომ აღარ დაბრუნდი შემდეგ „მზეში“?

— არ დავბრუნდი იმიტომ, რომ ჩემი წამოსვლის შემდეგ „მზეში“ შეიცვალა ხელმძღვანელობა, მენეჯმენტი. ის ადამიანები, ვინც დღეს მას სათავეში ჩაუდგნენ, ჩემი აზრით, არაპროფესიონალები არიან. მე არ ვეთანხმები იმ კურსს, რომლითაც ისინი წავიდნენ. ეს იყო ჩემი წამოსვლის ძირითადი მიზეზი. მე ვფიქრობ, დაახლოებით მსგავსი მიზეზების გამო არჩია ინგა გრიგოლიამაც „პირველ არხზე“ დაბრუნება. თუმცა, არ მინდა, ინგას მაგივრად ვილაპარაკო. ჩემთვის კი, ნამდვილად ის იყო გადამწყვეტი ფაქტორი, რაც გითხარით.

— კახას წამოსვლაც ამ მიზეზის გამო მოხდა?

— მე და კახას არ გვქონია წამოსვლის საერთო მიზეზი. ის ჩემ შემდეგ წამოვიდა. როდესაც მე „მზეზე“ ვმუშაობდი, კახა ტელეკომპანიის დირექტორი იყო. სწორედ ამ არხის განვითარებასთან დაკავშირებით მისი აზრი არ დაემთხვა დამფუძნებლების აზრს და ეს გახდა მისი წამოსვლის მიზეზი.

— საკმაოდ ხანგრძლივი პროფესიული პაუზა გამოგივიდა. ამის გამო დისკომფორტს არ გრძნობ?

— საკმაოდ სერიოზულ დისკომფორტს ვგრძნობ და უკვე ნამდვილად მინდა, რომ ყოველდღიურ მუშაობაში ჩავება. თუმცა, მეორე მხრივ, ვფიქრობ — შეიძლება, ჩემთვის უკეთესიც იყოს, რომ იმ პერიოდში, როცა საქართველოში მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები მოხდა, მე ეთერში არ ვიჯექი: ისე გამოვიდა, რომ დღეს, თითოეული ჟურნალისტი და თითოეული არხი, რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან ასოცირდება. ძალიან ძნელი იყო, იმ პერიოდში ნეიტრალური დარჩენილიყავი. შეიძლება, მე, როგორც ჟურნალისტმა, გადავირჩინე ჩემი იმიჯი იმიტომ, რომ ნამდვილად არ მინდა, ვინმესთან ვიყო ასოცირებული. ამას დღევანდელი გადასახედიდან ვამბობ, თორემ, იმ პერიოდში, ძალიან რთული იყო ჩემთვის ეკრანთან პასიურად ჯდომა და იმის ყურება, თუ რა ხდებოდა. დიდი სწრაფვა მქონდა იმისა, რომ ეთერში ვმჯდარიყავი.

— „მზის“ ჩამოყალიბებაში გარკვეული წვლილი მიგიძღვის. იქ მანამდე იყავი, სანამ არხი ეთერში გასვლას დაიწყებდა. არ გაგიჭირდა იქიდან წამოსვლა?

— ინგამ არაერთხელ თქვა და მეც გავიმეორებ, რომ არხი გათვლილი იყო ორ სახეზე — ინგაზე და ჩემზე. იმ ადამიანების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი, ვინც ეს არხი ჩამოაყალიბა, დღეს იქ აღარ არის და მეც მივხვდი, რომ იქ აღარ მინდა მუშაობა. მეორე მხრივ, სხვა არხზე გადასვლა ჩვეულებრივი ამბავია ჟურნალისტური კარიერისთვის: სულაც არ არის აუცილებელი, რომ დიდხანს იმუშაო ერსა და იმავე ადგილზე. საერთოდ, უკან მიხედვა არ მჩვევია. ყველაზე მეტად გული მაშინ დამწყდა, როცა „რუსთავი 2“-დან წამოვედი.

— ტელევიზიაში დაბრუნების შემდეგ ალბათ საავტორო გადაცემას გააკეთებ, ხომ?

— ალბათ. ჩემი გეგმებიდან ერთ-ერთ, მნიშვნელოვან დეტალს გაგიმჟღავნებ — აღარ მინდა, აქტიურ, პოლიტიკურ მოვლენებში ვიყო ჩართული. კიდევ ერთი სარგებელი, რაც ჩემი უმუშევრობის პერიოდმა მომიტანა ის არის, რომ უფრო აქტიურად ვუყურებდი — რუსულ, ევროპულ და ამერიკულ ტელეარხებს. დღეს იქ გაცილებით აქტუალურია არაპოლიტიკური, სხვა ტიპის ტოქშოუები. მგო-

„მარიამს ჰყავს ძიძა, რომელიც ძალიან კარგად უვლის“

ნი, საქართველოშიც მალე უნდა დადგეს ასეთი დრო და მე მინდა, მქონდეს პრეტენზია იმისა, რომ ცოტათი გავუსწრო დროს, ჩამოვცილდე პოლიტიკას და უფრო საინტერესო რამე ვაკეთო.

— ეი. შეიძლება, შენ რომელიმე საზღვარგარეთული პროექტის ქართული ვარიანტის წამყვანად გიხილოთ?

— საერთოდ წინააღმდეგი ვარ ასე პირდაპირ, პროექტის გადმოქართულების. თუმცა, მეორე მხრივ, ტელევიზიაში ბორბალს თავიდან ვერ გამოიგონებ. ერთ საინტერესო მაგალითს მოვიყვან: „ღამის კურიერი", რომელიც პირველად, ჩემი მონაწილეობით გაკეთდა, არსაიდან გადმოღებული არ იყო — მთლიანად ქართული პროექტია. ყველაზე მეტად ქართულ სატელევიზიო ბაზარზე ამ ღამის პროგრამამ გაამართლა. „რას ფიქრობს ხალხი" იყო გადმოქართულებული რუსული პროექტი, რომელმაც არ გაამართლა ქართულ სინამდვილეში. ის, რაც რუსულ ტელევიზიაში საინტერესოა — ფართომასშტაბიანი ტოქშოუები — საქართველოში ჯერჯერობით ვერ ამართლებს. ჩვენთან ძალიან მცირერიცხოვანი პუბლიკაა. მე პირადად, ბოლოს, სერიოზული დისკომფორტი მქონდა იმის გამო, რომ იძულებული ვიყავი, ერთი და იგივე სახეები მყოლოდა ყველა გადაცემაში. ბუნებრივია, როცა ეს წამყვანისთვის არის მოსაბეზრებელი, მაყურებლისთვის ათასჯერ უფრო მოსაბეზრებელი იქნება. უცხოურ ტელეარხებზე, მაგალითად, ლარი კინგი და მისი მსგავსი წამყვანები ათწლეულების მანძილზე აკეთებენ ერთსა და იმავე გადაცემას და ის არ ჰბეზრდება არავის. ჩვენთან კი, გადაცემა მალე „წურავს" საკუთარ თავს და წამყვანსაც და მაყურებელსაც უჩნდება მოთხოვნილება, რომ რაღაც ახალი გაკეთდეს.

ფართომასშტაბიანი ტოქშოუს წაყვანას, ჟურნალისტობაზე მეტად, არტისტიზმი სჭირდება. სულ სხვა მოთხოვნები, სხვა განათლება და გამოცდილებაა საჭირო. თუ დააკვირდებით, რუსულ ტელეარხებზე უმეტეს შემთხვევაში, ფართომასშტაბიანი, არაპოლიტიკური ტოქშოუები მსახიობებს მიჰყავთ. ასე რომ, აქ თავისებური, სპეციფიკური პროფესიონალიზმია საჭირო.

— როგორ ფიქრობ, დღეს საქართველოში წარმატებული იქნება არაპოლიტიკური გადაცემა?

— თუ საინტერესოდ გააკეთებ, აუცილებლად „იმუშავებს". ჩვენი ცხოვრების მილიონი დეტალი დღეს კამერასა და ეკრანს მიღმა რჩება. პოლიტიკაზე მუშაობა ახლა ძალიან ადვილი და ერთფეროვანია: ერთი და იგივე თემები, ერთი და იგივე სახეები ამდენ ტელეარხზე!.. როცა გადაცემას ვუყურებდი, წამყვანებიც მეცოდებოდნენ, რომლებიც დაიღალნენ ერთი და იმავე სახეების ყურებით. თითოეულ მათგანს — ინგას, კოკას და ეკას მეტი პოტენციური შესაძლებლობები აქვთ და გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლიათ.

— ამბობენ, როცა ცოლ-ქმარი ერთად მუშაობს, გარკვეული პრობლემები იქმნებაო. შენ და კახას არ გქონიათ მსგავსი რამ?

— პირიქით — ჩემთვის ძალზე სასიამოვნო იყო კახასთან მუშაობა. ძალიან კარგად ვუგებდით ერთმანეთს. სანამ „მზე" ეთერში გავიდოდა, საცდელ გადაცემებს ვამზადებდით და ვარჩევდით ხოლმე; ორივენი პირველად ვუყურებდით ამ გადაცემას და ოთახში მყოფთ უკვირდათ — როგორ გვიჩნდებოდა ანალოგიური შენიშვნები.

— მარიამთან დიდ დროს ატარებ?

— საკმოდ დიდ დროს ვატარებ, იმიტომ, რომ საქმე, როგორც ასეთი, არა მაქვს. თუმცა, გარეთ ხშირად გავდივარ. ვცდილობ, თავი მოვიწესრიგო. კიდევ ერთი სარგებელი, რაც ამ უმუშევრობის პერიოდის წყალობით მივიღე, ის არის, რომ ფორმაში სწრაფად ჩადგომა მოვახერხე — მოგეხსენება, ფეხმძიმობა საკმაოდ აისახება ქალის გარეგნობაზე... ვვარჯიშობდი, მასაჟებს ვიკეთებდი, აუზზე დავდიოდი. ასე რომ, ჩემს თავსაც მივხედე, ამიტომ არ ვთვლი ამ პერიოდს უქმად გატარებულად.

— ადრე ერთი შვილი გყავდა, ახლა უკვე ორი გყავს. მოახერხებ თუ არა, დატვირთული სამსახურებრივი რეჟიმით იცხოვრო?

— როგორც „რუსთავი2"-ში მუშაობის პერიოდში შემეძლო, 24 საათი სამსახურში ვყოფილიყავი, ისე ალბათ ვეღარ შევძლებ. მარიამს ჰყავს ძიძა, რომელიც ძალიან კარგად უვლის. ბექა უკვე დიდია — 13 წლის არის, მაგრამ ეს ის ასაკია, როცა მეტი ყურადღება სჭირდება, ვიდრე აქამდე სჭირდებოდა. როცა სახლიდან გავდივარ, მარიამი ძალიან მენატრება და ვცდილობ, სწრაფად დავბრუნდე შინ... იმავე დატვირთვით ვერ შევძლებ, მაგრამ რამდენადაც შევძლებ, მაქსიმალურად ვიმუშავებ. მე არ

შინ საკმოდ დიდ დროს ვატარებ, იმიტომ, რომ საქმე, როგორც ასეთი, არა მაქვს

შემიძლია, სანახევროდ ვაკეთო საქმე.

— შვილის გაჩენას კიდევ ხომ არ აპირებ?

— უიმე, არა! არა მგონია. ბავშვს დიდი სიამოვნებით ვიყოლიებდი, მაგრამ ფეხმძიმობის პერიოდი იმდენად ხანგრძლივი და დამქანცველია ჩემთვის, რომ კიდევ ერთხელ მაგას ნამდვილად ვერ გადავიტან. ეს ცხრა თვე ძალიან გრძელი და მძიმე პერიოდია. ბოლოს, ისეთი ნევროზი მქონდა, კედლებზე გავდიოდი. კახაც იმას ამბობს — ბავშვი ძალიან კარგია, მაგრამ კიდევ 9 თვე შენ ფეხმძიმეს ვერაფრით გაგიძლებო... ხასიათი შეცვლილი მქონდა და ძირითადად, ვწუწუნებდი, ამიტომ კახასთვისაც მძიმე პერიოდი იყო ჩემი ფეხმძიმობა...

ეკა ფიქრობს, რომ მცდარია აზრი, თითქოს ტელეარხის რეიტინგს პოპულარული სახეები ქმნიან. „არხზე ბევრია დამოკიდებული. არხის მენეჯმენტი უფრო წყვეტს რეიტინგს, ვიდრე პოპულარული სახე. თუ არ ვცდები, საფრანგეთში იყო ასეთი შემთხვევა: ჩამოაყალიბეს არხი, რომელზეც სხვა ტელეკომპანიებიდან გადაიყვანეს პოპულარული სახეები; ძალიან მოკლე ხანში, ამ არხის რეიტინგი საოცრად დაეცა და ის პოპულარული სახეებიც გაცილებით დაბალრეიტინგულები გახდნენ, ვიდრე მანამდე იყვნენ... რაც შეეხება იმას, თუ რომელ არხზე ვიხილავთ თავად ეკას, მან მიპასუხა: „დაახლოებით ერთ თვეში მეცოდინება ზუსტად, რას მოვიმოქმედებ. თუმცა, ეთერში როდის გამოვჩნდები — ახლა, ორი თვის შემდეგ თუ სექტემბერში — არ ვიცი".

ლევან პირველის დაცვის უფროსის მკვლელობაში ბრალდებულმა ჩვენება შეცვალა

ლევან პირველის დაცვის უფროსის — გიორგი რჩეულიშვილის მკვლელობაში ბრალდებულმა, 29 წლის დავით სიხარულიძემ უზენაეს სასამართლოში გამართულ პროცესზე ჩვენება შეცვალა. ცნობილია, რომ საქმის წინასწარი გამოძიებისას, მან პროკურატურის თანამშრომლების წინაშე მკვლელობა აღიარა და თქვა, რომ რჩეულიშვილს, ანგარების მიზნით, ზედიზედ სამი ტყვია დაახალა. რამდენიმე დღის წინ, უკვე განსასჯელის სახით წარდგენილმა სიხარულიძემ დანაშაული უარყო და განაცხადა, რომ რჩეულიშვილი მისი მეგობარი იყო და ამიტომაც, მას არასდროს მოკლავდა. მისი თქმით, იგი დანაშაულის ფაქტს შეესწრო, ამ დროს ნამდვილმა მკვლელმა იარაღი მასაც დაუმიზნა.

სამტრედიელი დავით სიხარულიძე, წარსულში ნასამართლევი გახლავთ. ბევრი მას „შავი სამყაროს" ე.წ. ავტორიტეტად იცნობდა. 1997 წელს, სიხარულიძე თბილისის საოლქო სასამართლომ გაასამართლა და ყაჩაღობისა და სხვა მძიმე დანაშაულებისთვის 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით. იგი სასჯელს თავდაპირველად, რუსთავის, 2001 წლიდან კი — გეგუთის ციხეში იხდიდა. 2001 წლის 20 სექტემბერს, სიხარულიძემ ციხიდან გაქცევა მოახერხა. საღამოს, დაახლოებით 8 საათზე, სხვა მსჯავრდებულებთან ერთად დაწესებულების ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე მდებარე, ხანგრძლივი პაემნებისთვის განკუთვნილ ოთახში შევიდა და ისე, რომ ციხის არც ერთ თანამშრომელს არ გაუგია, გამოძიებით დაუდგენელი ხელსაწყოებით იატაკის ქვეშ არსებული ბეტონის ფილა ამოტეხა. მსჯავრდებულები სარდაფში ჩაძვრნენ, გაიარეს იგი და ამანათების მისაღებად გამოყოფილი ოთახის ქვემოთ აღმოჩნდნენ. იქაც გათხარეს ორი მეტრის სიგრძის ხვრელი და გაიქცნენ.

გაქცევის შემდეგ, სიხარულიძე თბილისში, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლესთან — ნატალია ვარძელაშვილთან ერთად ხან ერთ, ხან მეორე ადგილას ქირაობდა ბინას და იქ მცირე ხნით ცხოვრობდა. ასე იგი პოლიციისგან მიმალვის მიზნით იქცეოდა. 2001 წლის ზამთარში (ზუსტი თარიღი გამოძიებამ ვერ დაადგინა), ქალაქ ცხინვალში ერთ-ერთი ოსი პიროვნებისგან „მაკაროვის" სისტემის მაყუჩიანი პისტოლეტი და საბრძოლო მასალა შეიძინა. იმავე პერიოდში, უსაფრთხოდ გადასაადგილებლად, კომპიუტერზე დაამზადებინა ტელეკომპანია „იბერიის" თანამშრომლის მოწმობა, შიგ თავისი ფოტოსურათი ჩააკრა და დავით ლომთათიძის სახელზე შეავსო. ამ საბუთს იგი დაკავებამდე, თითქმის ერთი წლის მანძილზე წარმატებით იყენებდა.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, გიორგი რჩეულიშვილი სიხარულიძემ 2002 წლის გაზაფხულზე გაიცნო. შეიტყო, რომ იგი პარლამენტარ — ლევან პირველის პირად მცველად მუშაობდა და სარგებლობდა შპს „ანგლო-ოილ-კორპორეიშენის" კუთვნილი ავტომანქანით — „გრანდ ჩეროკით". გაცნობის შემდეგ, სიხარულიძე და რჩეულიშვილი ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ, მათ შორის ახლო ურთიერთობაც ჩამოყალიბდა. ბრალდების თანახმად, სწორედ ამ პერიოდში განიზრახა სიხარულიძემ, მორიგი დანაშაული ჩაედინა და როგორმე რჩეულიშვილის ავტომანქანასა და სხვა ძვირად ღირებულ ნივთებს დაუფლებოდა; ამის გამო გადაწყვიტა მისი მოკვლა და ამ მიზნით, დასახმარებლად, ნაცნობ ბოროტმოქმედს — გამოძიებით დაუდგენელ პირს დაუკავშირდა.

2002 წლის 9 ივლისს, გიორგი რჩეულიშვილი ზემოთ აღნიშნული ავტომანქანით დუშეთის რაიონის სოფელ ჭადიჯვარში, ცოლ-შვილის მოსანახულებლად გამგზავრებას აპირებდა. ამის შესახებ სიხარულიძემაც შეიტყო და მაშინვე რჩეულიშვილთან ერთად წასვლის სურვილი გამოთქვა. ბრალდების თანახმად, სიხარულიძემ ჩათვალა, რომ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ხელსაყრელი მომენტი იყო.

დაახლოებით დღის 3 საათისთვის, უკვე ჭადიჯვარში იყვნენ. რჩეულიშვილის ცოლმა — თამარ გარიშვილმა ორივე, სუფრასთან მიიპატიჟა, მაგრამ სიხარულიძემ უარი თქვა და მისი დაჟინებული მოთხოვნით, 15 წუთში იქიდან რჩეულიშვილთან ერთად წავიდა. კვლავ მანქანაში ჩასხდნენ და გაემგზავრნენ. ცოტა ხანში, გზაში მათ მესამე პირი ჩაუჯდა, სწორედ ის, ვისაც სიხარულიძემ ჩანაფიქრის განხორციელებაში დახმარება სთხოვა.

სამივენი კასპის რაიონის სოფელ ოკამში, დავით სიხარულიძის ბებიის — ქეთო მჭედლიძის საცხოვრებელ სახლში შევიდნენ. იქ რჩეულიშვილს ნარკოტიკული ნივთიერება გაუკეთეს, რადგან იცოდნენ, რომ წამლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი, წინააღმდეგობის გაწევის უნარს დაკარგავდა და მისი დამორჩილებაც ადვილი იქნებოდა. ამის შემდეგ, სიხარულიძემ თავისი მაყუჩიანი პისტოლეტი მოიმარჯვა და რჩეულიშვილს თავის არეში სამჯერ, ზედიზედ დაახალა ტყვია. რჩეულიშვილი ადგილზევე გარდაიცვალა.

საქმის მასალების მიხედვით, სიხარულიძემ თანამზრახველთან ერთად, კვალის დაფარვაზეც იზრუნა. ბებიის სახლიდან საბანი გამოიტანა, მოკლული მასში გაახვია, შემდეგ პოლიეთილენის ტომარა ჩამოაცვა და გვამი ავტომანქანის საბარგულში მოათავსა.

განსასჯელი დავით სიხარულიძე

სასამართლო კოლეგია

ბოროტმოქმედებმა იქიდან სოფელ ოკამის მიმდებარე ტყისკენ გასწიეს. გარდაცვლილის სხეული ე.წ. ციკნაანთ ველზე მიაგდეს, ამის შემდეგ კი, 40.000 დოლარის ღირებულების ავტომანქანას, ორ ჯავშანჟილეტს, ორ ციმციმას და რჩეულიშვილის კუთვნილ „ზიგ-ზაუერის“ მოდელის პისტოლეტს დაეუფლნენ. ცხედარს მათ 30-გრამიანი ოქროს სამაჯურიც შეხსნეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

2002 წლის 10 ივლისს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოკამის ტყეში საშინლად ნაწამები უცნობი მამაკაცის გვამი იპოვეს. იგი ადგილობრივმა მწყემსმა აღმოაჩინა. ახლობლებმა გარდაცვლილი იმავე დღეს ამოიცნეს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების თქმით, გვამზე, თავის ქალაზე არსებული ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობების გარდა, ფიზიკური ზემოქმედების შედეგად მიყენებული ნაჭდევები და სისხლჩაქცევებიც დაფიქსირდა. სიკვდილის უშუალო მიზეზი კი, თავის ტვინში განვითარებული სისხლჩაქცევა და ტვინის ქსოვილის ტრავმული დესტრუქტურიზაცია გახდა. ექსპერტებმა ისიც აღნიშნეს, რომ გარდაცვლილის სხეულში გარკვეული დოზით, ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკული ნივთიერებაც აღმოაჩინეს.

დანაშაულში ეჭვმიტანილის ვინაობის შესახებ საზოგადოებამ 2002 წლის 27 სექტემბერს შეიტყო, მაშინ, როცა სამართალდამცავებმა დავით სიხარულიძე დააკავეს. ჩხრეკისას მისი ბინიდან „ზიგ-ზაუერის“ სისტემის პისტოლეტი, „იჟ-98“-ის მოდელის „მაკაროვის“ მაყუჩიანი პისტოლეტი, საბრძოლო მასალა, ერთი ჯავშანჟილეტი და ტელეკომპანია „იბერიის“ ყალბი მოწმობა ამოიღეს.

მეორე დღეს, სიხარულიძეს პროკურატურამ ბრალი რამდენიმე მუხლით წაუყენა. თავდაპირველად, მან დუმილის უფლება გამოიყენა, საბოლოო ბრალდების წარდგენის შემდეგ კი, გამოძიებას ასეთი ჩვენება მისცა:

„...ციხიდან გაქცევის შემდეგ, მიმალვაში ყოფნისას, სისტემატურად მოვიხმარდი ნარკოტიკულ ნივთიერებას. ნარკოტიკების შესაძენად ხშირად დავდიოდი ქალაქ ცხინვალში. ერთხელ, იქ ჩემთვის უცნობ ოსთან ვთქვი, რომ ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა მინდოდა. ზამთარი იყო, ზუსტი რიცხვი არ მახსოვს, როცა იმ პიროვნებამ 1.000 დოლარად იარაღი მომიტანა. გარეგნულად „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტს ჰგავდა. გასინჯვის მიზნით გავისროლე, შემდეგ კი, იარაღი საბრძოლო ვაზნებთან ერთად შევიძინე. სულ თან ვატარებდი, როცა შინ ვიყავი, იქვე ვინახავდი...

2002 წლის მარტის თუ აპრილის თვეში, ნახალოვკელი გია რჩეულიშვილი დამიკავშირდა და მითხრა – ტარიელ ჩაჩუასგან ფული მაქვს ასაღებიო (სიხარულიძემ უზენაეს სასამართლოში დაკითხვისას აღნიშნა, რომ რჩეულიშვილი მას ნათესავმა, ძმისშვილის მამინაცვალმა – ტარიელ ჩაჩუამ თბილისში, კუს ტბაზე გააცნო. რჩეულიშვილი იქ მათ შემთხვევით შეხვდა, ჩაჩუამ სიხარულიძე მას წარუდგინა, როგორც სამტრედიელი ნათესავი. – ავტ.), გიას (გიორგი რჩეულიშვილი. – ავტ.) ტარიელისგან 15.000 დოლარი ჰქონდა ასაღები. შემომთავაზა, ეს თანხა ერთად ავიღოთ და შუაზე გავიყოთო. ამ საქმეში ჩავერიე, მაგრამ საბოლოოდ გიას ვერაფრით დავეხმარე. რამდენიმე ხნის შემდეგ შემხვდა და მითხრა – ტარიელს თანხის სანაცვლოდ, შვილს მოვტაცებო. ეს არ მესიამოვნა. ვიცოდი, რომ იგი ლევან პირველის დაცვაში მუშაობდა და მისი „გრანდ ჩეროკით“ დადიოდა. იმ მანქანით გიასთან ერთად რამდენჯერმე ვარ ცხინვალში ჩასული, ნარკოტიკების შესაძენად...

2002 წლის ივლისის დასაწყისი იყო, როცა გიამ მითხრა, ჩემმა მეგობარმა ბანკში გირაოთი ქარხანა ჩადო, აღებული ფული კი, მე მოვიხმარე, ახლა მეგობრისთვის ვალი მაქვს დასაბრუნებელი, სხვა გამოსავალი არ მაქვს, ლევან პირველის მანქანა უნდა გავყიდო ჩუმადო. გადაწყვეტილი ჰქონდა, ოსებისთვის მიეყიდა 8.000 დოლარად, შემდეგ კი იტყოდა, მანქანა წამართვესო.

დავუკავშირდი ოსებს, რომლებისგანაც ნარკოტიკებს ვყიდულობდი და მათ სიტუაცია ავუხსენი. ერთ-ერთმა, მეტსახელად ჩეხომ თქვა, მანქანას მე ვიყიდიო. 2002 წლის 9 ივლისს, ტელეფონზე დამირეკა გიამ, ამბავი მკითხა, შემდეგ კი, დოლიძის ქუჩაზე ნაქირავებ ბინაში მომაკითხა. ჩეხოს დავურეკეთ. მან გვითხრა, რომ ჯერ ფული არ ჰქონდა ნაშოვნი. დროის გაყვანის მიზნით გადავწყვიტეთ, სოფელ ჭადიჯვარში წავსულიყავით, იქ გიას ცოლ-შვილი ისვენებდა. გზაში ბავშვებისთვის საჩუქრები, მისი მეუღლისთვის კი, ყვავილები ვიყიდე და წავედით. ჭადიჯვარში ჩასვლისთანავე, ჩეხომ დამირეკა – 1.500 დოლარი და 500 დოლარის ნარკოტიკები მაქვსო. ტელეფონი გიას გადავეცი, რათა თვითონ მორიგებოდა. შეთანხმდნენ, რომ ერთმანეთს სოფელ ოკამთან შეხვდებოდნენ. ამის გამო, ჭადიჯვრიდან მალე წავედით და ოკამის ჩასახვევთან სამ უცნობ ოსს შევხვდით. შეიარაღებულები იყვნენ. ერთ-ერთმა 1.500 დოლარი და ნარკოტიკები გიას გადასცა, თან უთხრა – დარჩენილ ფულს სამ დღეში გადავიხდიო. გია მათ ენდო. ჯიპში ერთ-ერთი ოსი ჩავვიჯდა. მას უნდა წაეყვანა მანქანა, მაგრამ მანამდე, ოკამში ბებიაჩემის სახლში შევიარეთ, ნარკოტიკების გასაკეთებლად. სამივენი მეორე სართულზე ავედით. აღმოჩნდა, რომ ნარკოტიკების გასაკეთებელი შპრიცი მანქანში დაგვრჩა და მის მოსატანად ოსი გავგზავნეთ. ის მიუახლოვდა თუ არა მანქანას, სიგნალიზაცია ჩაირთო და იძულებულები გავხდით, ჩვენც ქვევით ჩავსულიყავით. ცოტა ხანში მე და გია კვლავ მეორე სართულზე ავბრუნდით, ოსი კი მანქანაში დარჩა. ნარკოტიკი ორივემ გავიკეთეთ. გიამ მითხრა – ფული აღებული მაქვს, მოდი, ოსები „გადავაგდოთო“. არ მინდოდა ოსების გადაკიდება და ამიტომაც, უარი ვუთხარი. ის მაინც თავის აზრზე იდგა. ამასობაში, მობილურ ტელეფონზე დამირეკა ოსმა, რომელიც ოკამის გადასახვევთან გველოდებოდა. მისაყვედურა – მანქანა რატომ იგვიანებსო?.. გია საწოლზე იჯდა. კიდევ ერთხელ ვკითხე – რას აპირებ მანქანასთან დაკავშირებით-მეთქი? – არაო, – მიპასუხა. მდგომარეობიდან გამოვედი, ამოვიღე „პსმ“-ის იარაღი, რომელიც თან მქონდა და რამდენჯერმე ვესროლე. გია არც განძრეულა, არც იარაღი ამოუღია, მაშინვე უსულოდ დაეცა ლოგინზე. მე მისგან დაახლოებით 2-3 მეტრის დაშორებით ვიდექი. მანქანაში მყოფ ოსს დავუძახე და მისი დახმარებით, საბანში და ცელოფანის პარკში გახვეული გვამი ავტომანქანის საბარგულამდე ჩავიტანე...

გვამი სოფლის ახლოს მდებარე ტყეში, ბუჩქებში შევათრიეთ. შემდეგ ავიღე გიას „ზიგ-ზაუერი“, ოსთან ერთად ჯიპში ჩავჯექი და ცხინვალში ჩავედი. მანქანიდან აღებული ერთი ცალი ჯავშანჟილეტი ოსებს მივეცი, მეორე ჩემთვის დავიტოვე. ოსების მიერ გადახდილი 1.500 დოლარიც თვითონ მოვიხმარე“.

დაზარალებული, გიორგი რჩეულიშვილის ქვრივი – **თამარ გარიშვილი** კატეგორიულად უარყოფს ქმრის მიერ ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებას. მისი თქმით, რჩეულიშვილს პირადად არავის ვალი არ ჰქონია და არც მანქანის გაყიდვა უხსენებია ოდესმე.

„2001 წლის ზამთარი იყო, როცა ჩემს ქმართან ვიღაც გია მოვიდა. მე მას არ ვიცნობდი. ჩემს მეუღლეს სთხოვა, დახმარებოდა ვალის – 80.000 დოლარის ამოღებაში. ამ საქმის გარჩევისას, მეორე მხარეს მოუყვანია ვინმე დათო სიხარულიძე. იგი ყველას გასცნობია, როგორც კანონიერი ქურდი. საქმის გარჩევისას, ჩემი ქმარი და მასთან ერთად მყოფი გია გამართლებულან და შეთანხმებულან, რომ მოვალე მხარე აღნიშნულ თანხას ეტაპობრივად გადაიხდიდა. სწორედ ეს ფაქტი გახდა ჩემი მეუღლისა და დათო სიხარულიძის გაცნობის საფუძველი.

პირადად მე, სიხარულიძეს 2002 წლის 9 ივლისამდე არსად შევხვედრივარ. იმ დღეს, ის და ჩემი ქმარი ჭადიჯვარში, სახლში მოვიდნენ. გიამ სიხარულიძე გამაცნო, როგორც კანონიერი ქურდი, ამის შემდეგ კი, ის შინ შემოიპატიჟა. სიხარულიძე ჩემი შვილის საკონცერტო აფიშებს ათვალიერებდა. გია უხსნიდა, რომ ბავშვი ძალიან კარგად მღეროდა. ამასობაში, სამზარეულოში შევედი, ხაჭაპურის ცხობა მქონდა დაწყებული და სამზადისი დავაჩქარე, რათა მომესწრო და ისინი დამეპატიჟებინა. გავიგონე, რომ დათო სიხარულიძემ რაღაც ჩაიბურტყუნა. გიამ უპასუხა – არა, ჩემს ოჯახში ამას არ გავაკეთებო. ამაზე დათომ უთხრა – „ლომკაში“ ვარ, ყველა ვარიანტში უნდა გავიკეთოო. რამდენიმე წამში, ჩემი ქმარი სამზარეულოში გამოვიდა, მაკოცა, მომიბოდიშა და სიტუაცია ამიხსნა, მთხოვა, გამეგო. „ზალაში“ შევიდნენ, თან კარი გაიხურეს, მაგრამ იმ კარს მინა არ ჰქონდა და ამიტომაც ოთახიდან ხმა გარკვევით ისმოდა. წამიერი დუმილის შემდეგ, იქიდან დიალოგი შემომესმა: – გაიკეთე; – არა, არ მინდა; – გაიკეთე, ძმაო, სუფთა წამალია; – არა, ძმაო, მე არ მინდა; – გაიკეთე, მაგარ კაიფში იქნები, კარგ ხასიათზე დადგები, რა, არ მენდობი?

გიას მთლიანად ვენდობოდი. მჯეროდა, რომ არ გაიკეთებდა, მაგრამ ახლა უკვე ვეჭვობ, რომ სიხარულიძემ იგი მაინც დაითანხმა. ამაზე, შემდგომში განვითარებული მოვლენები მეტყველებს. გია წამლის ზემოქმედების ქვეშ იყო, ვეღარ აზროვნებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიხარულიძეს იგი თავს არ მოატყუებინებდა, მის განზრახვას აუცილებლად მიხვდებოდა. რაღაც მომენტში, სიხარულიძის მიმართ უსიამოვნო გრძნობა გამიჩნდა. თუმცა, მხოლოდ ის ვიეჭვე, შემოგზავნილი, ე.წ. „ნასედკა“ იყო. იმ პერიოდში ხშირად ხდებოდა, როცა ნარკოტიკებს ძალით უდებდნენ ან განგებ ითანხმებდნენ წამლის გაკეთებაზე, შემდეგ კი, პოლიცია მათ თითქოსდა ფაქტზე იჭერდა. მეც ამის შემეშინდა და გიას ვთხოვე, არსად წახვიდე, მარტო დარჩენის შეშინია-მეთქი. დამამშვიდა და მაინც წავიდა. ბოლომდე რაღაცას ვეჭვობდი, მაგრამ მის სიკვდილზე ნამდვილად არ მიფიქრია...

მეუღლისგან ვიცოდი, რომ თბილისში აპირებდა გამგზავრებას. თავისი ძმა ასტრახანში უნდა გაეცილებინა. როგორც აღმოჩნდა, მოულოდნელად მარშრუტი შეუცვლია და სიხარულიძესთან ერთად ოკამში წასულა. ოკამში მას არაფერი ესაქმებოდა. ფაქტია, რომ იგი სიხარულიძის ზემოქმედების შედეგად მოიქცა ასე. მისი ბებიის – ქეთო მჭედლიძის ჩვენებით ისიც ირკვევა, რომ გია მანქანიდან გადასვლისთანავე ცუდად გამხდარა და ის მეორე სართულზე ძლივს აუყვანიათ. სიხარულიძემ ბებიამის იარაღი დაუმიზნა და უთხრა – შენ ხმას არ ამოიღებ, თორემ, ადგილზევე მოგკლავო...“

ლავით სიხარულიძეს პროკურატურამ ანგარებით ჩადენილ განზრახ მკვლელობაში, ცეცხლსასროლი იარაღის გატაცებაში, ციხიდან გაქცევაში, ყალბი დოკუმენტის დამზადებასა და გამოყენებაში და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-ტარება-შენახვაში დასდო ბრალი. ამჟამად, სიხარულიძე ყველაფერს აღიარებს, გარდა მკვლელობისა. თუმცა აღნიშნავს, რომ პისტოლეტი უცნობი ოსისგან 1.000 დოლარად კი არა, 1.500 დოლარად შეიძინა და თანაც – მაყუჩის გარეშე. *„ეს იარაღი კაცის მოსაკლავად შესანიშნავი იყო, თუმცა მე იგი ამ მიზნით არ შემიძენია. ცხოვრებაში არაერთი ავტომანქანა და იარაღი გამიტაცია, მაგრამ ამისთვის კაცი არ მომიკლავს“*, – სიამაყითაც კი აღნიშნა სიხარულიძემ სასამართლო სხდომაზე. იქვე დასძინა, რომ ბებიამისისთვის მას იარაღი არ დაუმიზნებია. *„...რჩეულიშვილი ბებიაჩემის სახლში ჩემთვის სრულიად უცნობმა პიროვნებამ მოკლა. არ ვიცი, ოსი იყო თუ ქართველი, არც ერთს არ ჰგავდა. რაღაც მომენტში, მე სახლიდან გარეთ გავედი და ამ დროს, სამი გასროლის ხმა გავიგონე. მაშინვე ოთახში შევვარდი და რჩეულიშვილი უკვე მკვდარი იყო. იმ პიროვნებამ იარაღი მეც მომიშვირა და მითხრა – ხმა არ ამოიღოო. მეც სხვა გზა არ მქონდა, ყველაფერს ისე ვაკეთებდი, როგორც მეუბნებოდა... იქიდან ცხინვალში ჩამიყვანა, ოსებმა 1.500 დოლარი მომცეს – წაიღე და აქაურობას მოშორდიო. ამ თანხით თავისუფლად შემეძლო, საქართველო დამეტოვებინა, მაგრამ ასე არ მოვიქეცი, რადგან რჩეულიშვილი მე არ მომიკლავს. ჯავშანჟილეტიც ოსებმა მომცეს, რომ ხიფათის შემთხვევაში, გადავრჩენილიყავი. იქ რჩეულიშვილის ფული და ავტომანქანა არავის აინტერესებდა. არ ვიცი, რისთვის მოკლეს გია“*, – განაცხადა განსასჯელმა პროცესზე.

სიხარულიძე დანაშაულში მონაწილე კონკრეტულ პირებს არ ასახელებს. რაც შეეხება წინასწარ გამოძიებაში მის მიერ მიცემულ აღიარებით ჩვენებას – განსასჯელი მას უარყოფს და სამართალდამცავთა ზეწოლით ხსნის. *„მე მხოლოდ იმას ვწერდი, რასაც გამომძიებელი მკარნახობდა“*, – აღნიშნა მან, თუმცა, რამდენიმე წუთის შემდეგ ისიც თქვა, რომ არც პოლიციის, არც პროკურატურის მხრიდან მის მიმართ ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია.

სიხარულიძის ამ ჩვენებას არც პროკურატურა და არც დაზარალებულის მხარე არ იზიარებენ. ბრალდება საქმის მასალებში დაფიქსირებულ მტკიცებულებებზე მიუთითებს, მოკლულის ოჯახის წევრები კი აღნიშნავენ, რომ სიხარულიძის დანაშაულში ეჭვი არ ეპარებათ. მათი თქმით, განსასჯელმა ახალი ჩვენება მხოლოდ პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით შეთხზა. თუმცა, სასამართლო პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, მოწმეების დაკითხვის დროს კი, შესაძლოა, აქამდე უცნობი ბევრი დეტალიც გამოიკვეთოს.

■

სამი ადამიანის მკვლელობის მცდელობისთვის ძებნილი დააკავეს

სამართალდამცავებმა სპეცოპერაციის შედეგად, განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენა-შენახვისა და ტარებისთვის ძებნილი, 1979 წელს დაბადებული სოსო ჯოხაძე დააკავეს. სპეცოპერაცია დაბა გუდაურში ჩატარდა და მასში მონაწილეობდნენ როგორც უშიშროების სამინისტროს, მცხეთა-მთიანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს, დაბა გუდაურის შს ქვეგანყოფილების, ასევე დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს თანამშრომლები.

სამართალდამცავთა ინფორმაციით, ჯოხაძე 2003 წლის 30 ივნისს, დანაშაულის ჩადენის მიზნით, თავის ძმას – გიორგი ჯოხაძეს, ვინმე ირაკლი ნოზაძეს და გამოძიებით დაუდგენელ სხვა პირებს დაუკავშირდა, მოელაპარაკა მათ და ყველანი ერთად, იმავე დღეს, დაახლოებით 20 სთ 40 წთ-ზე, ჩაუსაფრდნენ გიორგი ახმეტელს, გიორგი ცარციძესა და კახაბერ სანიკიძეს. ისინი იმ დროს, შპს „მასველის“ კაზინოში იმყოფებოდნენ. იქიდან გამოსვლისთანავე, ჩასხდნენ ავტომანქანა „ნივაში“ (საჭეს ახმეტელი მიუჯდა) და დაიძრნენ. როგორც სამართალდამცავები აღნიშნავენ, ჯოხაძესა და მის თანამზრახველებს მათი ფიზიკური ლიკვიდაცია ჰქონდათ ჩაფიქრებული. თავდამსხმელები „ტტ“-ს, „მაკაროვისა“ და „ლუგერის“ მარკის ცეცხლსასროლი იარაღითა და საბრძოლო მასალით იყვნენ შეიარაღებულები. ისინი თავიანთი „ბეემ-ვეთი“ უკან გაჰყვნენ „ნივას“, ცოტა ხანში გადაუსწრეს და გზა გადაუკეტეს. თავდამსხმელები მაშინვე გადავიდნენ მანქანიდან და ახმეტელისა და მასთან მყოფი პირების მიმართულებით სროლა დაიწყეს. სროლის ხმაზე, შემთხვევის ადგილზე მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს ქვეგანყოფილების ინსპექტორები – ნიკოლოზ გოგსაძე და ირაკლი ბენდელიანი მივიდნენ.

ბოროტმოქმედებმა ცეცხლი პოლიციელებსაც გაუხსნეს. გოგსაძემ, რომელსაც ტაბელური იარაღი ჰქონდა თან, დანაშაულის აღკვეთის მიზნით, თავდამსხმელებს რამდენჯერმე ესროლა. საპასუხოდ ჯოხაძემ, ნოზაძემ და სხვებმაც ისროლეს, თუმცა გადაწყვიტეს, იქაურობას გასცლოდნენ და შემთხვევის ადგილიდან გაქცევა და მიმალვა მოახერხეს.

ჯოხაძის დაკავება 2004 წლის 13 თებერვალს მოხერხდა. სამართალდამცავთა ინფორმაციით, თავდამსხმელების სროლის შედეგად, ახმეტელმა, ცარციძემ და სანიკიძემ მრავალი ცეცხლსასროლი დაზიანება მიიღეს.

„მამაშა“ ჩავარდა...

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა თბილისში, გლდანის მე-3 მიკრორაიონის 84-ე კორპუსში მცხოვრები, 53 წლის ანა გაბარაევა, მეტსახელად ანო დააკავეს. სამართალდამცავთა თქმით, იგი თავის საცხოვრებელ ბინაში სისტემატურად ახვედრებდა მამაკაცებს მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს და სექსუალური მომსახურებისთვის გადახდილი თანხის ნაწილს თვითონ იტოვებდა. პოლიციამ ამჯერად, გაბარაევა ფაქტზე დაიჭირა. სამართალდამცავთა ინფორმაციით, მან, წინასწარი შეთანხმებით, ორი მამაკაცისგან 50 ლარი აიღო, შემდეგ კი, ტელეფონით დაუკავშირდა თავის ბინაში მუდმივად მომუშავე ქალებს – 1964 წელს დაბადებულ ლუიზა მ-ს (მეტსახელად ნინუცა), 1966 წელს დაბადებულ იამზე თ-ს (მეტსახელად იკო) და ამ მამაკაცებს შეახვედრა. მაჭანკლობისთვის 10 ლარი დაიტოვა, 20-20 ლარი კი, ქალებს გადაუხადა.

ყაჩაღებმა სასტიკად ნაცემი კაცი ტყეში მიატოვეს

შს სამინისტროს ინფორმაციით, თბილისელი, 24 წლის მამუკა ჭიჭინაძე და ასევე თბილისელი, 30 წლის გიორგი მაისურაძე ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები არიან. ისინი სამართალდამცავებმა 12 თებერვალს ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დააკავეს. როგორც სამართალდამცავ ორგანოებში იუწყებიან, ჭიჭინაძე და მაისურაძე გარდაბნის რაიონის სოფელ ტაბახმელაში, თბილისელ როინ სულხანიშვილს დაესხნენ თავს, ფიზიკური ძალის გამოყენებითა და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით ჩასვეს იგი მაისურაძის ავტომანქანა „ვაზ 2109“-ში და ტაბახმელის ტყისკენ წაიყვანეს. ტყეში მისი ცემა განაგრძეს, წაართვეს მობილური ტელეფონი, ფული და ოქროს ნივთები. სასტიკად ნაცემი სულხანიშვილი იქვე, ტყეში მიატოვეს, თავად კი, იმავე მანქანით შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. სამართალდამცავები აღნიშნავენ, რომ ნივთმტკიცება ამოღებულია. გამოძიებას საგამოძიებო დეპარტამენტის გარდაბნის განყოფილება აწარმოებს.

მძარცველებმა დაზარალებულს 12.000 დოლარი წაართვეს

მთაწმინდა-კრწანისის რაიონში ძარცვის ფაქტი დაფიქსირდა. რუსთაველის გამზირის №1-ში ქუთაისელი ნუგზარ ქარაბაკი გაძარცვეს და 12.000 დოლარი წაართვეს. როგორც სამართალდამცავები ამბობენ, დაზარალებული, რუსთაველის გამზირზე სტუმრად იმყოფებოდა. 12 თებერვალს პოლიციამ ეჭვმიტანილი დააკავა. იგი 1967 წელს დაბადებული, ქარელის რაონის სოფელ დირბის მკვიდრი, წარსულში სამჯერ ნასამართლევი, იოსებ ტეტუნაშვილი აღმოჩნდა. ტეტუნაშვილისგან სამართალდამცავებმა 4.500 დოლარი და 500 ლარი ამოიღეს, ხოლო მისი ნაცნობის, გორის რაიონის სოფელ ქვეშში მცხოვრები გელა ციციშვილის საცხოვრებელი ბინიდან – გატაცებული ფულით შეძენილი ოქროს ნივთები, 1.000 დოლარი და პისტოლეტი „ჩზ-75“, მჭიდითა და 15 ვაზნით. გამოძიებას საგამოძიებო დეპარტამენტის მთაწმინდა-კრწანისის სამსახური აწარმოებს.

მდინარე ალაზნის სანაპიროზე მამაკაცის გვამი იპოვეს

12 თებერვალს, დილის 11 საათზე, მდინარე ალაზნის სანაპიროზე, სოფელ ართანაში მცხოვრები, 36 წლის ზაზა ადესას ძე ლაზარიშვილის გვამი აღმოაჩინეს. გარდაცვლილის სხეულზე ყელზე მიყენებული ჭრილობა დააფიქსირეს. ლაზარიშვილი 9 თებერვლიდან, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა. გვამის პოვნის შემდეგ, პოლიციამ მკვლელობაში ეჭვმიტანილი, თელავის რაიონის სოფელ ნაფარეულში მცხოვრები, წარსულში არაერთგზის ნასამართლევი, 34 წლის დავით ლონგორის ძე პაპუაშვილი დააკავა. თუმცა, სამართალდამცავთა ინფორმაციით, ეჭვმიტანილი მარტო ის არ არის. მათი თქმით, პაპუაშვილის გარდა, დანაშაულში, მრავალჯერ ნასამართლევი, 1969 წელს დაბადებული, სოფელ ართანის მკვიდრი გელა ჩაკვეტაძე, ასევე არაერთხელ ნასამართლევი, 1969 წელს დაბადებული, თელაველი ხვიჩა ობგაიძე და 1969 წელს დაბადებული, თბილისელი დავით წულაია მონაწილეობდნენ. ისინი მიმალვაში იმყოფებიან.

■

მარი ჯაფარიძე

„შენს თავს სრავის დავუთმობდი, ბაკოს რომ არ ვიყო...“

უფროსი ასაკის ქალბატონებისგან გამიგონია, რომ გასული საუკუნის სამოციან-სამოცდაათიან წლებში, სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობა კალათბურთი გახლდათ და კალათბურთელები გოგონების კერპები იყვნენ. მაგრამ სპორტის ამ სახეობის მოთამაშეები თურმე, დღესაც დიდი ინტერესის ობიექტს წარმოადგენენ და უბრალოდ, პრესის ყურადღება აკლიათ. ამის თქმის საბაბს ის მაძლევს, რომ წინა ნომრის „სასიძოს“ — „დინამოელი“ ვაკო ბეჟანიშვილის ინტერვიუს იმდენი გოგონა გამოეხმაურა, ბევრ პოპულარულ მომღერალსაც რომ შეშურდებოდა...

„სურვილი გამიჩნდა, ვაკოს პატარა ლექსი მივუძღვნა: „მარტო ხარ? მოვალ და გაგათბობ, არ გჯერა? – სიყვარულს გთავაზობ, იცოდე, სულ შენთვის ვიცოცხლებ, შენთვის უფლის მადლით ვილოცებ... მარტო ვარ, ჩურჩული ჩამესმა, გაგათბო? – სიჩუმე გამეფდა...“ აბა, როგორია?“

„კახელი ბიჭი ყოფილხარ, შენ, ჯუჯღუნა ვაკო, ბათუმელი გოგო ვარ, თან კახელი – თაკო“.

„მარი, ეს მაგარი „სასიძო“ „გაგვიჩითე“. მინდა, მთელი გულით ვუძღვნა ეს სიტყვები: „მე მთელ ქვეყანას შევიძულებდი, რომ აეკრძალათ შენზე ოცნება, შენ შემოგწირავ მე ჩემს სიცოცხლეს, მსურს, ბედნიერი იყო მარადის, ჩემს ყველა ლექსებს და ჩემს სიყვარულს, მხოლოდ შენ გიძღვნი და სხვას არავის“. ვაკო, ძალიან მაგარი ბიჭი ხარ და იმსახურებ ყველაფერს საუკეთესოს...“

„მართალია, მხოლოდ 1 მეტრი და 62 სანტიმეტრი ვარ, მაგრამ სამაგიეროდ, საკმაოდ მიმზიდველი გახლავართ. თუ მნახავს „სასიძო“, უკეთ შემაფასებს“.

„ვაკო, ისეთი კარგი ბიჭის პოვნა, როგორიც შენ ხარ, მართლაც სირთულეს წარმოადგენს. ძალზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებ. ქალი სუსტი არსებაა და შენნაირი ძლიერი მამაკაცის გვერდით ყოფნა დიდი ბედნიერებაა. მარტოსულად ყოფნა მომაბეზრებელია. ნაიარევზე კი, არ იდარდო, მაგრად დამევასე. დიდი სიყვარულით, „ჩორნა“.

„ვაკუშა, ძალიან მიყვარხარ. ზუსტად საშენო ვარ – 1,95 მ. თუ დაგაინტერესებ, დამირეკე... ნომერი მარიმ იცის. ველი შენს ზარს სულმოუთქმელად“.

„ვგიჟდები მაღალ ბიჭებზე. არც მე ვარ დაბალი (1,75 მ). ლამაზიც ვარ... დაფიქრდი, ვაკო, სამაგალითო წყვილი ვიქნებით. აბა, რას იტყვი? ნინო“.

„ვაკო, კარგი ვინმე ხარ, მაგრამ ჩემთვის, – მეტისმეტად მაღალი. აბა, სად გაგონილა, ჟირაფს ჭიანჭველა შეენიშნოს?“

„მარი, სხვაში არ შეგეშალოს, მე ვაკო ბეჟანიშვილს ვეხმაურები. თუ დამაკავშირებ, მაღარიჩი ჩემზე იყოს. ვარ ბორჯომელი მაია გელაშვილი, 23 წლის, ტრადიციული, ქართული ოჯახიდან. ჩემი გარეგნობა თავად შეაფასოს. სიმაღლე არ მაკლია (1,80 მ), გარეგნობითაც კარგი გოგო ვარ, მაგრამ მამაკაცთან ოთხთვიანი თანაცხოვრების შემდეგ, განათხოვარი ქალი მქვია“.

„ვაკო, „დავჯდები და ბარათს მოგწერ, ისევ უმისამართოს...“ აბა, მითხარი, ასე ძალიან რატომ გაინტერესებს, ვინ გამოგეხმაურება? დავიჯერო, შენს გარემოცვაში არავინ არის ისეთი, ვინც დაოჯახებას გაფიქრებინებს?“

„მარი, ვაკოს გადაეცი, რომ კალათბურთისა და მისი ფანი ვარ. ინტერვიუ ძალიან მომეწონა. თუ შევხვდებით, ვიცი, მოვეწონები“.

„ჩემო ვაკო, მე სხვისთვის აკრძალული ვარ, რადგან შენი ვარ მხოლოდ. შენთან ყოფნის ჟინი დამლევს, უშენობის გამაგიჟებს ისტერიკა. შენთან მინდა! ხომ დამირეკავ? ქუთაისი“.

„ვაკო, ვგიჟდები კალათბურთსა და კალათბურთელებზე. მართალია, როდმანი არ ხარ, მაგრამ შენი კალათბურთელობაც საკმარისია ჩემს მოსახიბლად. იქნებ, კალათბურთში წამავარჯიშო?“

„ყვავილების თაიგულში ამოვიღე ერთი ვარდი, ეს შენ იყავ, ჩემო ვაკო, და იმიტომ შემიყვარდი“. შენზე უზომოდ შეყვარებული ნინო. გთხოვ, დარეკვით მაინც დამირეკე“.

„ვაკო, შენი ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ, გიორგის („ოთარაანთ ქვრივი“) სიტყვები გამახსენდა – „მე ვინ და შენ ვინ?“ მაგრამ მაინც გადავწყვიტე გამოხმაურება. მერე რა, რომ ერთი ჩვეულებრივი, უბრალო გოგო ვარ, ჩემი მიზნებით და შენზე ოცნებით? კარგი ბიჭი ხარ და მინდა, ბედნიერი იყო. თიკო“.

„ვაკო, ძალიან მომწონხარ. შენს თავს არავის დავუთმობდი, პატარა რომ არ ვიყო. არ გეგონო მთლად ბავშვი, 17 წლის ვარ. ბედნიერებას გისურვებ. სალომე“.

„ჰოროსკოპით მეც ტყუპი ვარ და 21 მაისს ვარ დაბადებული. ძალიან მინდა ვაკოს გაცნობა. მხოლოდ მეგობრობაც მეყოფა. ლილუ, ბათუმი“.

„ვაკო, მეც 21 მაისს ვარ დაბადებული და ძალიან გამიხარდა, რომ ჩემნაირი „შერეკილი“ კიდევ არსებობს დედამიწაზე. ისე, სპორტსმენის ცოლობა მთლად იოლი საქმე არ უნდა იყოს. მალე გეპოვოს შენი გულის სწორი. თამუნა“.

„ვაკო, ძალიან მიყვარხარ, რადგან მეც კალათბურთელი ვარ და ჰოროსკოპით – ტყუპი. თუ შეხვედრას მოინდომებ, აუცილებლად ჩამოვალ. მარიშკა ბათუმიდან“.

ახლა კი „მესიჯი“, რომელიც ასევე ბათუმიდან მივიღეთ და ვფიქრობ, მისი ავტორი ხუმრობს:

„მარი, მაგ აყლაყუდა და ჯუჯღუნა ვაკოს გადაეცი, რომ ჩვენი შვილი უკვე ბაგა-ბაღში დადის, ის კი, თურმე საცოლეს ეძებს... მერე მე? ბათუმიდან, ვაკოს პირველი ცოლი“.

სამწუხაროა, რომ ყველა „მესიჯი“ ვერ დავტიეთ ჟურნალის ერთ გვერდზე, მაგრამ პირობას გაძლევთ, ადრესატამდე უკლებლივ ყველა მივა. დანარჩენი კი, ვაკოს მივანდოთ...

■

„ვაილო ჩეე ნინ ფუნჯუკა ფა ილიფუნ ვოკოონ ვაფეოვილეა...“

ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ გასათხოვარი გოგონების უმრავლესობა, თეთრ ცხენზე ამხედრებულ პრინცზე ოცნებობს. ცხენის რა მოგახსენოთ, მაგრამ დღევანდელ „სასიძოდ“, „შავ პრინცს“ გთავაზობთ — იგივე აკაკი ბაბუნაშვილს... ვფიქრობ, მე და აკაკის ძალზე გულახდილი საუბარი გამოგვივიდა და მისი ინტერვიუდან შეიტყობთ, თუ რატომ სჭირდება ულტრათანამედროვე სიმამრი, ეხერხება თუ არა შურისძიება, ვის აგზავნის ხოლმე პაემანზე თავის ნაცვლად და როგორი გოგონა ნახა ეროტიკულ სიზმარში, რომელსაც დღემდე ეძებს... ახლა კი, ჯერ მისი ოჯახის შემადგენლობას გავეცნოთ:

დედა: მაცაცო ბაბუნაშვილი, დიასახლისი.

ძმა: ირაკლი ბაბუნაშვილი, რომელიც თავისი ცხოვრებით ცხოვრობს.

მარი ჯაფარიძე

— აკაკი, ზოდიაქოთი ვინ ხარ?

— თვის მიხედვით — კირჩხიბი, წლის მიხედვით არ ვიცი. ისე, 32 წლის ვარ და ვისაც აინტერესებს, ადვილად გაიგებს. კირჩხიბისთვის დამახასიათებელი თითქმის ყველა თვისება მახასიათებს: მაქვს მოთმინების დიდი უნარი, მიყვარს შრომა და ვერ ვიტან უქმად ყოფნას. კიდევ, ძალიან მიყვარს ჩემი ოჯახი. საერთოდ, ჩემს თავზე საუბარი მიჭირს, თავის ქება არ გამომდის. ვფიქრობ, ჩემში დადებითი და უარყოფითი თვისებები თანაბრადაა თავმოყრილი. გააჩნია, როგორ სიტუაციაში ვარ — თვისებებს სწორედ სიტუაციის მიხედვით ვავლენ. ამიტომ შესაძლოა, ჩემზე ზოგმა ძალზე კარგი თქვას, ზოგმა — პირიქით. ერთ თვისებას აღვნიშნავდი — არა ვარ კონფლიქტური ადამიანი. მიყვარს, როდესაც ადამიანები თვალებით უგებენ ერთმანეთს და სიტყვები არ სჭირდებათ...

— რამ შეიძლება გაგაბრაზოს?

— როცა არ დამიფასდება შრომა და როცა ადამიანისგან მივიღებ იმას, რაც არ დამიმსახურებია.

— როგორ გამოხატავ სიბრაზეს? იგინები და ბილწსიტყვაობ?

— კი, გინება ნამდვილად მჩვევია. საერთოდ, როდესაც მაბრაზებენ, აგრესიული ვხდები ხოლმე. შევაგინებ კიდეც კაცს, მაგრამ ამით არ ვმშვიდდები. შესაძლოა, წლები გავიდეს და მოყენებული წყენის სამაგიერო შემდეგ გადავუხადო...

— ეი. ბოლმიანი ყოფილხარ... ბოდიში რომ მოგიხადონ, მაინც არ დამშვიდდები?

— იცით, როდის გამივლის წყენა? თუ მასაც ისევე ეტკინება, როგორც მე. მაგალითად, შესაძლოა, სულ სხვამ, შემთხვევით გადაუხადოს სამაგიერო, მე ამის შესახებ შევიტყო და დავმშვიდდე...

— შენ თუ შეგიძლია ბოდიშის მოხდა?

— კი. როდესაც კონფლიქტი ამოიწურება, ბოდიშს მოვიხდი იმ შემთხვევაშიც კი, თუ მეცოდინება, რომ მართალი ვიყავი.

— ჯიუტი ხარ?

— არა. არა მგონია, ჯიუტი ვიყო.

— ბუზღუნი თუ გჩვევია?

— უკმაყოფილებას ყოველთვის გულში ვიკლავ და სხვების გასაგონად არასოდეს ვბუზღუნებ.

— საერთოდ, მოწესრიგებული ადამიანი ხარ?

— მე ქუთაისელი გახლავართ. ჩემი ოჯახი დღესაც იქ ცხოვრობს. თბილისში მარტო ვარ, ამიტომ, მინდა თუ არა, ჩემს თავს მე თვითონ უნდა მივხედო. ყოველთვის წესრიგში მაქვს ჩემი ტანისამოსი და საცხოვრებელი ადგილიც, რომელსაც ხშირად ვიცვლი.

— ახლა ის გვითხარი, როგორი ქალები მოგწონს...

— ერთხელ ბიძაჩემს ვუთხარი — ერთი გოგო მომეწონა, გარეგნულად დიდი არაფერია, მაგრამ ძალზე კარგი ბუნება აქვს-მეთქი... იცი, რა მითხრა? — კარგი ბუნება ბორჯომშია, ქალი კი, პირველ რიგში, გარეგნობით უნდა შეაფასოო... ვფიქრობ, აბსოლუტურად სწორი მიდგომაა. მომწონს დახვეწილი გოგონები. და აუცილებლად უნდა უყვარდეს ის საქმე, რასაც მე ვემსახურები...

— როგორი სიმთვრალე გაქვს?

— საერთოდ, ხშირად არ ვსვამ, განსაკუთრებით მაშინ, როცა უცნობი ადამიანების საზოგადოებაში ვიმყოფები. თუ მეგობრებთან ერთად ვარ, მაშინ ვსვამ იმდენს, რამდენიც შემიძლია და რამდენის საშუალებაც არის. შემდეგ ვილხენ — ვმღერი და ვცეკვავ...

— ახლა ის მითხარი, დღემდე რატომ დარჩი უცოლოდ?

— სიმართლე რომ გითხრა, დაოჯახების მცდელობა რამდენჯერმე მქონდა, მაგრამ არ გამიმართლა. ისე, არ მეგულება არც ერთი ქართველი გოგონა, რომელიც ჩემნაირ ქმარს იგუებს: წარმოიდგინეთ, სასიმამრო რომ გამჩითავს, თავზე ბენდენით და ბლანჟეთი, რას იტყვის? გოგოს გამომატანს? ისიც ჩემნაირი უნდა იყოს — ბენდენიანი და სუპერთანამედროვე მუსიკას უნდა უსმენდეს. სამწუხაროდ, საქართველოში ასეთი სიდედრ-სიმამრები არ არსებობენ...

— ვფიქრობ, მთავარი, სიდედრ-სიმამრის კი არა — გოგონას დათანხმებაა...

— იცი, რა ხდება? გოგონები, სანამ გამიცნობენ, ზღაპრულ პრინცად აღმიქვამენ და ჩემთან ნაცნობობაზე ოცნებობენ. შემდეგ, გავა დრო და უკვე იწყებენ ნაკლის ძებნას. ეს — გაშინაურების შემდეგ, თავიდან კი, ყველა ყველაფერზე თანახმაა და ჩემთან თავს კარგად გრძნობს...

— შენი გარეგნობა შენს იმიჯს სჭირდება თუ უბრალოდ, მოგწონს ეს ატრიბუტები?

— ეს ჩემი იმიჯიც არის, ჩემი პროფესიაც და ჩემი ცხოვრებაც. ჩემი ხელოვნება ვერ წარმომიდგენია ასეთი

იმიჯის გარეშე. ბავშვობიდან ამ საქმეს მივდევ და ახლა ხომ ვერ შევიცვლები?!

— გვითხარი, როგორია შეყვარებული „შავი პრინცი“?

— როცა შეყვარებული ვარ, სწორედ მაშინ იქმნება ჰიტები... არ მეგულება ხელოვანი, რომელიც მხოლოდ საკუთარი თავისთვის ქმნის. უნდა არსებობდეს ვიღაც, ვისთვისაც დახატავ, მუსიკას დაწერ ან იმღერებ...

— გაიხსენე ყველაზე საინტერესო სასიყვარულო ამბავი, რომელიც გადაგხდენია...

— მე გამუდმებით მარტო ვარ და ამ დროს, ყოველთვის რაღაცის მოლოდინში ვიმყოფები. როცა ვგრძნობ, რომ მარტო არ ვიქნები, ვიღაც შემეხმიანება, ამაზე ვფიქრობ... ერთხელ ისე მოხდა, რომ მჭირდებოდა სულიერი სიცარიელის შევსება, იგივე მუზა... ამ დროს, ქუჩაში გოგონამ გაიარა. ჩემს მეგობარს, „ჯოკერს“ ვუთხარი: თუ შეგიძლია, ის გოგო გააჩერე და ჩვენთან მოიყვანე-მეთქი. მოხდა ისე, რომ ათ წუთში ჩვენთან აღმოჩნდა. მისი მოსვლით შეივსო არსებული სიცარიელე, ის, რაც მაკლდა. შემდეგ ის თავისი გზით წავიდა...

— ხშირად გეუბნებიან, რომ უცნაური ადამიანი ხარ?

— ხშირად არა, მაგრამ ვატყობ, რომ ჩემი ნაცნობების უმეტესობა ასე ფიქრობს, მაგრამ ვერ მეუბნება...

— თაყვანისმცემლები გაწუხებენ ხოლმე?

— არც ისე ხშირად... ძირითადად, ტინეიჯერები მირეკავენ. ეს ის კატეგორიაა, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკშია... ვცდილობ, ისინი თავიდან მოვიშორო ხოლმე. მაგრამ ისეც ხდება, რომ საკმაოდ დახვეწილი, ჩამოყალიბებული გოგონები მეკონტაქტებიან და იმდენად საინტერესოა მათთან საუბარი, რომ მათი თავიდან მოშორების სურვილი არ მიჩნდება... ერთი გოგონა შინ მირეკავდა ხოლმე და შეხვედრას მთხოვდა. მასთან პაემანზე ჩამი ბიძაშვილი გავუშვი. ის ჩემზე გაცილებით უფროსია და გარეგნულადაც არ მგავს. გოგონას უკითხავს — ბენდენით და ბლანჟეთი რატომ არ ხარო? — მე ყოველთვის ასე კი არ დავდივარო, — უპასუხია ჩემს ბიძაშვილს და დაურწმუნებია, რომ ნამდვილად მე ვიყავი. მათ შორის ძალზე კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. გოგონას ეგონა, ჩემთან შესახვედრად დადიოდა... ბოლოს, ერთ-ერთ პაემანზე, ბიძაშვილთან ერთად მეც მივედი და მაშინ აეხადა ფარდა საიდუმლოს. თუმცა, არ შემინიშნავს, რომ გოგონა უკმაყოფილო დარჩა...

— ბავშვობაში მეტსახელად რას გეძახდნენ?

— პატარა რომ ვიყავი, ნომრიან, მრგვალ სათვალეს ვხმარობდი და ამის გამო, შურიკა შემარქვეს. ეს სახელი დღემდე შემომრჩა...

— აზიატი ხარ?

— კი. ვაღიარებ, რომ ვარ, რადგან ქართველი ვარ... ვცდილობ, ჩემი აზიატობა მხოლოდ შესაფერის სიტუაციაში გამოვამჟღავნო ხოლმე... თუ ჩემს კლიპებში შორტიანი და „კუპალნიკიანი“ ქალები იჩითებიან, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რეალურ ცხოვრებაში ეს მომწონს. კაბის სიგრძით არასოდეს განვსაზღვრავ ქალის ღირსებას, რადგან მინახავს გოგონები, რომლებსაც გრძელი ქვედაბოლო ეცვათ და ისე იგინებოდნენ, კაცსაც შერცხვებოდა... ქალს კდემამოსილება და მოკრძალებული ქცევა ამშვენებს...

— განათხოვარ ქალზე თუ იქორწინებ?

— თუ შევიყვარებ, ვფიქრობ, მოვიყვან, მაგრამ...

— ეს „მაგრამ“ იმას ნიშნავს, რომ სასურველია, გაუთხოვარ გოგონაზე დაქორწინდე, არა?

— დიახ, ასეა. სასურველია, მისთვის პირველი მამაკაცი მე ვიყო... საერთოდ, არ მომწონს ცოლქმრული ურთიერთობა: ვფიქრობ, დროთა განმავლობაში მეუღლეებს ერთმანეთი ჰბეზრდებათ. მირჩევნია, საყვარელი ადამიანი მუდმივად მენატრებოდეს...

— ვფიქრობ, ოჯახის შექმნას იმიტომ გაურბიხარ, რომ თავისუფლების დაკარგვის გეშინია...

— მე ისეთი პროფესია მაქვს, ცოლი სულ ეჭვებში უნდა იყოს. აბა, რომელ ქალს მოეწონება, მისი ქმარი ამდენ შიშველ ლამაზმანთან ერთად „ბასეინზე“ რომ გაიჩითება?!

— ეროტიკულ სიზმრებს თუ ნახულობ?

— კი. ერთი განსაკუთრებით დამამახსოვრდა: ერთ საღამოს, ვერაფრის დიდებით ვერ დავიძინე. ძილ-ბურანში მყოფმა დავინახე, როგორ გაიღო ჩემ წინ ფანჯარა და იქიდან გოგონა გადმოვიდა. მისი ტანი გამჭვირვალე, ლანდივით იყო. სახე ახლაც კარგად მახსოვს — ძალზე თეთრი, თითქოს გაფითრებული სახე ჰქონდა, შავი, დიდრონი თვალები, გრძელი, შავი თმა და კონტურით მოხაზული დიდი ტუჩები... გოგონა შიშველი იყო და თითქოს მანტია ჰქონდა მოსხმული. ჩემს საწოლს მოუახლოვდა, მუხლი ჩამოდო და დაწოლას აპირებდა. ფეხის სიმძიმემ ლოგინი ჩაზნიქა და ამ დროს, საწოლი გაინძრა. მეც გამოვერკვიე ბურანიდან და გოგონა გაქრა... დღემდე ვეძებ ამ გოგონას, მაგრამ ვერსად შევხვდი. რომ ვნახო, აუცილებლად ვიცნობ...

თუ აკაკი მოგეწონათ და მასთან დაკავშირება გინდათ, „დამიმესიჯეთ“ ან დამირეკეთ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. იქნებ, თქვენი ოცნების პრინცი სწორედ ის გახლავთ? ■

როცა მეგობრები მტრები ხდებიან

ლელა ჭანკოტაძე

რას შეუძლია, საუკეთესო მეგობრებს შორის შუღლი და მტრობა ჩამოაგდოს? როდის იქცევიან მეგობრები მტრებად? სამწუხაროდ, მიზეზი მრავალგვარი შეიძლება იყოს: ერთი და იმავე ადამიანისადმი სიყვარული და ამის გამო წარმოქმნილი მეტოქეობა, პოლიტიკურ შეხედულებათა და სიმპათიათა სხვადასხვაობა, ფული და — რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს — დასა და მეგობარს შორის გაჩენილი სიყვარულიც კი!..

ნატო, 30 წლის:

— მე ის მიყვარდა. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე გამოჩნდებოდა ვინმე, ვინც ჩემსა და ლექსოს შორის ჩადგებოდა. ლექსოს მეგობრები გვეუბნებოდნენ: არაჩვეულებრივი წყვილი ხართ, თითქოს ერთმანეთისთვის შეგქმნათ განგებამ, მალე დაქორწინდით, რაღას ელოდებითო?.. ჩვენ კი არ ვჩქარობდით. ლექსოს უნდოდა, უნივერსიტეტი დაგვემთავრებინა, მუშაობა დაგვიწყო და ოჯახი მერე შეგვექმნა. ჩვენს ბედნიერებას საფრთხე მაშინ დაემუქრა, როცა საცხოვრებლად ლექსოს უბანში გადავედი. მან მთხოვა: ბინა ჩემს სახლთან ახლოს იქირავე, უფრო მშვიდად ვიქნებიო. თხოვნა შეკუსრულე. თავისი მეზობლები გამაცნო. განსაკუთრებული სითბოთი კი, კოკას შესახებ მესაუბრებოდა: ბავშვობის მეგობრები ვართ და შეგიძლია, ბრმად ენდოო. კოკა კეთილშობილი, ყურადღებიანი და მზრუნველი ბიჭი აღმოჩნდა. დღე არ გავიდოდა, რომ არ მოსულიყო და არ ეკითხა: რამე ხომ არ გჭირდებაო? მაშინ, ელექტროენერგიის ისეთი დეფიციტი იყო, რომ სინათლე იშვიათად გვქონდა. კოკას არ ავიწყდებოდა ჩემთვის ნავთის მოტანა, შუშის მომარაგება. მისი მზრუნველობა მაოცებდა. ვფიქრობდი — ბედნიერი იქნებოდა ის ქალი, რომელიც მისი ცოლი გახდებოდა. ლექსოზე იმავეს ვერ ვიტყოდი: მას შეეძლო, გულგრილად ეყურებინა, როგორ ვიდექი საათობით პურის რიგში ან გაჭირვებით მოვათრევდი ნავთის ბიდონს... რაც დრო გადიოდა, კოკას სულ უფრო და უფრო მეტად ვუახლოვდებოდი. ბაზარშიც ჩემ მაგივრად დადიოდა და პრობლემებსაც უსიტყვოდ მიგვარებდა. შაბათ-კვირას, ზესტაფონში მივდიოდი ხოლმე. ყოველთვის მაცილებდა. ორშაბათ დილით კი, მატარებლის ბაქანთან მელოდა. ჩემს ცხოვრებაში ნაბიჯ-ნაბიჯ და შეუმჩნეუვლად დაიკავა მნიშვნელოვანი ადგილი. უნებლიეთ მასა და ლექსოს შორის პარალელის გავლება დავიწყე...

— **ლექსომ ვერ შენიშნა შენდამი კოკას გადაჭარბებული ყურადღება?**

— მითხრა: ეგეთი ტიპია — ყველას ასეთნაირად ეფერება და ეხმარება, არ იფიქრო, გამონაკლისი იყოო, — ერთი სიტყვით, ყურადღებაც არ მიაქცია ამ ამბავს. ალბათ, ვერც წარმოიდგენდა, რომ სულ მალე, ცოლად მას კი არა, მის საუკეთესო მეგობარს გავყვებოდი... მაისის ბოლოს დავქორწინდებითო, — მითხრა ერთხელ. მეც დავთანხმდი, საწინააღმდეგო რა უნდა მქონოდა? — მიყვარდა. ჩემი გრძნობების შესახებ კოკასაც ხშირად ვესაუბრებოდი ხოლმე. ის კი ღიმილით მეუბნებოდა: ლექსოს არ უყვარხარ, რომ უყვარდე, შენზე აქამდე დაქორწინდებოდაო... ეს ერთადერთი საკამათო საკითხი იყო ჩემსა და კოკას შორის. ცხადია, ვუთხარი — პირველ ივნისს მისი ცოლი გავხდები და მაშინ ხომ შეიცვლი აზრს-მეთქი?!. კოკა გააქტიურდა. დათქმულ დღემდე, ორი თვე იყო დარჩენილი, ამ ორი თვის მანძილზე ყოველი დღე ჩემთვის დაუვიწყარი გახადა. მისით ისე მოვიხიბლე, რომ სულ კოკაზე მინდოდა მესაუბრა. ლექსომ ეჭვიანობა დაიწყო. პირველ ივნისს, დილით ადრე დამირეკა და მითხრა: დღეს ჩემი ცოლი გახდები, გადაწყვეტილი მაქვს, ბათუმში წაგიყვანო, მოემზადე, უნივერსიტეტში მოგაკითხავო, — მაგრამ არ მოვიდა. დღემდე არ ვიცი, რატომ. შინ საშინლად განერვიულებული დავბრუნდი. კოკაც ფეხდაფეხ მომყვა. ვიტირე. ვერ გამიგია, რატომ მომატყუა-მეთქი? — ვეკითხებოდი. ის კი მპასუხობდა: იმიტომ, რომ არ უყვარხარო... მერე დიდხანს ვისაუბრეთ. რამდენიმე ჭიქაც დავლიეთ და ვნებაც მოგვეძალა. კოკამ მოფერება რომ დამიწყო, წინააღმდეგობა არ გავუწიე და დავნებდი. ამით თითქოს, ლექსოზე შურისძიება მინდოდა... მერე, ორი კვირის მანძილზე ვხვდებოდი კოკას. ღამეებს ერთმანეთის ალერსში ვატარებდით. ლექსო არა და არ მოდიოდა.

— **რატომ?**

— არ ვიცი. ვერ ვხვდები, ასე რატომ მომექცა. ალბათ, რაღაცამ შეუშალა ხელი. მერე კი, ჩემი და კოკას ამბავი გაიგო... ერთ დღეს, მე და კოკა თბილისის ზღვაზე წავედით. ერთმანეთს ვეალერსებოდით, როცა მოულოდნელად, ლექსო წამოგვადგა თავზე. ლექსოსა და კოკას საერთო მეგობრების სახეებს რომ შევხედე, მივხვდი, სიმართლე იცოდნენ. ლექსოს თვალებიდან ნაპერწკლები სცვიოდა. გამარტყა, ისე, რომ არაფერი უკითხავს და უშვერი სიტყვებით გამლანძღა. კოკასკენ არც გაუხედავს. სამაგიეროდ, კოკამ არ დაუთმო. ლექსოზე გაიწია და მათ შორის მუშტი-კრივი გაიმართა. მოვკლავ მაგ ბოზსო! — ყვიროდა ლექსო და ცდილობდა, ჩემთვის ისევ დაერტყა, მაგრამ კოკა გადამეფარა... საშინელი სანახავი იყო ორ მეგობარს შორის გამართული მუშტი-კრივი. რომ არა სხვა ბიჭები, რომლებმაც მათი გაშველება შეძლეს, ალბათ, ერთმანეთს დახოცავდნენ.

— **მერე რა მოხდა?**

— კოკამ თავის სახლში წამიყვანა. არც მიფიქრია, ცოლად გავყოლოდი — მე ხომ ყოველთვის ლექსოს ცოლობაზე ვოცნებობდი, — მაგრამ სიტყვის თქმის საშუალებაც არ მომცა... მეორე დღეს, მთელმა უბანმა გაიგო, ლექსოს რომ ვუღალატე და კოკას გავყევი ცოლად. არც ერთი მეგობარი არ მოსულა მოსალოცად. წლების მანძილზე, კოკა ამაოდ ცდილობდა ძველი მეგობრების შემორიგებას. ლექსო ყველგან გზას უღობავდა, პრობლემებს გვიქმნიდა. დათვრებოდა თუ არა, სახლში გვივარდებოდა. მე და კოკა იძულებულები გავხდით, სამუშაოდ უცხოეთში წავსულიყავით, რათა ეს ამბავი ყველას დავიწყებოდა. ოთხი წელი ავსტრიაში ვიცხოვრეთ. ფულიც დავაგროვეთ და ახლა, თბილისის პრესტიჟულ უბანში ვცხოვრობთ. ძალიან ბედნიერები ვართ. უკვე ვეღარ წარმომიდგენია, როგორ შეიძლებოდა, მეცხოვრა კოკას გარეშე. ვიცი, ლექსომ წყენა გულში ჩაიდო

და ოდესმე, სამგიეროს გადაგვიხდის. ჯერ-ჯერობით ცხოვრებით ვტკბებით და წარსულს არ ვიხსენებთ...

ზურა, 40 წლის:

— ჩემი ამბავი იმდენად დაუჯერებელია, რომ ზოგჯერ, თავადაც საეჭვოდ მეჩვენება... მე და ანზორი მეზობლებიც ვიყავით და მეგობრებიც, ერთმანეთს ჭირშიც გვერდში ვედექით და ლხინშიც. ვერავინ წარმოიდგენდა იმ საშინელებას, რაც ჩვენ შეგვემთხვა. მოგეხსენებათ, თუ წლების მანძილზე, როგორი პოლიტიზებული იყო ჩვენში ხალხი. ზვიად გამსახურდიას მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად დაიყო ჩვენი უბანიც. ერთ ავბედით დღეს, მეზობელმა ღორი დაკლა და მეც დამიძახა. სასმელი რომ მოგვეკიდა, ვიღაცამ პოლიტიკაზე ჩამოაგდო სიტყვა. ჩვენც ავყევით. ანზორიც აქტიურად ჩაება საუბარში და საკუთარი აზრი გამოთქვა. ერთი შეხედვით უწყინარი საუბარი ცხარე კამათში გადაიზარდა, კამათი კი — ხელჩართულ ჩხუბში. ყველაზე დაუჯერებელი ამ ამბავში ის იყო, რომ მე და ანზორმა ერთმანეთს ხელი გავარტყით. შინ დაბრუნებული, როცა დავმშვიდდი, ვთქვი: დროა, მეგობარს ბოდიში მოვუხადო, ისიც მომიბოდიშებს და შევრიგდებით-მეთქი. თურმე ანზორსაც იგივე უთქვამს. შევრიგდით, მაგრამ სამი დღის შემდეგ, როცა სახლის წინ ნარდს ვთამაშობდით, ისევ პოლიტიკაზე შევკამათდით. ძლივს გაგვაშველეს. მე და ანზორმა ერთმანეთს ცოლ-შვილი ვუგინეთ. განერვიულებული შინ რომ მივედი, ცოლს ვუთხარი: ჩემი ხელით მოკვდება, თუ მუხლებში არ ჩამივარდება და პატიებას არ მთხოვს-მეთქი. ცოლი შემეკამათა. ავყვირდი. სწორედ ამ დროს, ჩემთან ანზორის ბიძაშვილი მოვიდა. არ ვიცი, რა უნდოდა, ერთი კია, — შემოსვლისას გაიგონა, ანზორს როგორ ვაგინებდი და მოკვლით ვემუქრებოდი... შენ კიდევ არ ცხრებიო?! — დაიღრიალა და ჩემკენ გამოქანდა. მეც პურის საჭრელ დანას ვტაცე ხელი და ოთახში შემოვარდნილი ოცდახუთი წლის ბიჭი დანაზე წამოეგო... როგორც შემდეგ გავიგე, ადგილზევე გარდაცვლილა... როგორც კი გავაცნობიერე, თუ რა მოხდა, ცოლს ვუთხარი: სასწრაფოდ ბავშვებს ხელი ჩაჰკიდე და გაიქეცით, თორემ, შურს იძიებენ — შვილებს დაგვიხოცავენ-მეთქი.

მანანა, ზურას მეუღლე:

— საშინაო ხალათი მეცვა. პალტო მოვიცვი, შვილებს ხელი ვტაცე და ავტოსადგურისკენ გავიქეცით. გავრბოდით და არ ვიცოდით, რა გველოდა, სად წავსულიყავით. მთელი ნათესაობა იმ ქალაქში გვყავდა, სადაც ახლა, ჩვენს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა... პირველსავე ავტობუსში ჩავსხედით. თბილისში ჩამოვედით. როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, აქ ნაცნობიც კი არ გვყავდა. ორი ბავშვით ქუჩა-ქუჩა დავდიოდი და ვკითხულობდი: ბინას არავინ აქირავებს-მეთქი? ბოლოს, ერთმა კაცმა სახლის კარი გაგვიღო. პატარა ოთახი გვიჩვენა და გვითხრა: ვეძებ მდგმურებს, რომლებიც სახლ-კარსაც უდარაჯებენ და ჩემს მოხუც დედასაც მიხედავენო. მეგონა, გაგვიმართლა, მაგრამ პირიქით მოხდა. ბინის ქირას იმ პირობით არ გვახდევინებდა, რომ მოხუცი გამოგვეკვება. ჩვენ რომ რამე გვეჭამა, იმის ფულიც არ გვქონდა, ამიტომ ორი დღის შემდეგ იმ კაცმა სახლიდან გამოგვყარა. ღია ცის ქვეშ სამი ღამე გავათენეთ.

ზურა:

— მე მაშინვე პოლიციაში მივედი და განვაცხადე — კაცი შემომაკვდა-მეთქი. ჩემს გაქცევას აზრი არ ჰქონდა: მკვლელი ვიყავი, სად უნდა დავმალვოდი კანონს?.. ორი დღის შემდეგ კი, გამომძიებელმა მითხრა: შენმა მეგობარმა ანზორმა სახლ-კარი გადაგიწვა, შენი სახლის ადგილას ახლა ნაცრისა და ნანგრევების გროვაღაააო...

მანანა:

— მე ეს ამბავი უფრო გვიან გავიგე. ბაზარში მეზობელი ვნახე. ჩემს დანახვაზე ატირდა. იმან მითხრა: სახლ-კარი გადაგიბუგეს, ანზორი ხელმძღვანელობდა ამ საშინელებას, ასეთი განაჩენი სწორედ მან გამოგიტანათო, — თან გამაფრთხილა: არ ჩამოხვიდეთ, თორემ, ბავშვებს დაგიხოცავენ, ანზორი იფიცება: ლია უნდა გავაუბედურო, მხოლოდ მაშინ დავმშვიდდებიო. ლია ჩემს უფროს ქალიშვილს ჰქვია, მაშინ ცამეტი წლის იყო... მერე ისიც გავიგე, რომ ზურას ათი წელი მიუსაჯეს. ამის გაგებით კიდევ უფრო გავუბედურდით მე და ჩემი შვილები.

ზურა:

— ოჯახი გავამწარე, მხოლოდ იმის გამო, რომ პოლიტიკური მოსაზრებებით აღტყინებულმა, წონასწორობა დავკარგე. ციხეში, ვინ მოთვლის, რამდენი ღამე გავათენე იმაზე ფიქრით, თუ სად იყვნენ, რას ჭამდნენ, ვის სახლში იძინებდნენ ჩემი ცოლი და შვილები... მეც ბევრი სიმწარე გადავიტანე, მაგრამ ჩემი გაჭირვება რა მოსატანია იმასთან, რაც მათ გადაიტანეს?!.

საღი გონებით რომ მემოქმედა, მისი ბიძაშვილისთვის სიცოცხლესაც კი გავწირავდი, მაგრამ იმწუთას ალბათ, ეშმაკმა დამბინდა გონება.

მანანა:

— აი, ასე გავუბედურდით. ჩემს სახლ-კარს ახლა მხოლოდ სიზმარში თუ ვნახულობ ხოლმე. ის ხალათი, რომელიც იმ ავბედით დღეს მეცვა, სათუთად მაქვს შენახული. იმ ჭრელი ხალათით მინდა დავიმარხო — მეტი რაღა დამრჩენია?!. თუმცა, მშვიდად მაინც არ მძინავს. ღმერთს სულ იმას ვევედრები, ანზორი და ზურა ერთმანეთს არასდროს შეახვედროს... ჩემი ქალიშვილი გათხოვდა, ბიჭიც დავაქორწინეთ. ზურამ სასჯელი მოიხადა. ყველანი თბილისში, ჩემი სიძის ბინაში ვცხოვრობთ. ღმერთმა ის მშველელად გამოგვიგზავნა. ღამღამობით სულ ანზორი მესიზმრება. თითქოს სახლთან ჩასაფრებულია და გველოდება, რომ დაგვხოცოს. ნეტავ, ალარასდროს გადაიკვეთოს ჩვენი გზები. ყოფილი მეგობრები ახლა ხომ მოსისხლე მტრები არიან.

გელა, 36 წლის:

— ნიკა ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო. ძმებივით ვიყავით, ჭირშიც და ლხინშიც ერთმანეთს მხარში ვედექით. მისგან დამალული არაფერი მქონდა, გარდა იმისა, რომ მე და მის დას, ნინოს ერთმანეთი მოგვწონდა. რაც დრო გადიოდა ბავშვური გატაცება სიყვარულში გადადიოდა და ბოლოს აღმოვაჩინეთ, რომ ერთმანეთისთვის ვიყავით გაჩენილები. გელა სულ მეკითხებოდა: ცოლი რატომ არ მოგყავს? არ გინდა, მამა გახდეო? მისთვის სიმართლის თქმა მიჭირდა, ვიცოდი — ფეთქებადი ხასიათი ჰქონდა და შეიძლებოდა, ამ მოულოდნელ საიდუმლოზე უარყოფითი რეაქცია ჰქონოდა. არადა, ნინოც მაძალებდა — სიმართლე უთხარიო. ერთ დღეს დავთვერი და ნიკას სახლში მივადექი. ვფიქრობდი, მისთვის სიმართლის თქმას შევძლებდი. მაგრამ ბუნებით გაუბედავი ვარ და არაფერი გამომივიდა... მეორე დღეს ნინოს ვუთხარი: მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობს — ჩუმად დავქორწინდეთ და შენი ძმა ფაქტის წინაშე დავაყენოთ-მეთქი. დარწმუნებული ვიყავით, რომ გაგვიგებდა. ნინოს და ნიკას მამა არ ჰყავდათ, ამიტომ ოჯახის უფროსად ნიკა ითვლებოდა და მის სიტყვას ყველა ანგარიშს უწევდა.

— ნინოს დედამაც არ იცოდა სიმართლე?

— ცხადია, დედის თვალს ასეთი რამ არ გამოეპარებოდა, მაგრამ არ იმჩნევდა, თითქოს ვერაფერს ხვდებოდა... მე და ნინო ყველასგან ფარულად ბაკურიანში წავედით. იქ დაუვიწყარი სამი დღე გავატარეთ. მერე, ნინომ შინ დარეკა და დედამისს გააგებინა, რომ გათხოვდა და ბედნიერი იყო. იმავე საღამოს, ნიკა და ჩვენი რამდენიმე საერთო მეგობარი ჩამოვიდნენ. ჩვენ უკვე გვეძინა. ნიკამ თითქმის შიშვლები ჩაგვყარა მანქანაში. გააფთრებული იყო. როგორც კი ბაკურიანს გამოვცდით, მანქანა გააჩერა. ნამდვილი ომი გაგვიჩაღა. პირველად რომ გამარტყა, ხმა არ ამოვიღე, ვიფიქრე — ამით დაკმაყოფილდება და დამშვიდდება-მეთქი, — მაგრამ მერე ისე უმოწყალოდ მირტყამდა, რომ ვიფიქრე — მომკლავს-მეთქი. ის ძალიან ღონიერი იყო, მასთან ჩხუბში უმწეო ვიყავი. ჩვენი მეგობრები მანქანიდან არც გადმოსულან. ნი-

ნოს კივილი კი მთებს აზანზარებდა. ნაცემი და დასისხლიანებული, ბედის ანაბარა დამაგდო. თვითონ საჭეს მიუჯდა და თბილისში დაბრუნდა... მას შემდეგ, ათი წელი გავიდა. ნინო აღარასდროს მინახავს...

— არ გიცდია, მისულიყავი და ნიკასთვის ბოდიში მოგეხადა?

— რამდენჯერმე ვცადე მასთან დაკავშირება. ერთხელ, სამსახურში მიმავალს, გზაც გადავუღობე, მაგრამ ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, რომ ვეღარ დაველაპარაკე — მივხვდი, აზრი არ ჰქონდა იმის მტკიცებას, თუ როგორ მიყვარდა მისი და... სამწუხაროდ, ნინო ახლა ცოცხალი აღარ არის. სამი წლის წინ ტრაგიკულად დაიღუპა. მაშინ კი გავრისკე და სამძიმრის სათქმელად მივედი. ნიკამ დამინახა თუ არა, მითხრა: წადი, თორემ, მიცვალებულს ზედ დაგაკლავო. ჩვენს მეგობრობას საბოლოოდ დაესვა ამ სიტყვებით წერტილი...

მპპპ, 43 წლის:

— ყოველთვის, როცა ნატოზე ვიწყებ ლაპარაკს, ყელში ბურთი მეჩხირება და ცრემლის შეკავება მიჭირს. ჩვენ ერთმანეთი მაშინ გავიცანით, როცა მშობლებმა პირველი კლასის კარი გაიხურეს და სრულიად უცხო ქალთან — პირველ მასწავლებელთან — მარტონი დავტოვეს. მაშინ ნატომ ხელი ხელზე მომიჭირა და მითხრა: მე და შენ მეგობრები ვართო... მერე მასწავლებელი ყველა მერხთან შეჩერდა და ყველას სათითაოდ გვითხრა: თქვენ გვერდით მჯდომს ხელი ჩამოართვით, თქვენ ხომ უკვე მეგობრები ხართო. ბავშვური გულუბრყვილობით ვიფიქრე, რომ მხოლოდ ნატოსთან შემეძლო მეგობრობა, ამიტომ სამი თვის შემდეგ, როცა მასწავლებელმა სხვა ბავშვთან ერთად დამსვა, გულამოსკვნილი ავტირდი... წლები გავიდა, სკოლა დავამთავრეთ და გადავწყვიტეთ, სწავლა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე გაგვეგრძელებინა. ნატო მოეწყო, მე კი ქულა დამაკლდა. ამას ჩვენი მეგობრობისთვის ხელი არ შეუშლია, პირიქით — ნატო უფრო მეტ ყურადღებას იჩენდა ჩემ მიმართ, უფრო ხშირად მნახულობდა. თავისი ჯგუფელებიც გამაცნო. არც ის დაუმალავს, მესამეკურსელი ლაშა რომ მოსწონდა... მერე უსიამოვნება მოხდა: ლაშამ სიყვარული ნატოს კი არა, მე ამიხსნა. ცუდი სიტუაცია შეიქმნა, თუმცა, ჩვენს მეგობრობას ბზარი ამანაც ვერ გაუჩინა. იმის მიზეზი, რომელმაც განუყრელი მეგობრები მტრებად გვაქცია, ფული აღმოჩნდა — სულ რაღაც სამასი დოლარი. ნატომ ფულის გამო ჩვენი მეგობრობა ქარს გაატანა.

— რატომ? რა მოხდა?

— წლები გადიოდა. ვერც მე და ვერც ნატო პირადი ცხოვრების მოწესრიგებას ვერ ვახერხებდით. ამასობაში ოცდაცამეტი წლისები გავხდით. ერთ დღეს, ნატომ მითხრა: გამოჩნდა ოცნების რაინდი, მაგრამ ბინა არა აქვსო. შევწუხდი. იქნებ, საერთო თანხით ერთი ოთახის ფული შევაგროვოთ-მეთქი, — ვუთხარი. დანაზოგი მაქვს, მაგრამ უმნიშვნელოო, — აწუწუნდა ნატო. მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ, მისი მანქანა ხელუხლებლად იდგა ჩვენს გარაჟში. დედას კინაღამ მუხლებში ჩავუვარდი, ვემუდარებოდი — გავყიდოთ და ნატოს დავეხმაროთ-მეთქი. ძლივს დავიყოლიე. მართალია, ბინის საყიდელი ფული ვერ მოვაგროვეთ, მაგრამ იმდენი შევაკოწიწეთ, რომ ნატოს გარეუბანში სახლის დაგირავება შეეძლო... მერე გათხოვდა და დღემდე ბედნიერია. მისი მეუღლე არაჩვეულებრივი მამაკაცი აღმოჩნდა, ისეთი, როგორზეც ქალები ოცნებობთ... ნატომ ორი წლის შემდეგ ფული უკან დამიბრუნა, რადგან მისმა ქმარმა ბიზნესი წამოიწყო და გაუმართლა: რამდენიმე წელში, ბინაც იყიდეს და უცხოური ავტომანქანაც. ისღა დამრჩენოდა, მათი სიხარული გამეზიარებინა და მენატრა, ოდესმე მეც მღირსებოდა მსგავსი ბედი... ნატოს ყოველთვის ვეხმარებოდი, ხელს ვუწყობდი და პრობლემებს, როცა შემეძლო, უსიტყვოდ ვუგვარებდი. მან კი...

— მაშ, რამ წარმოქმნა კონფლიქტი?

— ჩემმა მეზობელმა შემომთავაზა — თურქეთში წავიდეთ, ტანსაცმელი ჩამოვიტანოთ, აქ გავყიდოთ და ასე, წვრილი ბიზნესი წამოვიწყოთო. ფულიც მასესხა და სტამბოლში წავედით. პირველი გზა იღბლიანი აღმოჩნდა, მეორეც, მაგრამ მესამედ ხიფათს ვერ ავცდით: უკვე თბილისს ვუახლოვდებოდით, როცა ჩვენი ავტობუსი დააყაჩაღეს. ისე გაგვძარცვეს, ლარიც არ დამიტოვეს, სახლამდე რომ მივსულიყავი. ცხადია, უზარმაზარი ზარალი ვნახე. ნატომ ეს ამბავი რომ გაიგო შეშფოთდა: მე ფული არ მაქვს, მაგრამ ვეცდები, გასესხებინო, — მითხრა და თავისი მეზობლისგან გამორთმეული სამასი დოლარი მასესხა. ეს თანხა რას მიშველიდა?! ამიტომ იძულებული გავხდი, პროცენტიანი ვალიც ამეღო. ათასი დოლარი თითქმის უცნობი ადამიანებისგან ვისესხე, სამაგიეროდ, 15% უნდა გადამეხადა. ორი თვის მანძილზე, პროცენტს ვიხდიდი, მაგრამ მერე გამიჭირდა. მევალემ არ დამინდო: თუ სახლში რამე ფასეული მქონდა, ყველაფერი წაიღო. გადასახდელი ორასი დოლარიღა დამრჩა. მევალემ შუბზე იარაღი დამადო: ამ თანხას ან ორ დღეში მოიტან, ან სიცოცხლეს გამოგასალმებო. სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი, შიშისა და ნერვიულობისგან დეპრესია დამეწყო. ფული ვერსად ვიშოვე. იძულებული გავხდი, დავმალულიყავი. მე და დედაჩემი ნათლიასთან წავედით. იქ ვერავინ მოგვაგნებდა. დედა მეუბნებოდა — ერთი კვირა მადროვე და სოფელში ნაკვეთს გავყიდიო. მართალია, ყველას დავემალე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემს საუკეთესო მეგობარს არ ვეტყოდი, თუ სად ვიმყოფებოდი. ნატო სულ მირეკავდა და მეც ჩემს ყოველ ნაბიჯს ვუთანხმებდი. რას წარმოვიდგენდი, თუ მახეს დამიგებდა?!

— რას გულისხმობთ?

— ერთ საღამოს, კარზე ზარი დაირეკა. ნათლიაჩემმა მომახარა — ნატო გვესტუმრაო. სახე გამბადრა, მაგრამ ნატოს გვერდით მისი მეზობელი რომ დავინახე, რომლისგანაც 300 დოლარი მქონდა ნასესხები, თვალებს არ დავუჯერე. ეს რა გაკეთე-მეთქი? — ვკითხე. აბა, რა მექნა? შენ გამო, ყოველდღე მაკითხავდა, ფულს მთხოვდა, ვალს მე ხომ არ გადაგიხდი? ჩემგან რას მოითხოვო?! — მომახალა... ერთ თვეში, ნათლიაჩემმა ვალები მთლიანად გადამიხადა. ისევ თურქეთში დავიწყე სიარული. ახლა კარგი ბინაც მაქვს და ფულიც, მაგრამ აღარ მყავს საუკეთესო მეგობარი, რომელიც სამასი დოლარის გამო დავკარგე. ისე გავლანძღეთ ერთმანეთი, რომ გახსენებაც მიჭირს. ჩვენი მეგობრობა ფულმა დაანგრია... გული მწყდება, მაგრამ ნატოს არასდროს შევურიგდები, პირიქით — მინდა, ისეთ მდგომარეობაში ჩავარდეს, როგორშიც მე ვიყავი: მხოლოდ მაშინ გაიგებს, რას ვითხოვდი მისგან და რაში ვდებ ბრალს...

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის
უბის წიგნაკიდან:

1. დედალ ცხვარს ნერბი ჰქვია.
2. ჩაწყობილა პარაზიტი მცენარეა.
3. სტორტინგი ნორვეგიის პარლამენტია.
4. ირლანდიის გერბზე იონჯაა გამოსახული.
5. ემილ ზოლა და პოლ სეზანი ძმაკაცები იყვნენ.
6. მოდარდიმანდო უსაქმურს ძველად, ჩათუქესანს ეძახდნენ.
7. გრელანდიური ზვიგენის მუცელში ერთხელ, ირემი იპოვეს.
8. ალენ დელონი ერთი პერიოდი, ბავშვთა თავშესაფარში იზრდებოდა.
9. ნახნავში, კვალსა და კვალს შუა მოუხნავად დარჩენილ ადგილს ხარვეზი ჰქვია.
10. ძველი ბერძნები გარდაცვლილს სამარხში თაფლის ნამცხვარს აყოლებდნენ ცერბერისათვის.
11. Мне отмщение и аз воздам – ასეთი ეპიგრამა უძღვის წინ ტოლსტოის „ანა კარენინას“.



12. „კატორღა ის ადგილია, სადაც შრომა ვერ აერთიანებს ადამიანებს“, – ამბობდა ეგზიუპერი.
13. მიცვალებულის ბოლოს ნაცვამ ტანისამოსს, რომელიც დასაფლავების შემდეგ, მღვდელს მიჰქონდა, კოღოპურტი ერქვა.
14. წალკაში ადგილობრივმა ბერძნებმა სტალინის ძეგლი აიღეს და მის მაგივრად, არისტოტელეს ძეგლი დადგეს. P.S. არისტოტელეს თუ კიდევ ძეგლები და ბიუსტები აკლდა!..
15. ეპირის მეფე პიროსი მის მიერ დაპყრობილ ქალაქში ვიღაც დედაბრის მიერ სახურავიდან გადმოგდებულმა აგურმა იმსხვერპლა.
16. ჰენრი მეორეს სძულდა წითელი ფერი. სწორედ მისი მმართველობის დროიდან მოდის თეთრი საქორწინო კაბები.
17. დოსტოევსკის მუზეუმში სხვადასხვა ფორმის 74 ნაჯახი ინახება. ამ ნაჯახებს მისი ნაწარმოების – „დანაშაული და სასჯელი“ – სცენაზე დადგმისას იყენებდნენ.
18. ძველად, ქიმიკოსები ვალდებულები იყვნენ, სხვა მაჩვენებლებთან ერთად, ნივთიერების გემოც აღეწერათ. ამ სულელურ ტრადიციას შეეწირა გერმანელი ქიმიკოსი კარლ შეელე, რომელმაც ციანიდის მჟავა გასინჯა.
19. კომპოზიტორი ჯაკომო მეიერბერი ებრაელი ბანკირის ოჯახში დაიბადა. მისი

ძებნილის აღსარება ანუ დინჯუანის დაბრუნება...

ინგა ჯაყელი

ამბავმა, რომელიც ახლა უნდა მოგიყვეთ, შეიძლება, უსიამოვნებაში გამხვიოს. მაგრამ ვერც ცდუნებას ვუძლებ, რომ შემთხვევით მოსმენილი და ჩემი აზრით, მართლაც სააშკარაოზე გამოსატანი ამბავი მკითხველამდე არ მივიტანო...

იმ დღეს, როცა ეს ამბავი მოვისმინე, ქუთაისიდან თბილისში მოვდიოდი და მოწყენილი ვთვლემდი, „მარშრუტკის“ ფანჯარასთან მიკუნჭულ-შევიწროებული, ჩემ გვერდით მჯდომი, ზორბა ქალბატონის მიერ, რომელსაც ერთ-ნახევარი ადგილი ეკავა და ისეთი წარბშეკრული იხედებოდა, იმის გამხელაც ვერ გავუბედე, რომ მეც სრული ბილეთი მქონდა შეძენილი...

– ბიჭო, შენ რეზოიე არ ხარ?! – ყურისმომჭრელი იმერული აქცენტით იკითხა ვიღაცამ ჩემ უკან და მალე, დასტურიც მიიღო ეჭვზე: კი, მე ვარ, მარა შენ რომ ვერ შეგიცანიო?..

– რას მიცნობ? – იმ ოც წელიწადში, რაც ერთმანეთი აღარ გვინახავს, ჩემი ბუნჩულა შეყვარებული ზინაიე, კაპუეტ ცოლად იქცა, სამი ბაღანე გამიჩინა და ახლა, ჩემს სისხლს სვამს ყოველდღე: ისე მამადლის თავს, დაავიწყდა – მე რომ არ შემცოდებოდა, მისი მთხოვნელი კაციშვილი რო არ იყო მთელ ქვეყანაზე... ლადოიე ვარ მე, ჩიტორელიძე, ათი წელიწადი ერთად ვსტავლობდით კლასში. რავა არ გემახსოვრები, რაც ჩვენ ერთად გვითამაშია და გვიეშმაკია?!.

– ე-ე, ის გრუზა ქოჩორი სად წეიღე! – შეიცხადა რეზოიემ და გულში ჩაიკრა „დაჩაგრული“ თანაკლასელი.

– ჩემი ცოლის ხელში ეს ხოტორა თავიც რაფრა შემრჩა?! რატო ის დღე არ დეიქცა, მე რომ ქალისკენ გევიხედე?! – გულზე მჯიღი დაიბრაგუნა „დაჩაგრულმა“ ჩიტორელიძემ და ახლა, „თანშეზრდილი“ თანაკლასელის ოჯახური მდგომარეობით დაინტერესდა:

– შენ რავა გყავს ცოლ-შვილი?

– რომელი?! – მწარედ ჩაიცინა რეზოიემ.

– იმე, რავა რომელი, შემოგევლე? – ცოლ-შვილზე გეკითხები, ძაღლებზე კი არა...

– ნეტავი, შენსავით კაპუეტი ცოლის და სამი ბაღანეს მეტი დარდი არ მქონდეს, ჩემო ლადო და ამ ჩემს თმას და წვერ-ულვაშს თავად დევიპუტავდი!.. აღარ შემიძლია მეტი, თავი მაქ ჩამოსახრჩობი, აღარ ვიცი, სად დავემალო ჩემი „ახალგაზრდობის შეცდომებს“... არა, უცოდველი კი არა ვარ, მარა თუ სადმე მოტყუებული და მიტოვებული ქალია, ყველა მე მადებს ხელს – შენგან დავრჩი ორსულადო! – და ახლა, ყველას თუ დოვუჯერე, 12 ცოლისგან 19 შვილის მამა ვყოფილვარ...

– ე-ეჰ, ეს რა მოგსვლია, შე საცოდავო! მარა... „სპისოკი“ არ გქონდა, რა დროს ვისთან დეიარებოდი და წობოდი?! ან, ნამდვილად გქონდა კი, თორმეტივესთან იმფერი კავშირი?!.

– არა, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, შეიძლება, მეტიც იყვენ, მარა... ჩემი ბრალი რაა, თუ ძმა ხარ, იმაში, გოუხარელ ქალს თუ გულს ვუხარებდი და პაწას ვეფერებოდი, ა?.. ხომ გახსოვს, ბავშვობიდან რანაირი გულჩვილი ვარ და ამფერი დავრჩი ბოლომდინ. ქალს რო გევიცნობდი და შევატყობდი, გული სწყდებოდა უკაცობაში გასულ წუთისოფელზე, მეცოდებოდა და მეჩვენებოდა, რომ მიყვარდა, ვპირდებოდი ცას და ქვეყანას და იმ წუთში, მართლა გულწრფელი ვიყავი... მე ახლაც მართალი ვარ ყველას წინაშე. რა ჩემი ბრალია, თუ საქართველოში ერთ კაცზე შვიდი ქალი მაინც მოდის და ამდენი კაი გოგო იჩაგრება უკაცოთ?!. არც მრავალცოლიანობის კანონი შემეიღო ამ ჩვენმა პარლამენტმა, თვარა, დოვუყრიდი ერთად თავს თორმეტივეს და არც თავად დეირცხვენდნენ მრავალცოლიანი ქმრის გვერდით ყოფნას – ახლა რო ყველას სათავისოდ უნდიხარ და დანარჩენისკენ გახედვას გიკრძალავს...

— მე ერთს ვერ ვუძლებ და შენ თორმეტთან რა გაცხოვრებს?! ხუმრობ ალბათ...

— მეხუმრება ახლა მე?!. ქუთაისში აღარ დემედგომება და ახლა თბილისში გავრბივარ, მარა არც იქ იქნება ჩემი საშველი: ქუთაისში ორი „ცოლი“ მყავს და იმათ ვერ გეიყვეს ჩემი თავი და თბილისში რო სამი წამემესევა ერთად?!. არც მოსკოვში ჩამესვლება, იქაც ორი ნაცოლები მელოდება და მოკვლით მემუქრება. სად წევიდე, მითხარი ერთი?

— სოფელში რომ დაბრუნდე?!.

— გედირიე?! ხომ ჩამქოლა ნაზიკიეს ოჯახმა!..

— ღმერთო კი მომკალი! რავა, მისი ნაბიჭვარი თამაზიეც შენი „ნაიმასქნარია“ თუ?!.

— კი, მაი ნამდვილად ჩემია — წყალი არ გოუვა! ბანკეტის ღამეს რომ გავშპით და ვეღარ მოგვაგენით, შალიკიეს სასიმინდეში ვიმალებოდით, გამოუცთელები ვიყავით ორივე...

— ქე ეტყობა ისე, თამაზიეს, გამოუცდელი კაცის ნაკეთები რომაა — დოუშუშებელია ცოტა... ჩემს უმფროს გოგოს ეპრანჭება გონია და შემომაკვდება, იცოდე — გააფრთხილე — ჩამეხსნას ჩემს ოჯახს!..

— მე სად ვნახავ თამაზიეს?! ვინ მიმიშობს მაგასთან ჭკუის დასარიგებლათ?!.

— დედულეთში დამალულიყავი, სვანეთში, იქ ვინ მოგძებნის და გაგიბედავს რამეს?..

— იქაც მყავს ერთი წყება ცოლშვილი, თან ტყუპი გააჩინა იმ ჩემი ცოდვით სავსემ... სვანები რომ მეძებდნენ მოსაკლავათ, მაშინ იყო, მოსკოვში რომ გადევიხვეწე და რუსის ქალებიც გადევიკიდე... როის იყო, რუსის ქალს ქორწინების გარეშე კაცთან დაწოლა ერცხვინებოდა და თუ გინდა, ბოვშის გაჩენა? მარა, ჩემთან გამოდგა ორივე, „პატიოსანი“... დოუდაქალდნენ ერთმანეთს და „ქილერიც“ დეიქირავეს ჩემს მოსაკლავათ — ბეწვზე გამოვასტარი...

— თბილისში სამი მყავსო...

— მეოთხეცაა, მარა ვინცხა ბიზმესმენზე გათხოვდა და დამანება თავი...

— გერმანიაში რომ ყოფილხარ სამუშაოთ, რატომ არ დეეტიე იქანა, აქ თუ არ დეგედგომებოდა?..

— ჩემზე ათი წლით უმფროს ქალთან დევიჭირე საქმე: იქოური „პრაპისკა“ მინდოდა, გემეჩალიჩებია და... სულ ორჯერ „მევეფერე“, ისიც — თვალდახუჭულმა: აპა, იმის ჩანაოჭებული ცხვირპირი რავარი სანახავი იყო ისთე ახლოდან?!. ჰოდა — არ გააგორა იმანაც ბიჭი?!. ბოვშის დანახვა შემაძულეს ამ გასაწყვეტლებმა, აღარ შემიძლია მეტი. აღარც გერმანია მინდა და აღარც ამერიკა...

— რავა? იქაც გყავს ვინმე თუ?!.

— ჩემი ერთი ცოლყოფილია სამუშაოთ წასული და ბოვში მე მომიგდო — რავარც გინდა, მიხედე, მე საკმარისად ვზარდე და ახლაც იმით მევიხთი ვალს, თვეში ას დოლარს გამოგიგზავნითო!.. ასს კი არა, ათასს მივცემ იმას, ვინცხა ამ თავზეხელაღებულს მომაშორებს: 16 წლისაა და თავისი კლასელი დოუორსულებია! ახლა იმ გოგოს მშობლებიც მე დამზდევენ მოსაკლავათ...

— არ თქვა ახლა — ვის დეემგვანაო?...

— მაგას რავა ვიტყვი, მარა... ისთე, არ გყავს ვინმე ჩემი შესაფერი, ასთე 40-დან 45 წლამდე პატიოსანი ქალი?.. თუ გინდა, განათხოვარი იყოს, ოღონდ, ბინა ქონდეს და რაც მთავარია — ოუცილებლათ უშვილო: ბოვშის ჭიჭყინს ვერ გოვუძლეფ აწი მე, მშვიდი და წყნარი სიბერე მინდა — დეევიღალე!..

— არა, მაგფერი არც მეგულება ვინმე და რომც იყოს, ვერც შენს ცოდვაში ჩავდგები და ვერც იმისაში. არ ხარ შენ ის კაცი, ოჯახი და სიმშვიდე რომ ენატრება, თვარა, თორმეტიდან ერთს რავა არ შეირჩენდი?!.

— ა, შენც მე მამტყუნებ, ხომ?!.

— არა, კი არ გამტყუნებ — მაი რა ჩემი საქმეა?! — ისთე, ჩემთვის ვფიქრობ და ვერ გამიგია ბედისწერის სამართალი...

— რაი ვერ გაგიგია?..

— ვეფერი ვერ გევიგე, სიმართლე გითხრა, ვეფერი! — გაჩუმდა ლადოიე ჩიტორელიძე და აღარც ამოუღია ხმა თბილისამდე. აღარც რეზოიე ჩაციებია მეტად, თავის საფიქრალს იყო მიცემული და ეჭვიც არ მეპარება, იმაზე ფიქრობდა, უცხო პლანეტაზე წასასვლელი როგორ მოეძებნა, სადაც არც ცოლყოფილი დახვდებოდა, თავისი პრეტენზიებით და არც „ცოდვიანი სიყვარულის“ ნაყოფი...

მეც ჩემი საფიქრალი გამიჩნდა და ერთი პირობა, ისიც ვიფიქრე, გამოვლაპარაკებოდი ჩვენი დროის დონჟუანს, მაგრამ... ვერ გავბედე რატომღაც...

ახლა კი, აგერ თქვენ გიამბეთ შემთხვევით მოსმენილი და როგორც გითხარით, მგონი, საშარო საქმეც ავიკიდე: რომ მომივარდეს რედაქციაში „რეზოიე-დონჟუანი“ და მორალური ზიანის მიყენებისთვის პასუხი მომთხოვოს?!. ამ შემთხვევაში, ერთ იმედს ვებღაუჭები მხოლოდ: იქნებ, მისმა ცოლყოფილებმა დამიცვან, „ძებნილი კაცის“ აღმოჩენის სანაცვლოდ... ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეიზა დვალის

უბის წიგნაკიდან:

ნამდვილი სახელი და გვარი იაკობ ლიბმან ბერი გახლდათ.

20. წმინდა ბერნარდ კლერვოსელის ცხოვრებაში წერია: ერთხელ, მას ეშმაკი გამოეცხადა და უთხრა, რომ „დავითნში“ არის შვიდი ფსალმუნი, რომლის ყოველდღიურად წაკითხვა ადამიანს უეჭველად სამოთხეში მოახვედრებს, ოღონდ, ის კი აღარ გაუმხელია, სახელდობრ, რომელი ფსალმუნები იყო ეს. მაშინ წმინდა ბერნარდმა გადაწყვიტა, ყოველდღიურად ასორმოცდაათივე ფსალმუნი ეკითხა.

21. XVIII საუკუნის 70-იან წლებში, საფრანგეთის გემთსაშენმა კომპანიამ გამოუშვა სამი ახალი ხომალდი, რომლის სახელწოდებები იყო: „აქციონერი“, „ბანკირი“ და „სპეკულანტი“. სიტყვა „სპეკულანტი“ იმ დროს, რისკიანი საქმოსნის აღმნიშვნელი იყო.

22. მილანელმა რობერტო პაოლინიმ რადიორეპორტაჟის მოსმენისას გაიგონა, რომ მისმა საყვარელმა გუნდმა, „ინტერმა“ გოლი გაიტანა და სიხარულისგან მეორე სართულის ფანჯრიდან გადახტა. სიხარული მას მოტეხილმა ფეხმაც კი ვერ ჩაუშხამა, თუმცა, უკვე საკაცეზე მწოლიარემ შეიტყო, რომ გოლი „ინტერის“ მოთამაშეს საკუთარ კარში გაუტანია.

23. აფრიკის ბევრ ხალხში ითვლებოდა, რომ ავადმყოფობას იწვევს სული, რომელიც ადამიანის სხეულში სახლდება. ავადმყოფის განსაკურნებლად, ადგილობრივი ექიმები ცდილობდნენ, ეს სული განდევნათ. ხშირ შემთხვევაში, ისინი ერთი ავადმყოფისგან ათეულობით სულს განდევნიდნენ, რადგან გასამრჯელოს მათ თითოეული განდევნილი სულისთვის უხდიდნენ.

24. 1918-20 წლებში, საბჭოთა რუსეთში, ისეთი უმნიშვნელო დანაშაულებისთვის, როგორიცაა: ქათმის მოპარვა, არყის გამოხდა, ადამიანის შეურაცხყოფა — ადამიანს, დღევანდელი თვალთახედვით უმძიმეს სასჯელს აკისრებდნენ: ეს იყო თავისუფლების აღკვეთა მსოფლიო რევოლუციის სრულ გამარჯვებამდე.

25. კოსმოსში პირველი ძაღლის გაფრენას ხალხმა ასეთი „ჩასტუშკა“ მიუძღვნა: „და ჩევო დაშლა ნაუკა, ვ ნებესახ ლეტაეტ სუკა, პრასლავლიაია დო ნებეს, მატ ტვაიუ — კუსს.“



გურამ ფირცხალავა: ქალს ვაშრობდი და გემის კაპიტნობაზე ვოცნებობდი

გურამ ფირცხალავას რომ ვუსმენდი, სულ ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ძალზე ახლობელ, საინტერესო წიგნს ვკითხულობდი. მეჩქარებოდა გამეგო, წინ რა იქნებოდა, მაგრამ არც ერთი „გვერდი“ არ მეთმობოდა „გადასაშლელად“... როცა ცხოვრება ასეთი საინტერესოა, მთხრობელი კი — ასეთი დაუზარელი, გამორიცხულია, მის სიტყვებს არ მიჰყვე, როგორც ერთგული მკითხველი. ყველა ადამიანი სხვადასხვანაირია, განუმეორებელი ჩვევებით, თხრობის სტილითა და ინდივიდუალური მანერებით დაჯილდოებული. გურამ ფირცხალავას ნაამბობს მეგრული სოფლის ხიბლი და ფოთის თავისებური აურა ახლავს...

ლელა ჯიყამვილი

— ჩემი წინაპარი ნოქალაქევიდან ყოფილა. მაშინაც ჭირდა თურმე ცხოვრება, როგორც ახლა ჭირს და ისიც ჩასულა ფოთში, რომ საარსებო წყარო ეპოვა. დასახლებულა იქ და ასე გავხდით ფოთელი ფირცხალავები. ფოთი ჩემი გამზრდელი და საოცნებო ქალაქია. გიგლა ფირცხალავა მეხუმრებოდა ხოლმე: ერთხელ მატარებლით მოვდიოდი და ერთი მეგრელი კაცი ამბობდა, ფოთი დაბალია, ცხაკაია — მაღალი... იქ ორი საბანი არ გეყოფაო. ფოთი რომ დაბლაა, თითქოს ადამიანებიც ასე შეაჩვია — ფოთში ყველა თავმდაბალია, ერთმანეთისადმი მზრუნველობითაც გამოირჩევიან. ხომ არსებობს ქალაქები, სადაც ფულია მთავარი, საქმოსნები და ვაჭრები ცხოვრობენ კარგად და ამაყობენ ამით. ფოთში ასეთი რამ არასოდეს ყოფილა. სხვა რა გითხრათ... ნათქვამი კი არის — ყველა ფრინველს თავისი ჭაობი უყვარსო. შეიძლება იფიქროთ, ფოთი ჩემი ქალაქია და ამიტომ ვაქებ. ამიტომაც ვაქებ და იმიტომაც, რომ შესაქებია. იცით, რა ლამაზი ნავსადგური იყო ფოთში?! ახლა კი, მანქანებით არის ავსებული ის ადგილი და გახედვაც არ მინდა.

— თქვენი სახლი ახლაც დგას ფოთში?

— ბაბუაჩემის აშენებული სახლი ქარმა წააცია 1969 წელს. მერე ისევ ააშენა მამამ. ის სახლი დღესაც დგას და ძალიან მიყვარს. მახსოვს, ჩვენი სახლის უკან ისეთი დიდი ჭაობი იყო, მამაჩემი ნადირობდა ხოლმე. მერე გამოიგონეს მანქანა, რომლითაც შესაძლებელი გახდა ჭაობების ამოშრობა. ჩემ თვალწინ ხდებოდა ჭაობების ამოშრობა. მანქანა იღებდა წყალს და ქვიშას ერთად და მილით მიდიოდა განსაზღვრულ ადგილას. სკოლა დავამთავრე თუ არა, თვითონ ვმუშაობდი ჭაობების ამოშრობაზე. მალთაყვაში რომ არის ტბა, ის ტბა მე ამოვაშრე. ირგვლივ ჭაობი იყო, იქ ახლა ბაღნარია. ამ სამუშაოში არაფერი საინტერესო არ იყო, ერთი შეხედვით. უნდა გეფანტაზიორა. მეც ასე ვიყავი: ვიდექი მანქანასთან და ვოცნებობდი, ვითომ გემის კაპიტანი ვიყავი, ვითომ საჭესთან ვიდექი, ოკეანეებში ვცურავდი... ეს მანქანა კი, ხმაურით მუშაობდა: დუ-დუ-დუ... ჩემი უფროსი, კოლია ყველაფერს ხვდებოდა, მეკითხებოდა: კაპიტნობო?.. პირველი ხელფასით „ვილისი“ ვიყიდე. დანარჩენ ფულს დედას ვაძლევდი.

— ოჯახის მოვლა ადრე დაგიწყიათ...

— მამაჩემი „მაცივარში“ მუშაობდა. დედა რომ გარდაიცვალა, სამსახურში დატოვა მოადგილე, რომელიც ძმის მაგიერი იყო მისთვის. ეს იცით, რას ნიშნავს? მამაჩემს ძმა რომ გარდაეცვალა, ამ კაცმა მოაჭრა მიცვალებულს თმა — ეს ადათი იმის მიმანიშნებელია, რომ ეს კაცი ძმაზე ახლობელი ხდება!.. ამან პირიქით გააკეთა — ისარგებლა მამაჩემის არყოფნით და სახელმწიფო ქონება გაყიდა. ეს გაიგეს და ამ კაცს 25 წელი მიუსაჯეს, მამაჩემს — 20... მამას ბრალად ის ედებოდა, რომ სახელმწიფო ქონება ოფიციალურად არ გადააბარა ძმის მაგიერს... საქართველოში ზოგჯერ, ძმობა არ გამოდის, ხომ იცით?! ის კაცი ოთხ წელიწადში გამოვიდა, მამაჩემი კი ბოლომდე იჯდა... აი, მაგ დროს გადამიყვანეს სოფელ ლესიჭინეში ბებიასთან და კიდევ კარგი, იქ მივეჩვიე შრომას. ბებიაჩემმა ძაძუმ პატარა თოხი მომიტანა. მეც, ვითომ გავთოხნე რაღაც... იმ საღამოს, ბებიამ ღომის მოზრდილი ნაჭერი დამიდო და თქვა: იმუშავა ბავშვმა, ამას დიდი ღომი და დიდი ყველი ეკუთვნისო!.. მეც ამაყად შევექცეოდი ამ „დიდ ღომს“ და მეორე დღეს, ისევ ხალისით ვთოხნიდი... რომ წამოვიჩიტე, ხარები მანდო და ეზო დავხანი. ეს ჩემთვის დღესასწაული იყო. როცა ფოთში დავდივარ, ჩვენს პატარა ეზოში ყველაფერს ვაკეთებ. მეზობლები მეუბნებიან — შენ მართლა მშრომელი ბიჭი ხარო. იმათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ არტისტობა შრომაა... დედაჩემს დღესაც ჰგონია, რომ სულ დროს ტარებაში ვარ. ერთხელ, ფოთში მქონდა გადაღებები და მაშინ რომ ხედავდა, როგორ ვიღლებოდი, ცოტა გაუკვირდა კიდეც, მოფერება დამიწყო... ისე, ჩემს ძმას უფრო ეფერებოდა. ფოთში რომ ჩავდიოდი, მეტყოდა ხოლმე — დაიღალა ბავშვი, წადი, შეშა დაჩეხე — არტისტი ხარ, დასვენებული ხარო... გეყოფა თამაში, საქმეს მიხედეო, — ბევრჯერ უთქვამს... წისქვილში წასვლა რომ არ გავიხსენო, არ შემიძლია. საფქვავი ბებიას დაჰქონდა. მეტყოდა — გური, შენ ოღონდ გაკვეთილები ისწავლე და მე დავფქვავ სიმინდსო. წამოვიზარდე და უარი ვუთხარი: შენ მოხუცი ხარ, აწი მე ვატარებ საფქვავს-მეთქი... არა, ისევ ჯობდა, ბებიაშენს მოეტანაო, — ვითომ გაეარშიყა მეწისქვილე... ძალიან ლამაზი გოგო ჰყავდა იმ მეწისქვილეს. ვუთხარი — მაგას ჯობია, დოროთე ძაძუა, შენი გოგო ფქვავდეს და



ვხედავდი, როგორ გაუფართოვდათ თვალები გამომცდელებს

საფქვავი მე ვატარო-მეთქი. – აუფო! – იყვირა... ახლაც მგონია, მივალ წისქვილში და დოროთე დამხვდება... ფოთში თოვლი არ მენახა. დაიწყებოდა თუ არა თოვა, ფიფქები მიწაზე დაცემამდე დნებოდა. ამიტომ ზამთრობით, ბიჭები თბილისის მატარებელს ველოდით, რომ ვაგონის სახურავიდან თოვლი აგვეღო და გუნდები გაგვეკეთებინა... ჰოდა, ეს ფოთელი ბიჭი, ჯარში მურმანსკში მოვხვდი. წარმოიდგინეთ, რა საინტერესო იქნებოდა ჩემთვის მურმანსკში ყოფნა!.. ბევრმა ვერ გაუძლო. ბიჭები იტყუებოდნენ, ვითომ ავად იყვნენ, ტიროდნენ... ეშელონიდან ჩამოვედით თუ არა, რომ „გვეტაკა“ ყინვა ცხვირ-პირში, ვიფიქრე: აქ ადამიანს რა უნდა? ისეთი რა უნდა გაგიჭირდეს, რომ მურმანსკში იცხოვრომეთქი?!. მე მამაჩემის „მაცივარში“ ვიყავი ნამყოფი. იქ რომ შევდიოდით მე და ჩემი ამხანაგები, სადაც გაყინული ხორცი ეწყო, უცებ გამოვდიოდით და ერთმანეთს ვეუბნებოდით – ეს რა საოცრებაა, ეს რა ვნახეთ-თქო?! არადა, იქ მინუს 10 იყო და წუთიერი შეგრძნება გვქონდა! მაგრამ მურმანსკში რომ დაღამდა და დაღამდა – 6 თვე ღამე იყო! მერე, ერთ მშვენიერ დღეს, გათენდა და სულ დღე იყო: მზე გარშემო ტრიალებდა, მაღლა კი არ ადიოდა და გვესეოდნენ კოღოები!.. ეს ყველაფერი ძალიანაც მომწონდა. მიყვარდა „უჩენიები“ – ომობანას თამაში!..

— იქაც ფანტაზიორობდით, არა?

– აბა! იქ დარჩენაზეც კი ვფიქრობდი. დედაჩემს მივწერე – მფრინავობა მინდა და აღარ ჩამოვალ-მეთქი. დედამ კატეგორიული უარი შემომითვალა: ჩამოდი ფოთში და მერე ვილაპარაკოთო... ჯერ იყო და მეზღვაურობა მინდოდა და დედაჩემმა გააპროტესტა: „სილიოტკის“ შესაჭმელი შვილი სად მყავს მეო?! ასეთი გამოცდილება რომ მქონდა, იმიტომაც იყო, თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარების ამბავი მისთვის არ გამიგებინებია. ვიცოდი, მეტყოდა: საარტისტო შვილი სად მყავს მეო?!. ინსტიტუტში რომ მოვეწყვე, პირველად, ლესიჭინეში ჩავედი. ფერდობი უნდა ამევლო. დამინახეს, სამხედრო ფორმითაც მიცნეს და ერთმანეთს გადასძახეს – ძაძუს შვილიშვილი ჩამოვიდა ჯარიდანო. ბებია რომ შემომეგება, მომეხვია. ბებიამ არ იცოდა, რა გმირობა ჩავიდინე – უმაღლესში მოვეწყვე, – მაგრამ ეს უცებ ხომ არ უნდა მეთქვა ბებიისთვის – შეიძლებოდა, სიხარულისგან გული გასკდომოდა. ბებიას ნათქვამი ჰქონდა: შენ ისეთი კაცი უნდა გამოხვიდე, როგორიც შოთა ჭიჭინაძეაო. შოთა სოფლის საბჭოს თავმჯდომარე იყო, მთელ სოფელს უყვარდა. ბებიამ მითხრა: საჩუქარი დაგახვედრე, ნენა, საშარვლე, საკოსტიუმე, ამდენი ფული მოგიგროვეო... მოცვივდნენ მეზობლები. ყველას წინაშე გამოვაცხადე: ბები, ახალი ამბავი უნდა გითხრა – უმაღლესში მოვეწყვე-მეთქი! გაიხარა. შოთა ჭიჭინაძე უნდა გამოვიდე-მეთქი, ვთქვი. ერთმა მეზობელმა მკითხა – სასოფლოში მოეწყვეო? – თავი დავუქნიე – აბა, არტისტი გამოვალ-მეთქი, ხომ ვერ ვეტყოდი?! ამის მერე ჩავედი ფოთში დედასთან.

— ბებია ძალიან გყვარებიათ...

– ტრაგიკული ბედის ქალი იყო. ბაბუაჩემი 1937 წელს დაიჭირეს. არ დაუხვრეტიათ, მაგრამ გადასახლებაში გარდაიცვალა. მე კი მეუბნებოდნენ – ტყუილად დაიჭირესო, – მაგრამ თურმე, სულაც არ დაუჭერიათ ტყუილად: ბაბუაჩემი ერთ-ერთი მებრძოლი მენშევიკი იყო. ერთხელ, ბებიას მოვუსმინე – ცეცხლს ელაპარაკებოდა: ნენა, ხომ გეუბნებოდი – არ გინდა ამდენი იარაღი, სად მიგაქვს-მეთქი?! მეუბნებოდი – გაჩერდი, ქალო, აკეთე ღომი, აჭამე ხალხს და გაუშვიო! – ა, ხომ დაიღუპეო!.. ბებია მართლაც, ძალიან მიყვარდა. ინსტიტუტში პირველი არდადეგები რომ მქონდა, მაშინაც მასთან ჩავედი. დაიწყო გადაძახილები: ძაძუ, გურამი მოვიდა ტბილისიდანო! არა და არ გამოჩნდა ბებია გზაზე. ვიფიქრე – ავად ხომ არ არის-მეთქი? შევედი სახლში გულგახეთქილი. ძაძუ მაგიდასთან იჯდა და გაბრაზებული აკაკუნებდა ხელს მაგიდაზე. შევძახე – ბები, მე ვარ-მეთქი! – ძალიან კარგად ვიცი, რომ შენ ხარო! – მიპასუხა. ვეკითხები – ბები, მერე-მეთქი (რა მოხდა-მეთქი)? – რატომ მომატყუე, ბიჭო, შენ მე? რომ მითხარი – შოთა ჭიჭინაძე უნდა გამოვიდეო, – ესაა, ბიჭო? თურმე, მასეთი კი არა – „ვათანზარა“ ყაზახი რომ არის, აკაკი ხორავა, ისეთი გამოდიხარო... ვათანზარა ისეთ კაცს ჰქვია, თავისი დაბადების ადგილს რომ ივიწყებს. რატოა, ბები, აკაკი ხორავა ვათანზარა-მეთქი? – როგორ? ის აკაკი, წიგნში რომ წერს, ვითომ სენაკელია, აგერ დაიბადა, ოჩხომურში, აქ გაიზარდა თხუთმეტ წლამდე და ერთხელაც არ უთქვამს, ოჩხომურელი ვარო!.. როგორც შენ რომ დაამთავრებ „საარტისტოს“ და მერე გაიხსენებ ლესიჭინეს და ბებიასო?!. სოფლის მასწავლებელმა უთხრა ბებიას: ნეტავ, რა გადარდებს? ოღონდ, აკაკისნაირი გამოვიდოდესო!.. – ბებიამ უკან არ დაიხია: ახლა, დააბრუნე უკან ის საშარვლე და საკოსტიუმე, ის ფულიცო... – მაგან მოგჭამა ჭირი: ერთი შეკერილია, მეორე – შეჭმული-მეთქი... ახლა, კიდევ ერთხელ ვიტყვი: მე ლესიჭინემ გამზარდა. ბებიას რომ ეშინოდა, მისი შიში არ გამართლდა. რა დამავიწყებს?!.



თოვლი არ მენახა... ჰოდა, ეს ფოთელი ბიჭი მურმანსკში მოვხვედი

— თუ გახსოვთ ისინი, ვინც უანგაროდ დაგეხმარნენ და ამით საზოგადოდ, ადამიანების სიყვარული და რწმენა ჩაგისახეს?

– თბილისში ერთხელ ვიყავი, გავლით, – მამა რუსთავის კოლონიაში იჯდა და მის სანახავად რომ მივდიოდი. მეორედ – მურმანსკიდან რომ ჩამოვედი. მოზარდ მაყურებელთა თეატრ-

თან გავჩერდი. ვიფიქრე – აი, აქ იქნება ის ადგილი, სადაც არტისტები იზრდებიან-მეთქი. ქურთის ქალმა ბიჭი გამაყოლა – ინსტიტუტი აქ არ არის, იქ არისო. ასე მიმასწავლეს თეატრალური ინსტიტუტის გზა. ჯარიდან საბუთები უკვე გამოგზავნილი მქონდა. გასაუბრებაზე გავედი. ბაბულია ნიკოლაიშვილმა მკითხა: იცი ლექსიო? არ ვიცოდი... პროზა?! – არც პროზა! – ასე არ შეიძლებაო, – მითხრა. დამარიგა: მოამზადე ლექსი, იგავ-არაკი და პროზაო. – მე მეგონა, ამას აქ მასწავლიდით, იმედი გამიცრუვდა-მეთქი... ესენი არ ვიცოდი, თორემ, მსახიობობა რომ შემეძლო, შინაგანად ვგრძნობდი, ლესიჭინეში, „კაკო ყაჩაღში“ ზაქრო ვითამაშე: ცხენზე ამხედრებული შევდიოდი სცენაზე და მაყურებელიც დიდი აღტაცებით მხვდებოდა... „უკვე“ მსახიობი კი ვიყავი, მაგრამ ლექსი რა შუაში იყო, არ ვიცოდი. ბაბულია ნიკოლაიშვილმა მითხრა – ამით ვლინდება შენი ნიჭიო. რა მექნა? ხომ უნდა გამომევლინა, ეს ნიჭი იყო თუ რაღაც!.. ის ღამე, სადგურში მეცადინეობაში გავატარე. ლექსი ვისწავლე, იგავ-არაკიც. პროზას ვერაფერი მოვუხერხე. გამოცდაზე რომ გავედი, ქალბატონმა ბაბულიამ დამარიგა – თვალი არ მომაშოროო: ის მიმიკით მკარნახობდა, რა როგორ უნდა მეთქვა. ძალიან ვეცადე. გამომცდელთა გამომეტყველებამ მაგრძნობინა, რომ ლექსი და იგავ-არაკი „არა უშავს რა“ წავიკითხე... ახლა ვლოცულობ – ნეტავ, პროზა დაავიწყდეთ-მეთქი!.. უცებ, წამოხტა ერთი კაცი (როგორც მერე გავიგე – დოდო ალექსიძე) და – აბა, პროზაც წაგვიკითხეო. კინაღამ გული გამისკდა... ამ დროს, ერთი სიმპათიური კაცი მეკითხება: ჯარში სად იყავითო? – ანტონ თავზარაშვილი ყოფილა, ბრწყინვალე პედაგოგი და ადამიანი. რომ ვუთხარი – მურმანსკში-მეთქი, – აბა, ერთი მოგვიყევი, რა ნახე იქ საინტერესო. – რაც წელან გიამბეთ, ის ხომ მოვუყევი, მაგრამ მერე, ერთი ამბავიც გავიხსენე – ის, რომელიც „გზისთვის“ მიცემულ ინტერვიუშიც მაქვს მოყოლილი შარშანწინ: პირველად ყარაულად რომ ვიყავი და ღამით, ცა რომ განათდა, დავიყვირე – Небо горит-მეთქი... ვხედავდი, როგორ გაუფართოვდათ თვალები გამომცდელებს, მხოლოდ ანტონ თავზარაშვილი ხვდებოდა, რაშიც იყო საქმე... გავაგრძელე მოყოლა ომახიანად: მეთაურმა მიპასუხა: ты же караул, надо потушить! ვიფიქრე – გიჟია ეს ოხერი-მეთქი! – და ვუთხარი – Как потушить – большой огонь! – Подуй!-ო, – მითხრა და მერე, რომ მკითხა – სკოლაში დადიოდიო? – მაშინ გამახსენდა, ჩრდილოეთის ციალი, ასტრონომიის წიგნში რომ ეხატა და კი მივხვდი, ამ ციალმა რომ შემაშინა, მაგრამ არ გამოვტყდი: Я пошутил-მეთქი, – ვუთხარი... ჩემი მონაყოლით კმაყოფილნი დარჩნენ გამომცდელები; ალექსიძემაც რომ ჩაილაპარაკა – „და-და“-ო, – გავიფიქრე – გადავრჩი, ამას ნამდვილად დაავიწყდა პროზა-მეთქი... მერე, ეტიუდი შევასრულე. ქართულის წერაზე რომ გავდიოდი, სულ უცხო ბიჭმა მკითხა: თემები გაქვსო? – არა-მეთქი. – მე მოგცემო. წამიყვანა თავისთან, მიმასპინძლა, თემების „შპარგალკებითაც“ გამომიტენა ჯიბეები... დაწვრილებით იმიტომ გიამბობთ, რომ გაჩვენოთ, როგორ უანგაროდ მეხმარებოდნენ ჩემთვის უცნობი ადამიანები...

— აკაკი ხორავას თუ შეხვედრიხართ?

– გამოცდა რომ ჩავაბარე მსახიობის ოსტატობაში, ვიღაც ახოვანმა კაცმა ქოჩორი ამიჩეჩა (მაშინ ქოჩორი მქონდა...) და „ჯგირ ბოში რექ“-ო (კარგი ბიჭი ხარო), – მითხრა. ვიღაცამ მითხრა – ეს აკაკი ხორავაა. გავგიჟდი: გიორგი სააკაძის შემსრულებელი-მეთქი? – აბაო! დავედევნე. სანამ ის ლიფტით ჩავიდოდა მესამე სართულიდან, კიბით ჩავასწარი და ისევ წინ დავხვდი. მიხვდა ხორავა, ხელი გადამხვია და მკითხა – ოჩხომური ისევ მოდისო (ოჩხომური მდინარეც არის და სოფელიც)? – კი, ბატონო აკაკი-მეთქი. – „ჯგირ ბოში რექ“-ო, – კიდევ ერთხელ მითხრა და წავიდა... მთელი ღამე არ მიძინია. ასე მეგონა, აკაკი ოქროს გამოქვაბულში იჯდა და ეს თურმე, ჩვეულებრივად არ დადის ქუჩაში?!.



გავგიჟდი: გიორგი სააკაძის მემსრულებელი-მეთქი? – აბაო! დავედევნე. სანამ ის ლიფტით ჩავიდოდა მესამე სართულიდან, კიბით ჩავასწარი

— თქვენი სტუდენტობის დროს, რუსთაველზე ბევრი საინტერესო რამ ხდებოდა, არა?

– ძალიან! ხშირად, ჩხუბიც მოგვსვლია, მაგრამ – პატიოსანი ჩხუბი. ერთხელ, მილიციაშიც მოვხვდი ჩხუბის გამო. მილიციის უფროსი ბატონი ჯიმი მიქელაძე იყო. ამ პერიოდში, სპექტაკლი უნდა გვეთამაშა შოთა მიქელაძესთან. მოვიდა ბატონი შოთა და სთხოვდა თავის მოგვარეს, მილიციის უფროსს – გამატანე, რეპეტიცია აქვსო... იმ სპექტაკლშიც პატიმარს ვთამაშობდი. გავიდა დრო და ვითამაშე გამომძიებელი. ჯიმი მიქელაძე უკვე აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. გადამღები ჯგუფის წევრები ბათუმში მიგვიწვიეს. ბატონი ჯიმი სიტყვით გამოვიდა და ასე წარმადგინა: არაჩვეულებრივი ახალგაზრდა მსახიობი, ჩვენი სიამაყე გურამ ფირცხალავაო!.. სამადლობელი სიტყვა რომ ვთქვი, გავახსენე: გახსოვთ, ერთხელ დაჭერილი რომ გყავდით-მეთქი?.. ბევრი იცინეს.

— არტისტული ნიჭი, რომელიც თქვენს საუბარშიც ასე ძალუმად იგრძნობა, მოულოდნელი ხომ არ იყო თქვენი ოჯახისთვის?

– სულაც არა. ახლა რომ ვფიქრობ, დედაჩემს ნაკლები არტისტული ნიჭი კი არ ჰქონდა! რა დამავიწყებს?! – ერთხელ, სატირალში მივდიოდით; დედაჩემმა ისეთი მოთქმა დაიწყო, ცრემლი მომადინა – არადა, გზად ვიცინოდით კიდეც: გარდაცვლილი, ღრმად მოხუცებული ქალი იყო... იმას როგორ ვიფიქრებდი, რომ ასე ამატირებდა?!

— როცა გადაღლილი ხართ, რა გენატრებათ ყველაზე მეტად?

– ჩემი ფოთი, ჩემი ბავშვობა... ადრე, როგორც კი დავიღლებოდი, წავიდოდი ფოთში, ჩვენს ოჯახში და სიცოცხლე მემატებოდა. სამეგრელოში რომ ჩავალ, ცრემლი მებჯინება ხოლმე ყელში. მაგრამ რომ არ ბრუნდება ეს დალოცვილი წარსული?!. რას იზამ – ბევრი რამ არის სამწუხარო და საფიქრალი ცხოვრებაში... პირველად, კლასელი რომ გარდამეცვალა, მეგონა, მეც მოვკვდებოდი. მერე, მეორე კლასელი მიჰყვა, მერე მამაჩემი... მერე – ჩემი ძმა... უნდა აიტანო ყველაფერი და ისევ იცხოვრო... თანაც – ასე, ღიმილ-ღიმილით. შენი ტკივილი არ უნდა უჩვენო სხვას. ასე მჯერა... ■

მარი ჯაფარიძე



„საჭირო დიდი ხარ, ბაბად ჯაფარა...“

დღევანდელი „გზავნილების“ თემა გახლავთ ასაკობრივი სხვაობა შეყვარებულებს შორის. როგორც ჩანს, ძალზე მტკივნეულ თემას შევეხეთ, რადგან იმდენი „მესიჯი“ მივიღე, რომ სამ-ოთხ საჟურნალო წერილსაც თავისუფლად ეყოფოდა...

როგორც მკითხველთა უმრავლესობა მიიჩნევს, სიყვარულისთვის ასაკობრივი ზღვარი არ არსებობს. უამრავი ისეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რომელიც ადასტურებს, რომ ამ აზრს ბევრი ცნობილი ადამიანი იზიარებს – როგორც ქართველი, ასევე უცხოელი. წარსულში კი, მაღალი საზოგადოების წრეებში, მამისტოლა კაცზე გათხოვება ლამის დაუწერელ კანონად იყო ქცეული... ცნობილმა ესპანელმა ვიოლონჩელისტმა პაბლო კაზანსმა 55 წლის ასაკში თავის 17 წლის მოწაფეზე იქორწინა. სალვადორ დალისა და მის მეუღლეს, გალას შორის სხვაობა ათ წელზე მეტს შეადგენდა და ამჯერად, ქალი იყო უფროსი. დაახლოებით ამდენით უმცროსი იყო მეუღლეზე ვალსების მეფე – შტრაუსი. ჩარლი ჩაპლინსა და მის ბოლო, მეოთხე ცოლს შორის არსებული ოცდაათწლიანი განსხვავება ხომ საქვეყნოდაა ცნობილი. ლუჩანო პავაროტიმ სულ ახლახან იქორწინა 34 წლით უმცროს, ნიკოლეტა მონტოვანიზე... ასეთი წყვილები ცნობილ ქართველებს შორისაც გვხვდებიან. მაგალითად, ჭაბუა ამირეჯიბი 18 წლითაა უფროსი თამარ ჯავახიშვილზე; ვახუშტი კოტეტიშვილსა და მის მეუღლეს – მზექალა გოგოჭურს შორის ასაკობრივი სხვაობა 23 წელია; მომღერალსა და მოდელს, თიკა ფაცაციას თავისზე გაცილებით უფროსი ქმარი ჰყავს... ჩვენ განზრახ მხოლოდ ბედნიერ წყვილებს ვასახელებთ, თორემ, გაყრით დასრულებული ქორწინებაც არაერთი ვიცით... ახლა კი, ჩვენს მკითხველებს მოვუსმინოთ. პირველი რესპონდენტი, 21 წლის ანა გახლავთ, რომელიც 24 წლით უფროსი შეფის სიყვარულს შეუპყრია...

„...მას „მამის“ ვეძახი“

„სახელმწიფო უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ვარ. გავიზარდე კასპის რაიონში. თბილისში ნათესავის ბინაში მარტო ვცხოვრობ. მეორე კურსზე რომ ვიყავი, მამა გარდამეცვალა, დედამ ჩემი რჩენა ვერ შეძლო, ამიტომ სამსახურის ძებნა დავიწყე. მალე ვიშოვე კიდეც – ერთ-ერთი ორგანიზაციის დირექტორის თანაშემწედ მიმიღეს. ლექციებს ხანდახან ვესწრები, ძირითადად, სამსახურში ვარ. შეფი 45 წლის, სიმპათიური მამაკაცია. პირველი დანახვისთანავე მოვიხიბლე მისით, მაგრამ არ იფიქროთ, როგორც მამაკაცს, ისე ვუყურებდი – უბრალოდ, ვფიქრობდი, ყველა მამაკაცი ასეთი რომ იყოს, რაღა გვიჭირდა-მეთქი?.. თავიდანვე გაფრთხილებული ვიყავი, რომ განსაზღვრული სამუშაო საათები არ მექნებოდა და ვიდრე შეფი სამსახურში იქნებოდა, მეც იქ უნდა ვყოფილიყავი. შინ ზოგჯერ, ღამის 10-11 საათზეც მიწევდა მისვლა და ყოველთვის კახას (ასე ჰქვია ჩემს უფროსს) მძღოლს მივყავდი ხოლმე: ჯერ შეფს მიიყვანდა, მერე – მე. შემდეგ მოვიდა 8 მარტი და კახამ ძვირფასი სუნამო მაჩუქა. აპრილში ჩემი დაბადების დღეა. მითხრა – რესტორანში შევუკვეთ მაგიდას და რამდენი მეგობარიც გინდა, იმდენი დაპატიჟეო. მომერიდა, ვიუარე, მაგრამ უარი არ გამივიდა. მეორე დღეს, თვითონ მითხრა – ოცდაათ კაცზე შევუკვეთე პურმარილი და დროულად დაპატიჟე სტუმრებიო... რაღას ვიზამდი? ჩემი მეგობრები მოიხიბლნენ მისით. მეუბნებოდნენ, – ეგ კაცი ტყუილად არ გაირჯებოდა, მალე სიყვარულს აგიხსნისო. არ ვიჯერებდი, მაგრამ ჩემი თავი დავიჭირე იმაში, რომ გულში სწორედ ამაზე ვოცნებობდი... გავიდა ხანი და ერთ საღამოს, სამსახურში ათ საათამდე შემოვრჩით. შინ რომ წამოვედით, მანქანაში მძღოლი არ დამხვდა – საჭესთან კახა იჯდა, მე გვერდით მივუჯექი და ცოტა ხანში, მცხეთაში, რესტორანში ამოვყავით თავი. შემდეგ ძალზე დელიკატურად მიმანიშნა, რომ ჩემ მიმართ გრძნობა ჰქონდა. გავწითლდი, თავი დავხარე და სიტყვაც ვერ დავძარი. მაშინ მეტი არაფერი თქმულა. მეორე დღეს, ყავა რომ მოვუდუღე და კაბინეტში მივართვი, ხელზე ხელი მომიჭირა და მაიძულა, მისთვის თვალებში შემეხედა. დამფრთხალი გამოვვარდი ოთახიდან და მთელი დღე გონზე ვერ მოვედი. ამის შემდეგ, ჩემი მაგიდის უჯრაში ხან ყვავილი მხვდებოდა, ხან სასიყვარულო ბარათი, ხან სუნამო... ერთ დილას, თავის მაგიდაზე დავუტოვე განცხადება გათავისუფლების შესახებ და შინ წავედი. მომძებნა და სამსახურში დამაბრუნა. მე უკვე უძლური ვიყავი, მისთვის წინააღმდეგობა გამეწია, რადგან უზომოდ მიყვარდა... ერთი თვის შემდეგ, ჩემი უმანკოება მას ჩავაბარე და დღესაც ერთად ვართ. ბედნიერი ვარ და სულაც არ ვნანობ, რომ ასე მოვიქეცი. მართლა გულით ვუყვარვარ და ცდილობს, ყველანაირი პრობლემა მომიგვაროს. მე მას „მამის“ ვეძახი და სულ მიშლის – ასე ნუ მომმართავო. მამაჩემზე ორი წლით უმცროსია და რატომ უნდა სწყინდეს?.. იცით, პატარა ბიჭებზე როგორ ეჭვიანობს? მე კი სასაცილოდ არ მყოფნის, რადგან მის გარდა, არავინ მაინტერესებს. სამწუხა-*

რო მხოლოდ ის არის, რომ ცოლ-შვილი ჰყავს და ვერ დავქორწინდებით...“

„მამაშენი გამირიგე, რა...“

„მე დიანა ვარ, 30 წლის. ოჯახი რამდენიმე წლის წინ დამენგრა, რადგან შვილი არ შემეძინა და ქმარმა იფიქრა, რომ ამის მიზეზი მე გახლდით. „თელასის“ თანამშრომელი ვარ. ჩვენი ორგანიზაცია ყოველ ახალ წელს კარნავალს აწყობს და ყველა ფილიალის თანამშრომლები დღესასწაულს ერთად აღვნიშნავთ ხოლმე... ორი წლის წინ, კარნავალზე 23 წლის ნიკუშა გავიცანი. მაშინვე თვალი დამადგა (გარეგნულად ასე, 25-26 წლის გოგოს ვგავარ) და ჩემი ტელეფონის ნომერიც უპრობლემოდ გაიგო. შემდეგ „დამიმესიჯა“ და რამდენიმე თვის განმავლობაში, მხოლოდ ტელეფონით ვურთიერთობდით... ვიცოდი, რომ დედა გარდაცვლილი ჰყავდა, მამამისი კი, საკმაოდ წარმატებული ბიზნესმენი გახლდათ. ვეხუმრებოდი ხოლმე — მამაშენი გამირიგე-მეთქი — და ძალიან ბრაზდებოდა. უმცროსი ასაკის ბიჭები არასოდეს მომწონდა, ყოველთვის ჭკუადამჯდარი მამაკაცები მიზიდავდა... მამამისი ნიკუშას დაბადების დღეზე გავიცანი. ძალიან მომეწონა და იმის მერე უფრო ხშირად ვახსენებდი ხოლმე — ჰა, რას იზამ, გამირიგებ მამაშენს თუ არა-მეთქი? ერთ დღეს, ნიკუშამ უცნობი ნომრიდან დამირეკა. რომ ვკითხე, — ვისი ტელეფონით მირეკავ-მეთქი? — მიპასუხა — მამაჩემისო... მეორე დღესვე დავურეკე თამაზს და ვითომ სხვაგან მოვხვდი... შემდეგ თვითონ დამირეკა... რამდენიმე ხნის შემდეგ, ერთმანეთს შევხვდით... უკვე 7 თვეა, რაც ერთად ვართ და მალე დაქორწინდებით კიდეც. ფეხმძიმედ ვარ. თურმე, სულ ტყუილად მაბრალებდა ჩემი მეუღლე, რომ უშვილო ვიყავი. თამაზი 46 წლის გახლავთ და მის სიხარულს საზღვარი არა აქვს, რაც გაიგო, რომ შვილი გვეყოლება. ჩემი ყოფილი თაყვანისმცემელი კი, ჩემი გერი გახდება. მან უკვე ყველაფერი იცის და შეეგუა ჩვენს ურთიერთობას. ვფიქრობ, სწორად მოვიქეცი, როდესაც ჩემზე 7 წლით უმცროს შვილს, 16 წლით უფროსი მამა ვამჯობინე. ნიკუშა, მაპატიე, მაგრამ შენც ხომ აღიარე — ალბათ ასე ჯობდაო...“

რას გრძნობენ მამაკაცები, რომელთაც თავისზე გაცილებით უფროსი ცოლები ჰყავთ? მოსწონთ თუ არა, როცა მეუღლე მათ მიმართ დედობრივ მზრუნველობას იჩენს?..

თავის ამბავს 34 წლის შალვა მოგვითხრობს:

„დედა-შვილივით გამოვიყურებით...“

„ეჰ, რომ იცოდეთ, როგორ მტკივნეულ ადგილს „მიუკაკუნეთ“!.. ოცი წლის ვიყავი, როდესაც სამუშაოდ ერთ-ერთ ორგანიზაციაში მივედი. სულ მალე, თანამშრომელი ქალის მიმართ სიმპათია გამიჩნდა. ის ჩემზე 16 წლით უფროსი გახლდათ. მაღალი,მოხეული ტიპი ვარ და ყველას 5-6 წლით უფროსი ვეგონე, ვიდრე სინამდვილეში ვიყავი. მოკლედ, ამ ქალს ვეჩალიჩე და ბოლოს გამიმხილა — გაუთხოვარი ვარო... მაინც არ მოვერიდე და იმდენი ვქენი, ფიზიკურ კონტაქტზე დავითანხმე. ქალწული აღმოჩნდა... ერთი წლის შემდეგ, ბევრი ხვეწნა-მუდარის შედეგად, ცოლობაზე დავითანხმე. ოჯახმა ისეთი პრობლემები შემიქმნა, დღესაც, რომ ვიხსენებ, ტანში მზარავს. დედაჩემი მაშინ 41 წლის იყო, ჩემი საცოლე — 36-ის... ვერანაირმა წინააღმდეგობამ შედეგი ვერ გამოიღო და დავქორწინდით. ახლა ორი შვილი გვყავს... თავიდან, თითქოს არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა ჩვენ შორის არსებული ასაკობრივი სხვაობა, მაგრამ ახლა... მე 34 წლის ვარ, ის კი, უკვე 50-ის; დედა-შვილივით გამოვიყურებით... თანაც, წინათ მომწონდა, ჩემზე გადამეტებით რომ ზრუნავდა, ახლა ნერვები მეშლება, როცა მეუბნება — თბილად ჩაიცვი, არ გაცივდე, ჩაი დალიე, სამსახურში ისე არ წახვიდე, საბანი კარგად დაიფარე, არ გადაგეხადოს — და რა ვიცი, კიდევ ათასი რამ... თვალი პატარა გოგონებისკენ გამირბის, ცოლთან ერთად სადმე წასვლას ვერიდები. ვგრძნობ, რომ ისიც იტანჯება. სულ დიეტაზეა, ყველანაირად ცდილობს, ახალგაზრდული გარეგნობა შეინარჩუნოს, მაგრამ არ გამოსდის. ბავშვებიც უხერხულად გრძნობენ თავს და ბევრჯერ შემინიშნავს, რომ თავს არიდებენ იქ წასვლას, სადაც მთელი ოჯახი ერთად უნდა წავიდეთ... აი, ასეთ რთულ სიტუაციაში ვარ, საშველს კი ვერ ვხედავ. სულ სხვაა, როდესაც კაცი უფროსია ქალზე. გულახდილად გეტყვით, ეს ჩემთვის დიდი ტრაგედიაა...“

ცხოვრებაში ზოგჯერ ისეც ხდება, რომ შესაძლებელია, კაცს 15 წლით უმცროსი საცოლე ჰყავდეს, მან კი 5 წლით უფროს სასიდედროზე შეაჩეროს არჩევანი...

„...ცოლის მოყვანა არ მიწერია“

„გამარჯობათ, მე ბადრი გახლავართ. ახლა 40 წლის ვარ. ამბავი, რომელიც უნდა მოგიყვეთ, 5 წლის წინ მოხდა. 35 წლის ასაკს ისე მივაღწიე, ცოლი არ მყოლია. ერთ დღეს, მშვენიერი ხატია გავიცანი. ის მაშინ 20 წლის იყო. მომაჯადოვა მისმა გიშრისფერმა თვალებმა და თავგზა ამიბნია. ამხელა კაცი, პატარა ბიჭად მაქცია. ყოველგვარ სისულელეს ჩავდიოდი, რომ მისი თანაგრძნობა დამემსახურებინა. როგორც იქნა, მივაღწიე იმას, რომ მითხრა — არ მიყვარხარ, მაგრამ ცოლად გამოგყვებიო. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ საკმაოდ შეძლებული ვარ და იფიქრა, უზრუნველად იცხოვრებდა... ისე ვიყავი დაბრმავებული, რომ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. მეგობრები სულ მსაყვედურობდნენ ჩემი არჩევანის გამო, მაგრამ არაფერი მეყურებოდა. ერთ დღეს, ხატიამ მითხრა — დედაჩემს შენთან ლაპარაკი სურსო, შინ მივაკითხე. კარი ახალგაზრდა ქალმა გამიღო. მეგონა, რომ ხატია იყო, ისე ჰგავდა შვილს. ვისაუბრეთ. იქიდან წამოსულმა, ერთი ბოთლი არაყი ვიყიდე და მარტომ დავლიე, რადგან დაწვრილებით შევიტყვე, თუ როგორ დამცინოდა ჩემი საცოლე, როგორ ასმენინებდა მეგობრებს ჩვენს სატელეფონო საუბრებს, როგორ დადიოდა პაემანზე ვინმე კახასთან და კიდევ ათასი ისეთი წვრილმანი, რომელმაც ჩემს თავმოყვარეობაზე იმოქმედა... იმ ღამით გადავწყვიტე, რომ ნანაზე (ხატიას დედა) გადამეტანა ჩემი ყურადღება. ქმარს გაცილებული იყო, საყვარელი არ ჰყავდა და რაც ყველაზე მთავარი იყო, წყლის წვეთივით ჰგავდა შვილს... ამის შემდეგ 5 წელი გავიდა. მე და ნანა ვმეგობრობთ. უზომოდ ვუყვარვარ და მეც მიყვარს, მაგრამ ხატიას გულდაგულ ვუმალავთ ჩვენს ურთიერთობას. მას კი დღემდე უკვირს, რატომ გადავიფიქრე მისი ცოლად მოყვანა... როგორც ვატყობ, ცოლის მოყვანა არ მიწერია...“

ვფიქრობ, ცოლ-ქმარს შორის 24-წლიანი სხვაობა მეტისმეტად მოგეჩვენებათ, მაგრამ ჩემი მორიგი რესპონდენტი სულაც არ ფიქრობს ასე და მიუხედავად ცოლ-ქმრის თავზე დატრიალებული ტრაგედიისა, ერთურთის ერთგულებას ინარჩუნებს.

„არჩევანი არასოდეს მინანია...“

„როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ძალზე საინტერესო თემა შეგირჩევიათ. ჩემი მეუღლე ჩემზე 24 წლით უფროსია. თქვენ წარმოიდგინეთ, ცოლად რომ გავყევი, არ მიყვარდა. არც ფიზიკურად მიზიდავდა მაინცდამაინც. ის კი ჩემზე გიჟდებოდა და მოსვენებას არ მაძლევდა. მთხოვნელი ბევრი მყავდა, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, დათოს გავყოლოდი ცოლად, ვიფიქრე – ასე ძალიან ვუყვარვარ და შეუძლებელია, მის გვერდით ბედნიერი არ ვიყო-მეთქი. თანაც, საკმაოდ განათლებული და ჭკვიანი პიროვნება იყო. გავყევი და არჩევანი არასოდეს მინანია. ძალიან მალე ისე შემაყვარა თავი, რომ მის გარეშე ცხოვრება ვერც კი წარმომიდგენია, – მიუხედავად იმ დიდი ტრაგედიისა, რომელიც ჩვენი შეუღლებიდან 4 წლის შემდეგ დატრიალდა ჩვენს თავს. დათო ინჟინერია და მშენებლობაზე მუშაობისას, ბეტონის ფილა დაეცა, რის გამოც სამუდამოდ მიეჯაჭვა სავარძელს. ამის გამო, მხოლოდ ერთი შვილის ყოლა მოვასწარით. უკვე 16 წელია, მას ვუვლი და ერთი წუთითაც არ მიფიქრია მისი მიტოვება... მიუხედავად ყველაფრისა, უზომოდ ბედნიერები ვართ! მე დღესაც თავისუფლად შემიძლია, მეორედ გავთხოვდე (38 წლის ვარ, ასაკი არ მეტყობა), მაგრამ ეს არასოდეს მოხდება, რადგან ჩემი დათო ამას არ იმსახურებს და უზომოდ მიყვარს... აი, რა შეუძლია სიყვარულს. ის 24-წლიანი სხვაობა კი, რომელიც ასე ბევრი მეჩვენებოდა გათხოვებამდე, მერე აღარც გამხსენებია, რადგან უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს ჩემზე გამოცდილი და ცხოვრებანანახი მამაკაცის გვერდით ყოფნა. პატივისცემით, ლალი მაისურაძე“.

დაბოლოს, ტრადიციისამებრ მოკლე „მესიჯები“.

„რა ვქნა, როგორ გავიზარდო?..“

„ძალიანაც ვამყობ ჩემი 30 წლის ქმრით. ძალიან მიყვარს და თავსაც კარგად ვგრძნობ მასთან. თანაც, მის გვერდით ყოველთვის ახალგაზდა ვიქნები... ხომ მაგარია?“

„მიყვარს ბიჭი, რომელიც ჩემზე 10 წლით უფროსია და ვფიქრობ, ამის გამო იკავებს თავს. გია, ნუ გეშინია, არ შეგჭამ. გთხოვ, გაბედე და მოდი. მიყვარხარ. დარდიანი ხ.“

„ის ჩემზე მხოლოდ 6 წლითაა უფროსი და ბავშვს მეძახის. არადა, ორი წელია, უშედეგოდ მიყვარს. რა ვქნა, როგორ გავიზარდო? სოფო“.

„ჩემი დეიდაშვილი თავისზე 16 წლით უფროსს გაჰყვა. მათ ორი ვაჟი ჰყავთ და თავს ძალზე ბედნიერად გრძნობენ. მიმაჩნია, რომ ბევრად უფროსი მამაკაცი უფრო ბედნიერად გაცხოვრებს, ვიდრე უმცროსი. თუმცა, სიყვარულმა ხომ ასაკი არ იცის. ანასტასია“.

„ჩემი ქმარი ჩემზე 17 წლით უფროსია. თავიდან კომპლექსი ჰქონდა – შენ გვერდით თავი ბიძა მგონიაო, – მაგრამ მერე გაუარა. მე კი საერთოდ ვერ ვგრძნობ განსხვავებას. გოგონებს მოვუწოდებ – 19-20 წლის ბიჭებს, 30-35 წლის, ჭკუადამჯდარი კაცები სჯობს. დამიჯერეთ, საკუთარი გამოცდილებით ვიცი“.

„ჩემს მშობლებს შორის განსხვავება 25 წელია. ის ჩემი მამობილია. თავიდან ვერ ვიტანდი, მაგრამ რაღაც მომაჯადოებელ ძალას ფლობს და ახლა, მამაზე მეტად მიყვარს“.

„ეგ ვაჟკაცური ტემპი გიხდება და საფეთქლებთან თმები ჭაღარა, რომ შემოგხედავ, გული მიკვდება, საქმროდ დიდი ხარ, მამად – პატარა“. ნუკრი აბაშიძე მიყვარხარ! 37 წელი არაფერია. ჯერ ყველაფერი წინაა. ცხოვრება მშვენიერია. მინდა, ხელახლა სცადო ჩემთან ერთად... გაგვიმართლებს...“

„ჩემი შეყვარებული ჩემზე 12 წლით უფროსია, მაგრამ ის ერთადერთია, ვისთვისაც სიცოცხლე ღირს. ჩვენ მშვენივრად ვუგებთ ერთმანეთს. გია, მიყვარხარ. ქეთი, ლაგოდეხი“.

„მარი, არ ვიცი, რა მეშველება. ჩემზე 15 წლით უფროსი ბიჭი მიყვარს. მან ცოლობა მთხოვა. რა ვქნა? თაკო“.

„მიყვარს კაცი, რომელიც, ჩემზე 18 წლით უფროსია. დაიწვას ის დღე, როცა გავიცანი. ლია, ქუთაისი“.

„ჩემი აზრით, ასაკობრივი სხვაობა უმნიშვნელო დეტალია. მთავარია, გაგება და სიყვარული. ანზორი ჩემზე უმცროსია და ჩემი ოჯახი დიდ წინააღმდეგობას მიწევს. მე კი, ამ დიდი სიყვარულის გარდა, არაფერი მაინტერესებს. ანზორ, ჩემთვის სულერთია, შენ რამდენი წლის ხარ, სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ და ცოლადაც გამოგყვები. ს“.

„ვარ 28 წლის, ჩემი მეგობარი 42 წლისაა. უზომოდ გვიყვარს ერთმანეთი, მაგრამ ბევრ რამეში ვერ ვუგებთ. სულ მეუბნება – როდის გაიზრდებიო?! მე მაინც მიყვარს ჩემი „ბანდალა“. შენი გვრიტი“.

„ბედნიერ და ნამდვილ ქალად ვგრძნობ თავს, რაც ჩემი ცხოვრების თანამგზავრად 18 წლით უფროსი მამაკაცი მყავს. გოჩი, გკოცნი“.

„რა უბედურებაა! ამ ბოლო დროს, ვინც სიყვარული ამიხსნა, ყველა 7 წლით უფროსია ჩემზე, ყველა 24 წლისაა და ყველა ერთგულებას მეფიცება. მე კი, მხოლოდ ერთი შავთვალა კახელი მიყვარს და ისიც 24 წლისაა. 17 წლის, გადარეული მ.“

„მინდა, ყველამ გაიგოს, რომ ძალიან მიყვარს ნატო კაპანაძე. რატომ არ სჯერა, არ ვიცი. მერე რა, რომ ცოლი მყავს? ნატო, ცოლს ვეყრები და ნახავ, თუ ჩემი არ გახდები! რომ შეიძლებოდეს, საქვეყნოდ ვიყვირებდი, რომ სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ. წარმოიდგინეთ, ცოლის გვერდით ვწევარ და მასზე ვფიქრობ, რომელიც ჯერ ბავშვია, მე კი 28 წლის ვარ“.

„მარი, შენი დახმარება მჭირდება. ამ რამდენიმე დღის წინ, რკინიგზის სადგურზე ვიყავი. ბათუმის მატარებელში ერთი გოგონა შევნიშნე და უზომოდ მომეწონა. მატარებლის გასვლამდე მოვასწარი და კალების თაიგული მივართვი... შეუძლებელია, იმ გოგონას არ ვახსოვდე... იქნებ, წაიკითხოს ეს „მესიჯი“ და შენი საშუალებით გამომეხმაუროს ან დამირეკოს იმ ნომერზე, რომელიც ყვავილებთან ერთად დავუტოვე. ვანო“.

„პატარა ლიზის! ჩემო სიყვარულო, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ჟურნალის ფურცლებიდანაც ვეცდებოდი შენ მიმართ სიყვარულის გამჟღავნებას. გახსოვდეს: პეპლის ლამაზი და საინტერესო სამდღიანი სიცოცხლე, ყვავის სამასწლიან ძაღლუმადურ და ერთფეროვან ცხოვრებას სჯობს. გახსოვდეს, რომ ბედნიერების საზომი, ძლიერი სიყვარული და მასზე აღმოცენებული ლამაზი ურთიერთობაა, რომლითაც სავსე იქნება ჩვენი თანაცხოვრება (თუკი იგი საერთოდ შედგა). ჩვენ შორის არსებულ 19-წლიან სხვაობას შენ ტრაგედიად აღიქვამ. მიეცი გულს უფლება, იბატონოს გონებაზე და მომეცი ნება, რომ ბედნიერი გაგხადო. მიყვარხარ. შენი „ბუზღუნა“.

ამჯერად ასეთ რომანტიკულ ნოტაზე დავასრულოთ „გზავნილები“. რუბრიკის მომდევნო თემა იქნება: როდის ტირიან მამაკაცები? გამოგზავნეთ „მესიჯები“ ტელეფონის ნომერზე: 8(77)45.68.61. მომავალ ხუთშაბათამდე გემშვიდობებით.

■

მსოფლიოში ყველაზე სექსუალური ქსოვილი

ატლასი ძვირად ღირებულ და სადღესასწაულო ქსოვილად ჯერ კიდევ 800 წელზე მეტი ხნის წინ იყო აღიარებული. ამასთან, მაშინ სიტყვა „ატლასი“ მარტოოდენ იმ უნიკალურ ქსოვილს ეწოდებოდა, რომელსაც დიდი აბრეშუმის გზაზე მდებარე ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტში — სინძანში აწარმოებდნენ, დღეს მას ნებისმიერ, პრიალაზედაპირიან ქსოვილს უწოდებენ.

ატლასი (არაბულად — გლუვი) ევროპაში XV საუკუნეში შემოიტანეს. ატლასმა უმალ მიიპყრო ევროპელი ქალების ყურადღება და აღმოსავლელმა ვაჭრებმაც დიდი ქალაქების დახლები ნაირ-ნაირი პრიალა ქსოვილით აავსეს. თანდათანობით, როგორც ქალაქში, ისე პროვინციაში მცხოვრებმა ქალბატონებმა ისწავლეს მაღალი და შედარებით დაბალი ხარისხის ატლასის ერთმანეთისაგან გარჩევა, ძვირად ღირებულისაგან გამოსასვლელ ტანსაცმელს იკერავდნენ, ხოლო ზუბუნის (მამაკაცის მოკლე ახალუხი), წაღების, საბნებისა და ფარდების შესაკერად, იაფფასიან ქსოვილს იძენდნენ. საკმაო ხნის მანძილზე, ევროპული ატლასი ჩინურსა და ირანულზე გაცილებით ნაკლებად ფასობდა.



სადღეისოდ, ასეულობით სახეობის ატლასი არსებობს, ხოლო თუ მათ ბრჭყვიალაზედაპირიან ხელოვნურ ქსოვილებსაც დავუმატებთ (დღესდღეობით ისინიც ატლასად იწოდება), მაშინ მათი რიცხვი 1000 მდე გაიზრდება. ახლა ატლას ყველგან ამზადებენ, სადაც კი ს ფეიქრო წარმოებაა განვითარებ ლი.

მაშ, რაშია ამ ქსოვილის მთ ვარი ხიბლი? იქნებ იმაში, რო უძველესი დროიდან მას ყველაზ სექსუალურ ქსოვილად მიიჩნევენ უდავოა, რომ ატლასის სამოსელ ში გამოწყობილი ქალი ყოველთვი რომანტიკულად გამოიყურება, რად გან მისი სხეულის ნაკვთებს ბრჭ ყვიალა ტანსაცმელი განსაკუთრ ბულ მონახაზს ანიჭებს. ამას არ მარტო მოდელიერები, არამედ - მხატვრები, პოეტები და სხვა, ნა ლებად რომანტიკული პროფესიე

| ქართველი გლეხის ტყავის ფეხსაცმელი | | |

ბის წარმომადგენლებიც კი ამჩნევენ.

მაღალი მოდის 100-წლიანმა გამოცდილებამაც დაადასტურა, რომ ატლასი შეუცვლელია. **Haute Couture**-ის არც ერთი კოლექცია არ შესრულებულა ამ კეთილშობილური ქსოვილის გარეშე. დიზაინერები მას არა მარტო ტანსაცმლისთვის, არამედ მის გასაწყობადაც აქტიურად იყენებენ (მაგალითად, ატლასის ლენტი და კანტები წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი ყველაზე შესამჩნევი დეტალია).

ტომ ფორდმა **Yves Saint Laurent Rive Gauche**-ს სახლისთვის შექმნილ თავის ბოლოსწინა კოლექციაში (ამერიკელი დიზაინერი 2003 წლის ბოლოს, თანამდებობიდან გადადგა) ამპირული სტილის, კაბების საკუთარი ინტერპრეტაცია ატლასისგან წარმოადგინა, რომელიც ძალზე ღრმა დეკოლტეთი და გამომწვევი ჭრილებით გამოირჩევა. დონატელა ვერსაჩე მასთან შედარებით, საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება. მისი გამომწვევად შემოტმასნილი კაბები კორსეტის არეში ატლასის ლენტებითაა გაწყობილი, რაც სამოსის მთავარ სამშვენისად მიიჩნევა. დეტალებს არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს ელბაზიც (**Lanvin**-ის კოლექცია). აღსანიშნავია, მაიკლ კორსას (**Celine**-ს კოლექცია) ატლასის სიკაშკაშე, რომელიც საოცრად ეხამება საღამოს ჩაცმულობას.

თანამედროვე მოდამ ატლასს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც შეუცვალა ფუნქცია: თუ ადრე მისგან შეკერილი ტანისამოსი მხოლოდ და მხოლოდ საღამოსთვის იყო განკუთვნილი, ახლა მოდელიერებმა წელამდე სიგრძის სპორტული ქურთუკებიც კი შექმნეს. მათ, როგორც ვიწრო შარვლებზე, ისე საკმაოდ რომანტიკულ ქვედაკაბებზეც იცვამენ. დიზაინერების აზრით, ასეთი სპორტული ტანსაცმელი ძალზე ეფექტურია. მათივე აზრით, დღეს სრული საფუძველი გვაქვს, მეტი მნიშვნელობა მივანიჭოთ ყოველდღიურ ტანსაცმელს და აქედან გამომდინარე, ისეთ ძვირად ღირებულმა ქსოვილმა, როგორიცაა ატლასი, ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში უფრო შესამჩნევი ადგილი უნდა დაიმკვიდროს. „ყოველდღიურ ატლასის სამოსს ერთი უცილობელი ღირსება აქვს „კონკურენტ“ ქსოვილებთან შედარებით — იგი საოცრად პრაქტიკულია, და ამის წყალობით, შეიძლება ორი სრულიად განსხვავებული სტილის შექმნა. სწორედ ასეთი პრინციპით იქმნება დღეს ამ შესანიშნავი ქსოვილისგან საკმაოდ მოკრძალებული ფასონის უამრავი კაბა და კოსტიუმი. ამგვარად, თუ მას მაღალქუსლიან ფეხსაცმელს შევუხამებთ, საღამოს სამოსს მივიღებთ, ხოლო ჩვეულებრივი ფეხსაცმლის ან ჩექმის შემთხვევაში — ყოველდღიურს.

ყოველივე ამის შედეგად, წარმოშობით ჩინური, სახელგანთქმული ქსოვილის გამოყენებისას დიზაინერები ორ დიდ ჯგუფად დაიყვნენ: ზოგი რთულ გზას დაადგა (მათ ატლასისგან დეტალების შექმნას მიჰყვეს ხელი), ზოგი კი — მარტივს, ტრადიციულს ამჯობინებს. ეს უკანასკნელნი ირწმუნებიან, რომ ამ სადღესასწაულო ქსოვილს არანაირი დანამატი ან სამშვენისი არ ესაჭიროება, რასაც ალბათ, სილამაზის მოყვარული ბევრი ქალბატონი დაეთანხმება...

| ის ი | | |

მიცვალებულთა კერძო და საყოველთაო მოხსენიება

ეკლესიური სწავლებით, მიცვალებულთათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მათი ახლობლებისა და ეკლესიის ლოცვას. ამიტომ დადგენილია მიცვალებულთა მოსახსენიებელი დღეები. არსებობს კერძო და საზოგადო მოხსენიება. მიცვალებულთა კერძო მოხსენიება ხდება გარდაცვალებიდან მესამე, მეცხრე და მეორმოცე დღეს, ასევე — წლისთავზე.

შორენა მერკვილაძე

რატომ ხდება გარდაცვლილთა მოხსენიება მესამე, მეცხრე და მეორმოცე დღეს?

გარდაცვლილთა მოხსენიება გარდაცვალებიდან მესამე დღეს, მოციქულთა ხანიდან მომდინარეობს. გარდაცვლილის სულს მესამე დღეს იხსენიებენ იმის გამო, რომ ის მოინათლა წმინდა სამების სახელით. გარდა ამისა, ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ მიცვალებულს ჰქონდა სამი „სახარებისეული" ნეტარება — რწმენა, იმედი და ნეტარება, ასევე იმაზეც, რომ გარდაცვლილი წარმოადგენდა სულს, სამშვინველსა და სხეულს. ამასთანავე, გარდაცვალების მესამე დღეს ადამიანის მოხსენიებას აქვს საიდუმლო მნიშვნელობა, რომელიც სულის იმქვეყნიურ მდგომარეობას ეხება. ეკლესიური სწავლებით, გარდაცვალებიდან ორი დღის განმავლობაში, სული იმყოფება დედამიწაზე, მესამე დღეს კი, უფლის ნებით — რომელიც მესამე დღეს აღდგა მკვდრეთით — გარდაცვლილის სული ანგელოზებს აჰყავთ ზეცაში და პირველად წარადგენენ ღვთის წინაშე, მისთვის თაყვანსაცემად. ამ დროს საჭიროა, გარდაცვლილის სულისთვის ლოცვა, რადგან ლოცვით, მიცვალებულის სულს უმსუბუქდება მწუხარება, რომელსაც გარდაცვალების გამო გრძნობს.

გარდაცვალებიდან მეცხრე დღეს უფლის წინაშე კვლავ წარდგება სული, რომელსაც ანგელოზებმა უკვე უჩვენეს სამოთხის მშვენიერება. შემდეგ, გარდაცვლილის სული მიჰყავთ ჯოჯოხეთში, სადაც იხილავს, თუ როგორ იტანჯებიან ბოროტი ადამიანების სულები. გარდაცვალებიდან მეცხრე დღეს, წმინდა ეკლესია ლოცულობს და უსისხლო მსხვერპლს სწირავს მიცვალებულისთვის.

გარდაცვალებიდან მეორმოცე დღე, გარდაცვლილის პირადი სამსჯავროს დღე გახლავთ — ე.ი. სული წარდგება უფლის წინაშე, გასამართლდება და ამის შემდეგ მიეჩინება ადგილი — სამოთხეში ან ჯოჯოხეთში. როგორც მაცხოვარმა სძლია ეშმაკს მას შემდეგ, რაც უდაბნოში ორმოცი დღე და ღამე, მარხვასა და ლოცვაში გაატარა, ასევე წმინდა ეკლესია ორმოცი დღის განმავლობაში ლოცულობს და გამოითხოვს ღვთის მადლს მიცვალებულისთვის, რათა სძლიოს ბოროტ ძალას და დამკვიდრდეს ცათა სასუფეველში.

რა მნიშვნელობა აქვს წლისთავს?

ქრისტიანის გარდაცვალების დღე ახალი, უკეთესი ცხოვრებისთვის დაბადების დღეს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ ვიხსენიებთ გარდაცვლილს წლისთავზე. კარგია, თუ ახლობლები ყოველწლიურად აღნიშნავენ გარდაცვალების დღეს, რადგან ამ ქმედებით მიცვალებულის სულს მივანიჭებთ ლხენასა და სიხარულს.

გარდა კერძო მოხსენიებისა, მიცვალებულთათვის ლოცვით მოხსენიება ხდება: „მწუხრზე", „ცისკარსა" და „საღმრთო ლიტურგიაზე". მიცვალებულთათვის სალოცავად დაწესებულია შაბათი დღეც, მაგრამ წმინდა ეკლესიის მიერ დადგენილია განსაკუთრებული — მოხსენიების დღეები, როდესაც ხდება გარდაცვლილთა საყოველთაო მოხსენიება და აღევლინება საგანგებო — მიცვალებულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი. ასეთი დღეებია: ხორციელის შაბათი; დიდმარხვის მეორე შაბათი; დიდმარხვის მესამე შაბათი; დიდმარხვის მეოთხე შაბათი; თომას კვირის სამშაბათი; სულთმოფენობის წინა შაბათი; დიმიტრის შაბათი.

სულის მოსახსენიებელი დღეებიდან, ზოგი მოძრავია, ზოგიც — უძრავი, ამიტომ თარიღები უნდა დავადგინოთ ეკლესიის მოძღვართან ან საეკლესიო კალენდრის მიხედვით.

ხორციელის შაბათი — ამ დღეს გარდაცვლილთა საყოველთაო მოხსენიება წმინდა მამებმა შემდეგი მიზეზის გამო დააკანონეს: მრავალი ადამიანი კვდება არაბუნებრივი სიკვდილით და ამდენად, მოკლებულია დაწესებულ, „ფსალმუნთა" კითხვას და ლოცვებს. სწორედ ამიტომ დაწესდა ხსენების საყოველთაო დღეები, რათა სადაც და როგორ ვითარებაშიც არ უნდა აღესრულოს ადამიანი, ის არ დარჩეს ეკლესიის ლოცვის გარეშე. ხორციელის შაბათი ამ მიზნით იმიტომ შეირჩა, რომ მეორე დღეს — ყველიერის კვირას, წმინდა ეკლესია ისხენიებს ქრისტეს მეორედ მოსვლას. ამიტომ ამ დღის დამდეგს, უნდა ვილოცოთ, რომ ღმერთმა შეიწყალოს მიცვალებულები მეორედ მოსვლის ჟამს. ზოგიერთ ტაძარში, ხორციელის შაბათს, სამეუფო კარის წინ დგამენ მაგიდას და მასზე ათავსებენ ჯვარცმას, ჯვარცმის წინ კი, სანთლები ინთება.

დიდმარხვის მეორე, მესამე და მეოთხე შაბათი — დიდმარხვაში ადამიანმა მომეტებულად უნდა იზრუნოს გარდაცვლილთათვის. დიდი მარხვის პერიოდში, ყოველდღიურად არ ხდება გარდაცვლილთა მოხსენიება საეკლესიო მსახურების დროს, რადგან მოხსენიება უკავ-

შირდება საღმრთო ლიტურგიას, რომელიც დიდი მარხვის დროს ყოველდღიურად არ აღესრულება. ამიტომაა დაწესებული მიცვალებულთა საყოველთაო მოხსენიებისთვის დიდმარხვის მეორე, მესამე და მეოთხე შაბათი.

კვირაცხოვლობის (თომას კვირის) სამშაბათი — თომას კვირის სამშაბათს მიცვალებულთა მოიხსენიებას საფუძვლად უდევს ის, რომ თომას კვირაში იხსენიება იესო ქრისტეს ჯოჯოხეთში ჩასვლა. ამ დღეს, ქრისტიანი უნდა გავიდეს ახლობელთა საფლავებზე, გაიტანოს წითელი კვერცხი და მიცვალებულებს ქრისტეს აღდგომა ახაროს.

დიმიტრის შაბათი — დაწესებულია რუსი მთავრის — წმინდა დიმიტრი დონელის მიერ. თავდაპირველად, ამ დღეს, მხოლოდ მართლმადიდებელ მებრძოლებს იხსენიებდნენ. 1380 წელს, კულიკოვოს ველზე გამარჯვების შემდეგ, დიმიტრი დონელი დალოცა სერგი რადონეჟელმა. დიმიტრიმ კულიკოვოს ბრძოლაში დაღუპული მებრძოლები მოიხსენია სამების სავანეში და შემდეგ, შესთავაზა, წმინდა დიმიტრის ეკლესიას, რომ ყოველწლიურად, დიმიტრის შაბათს (8 ნოემბრის წინა შაბათს) მოეხსენიებინათ დაღუპული მეომრები, რაც შემდგომში, სრულდებოდა კიდეც.

სულთმოფენობის წინა შაბათი — მიცვალებულთა მოხსენიება ამ დღეს, მოციქულთა დროიდან მომდინარეობს. ამის შესახებ საუბარია მოციქულთა დადგენილებებში.

რატომ ვამზადებთ მიცვალებულთა მოხსენიების დღეებში საკურთხს?

მიცვალებულთა მოხსენიების დღეებში, ჭირისუფალი მიცვალებულის სახელზე ამზადებს ტაბლას ანუ საკურთხს, რომელიც უნდა წაიღოს ტაძარში. ტაბლაზე აუცილებლად უნდა იყოს წანდილი, ღვინო და ზეთი. სხვა პროდუქტები ადამიანმა შეიძლება შემატოს საკუთარი სურვილის და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მთავარია, მარხვაში დამზადდეს სამარხვო პროდუქტები, ხსნილში — სახსნილო. ტაბლას ჭირისუფალი მიიტანს ეკლესიაში, სადაც მღვდელი მიცვალებულის სახელზე აღასრულებს პანაშვიდს (საყოველთაო მოხსენიების დღეებში საყოველთაო პანაშვიდი აღესრულება). ტაბლა უნდა შევწიროთ ეკლესიას, რაც დიდი მადლია მიცვალებულის სულისთვის. ■

რატომ „დასვა“ შაჰმა საიმქვეყნო ნიშანი მასთან დახლოებულ ალავერდი-ხან უნდილაძეს

მისი დანახვისთანავე შაჰმა თავის მხლებლებს გადაულაპარაკა: ალავერდი-ხანს საიმქვეყნო პირი უჩანსო — რადგან მას სახეზე სისუსტისა და უძლურების ბეჭედი ესვა. ამ შეხვედრიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ფარსის ამირთა-ამირა ავად გახდა და მალევე გარდაიცვალა...

ნათია ფსუტური

ირანის პოლიტიკურ სარბიელზე არასოდეს ყოფილა იმდენი ქართველი, რამდენიც შაჰ-აბას პირველის ზეობის დროს (1587-1612 წწ.) მოღვაწეობდა. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ადგილი ეკავა უნდილაძეთა ფეოდალურ სახლს, რომლის წარმომადგენლებიც იყვნენ ალავერდი-ხანი და მისი ვაჟები — იმამყული-ხანი და დაუდ-ხანი.

ალავერდი-ხანი ირანის სამეფო კარზე მოღვაწე უნდილაძეთა პირველი და ყველაზე სახელოვანი წარმომადგენელი იყო. ის შაჰის მერე მეორე კაცად გახლდათ მიჩნეული. პორტუგალიის ელჩთან, ანტონიო გოვეასთან საუბრის დროს შაჰ-აბას I-ს უთქვამს: მთელი სპარსეთი მე მემორჩილება, მე კი — ალავერდი-ხანსო.

ისტორიოგრაფიას ცალსახა პასუხი არა აქვს კითხვაზე, თუ როგორ მოხვდა ის ირანში — არსებობს ამის რამდენიმე ვერსია. პროფესორ ვალერიან გაბაშვილის მტკიცებით, ალავერდი-ხანი და მისი წინაპრები ქართლის ფეოდალურ წრეს მიეკუთვნებოდნენ.

შაჰ-აბასი შევარდენით
XVII ს-ნის სპარსული მინიატურა

ირანის პოლიტიკურ და სამხედრო სარბიელზე კი, ალავერდი-ხანი დაწინაურდა შაჰ-აბას პირველის მეფობის დროს. ამას ხელი შეუწყო, როგორც მისმა პიროვნულმა ღირსებებმა, ასევე იმხანად ირანში შექმნილმა პოლიტიკურმა პირობებმა. შაჰმა გამეფებისთანავე, ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება დაისახა მიზნად. ამისათვის კი საჭირო იყო, მეტისმეტად აღზევებული ყიზილბაშური ტომების მეთაურთა — ამირთა გავლენის შესუსტება. ძირითად იარაღად ამ ბრძოლაში მან კავკასიური წარმოშობის მეომრებისა და სარდლების გამოყენება გადაწყვიტა.

შაჰ-აბასმა დიდი ყურადღება მიაპყრო ყულის ჯარს (ყული—მონა—შაჰის პირადი გვარდიის ჯარისკაცი), რომელიც გამაჰმადიანებული ქრისტიანებისაგან, მათ შორის — ქართველებისგან ყალიბდებოდა. მიღებული წესის თანახმად, ყულარაღასი (შაჰის პირად მცველთა მეთაური) უეჭველად ქართველი უნდა ყოფილიყო. XVII ს-ის დამდეგს, ალავერდი-ხანი ახალშექმნილი ყულის ჯარის პირველი ყულარაღასი გახდა.

1601 წ. ალავერდი-ხანმა დიდი სამსახური გაუწია ირანის სამეფო კარს: მან ხელთ იგდო ლარსის ვილაიეთი, ომანის ზღვის სანაპირო ზოლთან ერთად, აგრეთვე ბაჰრეინის კუნძულები სპარსეთის ყურეში, რამაც შაჰს საშუალება მისცა, აბრეშუმი თურქეთს გვერდის ავლით გაეტანა ევროპაში, რითიც სპარსეთის მთავარ მტერს მნიშვნელოვნად შეუმცირა საბაჟო შემოსავალი. 1603-1612 წწ, ირან-

დაუდ-ხანი (კასტელი)

ოსმალეთის ომის დროს კი, ალავერდი-ხანმა სულთნის სამხედრო ძალებზე რამდენიმე დიდი გამარჯვება იზეიმა. ბუნებრივია, მან განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა შაჰის კარზე. სპარსელი ისტორიკოსის ნასროლა ფალსაფის გადმოცემით: „შაჰ-აბასი ალავერდი-ხანს ყველა სხვა დიდ სარდალზე მეტად აფასებდა და ასაკით გაცილებით უფროსს, განსაკუთრებული პატივით ეპყრობოდა. იგი კარგად შეიარაღებული და ომში გამოწრთობილი ოცდაათიათასიანი ცხენოსანთა ჯარით ირანის სამხრეთით მდებარე ყველა ვილაიეთზე, სპარსეთის ყურის სანაპიროსა და კუნძულებზე მბრძანებლობდა. შაჰ-აბასი დიდი ომებისას, რომელსაც ოსმალეთთან აწარმოებდა, უმთავრესად, სწორედ ალავერდი-ხანის სამხედრო ძალას ეყრდნობოდა“.

შაჰის პირველ ყულარაღასს იცნობდნენ აგრეთვე, როგორც ქველმოქმედს. მისი ხარჯით ყოფილა მოხატული ისფაჰანში ჩეჰელ-სუთუნის სასახლის ზოგიერთი კედელი, ფრესკებს შორის კი, მნახველთა თქმით, ქართული წარწერებიც ყოფილა. ალავერდი-ხანის მიერ ისფაჰანში აგებული ხიდი დღესაც მოქმედია და მასშტაბებით, მნახველთა გაოცებას იწვევს.

1613 წლის ზაფხულში ალავერდი-ხანი მოულოდნელად გარდაიცვალა. მისი სიკვდილის მიზეზი იმთავითვე ბურუსით იყო მოსილი და დიდი მითქმა-მოთქმის საგანი გახდა. ამის გამო, მრავალი ლეგენდა გავრცელდა. ერთ-ერთის მიხედვით, გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, იმ პიროვნებისათვის, რომელსაც ალავერდი-ხანის აკლდამის მშენებლობა ჰქონდა დავალებული, ყულარაღასს უკითხავს, თუ როდის დასრულდებოდა სამუშაო. მშენებელს უპასუხია: მაღალი გუმბათი და აივანი, სადაც სამარხი უნდა მოეწყოს, დასრულებულია და თქვენს მობრძანებას ელისო... ამ საუბრის დამსწრეთ, დაუფიქრებლად წამოსროლილი პასუხისათვის მწარედ განუკითხავთ მშენებელი. თავად ალავერდი-ხანი კი გამოსარჩლებია მას და უთქვამს — ეს სიტყვები მას ზებუნებრივმა ძალამ შთააგონაო... მართლაც, ის ამ ინციდენტიდან ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა.

საგულისხმო ცნობა აქვს მოცემული შაჰ-აბას პირველის მემატიანეს, ისქანდერ მუნშს. მისი მონათხრობით, ირანის მბრძანებელი ფარახაბადიდან ისფაჰანში ბრუნდებოდა.

ალავერდი-ხანი მის შესახვედრად ფარსიდან სპარსეთის სატახტო ქალაქში ჩავიდა. სწორედ ამ შეხვედრისას წარმოთქვა შაჰმა საბედისწერო სიტყვები — ალავერდი ხანს საიმქვეყნო პირი უჩანსო...

რატომ „აღბეჭდა“ შაჰმა თავისი ერთერთი ყველაზე დაახლოებული პირის სახეზე სისუსტისა და უძლურების საიმქვეყნო ნიშანი? ეს იმხანად საიდუმლოდ დარჩა.

იმავე ისტორიკოსის ცნობით, ალავერდი-ხანი 1613 წლის 3 ივნისს გარდაიცვალა. საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობა კი შაჰ-აბას პირველმა 1613 წლის ოქტომბერში მოაწყო. აღმოსავლეთმცოდნე მიხეილ სვანიძის აზრით, ამ ორ ფაქტს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს. მისი ვერსია ასეთია: „1612 წლის 20 ოქტომბერს, ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. შაჰ-აბასს საშუალება მიეცა, მთელი ძალები საქართველოს წინააღმდეგ მიემართა... შაჰი შეუდგა საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობის სამზადისს.

ბუნებრივია, რომ შაჰ-აბასი თავის ამ გეგმას ალავერდი-ხანს გაანდობდა, რადგან იგი, ფაქტიურად, მთელი ირანის სამხედრო ჯარების სარდალი იყო და ამასთანავე წარმოშობით ქართველი და საქართველოს საქმეებში კარგად ჩახედული. ამავე დროს მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ ალავერდი-ხანის ოჯახის წევრებს ნათესავური ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული, როგორც ბაგრატიონთა სამეფო სახლთან, ისე მსხვილ ქართველ ფეოდალებთან... ასე რომ, ალავერდი-ხანის პოზიციას საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობის საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა“.

აღნიშნულ საკითხს ნათელს ჰფენს ილია ტაბაღუას მიერ საფრანგეთში მოძიებული დოკუმენტი, რომელიც ფრანგ ავტორს კლოდ მალენგს ეკუთვნის. მასში ვკითხულობთ:

„შირაზის ხანი, სახელად ალავერდი და მისი ჰარემის მეთვალყურე და მაღალი ხელისუფლებით აღჭურვილი ყორჩიბაში შეეცადნენ, უარი ეთქმევინებინათ შაჰისათვის თავის გადაწყვეტილებაზე, თვითონ პირადად წასულიყო ქართველების წინააღმდეგ. ამის გამო ისინი შაჰის რისხვას ვერ გადაურჩნენ: შაჰმა ბრძანა, ალავერდი-ხანი მოეწამლათ (იგი მოწამლეს). მან სიკვდილის წინ გამწარებულმა ხელები დაუკბინა თავის ცოლს. ყორჩიბაში კი, შაჰის ბრძანებით, ჯოხით სცემეს“.

რაღა თქმა უნდა, შაჰს ამის გამჟღავნება არ სურდა, ამიტომ ალავერდი-ხანი დიდი პატივით დაკრძალეს, მისი თანამდებობა კი სპარსეთის მბრძანებელმა მის შვილს იმამ-ყული-ხანს უბოძა.

ისქანდერ მუნში თავის თხზულებაში — „აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორია“ — ასე განსაზღვრავს იმამ-ყული-ხანის თანამდებობას: ფარსის, ქეჰ-გილუიეს, ლარსის, ბაჰრეინისა და ჯორუნის ბეგლარბეგი.

მისი თანამედროვენი ერთხმად აღიარებდნენ, რომ სპარსეთის სამეფო კარზე იმამ-ყული-ხანი დიდი ავტორიტეტითა და გავლენით სარგებლობდა. მისი წლიური დანახარჯი კი, ხშირად, შაჰისას უთანასწორდებოდა.

საკუთარი პიროვნული ღირსებების წყალობით, იმამ-ყული-ხანმა მრავალი ადამიანის პატივისცემა დაიმსახურა. ის ბრძოლაში ნაცადი ვაჟკაცი იყო და ერთგული სამსახურიც შეეძლო. მაგრამ შაჰისადმი იმამ-ყული-ხანის ერთგულება მანამდე რჩებოდა ურყევი, სანამ საქმე საქართველოს არ შეეხებოდა. ირანისტ ვალერიან გაბაშვილის გამოკვლევით: — „უნდილაძეთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლებს, მიუხედავად მათი ყულარაღასობისა და ბეგლარბეგობისა, საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობაში პირადად მონაწილეობა არ მიუღიათ“.

მაგალითად, საქართველოში შაჰ-აბასის მეორე ლაშქრობის (1616 წ) დროს, იმამ-ყული ხანმა არ მოისურვა ქართველთა წინააღმდეგ მახვილის აღმართვა. მან შაჰის წინაშე თავის გამართლების მიზნით,

ავადმყოფობა მოიმიზეზა და თავრიზში დარჩა.

ირანის ამ ქართველ მოღვაწეს ქების ღირსად მიიჩნევს თეიმურაზ I, რომელიც წერს: „შირაზის ხანის ქებასა ვერ იტყვის ბრძენთა ენანი“. ეს სიტყვები ეკუთვნის მეფეს, რომელმაც მთელი ცხოვრება სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლას შეალია. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სწორედ იმამ-ყული-ხანის ბეგლარბეგობის ჟამს (1620 წ) დაასაჭურისეს თეიმურაზ მეფის ვაჟები — ლევან და ალექსანდრე ბატონიშვილები. მოგვიანებით (1624 წ) კი სასტიკად აწამეს მისი დედა — ქეთევან დედოფალი.

იტალიელი მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს ცნობით, იმამ-ყული-ხანი დიდ მზრუნველობას იჩენდა დედოფლისა და მისი შვილიშვილების მიმართ. ის წერს: „მე დამარწმუნეს იმაში, რომ მეფეს *(სპარსეთის შაჰს. — ავტ.)* არაერთხელ გადაუწყვეტია მათი დახოცვა... მაგრამ იმამ-ყული-ხანმა, როგორც ამ ქვეყნის *(საქართველოს. — ავტ.)* მკვიდრთა დიდმა მეგობარმა გადაურჩინა მათ სიცოცხლე“.

არანაკლებ საინტერესო ფიგურაა ალავერდი-ხანის უმცროსი ვაჟი — დაუდ-ხანი. ის ჯერ ფარსის საბეგლარბეგოს ერთ-ერთი ხანი, ხოლო შემდეგ, განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგი იყო. დაუდ-ხანს ცოლად ჰყავდა თეიმურაზ მეფის და ელენე.

სომეხი ისტორიკოსის ზაქარია სარკავაგის ცნობით, დაუდ-ხანი იცნობდა გიორგი ააკაძეს და შეხება ჰქონდა მარტყოფის ავანყებასთან. 1625 წელს ის მონაწილეობდა სპარსეთის მესვეურთა და თეიმურაზ მეფეს შორის გამართულ მოლაპარაკებებში და ყველაფერს აკეთებდა, რათა შაჰს საქართველოსთან ურთიერთობის კომპრომისული ფორმა მიეღო. ვალერიან გაბაშვილის აზრით, „ფაქტიურად, ამ მოლაპარაკების შედეგშია საძებნელი ირან-საქართველოს კომპრომისული ურთიერთობის ის პოლიტიკური ფორმა, რომელიც ამ ორ ქვეყანას შორის XVIII ს. პირველი მეოთხედის დასასრულამდე არსებობდა“.

შაჰ-აბას პირველის გარდაცვალების (1629 წ) შემდეგ, ირანის სამეფო კარი არეულობამ მოიცვა. სპარსეთში მეფობაზე პრეტენზიას აცხადებდნენ შაჰ-აბას პირველის შვილიშვილი სეფი-მირზა და სეფიყული-ხანი, რომელიც თავს შაჰის პირდაპირ მემკვიდრედ მიიჩნევდა: სპასეთში გავრცელებული ხმების თანახმად, დედამისი შაჰისაგან ფეხმძიმედ ყოფილა, როდესაც ის მბრძანებელს იმამ-ყული-ხანისათვის ცოლად უბოძებია. სეფიყული-ხანი მამინაცვლის ოჯახში დაბადებულა და იმამ-ყული-ხანთანვე იზრდებოდა... მაგრამ ირანის სამეფო ტახტისათვის გაჩაღებული ბრძოლაში გამარჯვება წილად ხვდა სეფი-მირზას მომხრეთა დაჯგუფების მეთაურს, ხოსრო-მირზას (შემდგომში, ქართლის მეფე როსტომი) და ირანში განსვენებული შაჰის შვილიშვილი გამეფდა.

ამ დროიდან იწყება სპარსეთის სამეფო კარზე უნდილაძეთა ფეოდალური სახლის გასანადგურებულად გამიზნული ინტრიგების ქსელის ხლართვა.

ხოსრო-მირზამ მიზანში ამოიღო დაუდ-ხან უნდილაძე. აღსანიშნავია, რომ ეს დაპირისპირება თეიმურაზ პირველის მეფობის წინააღმდეგაც იყო მიმართული. ამ ბრძოლის პირველი შთამბეჭდავი გამარჯვება შაჰის მეჯლისიდან დაუდ-ხანის მოულოდნელი გაძევება იყო. როგორც ირკვევა, თეიმურაზსა და დაუდ-ხანს შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობა ამ ინციდენტამდე ჰქონდათ. მოკლე ხანში, დაუდ-ხანი საქართველოში გამოიქცა და თეიმურაზ მეფეს შეეკრა. 1632 წელს, მათ აშკარა ბრძოლა გამოუცხადეს სეფიანთა ხელისუფლებას. თეიმურაზ მეფესა და დაუდ-ხანს ანტიირანული გამოსვლის დრო საგანგებოდ ჰქონდათ შერჩეული. მათ გაუთვალისწინებიათ საერთაშორისო პოლიტიკური ვითარებაც — კერძოდ, ის, რომ „ხონთქარი და ყაენი აშლით“ იყვნენ. მოკავშირეებმა დაარბიეს ბარდა და ყარაბაღი, სულ ერთიანად მოაოხრეს არეზსაქეთა ტერიტორია.

თეიმურაზ I
მეუღლითურთ (კასტელი)

ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე ავჯანყებულთა მხარეს მებრძოლთა შორის ასახელებს: იმერეთის მეფეს, ოდიშის მთავარს, მესხ წარჩინებულებს და სომეხთა კათოლიკოსს, რომელმაც თეიმურაზ მეფეს ლაშქრით მიშველება შესთავაზა.

ამ ცნობაზე დაყრდნობით, ვალერიან გაბაშვილი წერს: „ასე რომ, ადგილი ჰქონდა ამიერკავკასიის ხალხთა ავჯანყებას ირანის ბატონობის წინააღმდეგ.“

ისტორიკოს-მკვლევართა მიერ დამაჯერებლად არის დასაბუთებული ანტიირანულ გამოსვლაში იმამ-ყული-ხანისა და მისი ვაჟების მონაწილეობის ამბავი. თამაზ ნატროშვილის აზრით: „დაუდ-ხანის ამბოხება შთაგონებული უნდა იყოს უფროსი ძმის მიერ. საქართველოში ალბათ ამიტომ გავრცელდა ხმა: იმამ-ყული-ხანიც ავჯანყდაო — როგორც გვაუწყებს პიეტრო ავიტაბილე“.

გივი ჟორდანია კი, აღნიშნული საკითხის შესახებ წერს: „მართალია, იმამ-ყული-ხანი თვითონ აშკარად არ აჩენდა თავს შეთქმულთა შორის, სამგიეროდ, მათ ზურგს უმაგრებდა და რა საკვირველია, დიდად თანაუგრძნობდა, ვინაიდან შეთქმულთა გამარჯვების შემთხვევაში იგი იქცეოდა ირანის ჭეშმარიტ მბრძანებლად, იმეფებდა რა თავისი ვაჟის, შაჰ-აბასის შვილად ცნობილის სახელით...“

საუბედუროდ, ავჯანყება დამარცხდა. თეიმურაზ მეფემ ტახტი დაკარგა. შაჰმა ქართლში როსტომი გაამეფა, კახეთის მმართველობის სადავეები კი, სელიმ-ხანს ჩააბარა.

განრისხებულმა შაჰმა არც ძმები უნდილაძეები დაინდო. შაჰ-სეფის ბრძანებით, იმამ-ყული-ხანი შვილებიანად ამოწყვიტეს, ხოლო დაუდ-ხანის ვაჟები დაასაჭურისეს.

1633 წელს, უნდილაძეთა ერთ დროს ძლიერმა ფეოდალურმა სახლმა არსებობა შეწყვიტა.

ასე „დატვიფრეს“ სისუსტისა და უძლურების საიმქვეყნო ნიშნით უნდილაძეთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები ჯერ შაჰ-აბას პირველმა, ხოლო შემდეგ — შაჰ-სეფი პირველმა. ესოდენ მკაცრი განაჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი, ალავერდი-ხანისა და მისი ვაჟების პროქართული განწყობა და ძირეული სამშობლოს ერთგულება გახლდათ... ■

დიდი ფეხბურთის პატარა გუდა

გასული წლის მიწურულს თანამედროვეობის ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა ფეხბურთელმა, რობერტო ბაჯომ საჯაროდ განაცხადა, რომ შესაძლოა, მიმდინარე სეზონის ბოლოს აქტიური სპორტული კარიერა დაასრულოს. 19 თებერვალს იტალიელი ვარსკვლავი 37 წლის გახდა, თუმცა ასაკი მას სულაც არ უშლის ხელს მაღალ დონეზე თამაშში. როგორც ცნობილია, ბაჯო სხვადასხვა პერიოდში „ვიჩენცის“, „ფიორენტინის“, „იუვენტუსის“, „მილანის“, „ბოლონიისა“ და „ინტერის“ ღირსებას იცავდა, ამჟამად კი, იგი „ბრეშიაში“ თამაშობს და გუნდის ლიდერადაც ითვლება.

„ერთის მხრივ, მართლაც ვფიქრობ დიდი სპორტიდან წასვლაზე, ხოლო მეორეს მხრივ, კვლავაც მსურს ფეხბურთის თამაში“, – ამბობს რობი და იმასაც ხაზს უსვამს, რომ მისი მომავალი სპორტული კარიერა ჯანმრთელობაზე იქნება დამოკიდებული: „სამწუხაროდ, მუდმივად მიწევს ტრავმებთან ბრძოლა“.

2003-2004 წლების სეზონში ჩატარებულ 14 მატჩში რობერტო ბაჯომ ხუთი გოლი გაიტანა. სულ იტალიელ ვარსკვლავს სერია A-ში დღემდე 197 გოლი აქვს გატანილი და დიდი სურვილი აქვს იმისა, რომ ეს რიცხვი 200-მდე გაზარდოს. „ხალხს შეუძლია ჩემი თამაში გააკრიტიკოს, განსაჯოს, რამე მირჩიოს, მაგრამ ყველაფერი დანარჩენი – ცოლშვილი, დასვენება, გართობა – მხოლოდ მე მეკუთვნის. ახლობლები ძალიან ბევრს ნიშნავენ ჩემთვის. ამიტომ ჩვენს პირად ცხოვრებას გაზეთის ფურცლებზე არასოდეს გამოვფენ. ალბათ ფეხბურთის ქომაგთა გულებს თანდათან სხვა მოთამაშეები დაიპყრობენ – ისინი ვინც ჩემზე უკეთესები იქნებიან. მაგრამ ბაჯო აღარასოდეს განმეორდება, ისევე როგორც აღარასოდეს მოევლინება მეორედ საფეხბურთო სამყაროს მარადონა ან ვან ბასტენი. ყველა ადამიანს თავისი გზა აქვს ფეხბურთშიც და ცხოვრებაშიც. მე ბედმა გამიღიმა იმის გამო, რომ ფეხბურთელი ვარ, რაც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. ღმერთმა ხალხის სიყვარულის მოპოვების შესაძლებლობა მომცა და ეს შესაძლებლობა სრულად გამოვიყენე. მე ფეხბურთს ყველაფერი მივეცი, რაც გამაჩნდა. ასე რომ, სინდისი სუფთა მაქვს“, – ამბობს რობერტო ბაჯო, რომელიც იტალიაში დღესაც ყველაზე პოპულარულ ფეხბურთელად ითვლება. იმ კითხვაზე კი, თუ რაში მდგომარეობს რობისადმი ტიფოზების ასეთი დიდი სიყვარულის საიდუმლოება, თავად ფეხბურთელი გვპასუხობს: „ხალხი ყოველთვის ჩემს მხარეზეა იმიტომ, რომ მათ იციან თუ როგორი რთული გზა განვვლე: მძიმე ტრავმები, მძაფრი კრიტიკა, უსამართლო შეურაცხყოფები... სწორედ ასე დაიწყო ჩემი საფეხბურთო გზა“.

ფეხბურთის სხვა არაერთი ვარსკვლავისგან განსხვავებით, რობერტო ბაჯოს პოპულარობის მოსაპოვებლად საკუთარი პერსონის გარშემო ნარკოტიკებთან, ალკოჰოლთან, დოპინგთან დაკავშირებული ან სექსუალური სკანდალების აგორება არ დასჭირვებია. დიდი საფეხბურთო ნიჭის გარდა, ბაჯო პიროვნული თვისებებითაც გამოირჩევა. ამასთან იტალიელი ნახევარმცველი გარეგნობითაც იქცევს ყურადღებას. მას მარჯვენა ხელზე ინდური სვირინგი აქვს, ბოშურ საყურესა და გრძელ, შეკრულ თმას ატარებს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ რობერტო აღმსარებლობით ბუდისტია. ამ რელიგიით ფეხბურთელი სტრესულ მდგომარეობაში ყოფნის პერიოდში მეგობრის რჩევის შემდეგ დაინტერესდა. „ბუდიზმმა თვალი ამიხილა, მისი ფილოსოფია თავისუფლებით ტკბობის საშუალებას მაძლევს, რომლის დროსაც თავს ათასგვარი მატერიალური მისწრაფებით არ ვიზღუდავ. გარდა ამისა, ეს უდიდესი პასუხისმგებლობაცაა. ბუდისტი საკუთარ წარუმატებლობაში ბრალს სხვას ვერ დასდებს. შეცდომების მიზეზებსაც იგი ყოველთვის საკუთარ თავში ეძებს... სხვათა შორის, ჩემი ოჯახი კვლავაც კათოლიკედ რჩება – ეს რელიგიათა შესანიშნავი შეთავსებაა“, – ამბობს „ბრეშიას“ კაპიტანი, რომელიც ბუდიზმით იმ სულიერი თუ ფიზიკური ტრავმის მოშუშებას ცდილობს, რომელიც მას მთელი საფეხბურთო კარიერის მანძილზე თან ახლდა. გავიხსენოთ თუნდაც ის, რომ 16 წლის ასაკში რობის ძლიერ ანალგეტიკურ პრეპარატებზე ალერგია აღმოაჩნდა, რის გამოც იგი ტრავმებისგან გამოწვეულ ტკივილს საერთოდ ვერ იყუჩებდა. „ქომაგები ხშირად მეკითხებიან, თუ როგორ შევძელი ამ ყველაფრის მოთმენა და რატომ არ ვასრულებ კარიერას, – ამბობს ბაჯო, – მე კი ვპასუხობ, რომ სირთულეები ფეხბურთისადმი დიდმა სიყვარულმა გადამატანინა!..“

ბომბარდირის ნიჭი რობერტომ ჯერ კიდევ მაშინ გამოავლინა, როდესაც იგი ფეხბურთში პირველ ნაბიჯებს დგამდა. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი მრავალშვილიან ოჯახში იზრდებოდა. მამამისი ფლორინდო ველოსპორტის დიდი ქომაგი ყოფილა, ამიტომ ყოველთვის ცდილობდა, რათა შვილებიც დაეინტერესებინა სპორტის ამ სახეობით. მიუხედავად ამისა, რობიმ მაინც ფეხბურთს მიანიჭა უპირატესობა და როგორც შემდგომში გაირკვა, არჩევანში არც შემცდარა. ჯერ კიდევ 9 წლის იყო იგი, როდესაც სპბავშვო გუნდის მწვრთნელმა ფორვარდის პოზიციაზე დააყენა. 14 წლის ასაკში კი ბაჯომ ერთ-ერთ მატჩში ექვსი გოლის გატანა შეძლო, რის შემდეგაც ის იმ დროისთვის სერია C-ში მოასპარეზე „ვიჩენცის“ სკაუტების ყურადღების ცენტრში მოექცა. პირველი პროფესიონალური კონტრაქტის გაფორმების შემდეგ იტალიური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი თვეში 170 დოლარს იღებდა და პირველი ორი სეზონი მან

თითქმის სათადარიგოთა სკამზე გაატარა. 1984-1985 წლების ჩემპიონატში კი, სწორედ მის მიერ გატანილმა 12-მა გოლმა „ვიჩენცას“ სერია B-ში გადასვლაში შეუწყო ხელი. ცხადია, ამის შემდეგ ფეხბურთელი უფრო ძლიერი კლუბების ყურადღების ცენტრშიც მოექცა. მალე იგი „ფიორენტინაში“ გადავიდა, სადაც ხუთი სეზონი გაატარა. რობისთვის ყველაზე წარმატებული 1989-1990 წლები აღმოჩნდა, როდესაც ფლორენციელები უეფას თასის გათამაშების ფინალში ტურინის „იუვენტუსთან“ დამარცხდნენ.

ბუნებრივია, ტექნიკურმა რობერტომ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა „ბებერი ქალბატონის“ მესვეურებზე და სწორედ „იუვე“ იქცა მის მომავალ კლუბად. ტურინელებმა ფეხბურთელის სანაცვლოდ, ფლორენციელებს 17 მილიონი დოლარი გადაუხადეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ბაჯოს გაყიდვის გამო მეტისმეტად გაღიზიანდნენ „ფიორენტინის“ ტიფოზები და კლუბის ხელმძღვანელობისადმი პროტესტის ნიშნად ფლორენციის ქუჩებში დიდი აურზაურიც მოაწყვეს. 1993 წელს კი, ბაჯო ევროპისა და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

მსოფლიო ჩემპიონატში რობერტო ბაჯომ პირველად 1990 წელს მიიღო მონაწილეობა. მაშინ მუნდიალს იტალია მასპინძლობდა. ნახევარფინალურ მატჩში მასპინძლები არგენტინელებს ხვდებოდნენ, თუმცა „სკუადრა აძურას“ მთავარმა მწვრთნელმა, აბელო ვიჩინიმ ბაჯო მოედანზე არ გაიყვანა. იტალიის ნაკრების თავკაცის აზრით, რობი ძალიან გადაღლილი ჩანდა. „მე ხომ მხოლოდ 23 წლის ვარ! – აღშფოთებას ვერ ფარავდა რობი, – მზად ვარ ყველანაირი დატვირთვისთვის, ოღონდ მოედანზე გამიყვანონ!..“

ვიჩინი შეუვალი აღმოჩნდა და ბაჯო მხოლოდ მეორე ტაიმში ათამაშა. ის მატჩი იტალიელებმა პენალტების სერიით წააგეს. 1994 წელს კი „სკუადრა აძურა“ უკვე ფინალში, ასევე პენალტებით დამარცხდა ბრაზილიის ნაკრებთან. მაშინ თერთმეტმეტრიანი დარტყმა ვერ გამოიყენა რობერტო ბაჯომ, რის გამოც იგი სამშობლოში მძაფრი კრიტიკის ქვეშ მოექცა. მას თვით იმაშიც კი აღანაშაულებდნენ, რომ ბუდისტი იყო. „მართალია, მე ბუდისტი ვარ, – თავს იმართლებდა რობერტო, – მაგრამ ბუდა კი არა, უბრალოდ ბაჯო ვარ. ხომ არ შეიძლება იმის გაფიქრება, რომ კათოლიკეები ან მუსლიმანები პენალტის დარტყმისას არასოდეს ცდებიან?!.“

1997 წელს ბაჯო „ბოლონიაში“ აღმოჩნდა, სადაც მან, როგორც თავადვე აცხადებს, საკუთარ კარიერაში „ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი ჩაატარა“, რის შემდეგაც კვლავ მიიწვიეს იტალიის ეროვნულ ნაკრებში.

1998 წლის მუნდიალზე, რომელიც საფრანგეთში ჩატარდა, „სკუადრა აძურა“ კვლავ პენალტების სერიაში მეოთხედფინალში მასპინძელ გუნდთან დამარცხდა. მართალია, მაშინ თავად რობიმ პენალტი გაიტანა, მაგრამ ეს უკვე ველარაფერს შეცვლიდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რობერტო ბაჯო დღესაც უდიდესი სიყვარულით სარგებლობს იტალიაში. ამისი მიზეზი ალბათ თავად ფეხბურთელის პიროვნებაში უნდა ვეძებოთ. იგი ხომ ყოველთვის ცდილობდა, რომ ქომაგთათვის უბრალო ადამიანად დარჩენილიყო. რობის მშობლები რვა შვილს ზრდიდნენ. რობერტო ძმებთან ერთად ბურთს დასდევდა. „ხანდახან დედა ბურთს მართმევდა, მაგრამ მე ჩუმად მაინც ვიპარავდი მას მამაჩემის ოთახიდან და ქუჩაში გავრბოდი“, – ამბობს „პატარა ბუდად“ წოდებული ბაჯო, რომელიც ოჯახის წევრებზე ყოველთვის დიდი სიყვარულით საუბრობს. დედამისი მატილდა ტიპური იტალიელი დიასახლისის განსახიერებაა. როგორც თავად ფეხბურთელი ამბობს, იგი არა მარტო დიდი მეოჯახე, არამედ ჩინებული ფსიქოლოგიცაა. რობის მამა – ფლორინდო ბაჯო კი, სიბრძნითა და სიდინჯით გამოირჩევა. სწორედ მან ჩაუნერგა პატარა რობის, რომ სირთულეებისა და გაჭირვების წინაშე ქედი არ უნდა მოედრიკა და ყველა გამოცდას გაბედულად დახვედროდა. რაც შეეხება, იტალიელი დიდოსტატის ულამაზეს მეუღლეს – ანდრეინას – რობი მას თავისი ცხოვრების ჭეშმარიტ თანამგზავრად მიიჩნევს. პირველად მომავალი ცოლი ფეხბურთელს 1982 წლის თებერვალში უნახავს. მაშინ ორივე 15 წლის იყო. ანდრეინას ბაჯოს გვერდით, მეგობართან ერთად მოპედით ჩაუვლია. გავიდა მოკლე ხანი და მათ სიყვარულს უკვე რომეოსა და ჯულიეტასას ადარებდნენ, მხოლოდ ერთი გამონაკლისით – ანდრეინასა და რობის სიყვარულს ბედნიერი გაგრძელება ჰქონდა. „ჩვენ ერთად ვიზრდებოდით, ერთად ვიცვლებოდით და ვვითარდებოდით, შევქმენით ოჯახი. ერთად გვიხაროდა წარმატება და სირთულეების შემთხვევაშიც ერთობლივად ვეძებდით გამოსავალს, რათა სრული ჰარმონიისთვის მიგვეღწია. რობერტო ყოველთვის მიყვარდა, მაშინაც, როცა მას ყველა ივიწყებდა,“ – ამბობს ანდრეინა, რომელიც პირველ შვილზე ფეხმძიმობის პერიოდში ხშირად დადიოდა ვიჩენციდან ტურინში „იუვეს“ მატჩებზე დასასწრებად. 1994 წლის მუნდიალის ავადსახსენებელი ფინალის შემდეგ კი, მაშინ, როდესაც „სკუადრა აძურას“ ყველა ფეხბურთელი მეუღლესთან ერთად ბანკეტზე გაეშურა, ანდრეინა სასტუმროს ნომერში დარჩა და პენალტის გაფუჭების გამო მძიმე სტრესში მყოფი მეუღლის დამშვიდებას ცდილობდა. „ქალი ის ბოძია, რომლის გარშემოც ოჯახი უნდა დაფუძნდეს, – ამბობს ბაჯო, – მამაკაცს დაძაბული სამსახურის შემდეგ მყუდრო ადგილი ესაჭიროება, სადაც შვებას იპოვის. ანდრეინა მე სწორედ ასეთ სიმყუდროვეს მიქმნის ოჯახში“.

ბედნიერ წყვილს ორი შვილი ჰყავს: 12 წლის ვალენტინი და 8 წლის მატია. „სიტყვებით ვერ გადმოგცემთ იმას, თუ რას ნიშნავენ ჩემთვის ეს ბიჭები, – აცხადებს რობი, – შვილების ყოლა ხომ დიდი ბედნიერებაა. ამიტომ ვცდილობ, მისაბაძი მამა ვიყო და რაც შეიძლება ცოტა შეცდომა დავუშვა – განსაკუთრებით კი ისეთი, რომლის გამოსწორებაც შემდეგ შეუძლებელი იქნება“.

■

იეროს მადრიდისკენ მიუწევს გული

როგორც ცნობილია, წლების მანძილზე მადრიდის „რეალის“ ლიდერმა, ფერნანდო იერომ გასული საფეხბურთო სეზონის მიწურულს დატოვა „სამეფო კლუბი“, მოგვიანებით კი, იგი იმ ვეტერან ვარსკვლავებს შეუერთდა, რომლებიც კატარში ასპარეზობით გამოიმუშავებენ მილიონებს. 35 წლის ესპანელი მცველი ამჟამად „ალ-რაიანის“ ღირსებას იცავს და ამბობენ, რომ კატარის ემირი მას ნებისმიერ სურვილს უსრულებს. მიუხედავად ამისა, ფერნანდოს გული ისევ მშობლიური მადრიდისკენ მიუწევს. რამდენიმეთვიანი დუმილის შემდეგ, მან გაზეთ L`Equipe-ს მისცა ინტერვიუ და დაუფარავად განაცხადა, რომ „რეალში“ დაბრუნებაზე ოცნებობს...

– რა მოგონებები შემოგრჩათ იმ პერიოდიდან, როდესაც „რეალის“ კაპიტანი იყავით?

– „რეალში“ თამაში და მით უმეტეს „სამეფო კლუბის“ კაპიტნობა უდიდესი პასუხისმგებლობაა. შენ ყველას სჭირდები, ყველას სურს შენთან ერთად ამა თუ იმ პრობლემის განხილვა. მაგრამ თუ მწვრთნელი ან მოთამაშე მოისურვებდა კაპიტანთან საუბარს, ეს იმას ნიშნავდა, რომ რაღაც არასასიამოვნო რამ მოხდა. ესპანეთში ასეთი წესია: მარცხის შემთხვევაში საყვედურებსა და კრიტიკას კაპიტანი იღებს. როდესაც გავიგე, თუ როგორ ცხოვრობს ჩემი კოლეგა, როი კინი „მანჩესტერ იუნაიტედში“, მაშინვე მივხვდი, რომ ბრიტანეთში სულ სხვა საფეხბურთო სამყაროა. ინგლისში კაპიტანს ყველა დიდ პატივს სცემს. ჩემი სტატუსის ერთადერთი უპირატესობა კი ის გახლდათ, რომ ამა თუ იმ ტურნირში გამარჯვების შემდეგ, ჯილდოს პირველად სწორედ მე გადმომცემდნენ.

– როგორ გახდით მადრიდული გრანდის კაპიტანი?

– ესპანური კლუბების ტრადიციის მიხედვით, კაპიტნად გუნდის ყველაზე ასაკოვან ფეხბურთელს ნიშნავენ. თვით იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი ესპანელი არ არის.

– ამ დროს აუცილებელია, რომ მოთამაშე გუნდის არაფორმალურ ლიდერად ითვლებოდეს?

– არა. „სამეფო კლუბის“ ისტორიაში ისეთი კაპიტნებიც ყოფილან, რომლებსაც კოლექტივის პრობლემები სულაც არ აღელვებდათ. მაგრამ ეს მე არ მეხება. ჩემთვის მთავარი იყო, რომ თანაკლუბელებს „რეალის“ ტრადიციებისთვის პატივი ეცათ და ანგარიში გაეწიათ. მე ამ ფასეულობის დაცვის ერთგვარი გარანტი გახლდით. გარკვეულწილად ხომ კლუბი მეც მეკუთვნოდა. „რეალს“ იმდენად შევეთვისე, რომ მოგებასაც და მარცხსაც პირადულ ბედნიერებად ან უბედურებად აღვიქვამდი.

– რომელი უფრო ადვილია: ვარსკვლავური თუ საშუალო გუნდის კაპიტნობა?

– რაღა თქმა უნდა, ვარსკვლავური გუნდისა. ვარსკვლავებთან ყოველთვის ჩინებული ურთიერთობები მქონდა. რაულთან, ფიგუსთან, რობერტო კარლოსთან, ზიდანთან ან რონალდოსთან ერთად თამაშის დროს პრობლემები არასოდეს შემქმნია. საერთოდ, პროფსიონალებთან ურთიერთობა უფრო ადვილია, მით უმეტეს, თუ თავადაც პროფესიონალი ხარ.

– არ გაგაკვირვათ იმან, რომ ბექჰემი ასე ადვილად შეერწყა მადრიდულ გუნდს?

– ყველა, ვისთანაც კი ტელეფონზე მილაპარაკია, ერთხმად აცხადებს, რომ ბექჰემი შესანიშნავი ბიჭია. საფეხბურთო სამყაროში ხომ ყველა ერთმანეთს მეტ-ნაკლებად იცნობს. მე ადრეც ვიცოდი, რომ ბექჰემი არა მარტო ბრწყინვალე მოთამაშე, არამედ წესიერი ადამიანიცაა.

– თქვენს ყოფილ გუნდში რა ხდება, იცით?

– არა. ისე კი, არც მაინტერესებს გასახდელში მიმდინარე პროცესები. ჩემთვის მატჩების ტელევიზორში ყურებაც საკმარისია.

– მწვრთნელობას ხომ არ აპირებთ?

– ეს შეშლილთა სამუშაოა! 25 კაცს უნდა უხელმძღვანელო, თანაც ეს ადამიანები ხასიათით სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. გარდა ამისა, იმისი სურვილიც აღარ გამაჩნია, რომ გუნდთან ერთად გაუთავებლად აქეთ-იქით ვიარო. ეს მართლაც აუტანელია. სულ სხვა საქმეა, ჩემთვის კლუბში ისეთი თანამდებობა რომ მოეცათ, რომელიც მოთამაშეებსა და „რეალის“ ხელმძღვანელობას ერთმანეთთან დააკავშირებდა. ამგვარი სამსახური მართლაც საინტერესო იქნებოდა ჩემთვის. თუმცა არა მგონია, რომ კლუბში დიდი ენთუზიაზმით მიიღონ ჩემი წინადადება.

ახლა კი რამდენიმე სიტყვით, ფერნანდო იეროს საფეხბურთო ბიოგრაფიასაც შეგახსენებთ: 1968 წლის 23 მარტს მალაგაში დაიბადა. „რეალში“ იგი 1989-2003 წლებში თამაშობდა. ფერნანდო „სამეფო კლუბთან“ ერთად ესპანეთის ხუთგზის ჩემპიონი და ქვეყნის სუპერთასის ოთხგზის მფლობელია. გარდა ამისა, ესპანელმა მცველმა მადრიდულ გუნდთან ერთად სამჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი და ორჯერაც საკონტინენტთაშორისო თასი. „რეალის“ შემადგენლობაში ჩატარებულ 598 მატჩში იეროს 125 გოლი აქვს გატანილი. ესპანეთის ეროვნულ ნაკრებში ჩატარებულ 89 შეხვედრაში კი, მან 29-ჯერ გამოიჩინა თავი. არცთუ ისე დიდი ხნის წინ იერომ სასამართლოში უჩივლა „რეალის“ მესვეურებს იმის გამო, რომ მათ გუნდთან გამოსათხოვარი მატჩის ჩატარების უფლება არ მისცეს მას (ნებისმიერ მოთამაშეს, რომელსაც „სამეფო კლუბში“ 10 წელზე მეტი აქვს გატარებული, გამოსათხოვარი შეხვედრის ჩატარების უფლება ეძლევა). მორალური ზარალის ასანაზღაურებლად იერო „რეალისაგან“ 600.000 ევროს მოითხოვს.

■

მრიატორე არ ცხრემა

ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ვრცელდებოდა ხმები „ფორმულა-1“-ის საჯინიბოს, „რენოს“ მფლობელის, ფლავიო ბრიატორესა და სუპერმოდელ ჰაიდი კლუმის განშორების შესახებ. ცოტა ხნის წინ ეს ინფორმაცია მართლაც დადასტურდა. ერთ-ერთ ელიტარულ საღამოზე 53 წლის ლოველასი ახალ მეგობარ გოგონასთან ერთად გამოცხადდა, რომელიც გერმანული სამოდელო ბიზნესის ამომავალი ვარსკვლავი აღმოჩნდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბრიატორე და კლუმი პირველად ერთმანეთს ერთი წლის წინ შეხვდნენ. გასული შობის წინადღეს კი, 30 წლის მოდელმა საჯაროდ განაცხადა – საყვარლისგან ფეხმძიმედ ვარო, თუმცა შემდგომში გაირკვა, რომ იგი ცრუობდა. „ჰაიდი სწორედ ის ქალია, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ვეძებდი. დიდი სურვილი მაქვს, რომ ის ჩემი ცოლი გახდეს“, – აცხადებდა ბრიატორე, მაგრამ არც იმას ივიწყებდა, რომ ამქვეყნად სხვა ლამაზმანებიც მრავლად არიან და ყვითელ პრესას ყურადღების მოდუნების საშუალებას არ აძლევდა. რაც შეეხება, „რენოს“ თავკაცის ახალ საყვარელს, ვანესას, წარსულში მას საკმაოდ ბევრი ბოიფრენდი ჰყავდა, რომელთა შორისაც მომღერალი მარკ ტერენცი და ცნობილი სპორტული დიზაინერი, ნორბერტ დობელეიც არიან. ■

ავსტრალიის გრან-პრიზე სარა ჯეინი გამიშვლდემა

„ფორმულა-1“-ის შოუბიზნესში კარგად ცნობილი აქტივისტი, სარა ჯეინი უსაქმოდ არასოდეს არის. ჯერ იყო და, მან სამხატვრო გამოფენა მოაწყო, რომელიც ცხადია „სამეფო რბოლების“ სამყაროს ეძღვნებოდა, შემდეგ სახელმოხვეჭილ პილოტებზე წიგნის წერას შეუდგა. ამჟამად კი, ლამაზმანმა სარეკლამო საქმიანობისთვისაც მოიცალა. თანაც სარეკლამო აგენტად იგი ანაზღაურების გარეშე იმუშავებს. სარა „ფორმულა-1“-ის ჩემპიონატის ამა თუ იმ ეტაპზე სპეციალურ ბუკლეტებს გაავრცელებს, რომელზეც საზოგადოებისადმი ცხოველთა უფლებების დაცვისკენ მოწოდებები იქნება დაბეჭდილი. ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ ამ ამპლუაში ჯეინი დედიშობილა მოევლინება საზოგადოებას. სხვათა შორის, „სამეფო რბოლების“ ენთუზიასტი დედოფლის წამოწყებით სულაც არ არიან აღფრთოვანებულნი ავსტრალიის გრან-პრის ორგანიზატორები. აღნიშნული ეტაპი 7 მარტს შედგება მწვანე კონტინენტზე. ცხადია, მის მესვეურებს სარას წამოწყების საწინააღმდეგო არაფერი ექნებოდათ, რომ არა ერთი გარემოება: ამგვარმა აქციამ შეიძლება მათ სერიოზული პრობლემები შეუქმნას სპონსორებთან, რომლებსაც გრან-პრიში საკმაოდ დიდი თანხები აქვთ ჩადებული. ამიტომ ბუნებრივია, ბიზნესმენებს მაინცდამაინც არ ესიამოვნებათ ის, რომ რბოლის დროს პუბლიკის ყურადღება შიშველი სარა ჯეინის მიმართ იქნება მიპყრობილი. ■

დონ კინგი ახალ საკრივო შოუს დგამს

საპრომოუთერო კომპანია Don King Production აპრილისთვის საკრივო ორთაბრძოლების პროგრამის გამართვას გეგმავს. სავარაუდოდ, სულ შვიდი მატჩი შედგება, რომელთაგან ოთხი ალბათ ტელევიზიითაც გადაიცემა. რიკარდო მაიორგა ნახევრად საშუალო წონით კატეგორიაში ხოსე ანტონიო რივერასთვის WBA-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის ჩამორთმევას შეეცდება. იმავე WBA-ს ჩემპიონის წოდებას სუპერმძიმე წონაში ჯონ რუისი ფრეზ ოკვენდოსთან შეხვედრისას დაიცავს. ამ დღეს რინგზე გამოვა სუპერმძიმე წონითი კატეგორიის კიდევ ერთი ჩემპიონი, კრის ბერდი, რომელიც IBF-ის ჩემპიონის ქამრის შენარჩუნებისთვის იბრძოლებს (მისი მეტოქის ვინაობა ჯერ დაუდგენელია). აღნიშვნის ღირსია მძიმე წონაში (90,1 კგ-მდე) მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის გამოსავლენად დაგეგმილი შეხვედრაც, რომელშიც WBA-ს ჩემპიონი ჟან მარკ მომრეკი ვერჯილ ჰილს დაუპირისპირდება. ■

პლატინის „მეფე ბოდუენისკენ“ გახედვაც აღარ სურს

რამდენიმე დღის წინ, სტადიონ „მეფე ბოდუენზე“ ბელგიისა და საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებთა ამხანაგური მატჩი გაიმართა, რომელსაც მორალურ-ფსიქოლოგიური მიზეზის გამო არ დასწრებია მიშელ პლატინი. შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ საფეხბურთო არენაზე 1985 წელს „იუვენტუსისა“ და „ლივერპულის“ შეხვედრისას დატრიალებულმა ტრაგედიამ 39 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. იმ თამაშში ერთადერთი გოლი ინგლისელთა გუნდის კარში სწორედ ლეგენდარულმა ფრანგმა ნახევარმცველმა გაიტანა. აღსანიშნავია ისიც, რომ მაშინ სტადიონს „ეიზელი“ ერქვა. „იქ აღარასოდეს დავბრუნდები. ის ადგილი ჩემთვის სამუდამოდ დახურულია, – აცხადებს მიშელ პლატინი, – არა მგონია, რომ „ეიზელზე“ ოდესმე კიდევ მოვხვდე. საზოგადოების ნაწილისთვის სულერთია ის, თუ რა მოხდა იქ, მაგრამ ეს ადამიანები ხომ მოვლენათა ეპიცენტრში არ იმყოფებოდნენ და არც ის უნახავთ, რასაც ფეხბურთელები ვხედავდით. ეს ყველაფერი უკვე წარსულს ჩაჰბარდა, თუმცა მისგან მიღებული სულიერი ტრავმა არასოდეს მომიშუშდება“. ■

თავისუფალი თემა

რუსუდან ბერიძე

(დასაწყისი იხ. „გზა“ №48-52,1-8)

მომავალ ისტორიკოს გვანცა ჩოხელს ბედი ბავშვობიდანვე მძიმე გამოცდებს უწყობს. ჯერ, 8 აპრილის ღამეს, დედა მოეწამლება და ფსიქიკურად დაავადდება. შემდეგ, ცოლის უბედურებით თავგზააბნეული მამაც მიატოვებს ოჯახს... გვანცა და მისი პატარა ძმა — მიშიკო ბებია-ბაბუის — ამირან და ლამარა ანთაძეების იმედადღა რჩებიან. თუმცა, გვანცას კიდევ ერთი ადამიანის — თანაკლასელ ლუკა ჩადუნელის დიდი იმედი აქვს. გვანცა ლუკას თავის უახლოეს მეგობრად და მესაიდუმლედ თვლის, ლუკას კი გოგონა მთელი გულით უყვარს. მაგრამ ერთხელ, გოგონა მასზე ბევრად უფროს მამაკაცს ირაკლი იაშვილს ისე დაუახლოვდება, რომ ის ცოლად შერთვასაც შეეპირდება. ამასობაში, თბილისში სამოქალაქო ომი დაიწყება და ირაკლისაც მაშინვე სერიოზული თავსატეხი გაუჩნდება: ბარიკადების სხვადასხვა მხარეს, მისი ორი ნახევარძმა იბრძვის, ერთ-ერთი — პრეზიდენტის მხარეზე მეომარი გიორგი კი, ამ ბრძოლას შეეწირება კიდეც... ამის შემდეგ, ხელში იარაღს ირაკლიც აიღებს და... უგზო-უკვლოდ დაიკარგება. ცოტა ხანში კი, გვანცა მიხვდება, რომ მისგან ფეხმძიმედაა... გვანცას ბებია-ბაბუას, მომავალი ბავშვი ლუკასი ჰგონია. ის ამას არ იუარებს და გვანცაზე დაქორწინებაზეც დათანხმდება, თუმცა, გვანცასთან მარტოდ დარჩენილი, პირობას წაუყენებს: ვიცი, ეს ბავშვი ვისიცაა, ამიტომ მხოლოდ ფორმალურად ვიქორწინებთ და ბავშვის გაჩენისთანავე, გავიყრებითო...

ამასობაში, აფხაზეთში ომი დაიწყება. ლუკა ომში წასვლას გადაწყვეტს და გვანცას გამოუცხადებს: არ დამელოდო, რაც არ უნდა მოხდეს, შენთან აღარ დავბრუნდებიო...

ლუკას წასვლიდან ერთი თვის შემდეგ, გვანცას ბიჭი შეეძინება და ამირანის დაჟინებული თხოვნით, მასაც ლუკას დაარქმევს...

მალე გვანცა ლუკას ტყვედ ჩავარდნის ამბავს შეიტყობს და მისი კვალის ამაო ძებნაში, დიდ თუ პატარა ჩინოვნიკს მიაკითხავს. ერთხელაც, პარლამენტში ირაკლის ნახევარძმას, ლაშას გადაეყრება. ლაშა მას გერმანიაში სასწავლებლად გაგზავნას შესთავაზებს და თან, ვითომ სასხვათაშორისოდ, იმასაც ეტყვის, რომ ირაკლი ცოცხალია და ისიც გერმანიაშია...

გერმანიაში ჩასული, ნელ-ნელა ახალ პირობებსაც შეეგუება, მაგრამ მალე, თავაშვებული იტალიელი თანაკურსელის — სოფიას წყალობით, ახალი უბედურება დაატყდება თავს: სოფიას მორიგი სატრფო — ვინმე თურქი ალი სამ გოგონას თურქეთში ჩაიტყუებს და ადამიანებით მოვაჭრეებს ჩაუგდებს ხელში...

გვანცა მხოლოდ მეორე დილით მოეგო გონს და გაოცებულმა აღმოაჩინა, რომ ნახევრად ბნელი სარდაფის მსგავს ოთახში, პირდაპირ იატაკზე იწვა. მის გვერდით სოფია ფშვინავდა და ძილში რაღაც ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფრაზებს ისროდა. ლის კი უკვე ეღვიძა. ის იატაკზე წამომჯდარიყო, ზურგით კედელს მიჰყრდნობოდა და ხმადაბლა მოთქვამდა.

— ლი, რა მოხდა?.. რა გატირებს? — შეეხმიანა მეგობარს შემკრთალი გვანცა.

ლიმ ტირილი შეწყვიტა, გვანცასკენ ნელ-ნელა მოიხედა და ძლივს გასაგონად წასჩურჩულა:

— მგონი, დავიღუპეთ...

— დავიღუპეთ?.. რატომ?.. — სასწრაფოდ წამოჯდა გვანცაც. — ამიხსენი, სად ვართ და რა ხდება ჩვენს თავს?

— სად ვართ, არ ვიცი, მაგრამ ჩვენს თავს კარგი რომ არაფერი ხდება, ამას უკვე ცხადად ვხედავ...

ლის ეს სიტყვები ბოლომდე დასრულებული არ ჰქონდა, რომ ოთახის კარის საკეტს გარედან ვიღაცამ გასაღები მოარგო და რამდენჯერმე გადაატრიალა. კარი მაშინვე ხმაურით გაიღო, დამფრთხალი ლი და გვანცა ერთმანეთს მიეკვრნენ. ოთახში ორი ახმახი შემოვიდა და ერთ-ერთმა სინათლე აანთო. ნათურის კაშკაშა შუქმა გვანცას და ლის თვალები მოსჭრა, ჯერაც ტკბილად მძინარე სოფიამ კი, შუბლი უკმაყოფილოდ შეიკრა და გვერდი იცვალა...

— აბა, ლამაზებო! — დამტვრეული ინგლისურით დაიწყო ერთ-ერთმა ახმახმა და თან, ტაშიც შემოჰკრა. — გაღვიძების დროა! ჩქარა, ჩქარა! მაგარი სამუშაო გელოდებათ!

— რა სამუშაო? — ვიწრო თვალის ჭრილი არაბუნებრივად გაუფართოვდა ლის. — გაგვაგებინეთ, სად ვართ? ან ჩვენი მასპინძელი რა იქნა?

— რომელი მასპინძელი? — სახეზე დამცინავი ღიმილი აუთამაშდა ახმახს. — ჩვენ აქ, ყველანი, თქვენი მასპინძლები ვართ...

— ალი, — დაუკონკრეტა ლიმ.

— ა-ა... ალი? — მოჩვენებითად გაიოცა ახმახმა.

— დიახ, ალი რუაფხი, — როგორც იქნა, სოფიას სატრფოს გვარიც გაიხსენა ლიმ, — ჩვენ მან ანკარაში თავისი დაბადების დღეზე ჩამოგვიყვანა...

— იცი, რა, ლამაზო?! — მცირეოდენი პაუზის შემდეგ უთხრა მას ისევ იმ ახმახმა. — ეგ თქვენი ალი ვინ არის, ნამდვილად არ ვიცი. მაგრამ განა ჩვენ კი ცუდი ბიჭები ვართ?.. თუ გინდა, მესამესაც უცბად მოვძებნით და კარგი დრო გავატაროთ...

ლიმ და გვანცამ ერთმანეთს ერთი კი გადახედეს და ფეხზე ფეთიანებივით წამოცვივდნენ, თუმცა გვანცა ისევ დაიხარა და სოფია შეანჯღრია. ეს უკანასკნელი რის ვაი-ვაგლახით გამოერკვა და თავზე წამომდგარ გვანცას შეეღრინა:

— რატომ მანჯღრევ?.. რა გინდა?..

— გაიღვიძე! — გერმანულად უბრძანა მას გვანცამ. — დღესასწაული დამთავრებულია!

— დღესასწაული?.. რა დღესასწაული? — როგორც იქნა, გამოფხიზლდა სოფია და დამფრთხალმა ირგვლივ მიმოიხედა. — გამაგებინეთ, სად ვართ? ან ეს მახინჯები ვინ არიან? — ზიზღით გადახედა მან ახმახებს.

— ესენი ჩვენი ახალი მასპინძლები არიან, — სევდიანად უპასუხა ლიმ. — როგორც ჩანს, შენმა ძვირფასმა ალიმ ჩვენი თავი ამათ გადაულოცა.

— ალიმ? — თვალები ჭყიტა სოფიამ. — კი, მაგრამ თავად სადღაა?

— აი, ეგ კი უკვე შენ უფრო უნდა იცოდე...

— მე-ე? — ალალად გაიკვირვა სოფიამ. — რაღა მაინცდამაინც მე?! ყველანი ერთად არ ვიყავით? თანაც, მე, რაც ის სასმელი დავლიე, საერთოდ აღარაფერი მახსოვს...

ახმახებმა გოგონების კამათს ცოტა ხანს კიდევ უსმინეს, შემდეგ ერთმანეთს თვალით რაღაც ანიშნეს და ერთი მაშინვე სოფიას ეცა, მეორემ კი გვანცასკენ გადადგა ნაბიჯი, მაგრამ ის იყო, გულგახეთქილმა გოგონებმა საშინელი კივილი ატეხეს, რომ ზღურბლზე შავგვრემანი ტანსრული ქალი გამოჩნდა.

— მუსტაფა! აჰმად! — უყვირა მან ახმახებს და შემდეგ თურქულად რაღაც ძალიან გრძელი და ბრაზიანი მონოლოგიც მოაყოლა.

ახმახებმა გოგონებს ცივად უშვეს ხელი და ნაცემი ძაღლებივით განზე გადგნენ. აკანკალებული სოფია და გვანცა კი, ოთახის კუთხეში მიიკუნჭნენ და მათზე არანაკლებ დამფრთხალი ლიც მათ სასწრაფოდ შეუერთდა.

ოთახში შემოსულმა ქალმა გოგონები საგულდაგულოდ აათვალიერ-ჩაათვალიერა და უგემოვნოდ შეღებილ სახეზე კმაყოფილმა ღიმილმა გადაურბინა.

— ნუ გეშინიათ, გოგონებო! — საკმაოდ გამართული ინგლისურით დაიწყო მან შემდეგ. — ზეინაბ-ხანუმის სტუმრებს ეგრე ადვილად ხელს ვერავინ ახლებს.

— ზეინაბ-ხანუმი ვინაა? — გულუბრყვილოდ იკითხა სოფიამ.

— მე.

— ალი სადღაა? — სასწრაფოდ მეორე კითხვა შეაგება მას სოფიამ.

— რომელი ალი?

— ჩემი... ჩვენი მეგობარი.. — ცოტა არ იყოს, დაიბნა სოფია.

— თქვენს მეგობარ ალის მე ნამდვილად არ ვიცნობ, — პირზე ცბიერი ღიმილი აუთამაშდა ზეინაბ-ხანუმს. — თქვენ კი, დღეიდან ჩემს უშუალო განკარგულებაში გადმოდიხართ...

— რას ჰქვია, განკარგულებაში? — სიტყვა გააწყვეტინა ლიმ. — ჩვენ უცხოელები ვართ... სხვა ქვეყნების მოქალაქეები... მე, მაგალითად, ჩინელი ვარ, სოფია — იტალიელი, გვანცა კი, საქართველოდანაა...

— საქართველოდან? — გაიოცა ზეინაბ-ხანუმმა. — აბა, რომელია საქართველოდან?

— მე, — ძლივს წამოიკნავლა აქამდე ხმაგაკმენდილმა გვანცამ.

— რა გქვია?

— გვანცა.

— საქართველოში რა ადგილზე ცხოვრობ, გვან-ცა? — რატომღაც სახელი დამარცვლა ზეინაბ-ხანუმმა.

— თბილისში.

— კარგ ადგილას გიცხოვრია.

ამ სიტყვების შემდეგ, ზეინაბ-ხანუმმა მუსტაფას და აჰმადს თურქულად რაღაც გადაულაპარაკა. ისინიც მაშინვე სოფიასა და ლის ეცნენ და გულგახეთქილი გოგონები ოთახიდან თრევა-თრევით გაიყვანეს. გვანცამ მეგობრების შველა სცადა, მაგრამ ახმახებმა ის იატაკზე უხეშად მოისროლეს. გვანცამ თავი ხელებში ჩარგო და აქვითინდა.

— აბა, ახლავე გაჩუმდი! — უბრძანა მას ზეინაბ-ხანუმმა. — შენი ბედი, რომ ქართველი ხარ. ჩემს ძარღვებშიც ჩქეფს მცირეოდენი ქართული სისხლი და ამიტომ დაგინდვე!

— მართლა? — მაშინვე თავი ასწია გვანცამ და თვალებშიც იმედის ნაპერწკალი გაუკრთა.

— ძალიანაც ნუ გაიხარებ! — სასწრაფოდ ცივი წყალი გადაასხა ზეინაბ-ხანუმმა. — თუმცა, იმ ორზე მეტად კი ნამდვილად გაგიმართლა...

— ჩემს მეგობრებს რამე ცუდს უპირებთ? — მორიდებით ჰკითხა გვანცამ.

— გააჩნია, შენ ცუდს რას ეძახი, — ჩაიქირქილა ზეინაბ-ხანუმმა. — იტალიელი ცოტა ხანს, ჩვენს მუდმივ კლიენტებს გაართობს, აი, ჩინელს კი, დღესვე ჩემს რომელიმე სამღეროში უკრავენ თავს... რას იზამ? ღმერთმა სათანადო გარეგნობა არ მისცა. ჩვენს კაცებს მხოლოდ ვნებიანი ქალები მოსწონთ... ისე, სხვათა შორის, მუშტარი არც შენ მოგაკლდებოდა, — თავადაც მუშტრის თვალით აათვალიერ-ჩაათვალიერა გვანცა ზეინაბ-ხანუმმა, — მაგრამ რაც არის — არის, დაგინდობ და ხელზე მოსამსახურედ დაგიყენებ.

— მოსამსახურედ? — ხმა ჩაუწყდა გვანცას.

— ჰო, მოსამსახურედ... თუმცა, თუ შენ ბორდელში ან სამღეროში მუშაობა გირჩევნია, ძალას ნამდვილად არ დაგატან...

— არა, არა, რას ბრძანებთ?! — ციებიანივით აკანკალდა გვანცა. — უბრალოდ, ეს ყველაფერი ჯერ ისე მოულოდნელია, რომ გონს ვერ მოვსულვარ... —

— რაც მალე გამოერკვევი, მით უკეთესია შენთვის. ახლა კი — გამომყევი! — კარისკენ მედიდურად შებრუნდა ზეინაბ-ხანუმი.

— ხომ ვერ მეტყვით, სად ვარ? — ბოლოს მაინც გაიბრძოლა გვანცამ.

— აი, ამის ცოდნა კი, ნამდვილად არაფერში გჭირდება!.. — ხმას აუწია ზეინაბ-ხანუმმა. — რადგან აქედან ვეღარასოდეს გახვალ...

გვანცას „ახალი პატრონი“ მეტისმეტად ჭირვეული ქალი აღმოჩნდა, ამიტომ გვანცასაც თავიდანვე აუხირდა, ყოველ წუთას ტუქსავდა და ზოგჯერ უშვერი სიტყვებითაც ლანძღავდა. ერთხელ კი, როცა გვანცა კუნაპეტივით შავ და გრძელ თმას ვარცხნიდა და შემთხვევით, მოსწიწკნა, გაცოფებული ზეინაბ-ხანუმი მიუბრუნდა და ხელი პირდაპირ სახეში სთხლიშა. გვანცას მაშინვე სისხლი წასკდა ცხვირიდან და გულიც შეუღონდა... როცა გამოერკვა, უკვე თავის ბნელ ოთახში, რკინის ვიწრო საწოლზე იწვა და ფეხებთან ზეინაბ-ხანუმის კიდევ ერთი მოსამსახურე, ბებერი ჯინა ეჯდა.

— როგორა ხარ? — ჰკითხა მას

ჯინამ.

— არა მიშავს... — ძლივს წაიჩურჩულა გვანცამ.

— ისე, ბლომად სისხლი კი დაკარგე... — განაგრძო ჯინამ. — ბოლოს ზეინაბ-ხანუმიც კი შეშინდა და სასწრაფოდ მიბრძანა — მიხედე, არ მოკვდესო...

— არც იოცნებოს! — უცბად თვალები ბოროტად დააკვესა გვანცამ. — ეგ დამპალი ჩემს სიკვდილს ნამდვილად ვერ მოესწრება!..

— ცოტა ხმადაბლა! — ირგვლივ შიშით მიმოიხედა ჯინამ. — აქ კედლებსაც ყურები აქვს. ერთი გადაბრუნებული სიტყვა და შენც მაშინვე ბორდელში გიკრავენ თავს... არა, მაინც, ასე ცხვრებივით როგორ ჩაუცვივდით ამ ალქაჯს ხელში? — ჩურჩულზე გადავიდა ჯინა ბოლოს.

— ერთმა აქაურმა ბიჭმა გაგვაბრიყვა, — ჩურჩულითვე უპასუხა გვანცამაც. — ვითომ დაბადების დღეზე დაგვპატიჟა და...

— ალი ძაღლიშვილმა ხომ არა?

— ჰო...

— ეგ დამპალი ზეინაბ-ხანუმის მარჯვენა ხელია... ევროპიდან ქალებით, ძირითადად, ეგ ამარაგებს... შენ კიდევ რა გიშავს — იცი, ის ორი გოგო რა დღეში ეყოლებათ?!.

— ჯინა, მითხარი, აქედან გაღწევა შეიძლება? — ჰკითხა უცებ გვანცამ.

— არც იოცნებო! — მაშინვე იმედი გადაუწურა ჯინამ. — მე აქ ჯერ კიდევ იმ დროიდან ვარ, როცა ყველაფერს ზეინაბ-ხანუმის მამა — ჰაკანი განაგებდა. ნამდვილი სადისტი იყო. ყოველ ახალმოყვანილ გოგონას ჯერ მის ხელში უნდა გაევლო. თავიდან, ორი თვე, მეც მისი ხასა ვიყავი... მონასავით მექცეოდა. მასთან ყოველი ყოფნის შემდეგ, სიკვდილს ვნატრობდი... ერთხელ ისე მცემა, რომ სამი ნეკნი ჩამიმტვრია... მოვმჯობინდი თუ არა, მაშინვე გაქცევა ვცადე.

— მერე? — თვალები ინტერესით აენთო გვანცას.

— როგორც კი ქუჩაში აღმოვჩნდი, პირველსავე პოლიციელს ვეცი და დამტვრეული თურქულით შველა ვთხოვე.

— მერე? — მთლად თვალებად იქცა გვანცა.

— პოლიციელი დახმარებას შემპირდა. ახლომდებარე პოლიციის განყოფილებაშიც მიმიყვანა, სადაც რაღაც დოკუმენტზე მომაწერინეს ხელი, მერე მანქანაში ჩამსვეს და... ისევ ჰაკანთან დამაბრუნეს. მან კი სამღებროს ველურ მუშებს უხმო და... — თავი უმწეოდ ჩაქინდრა ჯინამ. — იმის შემდეგ გაქცევაზე აღარც მიფიქრია...

— მე მაინც გავიქცევი... — კბილებში გამოცრა გვანცამ.

— ეჰ... — ამოიოხრა ჯინამ. — შენხელა რომ ვიყავი, მეც დიდი იმედი მქონდა, რომ ამ ჯოჯოხეთს თავს დავაღწევდი, ახლა კი... რომ გამიშვან, ალბათ, მაშინაც არსად წავალ... ან სად უნდა წავიდე?!. ვიღას ვახსოვარ?!. ვიღას ვჭირდები?!. აქ კი უკვე, ასეა თუ ისე, დაუმადლებელ პურს ვჭამ და საქმეც იოლი საკეთებელი მაქვს: ყოველ დილით ზეინაბ-ხანუმის საძინებელ და სასტუმრო ოთახებს ვალაგებ, ყვავილებს ვრწყავ და, თუ რამე განსაკუთრებული არ მოხდა, მეორე დილამდე სრულიად თავისუფალი ვარ... წელანაც, შენ რომ ცხვირიდან სისხლი არ წაგსკდომოდა, დაძინებას ვაპირებდი, მაგრამ...

— დიდი მადლობა, რომ მიპატრონე, — გააწყვეტინა გვანცამ. — ახლა შეგიძლია, წახვიდე და დაიძინო. მე უკვე აღარაფერი მიჭირს...

— მართალი გითხრა, ჩემს ოთახში მარტო გდებას, ისევ შენთან ყოფნა მირჩევნია. თუ თავი არ მოგაბეზრე, ცოტა ხანს კიდევ დავრჩები... — სთხოვა ჯინამ.

— კი, დარჩი... ის კი არა და, თუ გინდა, საერთოდაც აქ დაიძინე... — ალალად შესთავაზა გვანცამ.

— არა, ამას პატრონის დაუკითხავად როგორ გავბედავ?!. — თავი შორს დაიჭირა ჯინამ. — ცოტა ხანს კიდევ დავრჩები და მერე წავალ. გინდა, რამე საჭმელი მოგიტანო?

— არა, — იუარა გვანცამ. — ნამდვილად არ მშია...

— ერთი-ორი საათის შემდეგ, ლაპარაკით გულმოჯერებული ჯინა გვანცას დაემშვიდობა და სანამ კარს გამოაღებდა, კიდევ ერთხელ მოიხედა და ჩურჩულით უთხრა:

— თუ მართლა გინდა, აქაურობას თავი დააღწიო, ზეინაბ-ხანუმის ნდობა უნდა დაიმსახურო...

— კი, მაგრამ როგორ?.. ან მერე რა უნდა ვქნა? — სასწრაფოდ დაადევნა კითხვა გვანცამ.

— დანარჩენზე მოგვიანებით ვილაპარაკოთ... — კარი უხმაუროდ გაიხურა ჯინამ.

გვანცამ ჯინას რჩევა გაითვალისწინა და ზეინაბ-ხანუმს სულ თვალებში შესციცინებდა, ყოველ მის ბრძანებას განსაკუთრებული გულმოდგინებით ასრულებდა და ნელ-ნელა, მის ნდობასაც იმსახურებდა.

ერთი-ორჯერ ზეინაბ-ხანუმი გულახდილობის ხასიათზეც დადგა და გვანცას გული გადაუშალა:

— ესაა ცხოვრება? — აწუწუნდა ერთხელ, საწოლზე ნებიერად მიწოლილი ზეინაბ-ხანუმი. — ამ ჯურღმულში როგორ უნდა ამომხდეს სული?.. შენ გგონია, მე კი მეხალისება, რასაც ვაკეთებ?.. ჩემს მშობლებს, ჩემ გარდა, კიდევ ტყუპი ვაჟი ჰყავდათ. მამაჩემი მთელ იმედს მათზე ამყარებდა... მე ჩემს ძმებზე ათი წლით უფროსი ვიყავი და საკმაოდ ლაღადაც ვიზრდებოდი. კოლეჯი რომ დავამთავრე, დედა მამაჩემს შეუჩნდა და

„კვირის პალიტრის“ სასწავლო კომპიუტერული ცენტრი

გთავაზობთ კომპიუტერის შემსწავლელ ინდივიდუალურ კურსებს:

საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები. პროგრამირება და ვებ-დიზაინი. შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი.
საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაივლიან „კვირის პალიტრის“ გამოცემებში.
დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.

მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა
15⁰⁰-დან 18⁰⁰ სთ-მდე „კვირის პალიტრის“ ოფისში.
მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).
დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ:
33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.

შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება

სასწავლებლად ამერიკაში გამიშვეს... იქ ერთი ბიჭი შემიყვარდა, ჯონი ერქვა... ერთ ზაფხულს, ჯონი ჩემს მშობლებთან ჩავიყვანე და მასზე გათხოვების ნება ვთხოვე. მამაჩემმა ჯონი მეორე დილითვე თვითმფრინავში ჩაასმევინა, მე კი სწავლაზე ფიქრიც კი ამიკრძალა და მალე ერთ თავის კომპანიონზეც დამნიშნა. მაგრამ ქორწილამდე ცოტა ხნით ადრე, ჩვენს ოჯახში დიდი უბედურება დატრიალდა: დედა და ჩემი ძმები ავტოკატასტროფაში მოყვნენ, დედაჩემი და ერთი ტყუპისცალი ადგილზევე გარდაიცვალნენ... რამდენიმე თვეში მამაჩემიც მათ დარდს გადაჰყვა...

ამ სიტყვების შემდეგ, ზეინაბ-ხანუმა თავი ჩაქინდრა და გაირინდა.

— მეორე ძმა გადარჩა? — ცოტა ხნის შემდეგ, ხმადაბლა ჰკითხა გვანცამ.

— ვი-ინ? — ფიქრიდან უცბად გამოერკვა ზეინაბ-ხანუმი.

— თქვენი მეორე ძმა...

— ა-ა... უმარი?.. უმარი — კი, მაგრამ ბოლომდე ხეიბარი დარჩა... ასე რომ... — ირგვლივ საქმიანად მიმოიხედა ზეინაბ-ხანუმმა. — აქაურობა მარტო ჩემი მისახედი შეიქნა... მაშინ მხოლოდ ოცი წლის ვიყავი და ისიც კი არ ვიცოდი, მამაჩემი ფულს როგორ შოულობდა. ანკარაში, ულამაზეს სახლში ვცხოვრობდით... მამაჩემის სიკვდილის შემდეგ, აქ პირველად რომ ჩამოვედი, თავზარი დამეცა. მაგრამ მერე გემო გავუგე ფულს და ძალაუფლებას...

ზეინაბ-ხანუმის ნაამბობს გვანცა შიშით თვალებგაფართოებული უსმენდა.

— ეგრე ნუ მიყურებ! — შეუტია მას ზეინაბმა. — მართლა კაციჭამია კი არა ვარ...

— რას ბრძანებთ?! მსგავსი რამ გულშიც არ გამივლია... უბრალოდ, თქვენმა გულახდილობამ გამაოცა. ვერ ვხვდები, ამხელა ნდობა რით დავიმსახურე?.. — სასწრაფოდ გაილექსა გვანცა.

— მაგას შენ კი არა, მეც ვერ ვხვდები... — ხელი დანებით ჩაიქნია ზეინაბ-ხანუმმა. — მაგრამ მართლა მგელი ხომ არა ვარ, ტყეში წავიდე და ყმუილს მოვყვე?!. ხანდახან, მეც ხომ მინდა, ვინმეს გული გადავაუშალო... თანაც, შენ, რაც არ უნდა იყოს, ჩემი სისხლისა ხარ...

— დიახ, ხანუმ... — ისევ წაიმლიქვნელა გვანცამ, მაგრამ ზეინაბმა აღარ აცალა:

— ოღონდ, იცოდე! — თითი დაუქნია მან. — ღალატი არ გაბედო, თორემ, შენს თავს ძაღლებს დავაგლეჯინებ, იცოდე!

— რომელ ძაღლებს? — გამტკნარდა გვანცა.

— შენ დაქალ ჯინას ჰკითხე და ის გეტყვის... — გვერდზე გადაბრუნდა ზეინაბი. — ახლა კი მომშორდი, მეძინება...

გვანცა კარამდე ფეხაკრეფით მივიდა და ის-ის იყო, ფრთხილად უნდა გამოეღო, რომ ზეინაბ-ხანუმმა კითხვა დაადევნა:

— გინდა, ჩემი ძმა გაგაცნო?

— რომელი ძმა? — მოულოდნელმა კითხვამ დააბნია გვანცა.

— მე მარტო ერთი ძმაღა მყავს... — თავისთვის ჩაილაპარაკა ძილ-ბურანში წასულმა ზეინაბმა. — გაემზადე, მალე ანკარაში წაგიყვან...

ერთი კვირის შემდეგ, ზეინაბმა გვანცა ანკარაში მართლა წაიყვანა. მანქანას, რომელსაც ზეინაბის მძღოლი მართავდა, ჩამუქებული მინები ჰქონდა და გვანცა ყველაფერს ასევე მუქ ფერებში ხედავდა. ზეინაბმა რამდენიმე ბანკში შეიარა და მძღოლს ისევ უკან დაბრუნება უბრძანა.

— ჩემს სახლს სხვა დროს გიჩვენებ, — მიუბრუნდა ის რაღაცის მოლოდინში გასუსულ გვანცას. — ახლა კი უნდა დავბრუნდეთ... გული ხომ არ დაგწყდა?

— არა, რას ბრძანებთ?!. — სასწრაფოდ იუარა გვანცამ.

— ჰო, მართლა... — ფანჯრის მინას უცბად თითი ატაკა ზეინაბ-ხანუმმა. — აი, იქ მგონი, საქართველოს საკონსულო უნდა იყოს...

გვანცა მაშინვე თვალებად იქცა: შენობაზე, რომელსაც წუთის წინ ჩაუქროლეს, მართლაც, ქართული დროშა ფრიალებდა...

— როგორ მოიარე? — დაბრუნებისთანავე ეცა გვანცას ჯინა.

— ისე, რა... — უხალისოდ უპასუხა გვანცამ.

— მოგეწონა ანკარა?

— მანქანიდან ცხვირი არ გამიყვია და რა უნდა მომწონებოდა?!.

— არა უშავს, თუ ჭკუით იქნები, სხვა დროს, ცხვირსაც გაყოფ და სხვა რამესაც... — დაამშვიდა ჯინამ. — ზეინაბ-ხანუმმა თავისი ძმა გაგაცნო?

— სახლში საერთოდ არ შეუვლია.

— იცი, ასე რატომ იქცევა? ჯერ კიდევ გამოწმებს...

— ვიცი. საქართველოს საკონსულოსთანაც სპეციალურად ჩამატარა...

— მართლა?.. მერე?

— რა მერე? კინაღამ გული გამიჩერდა, მაგრამ მაინც არაფერი შევიმჩნიე.

— ყოჩაღ! — შეაქო ჯინამ გვანცა. — ჩათვალე, რომ ნახევარი საქმე უკვე გაკეთებულია...

ერთი კვირის შემდეგ, ზეინაბ-ხანუმმა გვანცა მანქანაში ჩაისვა და ისევ ანკარისკენ გასწიეს. ამჯერად მან მძღოლს მანქანა ერთ-ერთი ფეშენებელური შენობის წინ გააჩერებინა და მანქანიდან სწრაფად გადავიდა, თუმცა, სანამ კარს მიხურავდა, მძღოლს ინგლისურად უბრძანა, შენც წამომყევიო.

— მერე, ეს გოგო? — თურქულად ჰკითხა გაოცებულმა მძღოლმა.

— ნუ გეშინია, არ გაიქცევა... — ისევ ინგლისურად უპასუხა მას ზეინაბ-ხანუმმა, წამით, გვანცას თვალი თვალში გაუყარა და შემდეგ, მანქანის კარი ხმაურით მიიხურა.

მანქანაში მარტოდ დარჩენილმა გვანცამ აშკარად იგრძნო, წამით გული როგორ გაუჩერდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

კიდმანი როლისთვის სანდაზმული აღმოჩნდა

„ოსკარის“ მფლობელი ავსტრალიელი ლამაზმანი ნიკოლ კიდმანი ჯონ ლე კარეს რომანის – „ერთგული მებაღის“ ეკრანიზაციაში მთავარ როლზე პრეტენდენტთა სიიდან ამოიღეს. ფილმს გადაიღებს ბრაზილიელი რეჟისორი ფერნანდო მერელესი, რომელიც ახლახან ფილმისთვის – „უფლის ქალაქი“ – „ოსკარზე“ წარადგინეს.

36 წლის კიდმანს (მისი ბოლო ფილმია „ცივი მთა“) ჰქონდა შანსი, ახალ სურათში ბრიტანელი დიპლომატის ცოლი განესახიერებინა, მაგრამ ნიკოლთან შეხვედრამ რეჟისორი რატომღაც გაწბილებული დატოვა და განაცხადა, რომ მსახიობი ამ როლისთვის ზედმეტად ასაკოვანია. სამაგიეროდ, მას 35 წლის ნაომი უოტსი სრულიად არ მოსჩვენებია როლისთვის შეუფერებლად. თუმცა მისგან ამჯერად უარი მიიღო, რადგან ნაომი დაკავებულია – მას სხვა ფილმში იღებენ. საბოლოოდ, როგორც ირკვევა, აღნიშნული სახის შესაქმნელად „ტიტანიკის“ ვარსკვლავზე – 28 წლის კეიტ უინსლეტზე შეაჩერეს არჩევანი.

თავდაპირველად, „ერთგული მებაღე“ ბრიტანელ რეჟისორს მაიკ ნიუელს უნდა გადაეღო, მაგრამ „ჰარი პოტერის“ მეოთხე სერიაზე მუშაობის გამო, მან უარი თქვა ამ სურათზე. რაც შეეხება ბრაზილიელ რეჟისორს, მისთვის ეს ფილმი პირველი ინგლისურენოვანი პროექტი იქნება. „მებაღეში“ დიპლომატის ჯასტინ კუეილის როლს რალფ ფაინსი შეასრულებს. სცენარი კი ჯეფრი კეინმა დაწერა. ■

ტიმბერლეიკის დებიუტი კინოში

პოპულარულმა მომღერალმა ჯასტინ ტიმბერლეიკმა ფილმში გადასაღებად კონტრაქტი გააფორმა. დებიუტანტს დიდ ეკრანზე პარტნიორობას გაუწევენ ცნობილი მსახიობები – მორგან ფრიმენი და კევინ სპეისი.

ფილმ-ტრილერში, რომლის სახელწოდებაცაა „ედისონი“, ტიმბერლეიკს ერთ-ერთი მთავარი როლი შესთავაზეს – იგი ჟურნალისტს განასახიერებს. „ედისონის“ გადაღებები მიმდინარე წლის 8 მარტს დაიწყება. ფილმის რეჟისორია სახელმოხვეჭილი სცენარისტი დევიდ ბერკი. საგულისხმოა, რომ როგორც ჯასტინს სამსახიობო, ისე ბერკს სარეჟისორო სარბიელზე, დებიუტი ელის. ■

მრიტნი MTV–ისთვის მეტისმეტად ვულგარულია

მუსიკალური არხის MTV-ის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, აღარ უჩვენოს ბრიტნი სპირსის ახალი კლიპი დღის საათებში, რადგან სიუჟეტის მიხედვით, კატის ეროტიკულ, გამჭვირვალე კოსტიუმში გამოწყობილი მომღერალი ტუალეტში სექსითაა დაკავებული. MTV-ის ბოსები ჯანეტ ჯექსონთან დაკავშირებული გახმაურებული ინციდენტის შემდეგ ცდილობენ, დაიცვან ახალგაზრდა მაყურებელი ჰიპერსექსუალური გამოხდომებისგან. „მსგავსი მოვლენების მიმართ აუდიტორია ძალზე მგრძნობიარე გახდა, – იუწყება MTV-ის პრესსამსახური, – და ჩვენ ეს უნდა გავითვალისწინოთ. როგორც არასდროს, ისე გვმართებს ბალანსის შენარჩუნება...“

ბრიტნის გარდა, დილის ექვსიდან საღამოს ათ საათამდე ისეთი კლიპების ტრანსლაციაც აიკრძალება, როგორიცაა: Blink 182, Maroon 5 და Incubus. მიზეზი ამ შემთხვევაში, კლიპებში არა სექსუალური კადრები, არამედ ადოლფ ჰიტლერის სახის გამოყენებაა.

ჯულია ორმონდი დედა გახდემა

ჰოლივუდის ვარსკვლავი ჯულია ორმონდი ფეხმძიმედაა და პირველი შვილის დაბადებას ელოდება. „ძალზე ბედნიერი ვარ. როგორც ქალი, ამაზე ყოველთვის ვოცნებობდი“, – აღნიშნა მსახიობმა. როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, ბავშვი ივნისში უნდა დაიბადოს.

ჯულია ორმონდი 1965 წლის 4 იანვარს ინგლისში დაიბადა. მან უებერ დუგლასის დრამატული ხელოვნების აკადემია დაამთავრა. მსახიობის კარიერა ტელევიზიაში დაიწყო, ხოლო კინოში მისი დებიუტი 1992 წელს ფილმში – „სტალინი“ შედგა. პირველი სერიოზული როლი ფილმში – „მაკონის პირმშო“ (1993) შეასრულა. მსახიობი ცნობილია აგრეთვე ფილმებით: „ნოსტრადამუსი“ (1994), „პირველი რაინდი“ (1995) და „საბრინა“ (1995). ფილმში – „შემოდგომის ლეგენდები“ მსახიობმა ენტონი ჰოპკინსთან ერთად ითამაშა (1994), ხოლო 1996 წელს, მისი, როგორც პროდიუსერის დებიუტი შედგა.

1997 წელს, ჯულია ორმონდმა შეასრულა მთავარი როლი ცნობილი რუსი რეჟისორის, ნიკიტა მიხალკოვის ფილმში – „ციმბირელი დალაქი“. ■

„ტატუს“ გარშემო მორიგი სკანდალი მწიფდება

შესაძლებელია, ახლო მომავალში პოპდუეტ „ტატუსთან“ დაკავშირებით მორიგი სკანდალი აგორდეს. როგორც მასმედია იუწყება, გოგონები, თავი რომ დააღწიონ პროდიუსერ ივან შაპოვალოვს, მზად არიან, თავიანთ სცენურ ფსევდონიმზეც კი უარი თქვან. იულია ვოლკოვასა და ლენა კატინას აზრით, მათი მენეჯერი იმდენად გაერთო, სკანდალებისა და სენსაციების შეთხზვით, რომ სრულიად აღარ ადარდებს მომღერლების შემოქმედებითი ზრდა. „მას მხოლოდ სკანდალები აინტერესებს და მთელ დროს მათ გამოგონებაზე კარგავს და საერთოდ არ აინტერესებს ჩვენი შემოქმედება – ამბობს იულია ვოლკოვა, – დარწმუნებული ვარ, ჩვენს თაყვანისმცემლებს ახალი სიმღერის მოსმენა უფრო სურთ, ვიდრე მორიგი ჭორი“. მართლაც, „ტატუმ“ სკანდალური იმიჯი სწორედ შაპოვალოვის ძალისხმევით მოიპოვა. ალბათ ამიტომაც დაასახელეს იგი გასული წლის ყველაზე აქტიურ ნიუზმეიკერად. ■

ჰოლი მერის ყველაზე ლამაზი ცხვირი ჰქონია

გამოკითხვის შედეგად, მაყურებელმა ყველაზე ნატიფცხვირიან მსახიობ ქალად „ოსკარის“ მფლობელი ჰოლი ბერი დაასახელა. მას მოსდევენ: კაილი მინოუგი, ნიკოლ კიდმანი, გვინეტ პელტროუ და კამერონ დიასი. შეგახსენებთ, რომ აგენტ-007-ის გოგონა ჰოლი ბერი შარშან ყველაზე სექსუალურ და მიმზიდველ ქალად აღიარეს. რაც შეეხება მამაკაცებს – ყველაზე ლამაზცხვირიანი, პიტერ ჯექსონის ტრილოგიაში – „ბეჭდების მბრძანებელში“ მთავარი როლის შემსრულებელი ორლანდო ბლუმი აღმოჩნდა. მან, საყოველთაო აღიარებით, იდეალური სახის ნაკვთების მქონე ბრედ პიტი და ბრიტანელთა საყვარელი ფეხბურთელი დევიდ ბექჰემიც კი უკან მოიტოვა. ■

„ელიზამეტ ჰარლი უნიკომის განსახიერებაა!“

26 წლის ბრიტანელმა მსახიობმა სამანტა მორტონმა, რომელიც ფილმისთვის – „ამერიკაში“– „ოსკარზეა“ წარდგენილი, მოულოდნელად, სასტიკად გააკრიტიკა თავისი თანამემამულე, 38 წლის ელიზაბეტ ჰარლი. „ის ხომ მსახიობი არ არის. ეჭვი მეპარება, რომ მისთვის ქუჩის თეატრშიც კი მიეჩინათ ადგილი... არ გეჩვენებათ, რომ სინამდვილეში, მას სულ არ უყვარს თავისი პროფესია?..“

მორტონი ხელმოკლე ოჯახში გაიზარდა და იმისათვის, რომ მსახიობის კარიერა შეექმნა, მრავალი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა. მას მიაჩნია, რომ ჰარლის სახელის მოხვეჭა უფრო აინტერესებს, ვიდრე საკუთრივ სამსახიობო შემოქმედება. სამანტას აგრეთვე მიაჩნია, რომ არსებობენ ისეთი მსახიობებიც, რომლებშიც ჰარმონიულადაა შერწყმული ნიჭიერება და პოპულარობის მოხვეჭის უნარი. „ვფიქრობ, ასეთები არიან: ლიზ ტეილორი და ოდრი ჰეპბერნი. მერილინ მონრო ასევე, ძალზე კარგი მსახიობი იყო. მგონი, ნიკოლ კიდმანსაც გამოსდის რაღაც და პელტროუმაც განსაზღვრულ დონეს მიაღწია...“ ■

კეტრინ ზეტა-ჯონსი სიძველში „ოუშენის ბანდა“

კეტრინ ზეტა-ჯონსი 2001 წელს ეკრანზე გამოსული ფილმის – „ოუშენის ბანდის“ გაგრძელებაში – „ოუშენის 12 მეგობარი“ მიიღებს მონაწილეობას და სხვა მსახიობებს შეუერთდება. რეჟისორად სტივენ სოდერბერგი მოგვევლინება, სამსახიობო გუნდის დიდი ნაწილი კი უცვლელი დარჩება – ფილმში მონაწილეობას მიიღებენ: ჯორჯ კლუნი, ბრედ პიტი, ჯულია რობერტსი, მეთ დეიმონი და დონ ჩიდლი. მათ შეემატებიან კეისი აფლეკი, ვენსან კასელი და ელიოტ გოულდი.

სიუჟეტურად ფილმი საერთაშორისო კრიმინალზეა აგებული. მოქმედება ვითარდება ევროპაში (პარიზში, რომში, ამსტერდამში, მონტე-კარლოში, იტალიაში კომოს ტბაზე) და ოკეანის გაღმა (ჩიკაგოში, ლას-ვეგასსა და ლოს-ანჯელესში).

ზეტა-ჯონსი შეასრულებს ევროპოლის აგენტის როლს, რომელიც ბრეტ პიტის პერსონაჟთან გაიბამს რომანს... ■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

PT Cruiser უფრო მკვირცხლი გახდა

Chrysler PT Cruiser, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს როგორც სამშობლოში, ასევე სხვა კონტინენტებზე, ახალი ძრავათი აღიჭურვა. ახლა მის მოდიფიკაციათა ჩამონათვალში სპორტული ვარიანტიც გაჩნდა, რომელიც 4-ცილინდრიანი, 2,4 ლ მოცულობის, 223 ცხ.ძ. სიმძლავრის ტურბოდიზელითაა აღჭურვილი. ამის შედეგად PT Cruiser GT 2.4 Turbo გაცილებით მკვირცხლი გახდა: ის ახლა, 100 კმ/სთ სიჩქარეს 7,5 წმ-ში ავითარებს, 1,6 ტ მასის ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე 200 კმ/სთ-ია, ხოლო საწვავის ხარჯი – 100 კმ-ზე სულ 10,2 ლ-ს შეადგენს. მანქანის საბაზო კომპლექტაციაში შედის: უსაფრთხოების 4 ბალიში, მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემა, 17-დუიმიანი, ალუმინის საბორბლე დისკები. მისი სალონი, ტყავის სავარძლებითა და ალუმინის პედლებით, ასევე უმაღლესი კლასის სტერეოსისტემით იწონებს თავს. საინტერესოა, რომ დამატებითი ოპციების ნუსხაში არ შედის: სტაბილიზაციის ელექტრონული სისტემა, რომელიც მკვეთრი მოსახვევის გავლისას, მძღოლს შეცდომისგან აზღვევს და უსაფრთხოების დამატებითი ბალიშები, რომელიც მძღოლსა და მგზავრებს ტრავმებისგან დაიცავს. ეს გარემოება „კრაისლერის“ კონსტრუქტორებმა იმით ახსნეს, რომ ახალი „კრუიზერი“ უპირველესად, მშვიდი, გაწონასწორებული მოძრაობის მოყვარულთათვისაა განკუთვნილი. თუმცა, ანალოგიური მახასიათებლების მქონე, ევროპულ და იაპონურ მანქანებს აღნიშნული ოპციები საბაზო კომპლექტაციაში აქვთ შეტანილი. ■

Mitsubishi მომავლის გაჰყურებს

ამერიკის ქალაქ დეტროიტში გამართულ ყოველწლიურ ავტოსალონზე იაპონურმა ფირმა „მიცუბიშიმ“ ორი საინტერესო კონცეპტუალური მოდელი წარმოადგინა. სპორტული კუპე Mitsubishi Eclipse Concept-E ორკარიანი ელეგანტური ჩქაროსნული ავტომობილია, რომელიც არსებითად, XXI საუკუნის მანქანის „მიცუბიშისეულ“ ხედვას წარმოადგენს. იაპონელმა ინჟინრებმა ის 6-ცილინდრიანი, 272 ცხ.ძ-ის მქონე ბენზინის ძრავათი და 204 ცხ.ძ-ის მქონე ელექტროძრავათი აღჭურვეს. ეს უკანასკნელი უკანა ბორბლებს ატრიალებს. Eclipse სრული ამძრავითა და 6-საფეხურიანი მექანიკურ გადაცემათა კოლოფითაა აღჭურვილი.

„მიცუბიშის“ მეორე სიახლეს წარმოადგენს პიკაპი Sport Truck Concept – მოდელი, რომლის შექმნაშიც კომპანია Chrysler-იც მონაწილეობდა (როგორც ცნობილია, იაპონური ფირმა, „დაიმლერ კრაისლერის“ ალიანსში შედის. Sport Truck სოლიდური ზომების (სიგრძე – 5,24 მ, სიგანე – 1,99 მ) ყველგანმავალია, რომელიც V ტიპის 8-ცილინდრიანი, 4,7 ლ სამუშაო მოცულობის ძრავათი და 5-საფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფითაა აღჭურვილი. ■

Mitsubishi Sport Truck Concept

Mitsubishi Eclipse Concept-E

Viper — ავტომობილი ეკომპლიმენტი ავტომყვარეთათვის



სპორტული ავტომობილი – Dodge Viper SRT-10 შთამბეჭდავია, როგორც დიზაინით, ასევე დინამიკური მახასიათებლებით. ახალი როდსტერის უჩვეულოდ გრძელი ცხვირი გასული საუკუნის დიზაინის კლასიკური ტრადიციების დაცვითაა შესრულებული. ძრავა კი, 10-ცილინდრიანი, 8,3 ლ სამუშაო მოცულობისა აქვს, რომელიც 506 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს. 100 კმ/სთ სიჩქარემდე „აგორებას“ ახალი Viper 3,9 წმ ანდომებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი, 306 კმ/სთ-ია.

Viper SRT-10 არაა აღჭურვილი ისეთი ელექტრონული სისტემებით, რომელიც მძღოლს შეცდომებისგან დააზღვევს, ამიტომ ის მხოლოდ საკუთარ უნარ-ჩვევებსა და მანქანის აეროდინამიკას უნდა დაეყრდნოს. ტრასაზე მოძრაობისას, სტაბილურობის შენარჩუნებას მასიური (18-დუიმიანი უკანა და 19-დუიმიანი წინა) ბორბლები შეუწყობს ხელს.

სალონი ზედმიწევნით სადაა გაწყობილი: ე.წ. სერვისული მოწყობილობებიდან, მხოლოდ პედლების ელექტრონული მარეგულირებელი და უსაფრთხოების რკალების ელექტროამძრავი შეიძლება დავასახელოთ. აღსანიშნავია, რომ ახალი მოდელის წინამორბედის, 10 წლის წინ წარმოებული Viper RT/10-ის სახურავი ქსოვილისაგან მზადდებოდა და ხელით მონტაჟდებოდა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ როდსტერით მოძრაობა მძღოლისთვის არცთუ ისე კომფორტული იქნება, რადგან ამერიკულ სპორტულ მანქანას საკმაოდ მოუხეშავი საკიდარი აქვს. რაც შეეხება საწვავის ხარჯვის მაჩვენებელს – ის ყოველ 100 კმ-ზე, 19,4 ლ-ს აღწევს. Viper-ს საკმაოდ მომცრო საბარგული აქვს – სულ 200 ლ მოცულობის. რამდენადმე განსხვავდება ევროპული ბაზრისთვის განკუთვნილი ვარიანტი: მას ამერიკელმა ინჟინრებმა ბურუსის საწინააღმდეგო უკანა მაშუქები, მაშუქების გამწმენდები და ხელსაწყოებზე მეტრული სკალა დაურთეს.

Dodge Viper SRT-10-ის ფასი 105.000 ევროა. დილერების თქმით, იმ ჩქაროსნული ავტომობილების კლასში, რომელსაც ჯადოსნურ ზღვრად წოდებული, 300 კმ/სთ სიჩქარის ზღურბლის გადალახვის უნარი შესწევს, ის მომხმარებელთათვის საუკეთესო წინადადებას წარმოადგენს: გამოდის, რომ ამ მანქანის შეძენისას, მას თითო ცხ.ძ-ში 208 ევროს გადახდა მოუწევს, მაშინ, როდესაც Lamborgini Murcielago 375, Aston Martin Vanquish – 489, ხოლო Porsche Carrera GT – 735 ევრო დაუჯდება. ასეა თუ ისე, გერმანიაში, რომლის გავლითაც ეს მანქანა ევროპას მიეწოდება, მას უკვე 80 შემკვეთი გამოუჩნდა.

საბედისწერო ნიანგი

მეცნიერები დღემდე საეჭვოდ მიიჩნევენ ნათელმხილველთა და მისანთა მიერ ადამიანის მომავლის წინასწარმეტყველებას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ლაპარაკია მის ტრაგიკულ აღსასრულზე. სკეპტიციზმის მიუხედავად, ცნობილმა ბრაზილიელმა მისანმა მარტა ვარგამ ამას წინათ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მომავლის წინასწარმეტყველება მას ნამდვილად ძალუძს. ვარგამ უმკითხავა რიო-დე-ჟანეიროს 75 წლის მკვიდრს როდრიგო ოლივეიროს და გააფრთხილა, რომ მისი სიკვდილის მიზეზი ნიანგი გახდებოდა, ოღონდ არ დაუზუსტებია, თუ კონკრეტულად როგორ მოხდებოდა ეს.

ალიგატორები მეგაპოლისში არ ბინადრობენ, მოხუცი კი, მოგზაურობის დაუძლეველი წყურვილით შეპყრობილი სულაც არ გახლდათ. მიუხედავად ამისა, ტრაგიკული აღსასრულის წინასწარმეტყველებას ის ძალზე სერიოზულად მიუდგა და საკუთარი ბინიდან, რომელიც მრავალსართულიანი სახლის პირველ სართულზე მდებარეობდა, საერთოდ აღარ გამოდიოდა. ნათესავები და ახლობლები როდრიგოს არწმუნებდნენ, რომ მისი შიში უსაფუძვლო იყო, მაგრამ მისი გადარწმუნება ვერავინ შეძლო.



ყველასათვის მოულოდნელად, წინასწარმეტყველება მაინც ახდა... ნიანგი ერთ ღამეს პირდაპირ ოლივეიროს ფანჯრის წინ, გაზონზე დაენარცხა. მეზობლებს, რომლებიც როდრიგოს ბინის თავზე, მეორე სართულზე ცხოვრობდნენ, ნიანგი უყიდიათ. ისინი თურმე მეორე დღეს მის სააგარაკო სახლში წაყვანას აპირებდნენ, იმ ღამით კი, სააბაზანო ოთახში ჩაუკეტავთ. ალიგატორს სააბაზანო ოთახიდან გამოსვლა როგორღაც მოუხერხებია, იქიდან სამზარეულოში გასულა და ღია ფანჯრიდან პირდაპირ გაზონზე ამოუყვია თავი. ნახტომი მეორე სართულიდან, ალიგატორისთვის მშვიდობიანად დამთავრდა, რასაც ვერ ვიტყვით როდრიგოზე... მძინარე ოლივეიროს ღამით ხმაურზე გაღვიძებია, გამოუხტავს ფანჯრიდან და გაზონზე გართხმული ხახადაღებული ნიანგი რომ დაუნახავს, შეშინებულს სული უფლისათვის მიუბარებია. შემთხვევის ადგილზე მისულმა „სასწრაფო დახმარების“ ექიმებმა დაასკვნეს, რომ სიკვდილი ძლიერი შოკით იყო გამოწვეული. ■

ლახლართული საქმე

ოკლაჰომა-სიტის ეფ-ბი-აის (ძიებათა ფედერალური ბიუროს) განყოფილებამ მიიღო შეტყობინება, რომ ადგილობრივი ეკლესიის პასტორი, უორენ ბრაუნი ბანკის გაძარცვას აპირებდა...

წარსულში ეკლესიის მსახური კრიმინალურ საქმიანობაში შემჩნეული არასოდეს ყოფილა. შეტყობინების მიღების შემდეგ, ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ ეფ-ბი-აის აგენტები, რომლებიც პასტორს უთვალთვალებდნენ, პატიოსანი ამერიკელი ღვთისმსახურის უცნაური ქმედების მომსწრენი გახდნენ: ბრაუნი „კრედიტ იუნიონის“ საბანკო განყოფილებაში შევიდა და მოლარეს მუქარის წერილი გაუწოდა, სადაც ეწერა,

რომ ადგილზევე მოკლავდა, თუკი ის სალაროში არსებულ ნაღდ ფულს არ მისცემდა მას. ფულის მიღების შემდეგ, ბრაუნი აუღელვებლად გაემართა გასასვლელისაკენ, სადაც ის ეფ-ბი-აის აგენტებმა დააკავეს.

საქმის ძიებისას გამომძიებელს აღეძრა ეჭვი, რომ შესაძლო იყო, პასტორი უკანასკნელ ხანებში მომხდარი კიდევ სამი ბანკის ძარცვის მონაწილე ყოფილიყო. თავად ბრაუნი ირწმუნებოდა, რომ ბანკის გაძარცვის დროს ტრანსში იმყოფებოდა და საერთოდ არაფერი ახსოვდა. მისი თქმით, მეხსიერების ამგვარი ჩავარდნები მას ერთი წლის წინ დაეწყო და ამის გამო ფსიქოთერაპევტსაც კი მიმართა, მაგრამ მკურნალობამ არანაირი შედეგი არ გამოიღო. პასტორი მომხდარს შემდეგნაირად ხსნიდა: ასეთ დროს სხეულში ეშმაკი მისახლდება, რომელიც კრიმინალური საქმეების კეთებას მაიძულებსო.

ამ არაორდინარული საქმით, ცნობილი პარაფსიქოლოგი ედვინ პრაისი დაინტერესდა, რომელმაც საკუთარი გამოძიება ჩაატარა და ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი გაარკვია. აღმოჩნდა, რომ ზუსტად ერთი წლის წინ, ბანკზე თავდასხმისას, ორმხრივი სროლის დროს მოუკლავთ პასტორის ტყუპისცალი ძმა – სტიუარტი. პარაფსიქოლოგის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ უორენმა დიდი ხნის წინ გაწყვიტა ძმასთან კავშირი და მისი გარდაცვალების შესახებაც არაფერი იცოდა, როგორც ჩანს, სიკვდილის მომენტში მძარცველის სული ან მისი ენერგოინფორმაციული სუბსტანცია ტყუპისცალი პასტორის სხეულში ჩასახლდა. ამან უორენის პიროვნების გაორება გამოწვია: დროდადრო სტიუარტის კრიმინალური სუბსტანცია თრგუნავდა უორენის სულს და კანონმორჩილ ღვთისმსახურს გაუცნობიერებელი ძარცვისაკენ უბიძგებდა.

პარაფსიქოლოგის დასკვნის საფუძველზე, უორენ ბრაუნს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა უნდა ჩაუტარდეს. თუკი პიროვნების გაორების ფაქტი დადასტურდება, პასტორს სამკურნალოდ ფსიქიატრიულ კლინიკაში გადაიყვანენ. თუმცა, პრაისის აზრით, საეჭვოა, რომ ექიმებმა პასტორის სხეულში ჩასახლებული ტყუპისცალის სულის განდევნა მოახერხონ. ■

ალთქმის კიდობნის საიდუმლოება

ალთქმის კიდობანი ერთ-ერთ ყველაზე დიდ „ბიბლიურ“ სიწმინდეს წარმოადგენს. ის ხომ მოსემ ღმერთის უშუალო კარნახის მიხედვით ბეცალიელს გააკეთებინა, რათა უფლისავე მითითებით, შიგ მის მიერ ბოძებული სჯულის ფიცრები მოეთავსებინა. ამ კიდობნის დანიშნულების ირგვლივ ატეხილი დავა დღემდე გრძელდება.

უფალმა მოსეს დეტალურად აღუწერა, თუ რა მასალისგან და როგორ უნდა გაკეთებულიყო კიდობანი. ებრაელი ხალხის უდაბნოში ხეტიალისას, კიდობანს ყოველთვის ადამიანების ბანაკისგან მოშორებით მდგარ კარავში ასვენებდნენ. მისი გადაადგილების უფლება კი, მხოლოდ რჩეული ადამიანების გარკვეულ ჯგუფს ჰქონდა.

„ბიბლიაში“ აღწერილია ცალკეული შემთხვევები, როცა კიდობანთან მიმართებაში „ტექნიკური უსაფრთხოების წესების“ დაუცველობისას (სულერთია, გაუფრთხილებლობით მოხდებოდა თუ გაცნობიერებულად) ადამიანები ადგილზევე იღუპებოდნენ. ერთ-ერთი შემთხვევის დროს, კიდობნის გაურკვეველი ზემოქმედების შედეგად 70 ადამიანი დაიღუპა. ისინი აჰყვნენ ცდუნებას და აკრძალვის მიუხედავად, კიდობანში ჩაიხედეს...

საინტერესოა, კიდობანთან შეხებისას მაინც რა იწვევდა ადამიანის სიკვდილს? „ბიბლიაში“ ზედმიწევნით ზუსტადაა აღწერილი, თუ როგორ ავადმყოფობდნენ და კვდებოდნენ იდუმალ ყუთთან მიახლოებისას ფილისტიმელები. თავდაპირველად, მათ გულისრევის შეგრძნება ჰქონდათ, შემდეგ თმა სცვიოდათ, ბოლოს კი, სხეული წყლულებით ეფარებოდათ და ტანჯვა-წამებაში ხდებოდათ სული. მეცნიერების აზრით, ეს სიმპტომები ძალზე ჩამოჰგავს სხივური დაავადების ნიშნებს. თუკი ეს ასეა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ კიდობანში მოთავსებული იყო ენერგიის წყარო, რომელიც რადიაციას ასხივებდა. სავარაუდოა, რომ ამ ენერგიის წყაროს მეშვეობით მოქმედებაში მოდიოდა რაღაც მექანიზმი, რომელიც მთელი 40 წლის მანძილზე განუწყვეტლივ მუშაობდა – ვიდრე ებრაელმა ხალხმა აღთქმულ ქვეყანას არ მიაღწია. ამგვარი ენერგიის წყარო იოლად წარმოსადგენია: ჩვენს დროში უკვე არსებობს მინირეაქტორები, რომელიც რადიოაქტიური ელემენტების დაშლის წყალობით, უწყვეტ ენერგიას იძლევა.

ენერგიის წყარო სახეზეა. გასარკვევია, თუ რისთვის სჭირდებოდათ ეს ენერ-

გია, რას კვებავდნენ ამ წყაროს მეშვეობით? არსებობს სამი ჰიპოთეზა, რომლის მეშვეობითაც შესაძლოა აიხსნას, თუ რა მოწყობილობა იყო მოთავსებული კიდობანში. პირველი ჰიპოთეზის მიხედვით, ეს გახლდათ არტეფაქტი (ლათ. artefactum – ხელოვნურად შექმნილი), რომელიც შესაძლოა, მიწიერი პროტოცივილიზაციის დროინდელი იყო. მეორე და მესამე ჰიპოთეზით, კიდობანში მოთავსებულ მოწყობილობას არამიწიერი, ზებუნებრივი წარმოშობა ჰქონდა.

პირველი ჰიპოთეზის ავტორი ბრიტანელი ისტორიკოსი და პუბლიცისტი გრემ ჰენკოკი გახლავთ. მას მიაჩნია, რომ კიდობანში მოთავსებული მანქანა ან არტეფაქტი, დედამიწაზე იყო შექმნილი.

კიდობანში მოთავსებული სჯულის ფიცრების უცნაურ თავისებურებას გრემ ჰენკოკი ზებუნებრივ ძალებს კი არ უკავშირებს, არამედ ცოდნას, რომელიც მისი აზრით, დედამიწაზე არსებული პროტოცივილიზაციის ნაყოფს უნდა წარმოადგენდეს. თავდაპირველად, მოსე ეგვიპტის „ხერხები“, უზენაესი ქურუმი გახლდათ. სწორედ ეგვიპტეში შემორჩა ძველი ცივილიზაციის ცოდნა, რომლის მეშვეობითაც ქვებს, განსაკუთრებით არამიწიერი წარმოშობის ქვებს უნიკალური თვისებები ენიჭებოდა – ანტიგრავიტაცია, განმკურნებელი ან მომაკვდინებელი გამოსხივება და ა.შ.

მეორე ჰიპოთეზა, ამ ცოტა ხნის წინ, ეთიოპიური კოდექსის – „კებრა ნეგესტი“ („მეფეთა დიდება“) – გაშიფვრის შემდეგ წარმოიშვა. ეს კოდექსი დათარიღებულია ჩვ.წ.აღ-მდე 850 წლით. ძველმა ეთიოპიელებმა კიდობანში მოთავსებული უცნაური, მბრწყინავი, არამიწიერი წარმოშობის მანქანის აღწერა ვერ შეძლეს. თუმცა მათ მოიხსენიეს მათთვის ზედმიწევნით კარგად ნაცნობი ნივთი – გომერი ანუ მანანით სავსე ჭურჭელი. ისმის კითხვა, რატომ ჩადგეს მანანით სავსე ჭურჭელი კიდობანში? ამ კითხვას უპასუხეს ბრიტანელმა მეცნიერებმა ჯ. სესონმა და რ. დეილიმ.

კიდობანი, გამოთვლის მიხედვით, 300 კილოგრამს იწონიდა. რა საჭირო იყო ასეთ შორეულ და უამრავი სირთულით აღსავსე გზაზე ამ სიმძიმე კიდობნის ტრანსპორტირება? ამ კითხვას მეორე კითხვა მოჰყვა: რა სჭირდებათ ყველაზე მეტად ადამიანებს, რომლებიც წლების მანძილზე უდაბნოში მოგზაურობენ, სადაც თითქმის არ არის მწვანე საფარი და არც ცხოველები ბინადრობენ? რაღა თქმა უნდა – საჭმელი.

როგორც ცნობილია, ებრაელები უდაბნოში 40-წლიანი მოგზაურობის დროს, ძირითადად, ციური მანანით იკვებებოდნენ. პროდუქტით, რომელმაც მათ მთელი ამ ხნის მანძილზე პურის მაგივრობა გაუწია. ბრიტანელმა მეცნიერებმა წამოაყენეს ჰიპოთეზა, რომ კიდობანში „მანანის დამამზადებელი მანქანა“ იყო მოთავსებული. სპეციალისტებმა არა მარტო აღწერეს ამ მანქანის კონსტრუქცია, არამედ შექმნეს კიდეც ივი.

უკანასკნელი, მესამე ჰიპოთეზა „ბიბლიის“ ციტატას ეყრდნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ მოსე კიდობნის მეშვეობით უშუალოდ ღმერთთან ამყარებდა კონტაქტს. ჰიპოთეზის მიხედვით,მეცნიერებმა ხაზი გაუსვეს სჯულის ფიცრების თავისებურებასა და წმინდა გრაალის თასს შორის არსებულ კავშირს. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, გრაალის თასი სჯულის ერთ-ერთი ფიცრის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. გრაალი, პრიმიტიული ანალოგია რომ მოვიშველიოთ, – იგივეა, რაც სამხრეთ ამერიკის ულრან ტყეში მცხოვრებ ველურს ვიდეომაგნიტოფონი რომ ჩაუვარდეს ხელში.

სავარაუდოა, რომ კიდობანში შენახული სჯულის ფიცრები წარმოადგენდა ისეთსავე რთულ ხელსაწყოს, რომელსაც უფლის მიერ გამოგზავნილი ბგერისა და გამოსახულების ჩაწერა და გადმოცემა შეეძლო მისივე რჩულებისათვის: ჯერ მოსესთვის, შემდეგ კი, იესო ქრისტესთვის. ■

«ქორწილი აღარ შედგება!»

უკვე ყველასათვის ცნობილია, რომ ჰოლივუდის ვარსკვლავი ბენ აფლეკი კინოსა და ესტრადის ვარსკვლავს ჯენიფერ ლოპესს დაშორდა. როგორც ამბობენ, ბენი წინააღმდეგი არ არის, ახალი, ხმაურიანი რომანი გააჩაღოს პოპპრინცესა ბრიტნი სპირსთან...



– ნუთუ, ეს ბრიტნის გამო ხდება?

ბენ აფლეკი და ჯენიფერ ლოპესი ორი წლის მანძილზე იყვნენ დანიშნულები. ამ ხნის განმავლობაში პრესაში გამუდმებით შექდებოდა მათი ურთიერთობის დეტალები: ისინი ხომ ერთმანეთს ხან შორდებოდნენ და ხანაც რიგდებოდნენ. დანიშნული ქორწილიც არაერთგზის გადადეს. ამას წინათ ჯი, ვარსკვლავური წყვილის წარმომადგენელმა ოფიციალური განცხადება გააკეთა იმის თაობაზე, რომ ნიშნობა ჩაიშალა და ქორწილი აღარ შედგება! ზემოთ თქმულს მან დასძინა: „ჩვენ ყველას ვთხოვთ, ამ მძიმე მომენტში, პატივი სცეს ჯანონს და ჯეისა და ბენის პირადი ცხოვრების უფლებას ნუ შელახავს!" თუმცა, ჯერ ჯიდევ გასარკვევია, ვისთვისაა ეს მომენტი მძიმე და ვისთვის – არა.

სავარაუდოა, რომ მექალთანე აფლეკი ამ ამბავს დიდად არ უნდა განიცდიდეს: ნიშნობის ჩაშლით მან თავისუფლება მოიპოვა და ახლა ნებისმიერი ლამაზმანის გულის დასაპყრობად გზა ხსნილი აქვს. ერთ-ერთი მათგანი ჯი, მაგალითად, არანაკლებ ცნობილი და ასეთივე თავისუფალი ბრიტნი სპირსია.

„სამწუხაროდ, არც მე ვარ იდეალური, თუმცა, თუკი პრინცესა თანახმა იქნება..."

თურმე ნუ იტყვით და, აფლეკს ამ მოულოდნელი ნაბიჯის გადადგმა ამას წინათ ახალგაზრდა მომღერლის ირგვლივ ატეხილმა სკანდალმა აიძულა. როგორც ცნობილია, სპირსი თავის ბავშვობის მეგობარს სულ რამდენიმე საათით გაჰყვა ცოლად და მაშინვე გაშორდა. რითიც, როგორც ჩანს, ძალზე გაახარა ბენი.

„ისეთი გოგონა, როგორიც ბრიტნია, ყოველივე საუკეთესოს ღირსია. დიდი სიამოვნებით შევთავაზებდი მას საკუთარ კანდიდატურას, მაგრამ სამწუხაროდ, არც მე ვარ იდეალური. თუმცა, თუკი პრინცესა თანახმა იქნება..." – განაცხადა მსახიობმა.

ამ თამამ წინადადებას მომღერალი ჯერჯერობით არ გამოხმაურებია, თუმცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბენს ბრიტნის მგრძნობიარე გულის დაპყრობის შანსი ნამდვილად აქვს.

როგორც ამბობენ, სპირსი მომხიბლავ ჯასტინ ტიმბერლეიკთან განშორების შემდეგ, ჯერაც ვერ მოსულა გონს. სხვათა შორის, ბენი, ისევე, როგორც ბრიტნის ყოფილი შეყვარებული, „მსოფლიოს ყველაზე სექსუალური მამაკაცის" ტიტულის მფლობელია.

თუკი ბრიტნი აფლეკის წინადადებას მიიღებს, ის ამით საკადრის პასუხს გასცემს 22 წლის ტიმბერლეიკს, რომელიც ამჟამად 32 წლის კამერონ დიასს ხვდება. ბენი და კამერონი ხომ თანატოლები არიან, ე.ი. აფლეკი 10 წლით უფროსია სპირსზე. აქვე დავძენთ, რომ ჰოლივუდში დღეს ძალზე მოდაშია პარტნიორებს შორის დიდი სხვაობა.

მოწიფული ასაკის გარდა, „არმაგედონის" გმირს ქალის გულის დასაპყრობად კიდევ არაერთი შესაშური თვისება აქვს. ის ძალზე ჭკვიანი (ამის დასტურად გამოდგება „ოსკარით" დაჯილდოებული ფილმის „გონიერი უილ ჰანტინგის" სცენარი, რომლის ავტორებიც აფლეკი და მისი მეგობარი მეთ დეიმონი არიან) და თავდაჭერილია (ლოპესთან ხანგრძლივი და თავდავიწყებული რომანის დროს, ვერც ერთმა პაპარაციმ მისი მდგომარეობიდან გამოყვანა ვერ მოახერხა). გაიხსენეთ, მსგავს სიტუაციებში რა უმსგავსოდ იქცეოდა მადონას ყოფილი ქმარი შონ პენი. ბენის დადებით თვისებებს შორის კი, ერთ-ერთი გამორჩეული მისი განსაკუთრებული ხელგაშლილობაა. ამის ყველაზე უკეთესი მოწმე კი, თავად ჯეი ლოა. ყოფილი საქმრო უხვად ასაჩუქრებდა არა მარტო საატრფოს (მაგალითად, ჯენიფერს მან მილიონ დოლარად ღირებული ნიშნობის ბეჭედი უძღვნა), არამედ

დედამისსაც (უბრალო წარმოშობის პუერტორიკოელ ქალბატონს ბენის მიერ მირთმეული ბოლო მოდელის „მერსედესის“ დანახვისას ისე აუჩუყდა გული, რომ თვალზე ცრემლიც კი მოადგა). „როცა მამაკაცი შეყვარებულია, მას საჩუქრების მიძღვნის მოთხოვნილება უჩნდება. ეს ხომ აბსოლუტურად ნორმალურია. ამასთან ერთად, მე დიდძალი ფულის დახარჯვის შესაძლებლობაც მაქვს და არ მესმის, რატომ არ უნდა მოვიქცე ასე?“ – ესეც საოცრად სიმპათიური ბენ აფლეკის სიტყვები გახლავთ.

იმის ნაცვლად, რომ ჯენიფერისათვის თანაეგრძნოთ, მისი ყველას შეშურდა

რაც შეეხება ჯენიფერ ლოპესს, ის მიტოვებული საცოლის რეპუტაციის თავიდან მოსაშორებლად ძალ-ღონეს არ იშურებს. „ოქროს გლობუსით“ დაჯილდოების ცერემონიაზე, ორგანიზატორების მიერ შეთავაზებულ წინადადებაზე – ფარულად შესულიყო დარბაზში, რათა ცენტრალურ შესასვლელთან თავმოყრილი ჟურნალისტების უსიამოვნო შეკითხვები აეცილებინა თავიდან – ჯენიფერმა კატეგორიული უარი განაცხადა. მეტიც, ჯეი ლო იმდენად თვალში საცემად და გამომწვევად შემოსილი გამოცხადდა ცერემონიაზე, რომ მისი ოქროსფერი კაბის დანახვისას პუბლიკამ „ყველაზე ეფექტური სამოსის მფლობელის“ ტიტულით დააჯილდოვა ის.

ჯენიფერის მიერ გადადგმული შემდეგი შეუპოვარი ნაბიჯი გახლდათ ყოფილი საქმროს მიერ ნაჩუქარი „როლს-როისის“ მისთვის უკან დაბრუნება. ულამაზესი ვერცხლისფერი ავტომობილი, რომლის ფასიც თითქმის ნახევარი მილიონია, თავის დროზე, აფლეკმა სატრფოს 33 წლის იუბილეზე მიუძღვნა. „ეს მშვენიერი მანქანა კიდევ გამოადგება ბენს, – ასეთი კომენტარით შეაფასა მან საკუთარი საქციელი. – შევიტყვე, რომ ამ ბოლო ხანებში მას საქმეები არცთუ ისე კარგად მისდის, მე კი, ამის გარდაც უამრავი მანქანა მყავს!“

როგორც ჩანს, განაწყენებული ჯენიფერი გესლიანი შენიშვნის წარმოთქმისას ბენ აფლეკის ბოლო ფილმის – Paycheck – წარუმატებლობას გულისხმობდა.

თავად ლოს გაკოტრება ნამდვილად არ ემუქრება. ის ხომ არა მარტო მსახიობი, არამედ წარმატებული მომღერალი, მოდელიერი და რაც მთავარია, ლამაზი ქალბატონია.

ვფიქრობთ, ამ ბოლო პერიოდში ერთ-ერთ ჟურნალში გამოქვეყნებული ბენ აფლეკის ინტერვიუ ჩვენი მკითხველისთვისაც არ იქნება ინტერესს მოკლებული და ამიტომაც გთავაზობთ მას.

– ყოველ განშორებას თან ახლავს სტრესი. როგორ უმკლავდებით მას?

– ბოლო ხანებში, ბევრს და თანაც სიამოვნებით ვკითხულობ. ზოგჯერ მხოლოდ იმიტომ, რომ უსიამოვნო ფიქრებს დავაღწიო თავი. მოტოციკლით ქროლაც საოცრად მიყვარს – ჩქაროსნულ ტრასაზე ყოფნისას ხომ ადამიანს ყოველგვარი საფიქრალი ავიწყდება.

– ამბობენ, რომ უკანასკნელ ხანს საოცრად ბევრ ფულს ფლანგავთ. აი, ამას წინათაც, კაზინოში 200 ათასი დოლარი წაგიგიათ...

– ყოველთვის მოგებული ვერ იქნები! კაცმა წაგებაც ღირსეულად უნდა აიტანო, ასე რომ, თმას ნამდვილად არ ვიგლეჯ.

– თქვენი სამსახიობო კარიერა ამ ბოლო დროს ცოტა არ იყოს დამუხრუჭდა. მართალია, რომ პოლიტიკაში გადაბარგებას აპირებთ?

– რატომაც არა? აი, ნახეთ, როგორი დამოკიდებულებაა ამ საკითხის მიმართ შეერთებულ შტატებში. „უაიტუოტერის“ აფერის გამოძიება ექვსი წლის მანძილზე გრძელდებოდა (გულისხმობს კლინტონების ოჯახის მიერ არკანზასის შტატში უძრავი ქონების უკანონო ინვესტირებას. ეს აფერა უაიტუოტერგეიტის სახელით მონათლეს), მაგრამ სინამდვილეში ყველას ერთი რამ აინტერესებდა – ჰქონდა თუ არა პრეზიდენტ კლინტონს თეთრი სახლის პრაქტიკანტთან კავშირი.

– თქვენი აზრით, პრეზიდენტ აფლეკს ეს საფრთხე არ დაემუქრებოდა?

– ოჰ, არასოდეს! ჩემს სექსუალურ ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი არაფერია. არ გჯერათ?

– კი, მაგრამ ჟურნალმა People Magazine-მა ხომ ერთ დროს „მსოფლიოს ყველაზე სექსუალური მამაკაცის“ ტიტული სწორედ თქვენ მოგანიჭათ. სხვათა შორის, საინტერესოა, ამ ამპლუაში როგორ გრძნობდით თავს?

– ვფიქრობ, რომ ამ საკითხის მიმართ ადამიანს სერიოზული დამოკიდებულება არ უნდა ჰქონდეს. ეს ჩემი ეგოსთვის პატარა, სასიამოვნო საჩუქარი გახლდათ და მეტი არაფერი.

– გიყვართ თუ არა ბულვარულ პრესაში სხვა ვარსკვლავებზე დაბეჭდილი პიკანტური წვრილმანების კითხვა?

– ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი რომ გამეცა, ალბათ ჩემს გულწრფელობაში ეჭვი შეგეპარებოდათ. ვაღიარებ, რომ ვიღაც-ვიღაცების წარმატება ზოგჯერ შემშურებია და გულში ნიშნიც კი მომიგია მათთვის, როცა პრესაში მათ შესახებ რაღაც ნეგატიური ინფორმაცია წამიკითხავს. მესმის, ეს ყველაფერი საკმაოდ პრიმიტიულია, მაგრამ ასეთი ვარ...

– სინამდვილეს შეეფერება თუ არა გავრცელებული აზრი, რომ თქვენ კინომსახიობის კარიერაზე მეტად ბეისბოლისტის წარმატებული კარიერა გხიბლავთ?

– ბეისბოლისტთა კლუბ „ბოსტონრედ სოქსის“ გულმხურვალე გულშემატკივარი ვარ. ჩემთვის მათთან ერთად თამაში იმდენად დიდი ბედნიერებაა, რომ ამისთვის ყველაფერს დავთმობდი! სხვათა შორის, ამ გუნდის მწვრთნელს ამ თემაზე ველაპარაკე კიდეც. მან დამარწმუნა, რომ ჰოლივუდში მუშაობა ჩემთვის ბევრად უფრო საიმედოა *(იცინის)*.

– რაზე შეიძლება იოცნებოს ბენ აფლეკისნაირმა ადამიანმა?

– მე ყოველთვის იმ კატეგორიას მივეკუთვნებოდი, რომელიც საყვარელი საქმის კეთებით შოულობს ფულს. ისიც ვიცი, რომ მსახიობთა 95% სპეციალობით მუშაობის შესაძლებლობას მოკლებულია. ამაში ნამდვილად გამიმართლა. ასე რომ, ახლა მე მხოლოდ ერთი რამ მსურს – ჩემი ოცნების ქალის პოვნა. ■

რომელ მითოლოგიურ პერსონაჟებს ჰგავს თქვენი რჩეული?

მითოლოგიური პერსონაჟები არც შემთხვევით გამოჩენილან და არც შემთხვევით გამქრალან. მათ ჰქონდათ თავიანთი სახე, ხასიათი, თვისებები... „გზის“ წინა ნომერში ქალბატონებს მოვუთხრობდით, როგორ უნდა განსაზღვრონ, თუ რომელ ისტორიულ ან მითოლოგიურ პერსონაჟებს ჰგვანან. ახლა კი შეუძლიათ, თავიანთ რჩეულ მამაკაცებს მოუძებნონ შესაბამისი პერსონაჟები.

აპოლონი – მამაკაცური სილამაზის სიმბოლოა. შემკულია ყველა იმ თვისებით, რომელიც აღაფრთოვანებს მანდილოსნებს. თუ ეჭვიანი ბრძანდებით, ძალზე გაგიჭირდებათ, „აპოლონის“ გვერდით ბედნიერად იგრძნოთ თავი. ამ ტიპის მამაკაცებმა კარგად იციან თავიანთი მომხიბლაობის ძალა და სარკესთანაც დიდ დროს ატარებენ ხოლმე. თუ გჯერათ, რომ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია, მაშინ შეგიძლიათ, მიენდოთ „აპოლონს“. თუმცა, მაინც ჯობს, გაიხსენოთ, რომ გამონაკლისებიც არსებობენ.

აქილევსი – ის სიკეთის, მამაცობისა და რაინდობის განსახიერებაა. აქილევსის ტიპის მამაკაცი, ქალს მუდამ დაიცავს და ყველანაირად უზრუნველყოფს. თუმცა, ის ამას, როგორც მოვალეობას, ჩვევას, ისე უდგება... მაგრამ ეს მდგომარეობა შეიძლება შეიცვალოს, თუ მის სუსტ ადგილს აღმოაჩენთ. რა გაეწყობა – ზოგიერთი მამაკაცის სიყვარულის გასაღები გულის ნაცვლად, ქუსლშია.

ჰერაკლე – სიძლიერისა და ოპტიმიზმის განსახიერებაა. მასთან ქალი აბსოლუტურად დაცულად გრძნობს თავს. საკმარისია, იჯდე და ელოდო, როდის მოახდენს თავის თორმეტ საოცრებას, როდის დაასრულებს გმირობის ეპოპეას, რომ მისი ყურადღების ღირსი გახდე... მაგრამ როცა ქალი ჰერაკლეს ტიპის მამაკაცთან ერთად საზოგადოებაში გამოჩნდება, მის თვალებში აღმოაჩენთ კმაყოფილების გრძნობას, რომელიც ასე შეიძლება „ვთარგმნოთ“: „ამისთვის ღირდა ლოდინი!“

დავითი – ერთგულების სიმბოლოა. ამ ტიპის მამაკაცს კარგად აქვს განვითარებული პასუხისმგებლობის გრძნობა. ის ყოველთვის მზადაა დაეხმაროს გაჭირვებულებს, გამოიჩინოს საოცარი თავდადება, შეერკინოს გოლიათებს; ადამიანის გადასარჩენად ბრძოლა მისი ბუნებიდან გამომდინარეობს და ამ ბრძოლაში გამარჯვებულიც მუდამ ის რჩება.

დიონისე – ბახუსისა და გართობის ღმერთი იყო. დიონისეს ტიპის მამაკაცები განსაკუთრებული მიზანდასახულობით გამოირჩევიან, ნებისმიერი საშუალებით ცდილობენ ჩანაფიქრის განხორციელებას და აღწევენ კიდეც საწადელს. მათ გარშემო ყოველთვის უამრავი ადამიანი ტრიალებს. ისინი არასოდეს რჩებიან მარტონი და არასოდეს ნაღვლობენ მომხდარის გამო. მჭევრმეტყველებითა და ხალისიანი ბუნებით გამოირჩევიან.

იკაროსი – მიისწრაფვის სილამაზისკენ და თვითონაც გასხივოსნებულია. ის იოლად აღგაფრთოვანებთ და თავადაც სწრაფად ავლენს აღტაცებას. იკაროსის ტიპის მამაკაცისთვის სიყვარული შემოქმედებასთანაა გათანაბრებული. ყველაფერი, რასაც შეეხება, იდეალურ ფორმასა და შინაარსს იძენს. მას შესწევს ძალა, შექმნას ისეთი რამ, რაც საუკუნეებს გაუძლებს. შეუძლია, უყვარდეს ისე, რომ მის სიყვარულზე ლეგენდები შეთხზან.

ნარცისი – საკუთარ თავზე შეყვარებული ეგოისტია. იმდენადაა საკუთარი თავით გატაცებული, ირგვლივ ვეღარავის ამჩნევს. ულამაზესი ქალის გვერდითაც კი ფიქრობს, რომ მის გარშემო ტრიალებს დედამიწა. ყველაზე ლამაზ ქალთან ყოფნა კი იმიტომ უნდა, რომ ფიქრობდეს – მხოლოდ თავად არის საუკეთესოს ღირსი.

ორფეოსი – ის თავისი მუსიკით ავჯადოებდა მსმენელს. ორფეოსის მსგავსი „სამოთხის ჩიტები“ – მამაკაცები, რომლებიც ტკბილხმოვანებით იპყრობენ ქალებს, ხოტბას ასხამენ მათ მშვენიერებას და მუდამ ამგვარ შთაბეჭდილებებს უზიარებენ გარშემომყოფთ, ნებისმიერი საზოგადოებისათვის სასურველნი არიან. თუმცა, ამასთანავე, მათზე იმასაც ფიქრობენ – ყელმოღერებისა და სიმღერის გარდა, არაფერი ეხერხებათო.

პერსევსი – უმაღლესი მართლმსაჯულების სიმბოლოა. თუმცა, მის სამართალს შურისძიება დაედო საფუძვლად. პერსევსის ტიპის მამაკაცები ძალზე სწრაფად იღებენ გადაწყვეტილებას და თითქმის არასოდეს უხვევენ ერთხელ არჩეული გზიდან. ხშირად ისინი პოლიტიკით ინტერესდებიან. რეფორმები, ტრადიციები, რკინის ხელი, პრინციპები – აი „პერსევსის“ საუბრის თემები. ქალი, რომელიც მის გვერდით იქნება, აუცილებლად მისი თანამოაზრე უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჰარმონიულ ურთიერთობაზე საუბარიც ზედმეტია.

პრომეთე – ის ყოველთვის ხალხის სამსახურში იდგა. კაცობრიობამ მისი წყალობით მოიპოვა ცეცხლი. თუ ოდესმე, პრომეთეს ტიპის მამაკაცი თავის „პატრონს“ განუდგება, ამას მხოლოდ იმისთვის ჩაიდენს, რომ პროგრესისკენ წაიყვანოს ხალხი. „პრომეთეები“ მხურვალე და თავდადებული შეყვარებულები არიან.

ეროსი – ბავშვმაც კი იცის, რომ ის სიყვარულის სიმბოლოა. თაყვანისმცემლებს, თითქოს ცოცხით ხვეტავსო, ერთ ადგილას აგროვებს და სიყვარულის საიდუმლოს აზიარებს... ეროსის ტიპის მამაკაცები განსაკუთრებული მგრძნობელობით გამოირჩევიან, მათი წყენინება ძალზე იოლია. ქალივით ბუტიები არიან. მათ სიხარულს ანიჭებს განშორებისა და კვლავ შეხვედრის მონაცვლეობა – სიყვარული მათთვის ის თამაშია, ურომლისოდაც არსებობა ვერ წარმოუდგენიათ და ვერასოდეს გაუგებენ იმ ადამიანებს, ვინც მათთან ერთად არ თამაშობს.

■

რა შეცდომას უშვებენ ქალები ეჯვაროსნის შერჩევისას?

სამწუხაროდ, არცთუ ისე იშვიათად, ქალები ჩივიან, რომ უღირსი, შეუფერებელი მამაკაცი შეუყვარდათ; ხშირად კი, ქალი და მამაკაცი სხვადასხვა სოციალურ ფენას განეკუთვნებიან და კონფლიქტის მიზეზიც სწორედ ეს ხდება.

მამაკაცების აზრით, ქალებს სურთ, მათ ცხოვრებაში მთავარი როლი ითამაშონ, სიყვარული დაიმსახურონ და მერე სიყვარულის ობიექტზე მბრძანებლობის უფლება მოიპოვონ.

ხშირად, პირად ცხოვრებაში სერიოზული კონფლიქტის მიზეზი, ზედმეტად დელიკატური ურთიერთობისკენ სწრაფვა და „სასათბურე პირობებში" გაზრდილი ადამიანის პრეტენზიები ხდება. ნებიერად აღზრდილი ქალიშვილი სრულიად საწინააღმდეგო ტიპის პარტნიორისკენ ისწრაფვის და მასთან ურთიერთობას აბსოლუტურად მცდარ საფუძველზე აგებს.

ქალის სიყვარულში დარწმუნება ძალიან იოლია — მისი უმთავრესი შეცდომაც ეს არის. ნათქვამია, ქალს ყურებით უყვარსო — საკმარისია ერთი საალერსო სიტყვაც კი და ქალის გული მონადირებულია.

თუ მამაკაცი ბუნებით უხეშია, ქალი მასთან რბილი, დამთმობი ხდება და ხშირად თითქმის მონად უდგება თავის „მბრძანებელს"; ფიქრობს, რომ მამაკაცის აღზრდა-გამოსწორებას შეძლებს, „აღზრდის" მეთოდად კი გადამეტებულ მორჩილებას, ალერსს იყენებს და ანგელოზურ მოთმინებას იჩენს; ქალს ჰგონია, რომ მისი შეყვარებულის ადრინდელი პარტნიორები ნამდვილი გარეწრები იყვნენ და იმედი აქვს, რომ მხოლოდ თავად არის ის ერთადერთი და განუმეორებელი, ვისთანაც მისი რჩეული ბედნიერებას იპოვის — ეს მცდარი აზრია. უკვე ჩამოყალიბებული ადამიანის გარდაქმნა შეუძლებელია.

ქალს ხშირად უგულო, ეგოისტი მამაკაციც უყვარდება. ამის მიზეზი მის ბავშვობაში უნდა ვეძიოთ. ლოთი მამის შვილი მაგალითს დედისგან იღებს, რომელიც მთელი ცხოვრება სიტყვის უთქმელად იტანდა და მზრუნველობას არ აკლებდა დღენიადაგ სასმლის სუნით გაჟღენთილ ქმარს.

და კიდევ ერთი: ქალი შეიძლება უზადო გარეგნობის, ღირსეული, ნიჭიერი, მაღალი სოციალური სტატუსის მქონე იყოს, მაგრამ მაინც არასრულფასოვნების კომპლექსი ტანჯავდეს. ეს კი მას საბოლოო ჯამში, ურთიერთობის მსხვერპლად აქცევს.

ახლა კი რჩევები, რომელიც დაგეხმარებათ იმაში, რომ შეცდომა არ დაუშვათ.

1) გახსოვდეთ, მხოლოდ სიყვარული არ არის ყველაფერი — ცხოვრებაში სხვა ფასეულობებიც არსებობს. თქვენ გაქვთ ჰობი, საყვარელი საქმე, გყავთ უამრავი ნაცნობ-მეგობარი, საქმიანი პარტნიორები... — ეს ყველაფერი არ უნდა დაივიწყოთ, თორემ საყვარელი ადამიანის დაკარგვის შემთხვევაში, მართლა ჰაერში გამოკიდებული დარჩებით.

2) ადეკვატურად შეაფასეთ თქვენი რჩეულის საქციელი. თუკი მამაკაცი უხეში და უზრდელია, ნუ შეიქმნით იმის ილუზიას, რომ ის ოდესმე გამოსწორდება. აუცილებლად ჰკითხეთ საკუთარ თავს: შეგიძლიათ, მთელი ცხოვრება ასეთი ადამიანის გვერდით გაატაროთ? ან სულაც, გაქვთ ამის სურვილი? — ყველაფერი კარგად აწონ-დაწონეთ და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ.

3) ხშირად შეაქეთ საკუთარი თავი, თუნდაც სულ უმნიშვნელო წარმატებისთვის. გახსოვდეთ: ეს მხოლოდ თქვენი დამსახურებაა. მოერიდეთ იმ ადამიანებთან ურთიერთობას, რომლებიც თქვენს შეფასებაში არაობიექტურნი არიან და ამით არასულფასოვნების კომპლექსს გიყალიბებენ.

4) გააანალიზეთ ურთიერთობის სტერეოტიპები, რომელიც ოჯახში, მშობლებთან კონტაქტისას ჩამოგიყალიბდათ. თუ დარწმუნდით, რომ ურთიერთობის ნეგატიური ფორმებიდან, თქვენს ცხოვრებაში ერთ-ერთისთვის მაინც მიგიჩენიათ ადგილი — სასწრაფოდ უგულებელყავით.

5) მამაკაცის სიყვარული მორჩილებისა და მოთმინების ხარჯზე არ დაიმსახუროთ და მისი სიყვარული საჩუქრებით არ „იყიდოთ". ამით მსხვერპლის ადგილას აღმოჩნდებით. ■

რჩევები დასაგრილებელ

● მოცისფრო-მოლურჯო ბამბის ქსოვილი ან მუქი აბრეშუმი გარეცხვის შემდეგ ცხელ მარილიან წყალში გაავლეთ (სამი ს/კ მარილი 1 ლ წყალზე).

● რეზინის ჩექმები თბილი წყლით გარეცხეთ და რამდენიმე წვეთ გლიცერინსა და მცენარეულ ზეთში დასველებული ქსოვილით გაწმინდეთ. ხელოვნური ლაკის ჩექმები კი ვაზელინით გააპრიალეთ.

● შარვალს ნაკეცი რომ დიდხანს შერჩეს, უკანა მხრიდან მშრალი საპონი წაუსვით.

● თუ ტყავის ხელთათმანები გიჭერთ, ჯერ 2-3 საათით სველ ტილოში გაახვიეთ, შემდეგ ხელზე ჩაიცვით და ისე გააშრეთ.

● არაჟანს თუ ცოტა რძეს დაუმატებთ, სადილში აღარ აიჭრება.

● ცილა კარგად აითქვიფება, თუ რამდენიმე წვეთ ცივ წყალს ან ერთ მწიკვ მარილს დაუმატებთ.

● საყელოს ბაბთა რეცხვის დროს რომ არ დაზიანდეს, შემდეგნაირად გარეცხეთ: ლიტრიან ქილაში საპნიანი წყალი ჩაასხით, მოათავსეთ შიგ გასარეცხი ბაფთა, თავი კარგად დაახურეთ და რამდენიმე წუთის განმავლობაში ანჯღრიეთ. შემდეგ ცივ წყალში გაავლეთ და გაუწურავად გაფინეთ.

● ავეჯმა გადაადგილებისას ლინოლეუმი ან იატაკი რომ არ გაფხაჭნოს, ფეხებზე პარაფინი წაუსვით.

● კარადებში უჯრებმა რომ თავისუფლად იმოძრაოს, მათ ხის „ლიანდაგზე" საპონი ან პარაფინი გაუსვით.

● ფანჯარამ ან კარმა გაღებისას რომ არ იჭრაჭუნოს, კარის ანჯამები საპნით გაპოხეთ. ■

საქმიანი დედა

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ქალებს ხშირად უხდებათ სამსახურისა და შვილის მოვლის ურთიერთშეთავსება. მომუშავე დედას სამი სახის ფსიქოლოგიური წინააღმდეგობის გადალახვა უწევს.

წინააღმდეგობა პირველი: დანაშაულის გრძნობა.

ზოგიერთი ქალი დარწმუნებულია, რომ კარგი დედა მხოლოდ ისაა, ვინც თავის ცხოვრებას შვილს მიუძღვნის და თუ ამის შესაძლებლობა არა აქვს, თავს დამნაშავედ გრძნობს. ამიტომ, იმ დროს, რომელსაც ბავშვებთან ატარებს, სრულფასოვან ურთიერთობებს კი არა, დანაშაულის გამოსყიდვას ახმარს: ემორჩილება პატარას, ყველა სურვილს უსრულებს, არ ეწინააღმდეგება მის ჟინიანობას...

შედეგი. ჯერ ერთი, ამგვარად, ეგოისტს გაზრდით და ბავშვის წარმოსახვაში მოსამსახურე დედის სახეს შექმნით. მეორეც, მხოლოდ შვილის სურვილებზე ორიენტირებით, თქვენ მას ბევრს ვერაფერს მისცემთ. ბავშვი, რომელიც თავად წყვეტს, როგორ გაატაროს დასვენების დღეები, საკმაოდ შეზღუდულ პერსპექტივას ხედავს: „მაკდონალდსში“ სადილობას ან ახალი ვიდეოკასეტის შეძენას... თქვენ ხომ გაცილებით მეტი შეგიძლიათ შესთავაზოთ: გამოფენაზე ან თეატრში წასვლა, საკუთარი ხელით რაღაცის დამზადება.

პროფილაქტიკა: როცა დანაშაულის გრძნობა გეუფლებათ, გაიხსენეთ, რომ თქვენც ადამიანი ხართ და არა ბავშვის მომსახურებისთვის გაჩენილი ბიორობოტი. თუ სიცოცხლის ყოველ წუთს ბავშვებს დაუთმობთ, ბუნებრივია, საკუთარი ცხოვრება აღარ გექნებათ. ბავშვი კი, განსაკუთრებით მოზარდი, გაცილებით ბედნიერია, როცა ხედავს, რომ დედამისი საინტერესო და დამოუკიდებელი პიროვნებაა.

წინააღმდეგობა მეორე: ადამიანებისადმი უნდობლობა.

რა თქმა უნდა, აუცილებლად უნდა აკონტროლოთ, როგორ იქცევა ბავშვის აღმზრდელი (ძიძა), მაგრამ ბავშვთან თქვენი ურთიერთობა მხოლოდ ასეთი კონტროლით არ უნდა ამოიწუროს — არ არის საკმარისი, იკითხოთ: რას აკეთებდით დღეს? რა წაიკითხეთ? რატომ

არ შეასრულეთ ესა თუ ის დავალება?

არც ისაა სწორი, როცა სამსახურიდან დაბრუნებული დედა ცდილობს, საღამოს, ბავშვისთვის თავისუფალ დროს, ერთბაშად მოახდინოს იმის კომპენსირება, რაც, მისი აზრით, აღმზრდელმა დააკლო: წაუკითხოს რთულად აღსაქმელი წიგნი, ამეცადინოს ინგლისურ ენაში, მისცეს გონების გასავითარებელი დავალებები...

შედეგი. ბავშვი თავიდან, გულახდილია თქვენთან. შემდგომში კი გრძნობს, რომ თქვენ უკმაყოფილო ხართ მისი აღზრდის პროცესით და უჩნდება კომპლექსი: „მე მართლა ცუდი ვარ...“ შეიძლება იგი უპასუხისმგებლო პიროვნებადაც იქცეს, რომელიც თავის ნაკლოვანებებში სხვებს ადანაშაულებს (მათ, ვინც აღზარდეს) და ბოლოს, ამ სიაში დედასაც შეიყვანს.

პროფილაქტიკა. როდესაც დარწმუნდებით, რომ ბავშვის აღმზრდელი კეთილსინდისიერად ასრულებს თავის საქმეს, მოდუნდით, ნუ აწვალებთ პატარას. დაე, მან თავად გიამბოთ, რაც სურს.

წინააღმდეგობა მესამე: ეჭვიანობა.

თქვენ განიცდით, როცა თქვენი პატარა მეტისმეტად თბილად ემშვიდობება შინ მიმავალ აღმზრდელს, ან სიყვარულით ლაპარაკობს მასზე. ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ თქვენ გაუცნობიერებლად დაიწყოთ დროის კარგვა იმის დასამტკიცებლად, რომ ძიძაზე უკეთესი ხართ: უყვებით ბავშვს უფრო საინტერესო ზღაპარს, ეთამაშებით უფრო მხიარულ თამაშებს და როგორც კი ამის შესაძლებლობა გეძლევათ, ცდილობთ, ბავშვის თვალში დაამციროთ აღმზრდელი...

შედეგი. ეჭვიანობას არავისთვის მოაქვს სულიერი კომფორტი. ბავშვიც მალე იგრძნობს თქვენს განწყობას და თქვენს ამ სისუსტეს სათავისოდ გამოიყენებს — მაგალითად, ახსენებს აღმზრდელის სახელს, როგორც კი ამით თქვენგან რაიმის გამორჩენის შესაძლებლობა გაუჩნდება... მოგვიანებით, ეჭვიანობის გამო ეცდებით, შეცვალოთ აღმზრდელი. შემდეგ კი, შესაძლოა, სხვა მასწავლებელიც. ეს კი მხოლოდ დროის ფუჭად კარგვაა — სწორედ იმ დროის, რომელიც ბავშვთან ურთიერთობას უნდა მოახმაროთ.

პროფილაქტიკა. დაფიქრდით იმაზე, თუ რატომ გგონიათ, რომ თქვენს შვილს თქვენზე მეტად უყვარს აღმზრდელი? იქნებ, მისგან ეგოისტურად ითხოვთ თქვენდამი ისეთ სიყვარულს, რომელიც ყველა სხვა ადამიანისადმი გრძნობას დაჩრდილავს? ამის მოცემა ხომ, პატარას არ შეუძლია.

როგორ მოვიქცეთ?

მოსამსახურე დედის სწორი ქცევის ძირითადი წესი ასეთია: ეცადეთ, თავისუფალი წუთები და საათები, რომელსაც ბავშვთან ერთად ატარებთ, მას მაქსიმალურად მოახმაროთ. იმისათვის, რომ მისცეთ საკუთარი ცოდნა და გამოცდილება.

მთავარია, ბავშვმა იგრძნოს, რომ მისი გჯერათ, უგებთ და თანაუგრძნობთ.

მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ, ასწავლოთ პატარას თქვენი თვალით სამყაროს დანახვა.

ბავშვის განებივრება არათუ შეიძლება, საჭიროც კია. დროდადრო ნება დართეთ, თქვენთან ერთად უყუროს გვიანობამდე ტელევიზორს, უყიდეთ სათამაშო, რომელსაც ნატრობდა, ზოგჯერ სკოლაც გააცდენინეთ... მაგრამ ასეთი შემთხვევა იშვიათი უნდა იყოს, რათა ბავშვმა ეს თქვენს ვალდებულებად არ მიიჩნიოს.

და რაც მთავარია — იყავით მზად იმისათვის, რომ მშობლებსა და შვილებს შორის იდეალური ურთიერთობების დროსაც კი, დგება ხოლმე დაძაბულობისა და უკმაყოფილების პერიოდები. თქვენი მოუცლელობა არაფერ შუაშია — მთავარია, გამონახოთ დრო პრობლემის გადასაჭრელად და შვილთან შესარიგებლად.

■

გენური ინჟინერიით მიღებული პროდუქტი

„იაპონელებმა საზამთროსთან რწყილი შეაჯვარეს და მისი გაჭრისას კურკები თავისით ხტებოდნენ“. ოდესღაც ეს საბავშვო ანეკდოტი სასაცილოდ გვეჩვენებოდა. დღეს კი იგი თითქმის რეალობაა.

მომხმარებელი ეჭვის თვალით უყურებს გენური ინჟინერიის მიღწევებს, თუმცა ამ გზით მიღებულ ახალ ჯიშებს ბევრი დადებითი თვისებაც აქვს. დღეისათვის უკვე გამოყვანილია პამიდორი, რომელიც სხვა ჯიშის პამიდვრებთან შედარებით გაცილებით დიდი რაოდენობით ბეტა-კაროტინს (A პროვიტამინს) შეიცავს. სულ მალე, ჩვენ აღარ მოგვიწევს ბაზრიდან ბოსტნეულით სავსე ჩანთის თრევა: მალე აღმოაჩენენ სრულიად ახალ პროდუქტს, რომელიც შეიცავს ყველა საჭირო ვიტამინს – მი-ერთმევთ და აღარავითარი ავიტამინოზი არ დაგემუქრებათ.

არცთუ ისე შორეულ მომავალში აღარ იქნება საჭირო აცრების კეთება – საკმარისი იქნება მხოლოდ სპეციალურად გამოყვანილი მწვანე სალათის ან ბანანის მირთმევა. ამასთან მეცნიერებმა გამოიყვანეს ისეთი კულტურები, რომლის გემოც არ მოსწონთ მავნებლებს, ამიტომ ტრანგენური ჯიშების გაზრდისას ნაკლები ჰერბიციდებისა და პესტიციდების გამოყენებაა საჭირო.

დღევანდელი ადამიანი გაცილებით ნაკლებს მოძრაობს, ვიდრე მისი წინაპრები. მიღებული საკვების მოცულობაც, შესაბამისად ნაკლებია, მაგრამ ვიტამინებსა და მინერალებზე ორგანიზმის მოთხოვნილება ხომ იგივე დარჩა?! ამიტომ გენური ინჟინერიის სპეციალისტების მიზანია, შექმნან დაბალკალორიული, ჯანსაღი საკვები, რომელშიც დიდი რაოდენობით ვიტამინები და მინერალები იქნება.

გენური ინჟინერიის აპოლოგეტთა მთავარი დასკვნა ასეთია: ტრანსგენური პროდუქცია, რომელიც მაღალი მოსავლიანობით გამოირჩევა და გადაარჩენს დედამიწის მზარდ მოსახლეობას გარდაუვალი შიმშილისაგან.

თუმცა, „მწვანეთა“ მოძრაობის წარმომადგენლებს საწინააღმდეგო არგუმენტები მოჰყავთ: თუკი გენურად მოდიფიცირებულ კარტოფილს არ ჭამს კოლორადოს ჭია, მე რატომ უნდა ვჭამო? ისინი მიიჩნევენ, რომ ახალი პროდუ-



ქტებისადმი ისეთივე სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო, როგორიც ახალი პრეპარატების შექმნისას. ახალი ჯიშების მომხმარებლისთვის მიწოდება დასაშვებია მხოლოდ ათწლეულების განმავლობაში მათი საგულდაგულო კლინიკური გამოცდის შემდგომ და მას მერეც სიფხიზლეა აუცილებელი: ვინ იცის, როგორ აისახება ჩვენი გასტრონომიული სითამამე მომავალ თაობებზე?! ჯერ შესწავლილი არაა არც ეკოსისტემაზე ახალი ჯიშების გავლენა. ამიტომ, სელექციის საოცრებათა ლაბორატორიებიდან მინდორში გაშვება საშიშიცაა.

მარკირება დაწყებულია

გენურად მოდიფიცირებული პროდუქტების მარკირება წარმოადგენს აუცილებლობას ევროპაში, იაპონიაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში. რუსეთში მარკირებას უკეთებენ იმ პროდუქტებს, რომელიც 5%-ზე მეტ გენურ-მოდიფიცირებულ წყაროს შეიცავს. თუმცა, ასეთი მარკირება საკმაო იშვიათობას წარმოადგენს, ვინაიდან მწარმოებლები ამას არ ამჟღავნებენ. ყველაზე ხშირად, ტრანსგენურ კომპონენტებს შეიცავს სოსისი და ტრანსგენური სოიის შემცველი ძეხვეული. ასე რომ, თუ გენურ-მოდიფიცირებული პროდუქტების მიმართ შიში გაქვთ, უცხოური წარმოების ძეხვეულს უნდა ერიდოთ. ■

მოუსვენარი პატარა

ახალშობილს დღე-ღამის განმავლობაში 18-20 საათი უნდა ეძინოს და მხოლოდ მაშინ უნდა ტიროდეს, როცა მოშივდება. თუ თქვენი პატარა სხვაგვარად იქცევა: ძნელად იძინებს, დადგენილ ნორმაზე ნაკლები სძინავს, ბევრს ტირის, ამას შესაძლოა, რამდენიმე მიზეზი ჰქონდეს.

მიზეზი პირველი: პატარა სუსტი დაიბადა და მისი მდგომარეობა ამჟამად ჯანმრთელობასა და ავადმყოფობას შორის მერყეობს.

სავარაუდოა, რომ მუცლადყოფნის პერიოდში გარკვეული პრობლემები არსებობდა: მაგალითად, დედამ იავადმყოფა ან სიგარეტს ეწეოდა, მშობიარობა ზედმეტად დაჩქარებული ან შენელებული იყო. ყოველივე ეს კი უარყოფითად აისახება ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. საით გადაიხრება ისარი – ჯანმრთელობისკენ თუ ავადმყოფობისკენ – ბევრადაა დამოკიდებული ბავშვს მოვლაზე, მშობლების ყურადღებასა და მის მიმართ გამოვლენილ სიყვარულზე.

ასეთ ახალშობილებს ახასიათებთ:

- ძილში ხშირი შეკრთომა;
- ხმამაღალ ბგერებზე შიშით რეაგირება: თვალებს ფართოდ ახელენ, წამოიყვირებენ, ხელებს იქნევენ;
- ძლიერი ტირილისას ნიკაპისა და ხელების კანკალი;
- ხშირი, შადრევნისებური ამოქარვება.

ამ ნიშნების არსებობის შემთხვევაში, პატარა აუცილებლად აჩვენეთ ნევროლოგს. მომატებული აგზნებადობა შეიძლება რაქიტის განვითარების ნიშანი იყოს.

მიზეზი მეორე: პატარას მოუსვენარი ხასიათი დედისაგან გადაეცა.

თუ ქალს ორსულობისას ძლიერი განცდები ჰქონდა (უსიამოვნებები სამსახურში ან ოჯახში), მაშინ მისი ენდოკრინული სისტემა გაძლიერებულად გამოიმუშავებდა ადრენალინს – განგაშის ჰორმონს, რომელმაც შეაღწია ნაყოფის ტვინში, ემოციების მმართველ უბნებში და ბავშვი აგზნებული დაიბადა.

ხდება ისეც, რომ ახალბედა დედა გამოუცდელობის გამო მწვავედ აღიქვამს ყველაფერს, რაც მის პირმშოს ეხება და ეს შიში პატარას გადაეცემა. პედიატრებმა დიდი ხნის წინ შენიშნეს, რომ ემოციურ დედებს მოუსვენარი პატარები ჰყავთ.

მიზეზი მესამე – ყველაზე ხშირი

მიზეზი: ნაწლავური კოლიკები.

ისინი ყველა პატარას აქვს, მაგრამ აგზნებულ ახალშობილებს შედარებით მძიმე ფორმით უვლინდებათ. მდგომარეობის შემსუბუქება შემდეგნაირად შეიძლება:

● ჭამის წინ რამდენიმე წუთით პატარა მუცელზე დააწვინეთ – ეს დააჩქარებს გაზების გამოყოფას;

● ჭამის შემდეგ ვერტიკალურად დაიჭირეთ ზურგით თქვენკენ, პატარა ჩაყლაპულ ჰაერს ამოაბოყინებს;

● კოლიკის დროს მუცელზე მსუბუქი მასაჟი გაუკეთეთ: თბილი ხელი საათის ისრის მიმართულებით მოუსვით;

● თუ ბავშვი ბუნებრივ კვებაზეა, რაციონიდან გამორიცხეთ ის პროდუქტები, რომლებიც მეტეორიზმს იწვევს;

● ნუ აღელდებით, იცოდეთ, რომ 3-4 თვის ასაკში კოლიკები აუცილებლად გაივლის.

მას თქვენი სიყვარული სჭირდება

მოუსვენარი, მტირალა ბავშვის უნივერსალური წამალი, გამომწვევი მიზეზების მიუხედავად, დედის სიყვარულია.

● ხშირად აიყვანეთ ხელში, ზოგჯერ საწოლშიც ჩაიწვინეთ: დედის სითბო ათბობს, ტკივილს უყუჩებს, ამშვიდებს პატარას. პედიატრებმა უარყვეს სპარტანული აღზრდის მეთოდი, რომელიც კრძალავს ჩვილის ხელში აყვანას, დარწევას, კვების რეჟიმის დარღვევას. ექიმები დღეს პირიქით, კვების თავისუფალ რეჟიმს და ჩვილთან რაც შეიძლება მეტ სიახლოვეს უჭერენ მხარს.

● დაარწიეთ მტირალა ბავშვი. რწევა ავარჯიშებს ვესტიბულარულ აპარატს. აყუჩებს სხვა გამაღიზიანებელთა ზემოქმედებას, ხელს უწყობს ჩაძინებას.

● მეტი ელაპარაკეთ პატარას, თანაც არა მონოტონურად, არამედ სხვადასხვა ინტონაციით. სპეციალისტებმა შენიშნეს, რომ ბავშვი რეაგირებს ინტონაციის შეცვლაზე და ეს უკვე მისი აღზრდის პირველი ნაბიჯებია.

● აგზნებად ბავშვებზე დადებითად მოქმედებს წყნარი მელოდიური მუსიკა.

● საწოლის თავზე დაკიდეთ ყვითელი ან ნარინჯისფერი ბურთი – ეს ფერები სხვაზე მეტად იპყრობს ახალშობილის ყურადღებას პირველ კვირებში. ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ ბავშვის ირგვლივ მეტი თბილი ტონები – ვარდისფერი და ყვითელი უნდა იყოს – ისინი ამშვიდებს მას.

● ხშირად დაიხარეთ ჩვილისკენ, რათა შეათვალიეროს თქვენი სახე – ეს ამყარებს ემოციურ კავშირს დედასა და ახალშობილს შორის.

● აგზნებადი ბავშვებისთვის სასარგებლოა გრილი ჰაერი. რაც შეიძლება მეტი ასეირნეთ. ოთახში 22-24 გრადუსამდე ტემპერატურა შეინარჩუნეთ. ძილის დროს კი იგი შეიძლება ნაკლებიც იყოს.

● ეცადეთ, ტირილისას ბავშვს მალევე შეეხმიანოთ. ტირილით იგი შველას ითხოვს. ინგლისელმა პედიატრებმა დაასკვნეს, რომ თუ დედა სწრაფად მიდის საშველად, პატარა თავს იმედიანად გრძნობს, ხოლო თუ მას დედის მოსვლამდე ხანგრძლივად უწევს ყვირილი, ეს მომავალში მათ შორის გაუცხოებას გამოიწვევს.

3-4 კვირის პატარა თქვენს „აღუ“-ზე პირველად იღიმება და ეს იმის ნიშანია, რომ მისი ფიზიკური და ინტელექტუალური განვითარება კარგად მიდის.

დედის ხმა

სიცოცხლის პირველ თვეებში ბავშვი უკეთ აღიქვამს ქალის ხმამაღალ ხმას. სულ მალე კი მათგან დედის ხმის გარჩევას იწყებს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სწორედ იგი ეფერებოდეს, ეალერსებოდეს და ამშვიდებდეს ახალშობილს. ■

სხვისი სახით

მედიკოსებმა ტრავმის ან კანის დაავადების შედეგად დაზიანებული სახის ნაკვთების აღდგენის ფანტასტიკური მეთოდი აღმოაჩინეს. „პლასტიკურ ქირურგიაში რევოლუციად შეიძლება ჩაითვალოს გარდაცვლილი ადამიანის სახის ქსოვილების ტრანსპლანტაცია ცოცხალისთვის“, – აცხადებენ ლუისვილის უნივერსიტეტის ამერიკელი ქირურგები. დღეისათვის სახის დეფექტების აღსადგენად იყენებენ იმავე ადამიანის სხეულის სხვა ნაწილიდან აღებულ ქსოვილებს. ხშირად 100-ზე მეტი ოპერაციაა საჭირო იმისათვის, რომ „ახალი სახე“ მიიღონ. სხვისი სახის ქსოვილთა ტრანსპლანტაციას დიდი უპირატესობა აქვს: იგი ტექნიკურად მარტივი შესასრულებელია, საჭიროა მხოლოდ რამდენიმე ოპერაცია, საბოლოო შედეგი კი ბევრად სჯობს სხვა მეთოდების შედეგებს. თუმცა, ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაცია ამ შემთხვევაში უფრო რთულია: პაციენტს სჭირდება ფსიქოლოგთა დახმარება, რადგან უცნობია, როგორ გავლენას მოახდენს სახის ცვლილება მის ფსიქიკაზე. ■

ჭაბურგნილი ადამიანების მოსწრებული ჭაბურნამქვანები

მხატვრის მუქარა

მაქს ლიბერმანი ერთი შეუხედავი ვაჭრის პორტრეტს ხატავდა. ყოველი მოსვლის დროს, ვაჭარი მხატვარს აკრიტიკებდა. ლიბერმანმა ერთხანს უთმინა და ბოლოს დაემუქრა – ჭკვიანად იყავი, თორემ, როგორიც ხარ, მართლა ისეთს დაგხატავო...

უჩვეულო საჩუქარი

ერთმა თაყვანისმცემელმა კომპოზიტორ შტრაუსს დაბადების 60 წლისთავის გამო სირაქლემა მიუყვანა. იუბილარმა ეს უჩვეულო საჩუქარი ზოოპარკს ჩააბარა და კმაყოფილებით შენიშნა: კიდევ კარგი, რომ ჩემი გვარი ლომს არ ნიშნავსო (შტრაუს გერმანულად, სირაქლემაა).

მოკლედ და გასაგებად

მეთვრამეტე საუკუნის გამოჩენილი შოტლანდიელი ქირურგი იონ აბერნეტი მეტყველების ლაკონიურობით გამოირჩეოდა. მას ძალზე მოსწონდა ისეთი პაციენტი, რომელიც მოკლედ და სხარტად მოუყვებოდა თავისი ავადმყოფობის შესახებ.

ერთხელ, მასთან მივიდა ქალი, რომელსაც ხელი ჰქონდა შესივებული. მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

– დაიწვით?

– დავვარდი.

– კომპრესი!

პაციენტი მეორე დღეს კვლავ ეწვია ექიმს:

– უკეთესად?

– უარესად.

– ისევ კომპრესი!

ორი დღის შემდეგ:

– უკეთესად?

– მორჩა. რამდენი?

– არაფერი. ჩემს სიცოცხლეში პირველად ვხედავ ასე ლაკონიურად მოლაპარაკე პაციენტს!.. – წამოიძახა აღტაცებულმა ექიმმა.

ნიუტონის სიტყვა

გენიალურმა ინგლისელმა ფიზიკოსმა, მექანიკოსმა, ასტრონომმა და მათემატიკოსმა ისააკ ნიუტონმა თავისი მეცნიერული ნაშრომებისთვის ლორდის ტიტული მიიღო და 26 წელი, პარლამენტში გაატარა. მთელი ამ ხნის განმავლობაში, მხოლოდ ერთხელ ითხოვა სიტყვა.

– ბატონებო, – მიმართა მან ლორდებს, – თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, გთხოვთ, ფანჯარა მიახურვინოთ, გამჭოლი ქარია და მეშინია, არ გავციოდე.

თქვა და კვლავ თავის ადგილს დაუბრუნდა.

ანეკდოტები

* * *

...მას სურდა, ეხტუნავა სიხარულისგან, მაგრამ მხარზე სიდედრის მძიმე კუბო ჰქონდა შედგმული.

* * *

ორი დაქალი საუბრობს:

– წარმოგიდგენია? ჩემმა საყვარელმა ბოზი მიწოდა!

– შენც ადექი და ისეთი საყვარელი გაიჩინე, ვინც ეს არ იცის...

* * *

„ახალი ქართველი“ მივიდა შვეიცარიის ბანკში და კლერკს ეუბნება:

– მინდა, თქვენთან ანგარიში გავხსნა.

– რა თანხა შემოგაქვთ?

კაცი ხმას დაუწევს:

– სამი მილიონი დოლარი.

– შეგიძლიათ, ხმამაღლა ილაპარაკოთ: ჩვენთან, სიღარიბე სამარცხვინოდ არ მიიჩნევა...

* * *

დედა ეკითხება ქალიშვილს:

– რატომ ტირი? ქმარი გღალატობს?

– განა მარტო ქმაარიი!..

* * *

მუზეუმის დათვალიერების შემდეგ, ორი სტუდენტი გოგონა ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებს:

– შეამჩნიე, რამხელა ასო ჰქონდა იმ ბერძნულ ქანდაკებას?

– აბა! თანაც როგორი ცივი...

* * *

ორი მეგობარი ხვდება ერთმანეთს:

– როგორაა შენი ცოლი? – ეკითხება ერთი მეორეს, მაგრამ უცებ ახსენდება, რომ ქალი თვეზე მეტია, რაც გარდაიცვალა და ცდილობს, შეცდომა გამოასწოროს: – ისევ იმ სასაფლაოზეა?..

* * *

ავტომანქანების ბაზრობაზე:

– ...ეს კი ელექტროტექნიკის ახალი მიღწევაა! თუ თქვენ მოულოდნელად, ფეხით მოსიარულეს გადაუვლით, მაგნიტოფონი ავტომატურად დაუკრავს სამგლოვიარო მარშს.

* * *

– შვილო, მომიტანე ხუთი თეფში.

– ამდენი რა საჭიროა?

– მე და მამაშენმა უნდა ვილაპარაკოთ.

* * *

ბავშვობის ტკბილი მოგონებებიდან:

– თავიდან, სკოლაში ცუდად ვსწავლობდი, ამიტომ დედაჩემს ხშირად იბარებდნენ დირექტორთან. მერე კარგად სწავლა დავიწყე, ამიტომ დედას დირექტორთან შესახვედრად სხვა ადგილის მოძებნა მოუხდა...

* * *

ორი მამაკაცი საუბრობს:

– ამდენი წელია, ცოლიანი ხარ და შენს ცოლს სულ ფისოსა და თაგუნიას ეძახი. ასე ძალიან გიყვარს?

– უბრალოდ, დამავიწყდა, რა ჰქვია.

* * *

– რატომ სვამ ყოველდღე? – ეკითხება ბეჟანას, მეზობელი.

– სასმელი სასარგებლო რამეა, ძმაო – სისხლძარღვებს აფართოებს.

– მეორე დღეს რომ ვიწროვდება?

– აბა, მეტი საქმე არა მაქვს, დავიწროება ვაცალო!..

კვირის (1 - 7 მარტი) ასტროლოგიური პროგნოზი

თევზები – 20/II-20/III

ქალი: უამრავი სასიამოვნო ცვლილება გელით. კარიერისთვის ძალზე მიმზიდველი პერსპექტივა დაგესახებათ. წარმატების მიღწევაში განსაკუთრებით წაგადგებათ თანდაყოლილი დიპლომატიური ნიჭი.

მამაკაცი: თქვენს პირად ცხოვრებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი და სასიხარულო ძვრებია მოსალოდნელი. იყავით ლაღი და მხიარული. თავს დასვენების უფლებაც მიეცით.

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: მთელი კვირის მანძილზე სამსახურში ზედმეტად გაგაღიზიანებთ ნებისმიერი შეცდომა, მცირედი უზუსტობა და შრომის დისციპლინის უმნიშვნელო დარღვევაც კი. შეეცადეთ, კოლეგების მიმართ შემწყნარებელი იყოთ.

მამაკაცი: თქვენი მოთმინება და შრომისმოყვარეობა დაფასდება. წინ საინტერესო სიახლეები გელით. კვირის ბოლოს ფულის შოვნის დამატებით საშუალებებს გამონახავთ.

კურო – 21/IV-21/V

ქალი: უნაკლო იქნებით ურთიერთობებში, დინამიკური და შედეგიანი – საქმეებში. წარმატება გელით ყველაფერში, რასაც ამ კვირაში მოჰკიდებთ ხელს.

მამაკაცი: ოთხშაბათამდე მნიშვნელოვანი საქმეების დასრულებას და საჭირო ადამიანებისთვის ახალი იდეების გაცნობას მოასწრებთ. კვირის მეორე ნახევარში ნულარაფერზე იდარდებთ და ცხოვრების დინებას მშვიდად მიჰყევით.

მარჩხები – 22/V-21/VI

ქალი: წვრილმანებზე დროს უქმად ნუ დაკარგავთ. ახლა თქვენ არაჩვეულებრივ ინტელექტუალურ ფორმაში ხართ და ყველაზე რთული ამოცანების გადაჭრის უნარი შეგწევთ.

მამაკაცი: მთელი ძალები სერიოზულ, კონკრეტულ საქმეს მოახმარეთ. უქმე დღეები კი მეგობრებთან ერთად გაატარეთ. მოერიდეთ ალკოჰოლის მიღებას.

კირჩხები – 22/VI-22/VII

ქალი: ამ კვირაში თქვენი სამსახურებრივი საქმიანობა მცირედი შეფერხებით წარიმართება, სამაგიეროდ, ოჯახში საუცხოო ატმოსფერო შეგექმნებათ. დიდ სიხარულს მოგანიჭებთ მეგობრებთან ურთიერთობაც.

მამაკაცი: კვირის დასაწყისში ოფიციალური ინსტანციების წარმომადგენლებთან მოგიწევთ შეხვედრა და საუკეთესო პერსპექტივაც დაგესახებათ. ნუ გაუშვებთ შანსს ხელიდან.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: რევოლუციური გეგმები და გენიალური აღმოჩენები თქვენთვის შეინახეთ. მისი გამხელა, მით უმეტეს, განხორციელებაზე ფიქრი, კარგს არაფერს მოგიტანთ. ასე რომ, რაც გაქვთ, იმით დაკმაყოფილდით.

მამაკაცი: შეეცადეთ, დაიწყოთ ახალი ცხოვრება. შესანიშნავი დროა იმიჯის შესაცვლელადაც. მოიკრიბეთ ძალა – დიდი შანსი გაქვთ, სწორედ ამ კვირაში დააღწიოთ თავი მავნე ჩვევებს.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: მატერიალურ კეთილდღეობასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა არ შეგაშინოთ. შემდეგი კვირიდან ყველაფერი გამოსწორდება. ჯობს, პირად ურთიერთობებს მიხედოთ.

მამაკაცი: ოთხშაბათი და ხუთშაბათი საუკეთესო დროა საინტერესო ადამიანთან გულითადი საუბრისათვის. თქვენი გულწრფელობა დაფასდება.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: ომი გამოუცხადეთ თქვენს ნაკლოვანებებს და წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ. ამ კვირაში სიფიცხის გამოჩენა კარგს არაფერს მოგიტანთ.

მამაკაცი: უქმეებში უმჯობესია შინიდან ცხვირიც კი არ გაყოთ. სხვების განკითხვისგან თავი შეიკავეთ – თქვენი ნათქვამი ყოველი სიტყვა წინ დაგხვდებათ. ნუ მიეძალებით ალკოჰოლს და ნუ გაგიტაცებთ აზარტული თამაშები.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ კვირაში მოხდება, ის არის, რომ თქვენს ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებს უფრო ღრმად ჩასწვდებით და საკუთარი თავის რწმენით განიმსჭვალებით.

მამაკაცი: კვირის პირველსავე დღეებში ისეთ ინფორმაციას მიიღებთ, რომელიც გაიძულებთ თქვენს საქმეს სხვა თვალით შეხედოთ და კურსი შეცვალოთ. კარგი იქნება თუ რჩევას გამოცდილ ადამიანებს ჰკითხავთ და მათ მოსაზრებებს გაითვალისწინებთ.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: კვირის დასაწყისში უმნიშვნელო წვრილმანებიც კი გაგაღიზიანებთ. ნეგატიურ ემოციებს მეუღლესა და საყვარელ ადამიანს ნუ მოახვევთ თავს, თორემ სიტუაცია ძალიან დაგიმძიმდებათ.

მამაკაცი: საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისას მეტი წინდახედულება გამოიჩინეთ. მოუსმინეთ მათ ოპონენტებს და შესაბამისი დასკვნები გამოიტანეთ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: ჯერ დარწმუნდით, რომ თქვენი პოზიცია სწორია და შემდეგ გამოავლინეთ პრინციპულობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მტრებს გაიჩენთ.

მამაკაცი: ფრთხილად, უსაფუძვლო ეჭვიანობის გამო, საყვარელი ადამიანი არ გაანაწყენოთ და საერთოდ, ნუ იტყვით იმას, რაშიც 100%-ით დარწმუნებული არ ხართ.

მეწყვილი – 21/I-19/II

ქალი: იყავით უფრო ყურადღებიანი ოჯახის წევრების მიმართ. დაინტერესდით მათი პრობლემებით, გაამხნევეთ ისინი. ამ კვირაში კეთილი ფერიას როლი მოგიხდებათ.

მამაკაცი: შეეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ საკუთარ გარეგნობას. კვირის ბოლოს დარწმუნდებით, რომ საუკეთესო მეგობრები გყავთ. პირად ცხოვრებაში რადიკალური ნაბიჯებისგან თავი შეიკავეთ.



„პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ (პერსონაჟი)

ფრანგი მომღერალი და მსახიობი

ორკორპუსიანი ნავი ან გემი

ქალაქი, რომლის სახელიც დაერქვა ვინი პუჰს

ლითონი

...ფაკულტეტი

პირველი სამეცნიერო ხარისხი

ფაშისტთა ემბლემა

ოპერა „სოფლის პატიოსნება“ (კომპოზიტ.)

ქალაქი ფრანგულ ფრანდერიაზე

მოკლე კაბა

ომის ბუნებრივი საღებავი

კომისარი სიმენონის მოთხრობებში

ღვინის საცავი

ზღვის ტრანსპორტი

ფილმი კასუს კლეის ცხოვრებაზე

კახელი ბაბუა

კანადის დედაქალაქი

ლეგენდ. შვედი კინომსახიობი გრეტა ...

ნული რულეტზე

„პროფესიონალ რეპორტიორი“ (ოტულ. რეჟ.)

...არანტეს დუ ნასიმენტო (პელე)

ფეხბურთელ ტალანტი

...კერეკა

ამობურცული, შეფერილი ლაქა კანზე

კან, ...ლას, ...

ბრიჟიტ ბარდოს მოფერებ. სახელი

მსახური ბიჭი სასტუმროში

მზის ღმერთი ძველ ეგვიპტეში

სატვირთო-სამგზავრო ავტომობილი

გამოუწვავი აგური

კედლის ფერწერით შემკობა

ავსტრალიური დათვი

ხილი

დამუხტული ნაწილაკი

ქავჟარაძე

საათის ჩვენება

ბრუტალური სასოწარკვეთა



ნაპოლეონის მხატვარი

მიმართვა ქალისადმი გერმანიაში

მამითადი

სპორტული ნაწარმის ფირმა

შეადგინა რამაზ ალანიამ

ბრაზილიური კარნავალი თბილისში

როგორც ჩვენი მკითხველისთვის ცნობილია, ბრაზილიაში მიმდინარე, ტრადიციული კარნავალის პარალელურად, ღამის კლუბ „ნოა-ნოაში“ ამ კარნავალის ინსცენირება მოეწყო. რამდენიმე დღით ადრე კი, საღამოს პროდიუსერმა დათო ნადარეიშვილმა და კლუბის არტმენეჯერმა ნინო გაბუნიამ ჟურნალისტები „სასტიკად“ გააფრთხილეს: დაივიწყეთ შავი ტანსაცმელი და რაც შეიძლება მყვირალა ფერის სამოსით მოდითო. ასევე წინასწარ შეგვითანხმდნენ იმაზე, რომ სხეულის შიშველ ნაწილებს აუცილებლად მოვიხატავდით და ბრაზილიურ ცეკვებსაც შეძლებისდაგვარად, შევასრულებდით...

საღამოს წამყვანი, ნიკუშა ლომიძე გახლდათ. ის მოცეკვავე გოგონებთან ერთად დიდი მონდომებით ასრულებდა ბრაზილიური ცეკვის ილეთებს, რომელიც ალბათ, ცეკვის ოსტატმა მეუღლემ – თეა გობეჯიშვილმა შეასწავლა...

საღამო მუსიკალურად „ნოა-ნოას“ ბენდმა გააფორმა. ერთი ბრაზილიური სიმღერა მაია ბარათაშვილმაც შეასრულა. იმისთვის, რომ დამსწრეთ თავი ნამდვილ ბრაზილიურ კარნავალზე ეგრძნოთ, ფართო ეკრანზე უჩვენეს რიო-დე-ჟანეიროს ქუჩებში გადაღებული, ზეიმის კადრები. საკარნავალო განწყობილებას ფერადი ყვავილებითა და სხვადასხვა საზეიმო აქსესუარით გაფორმებული კლუბიც ქმნიდა. ჟურანლისტებმაც, პირობა შეასრულეთ და ცეცხლოვანი ცეკვები დილამდე გაგრძელდა... ■

„ქუჩის ბიჭებმა“ მეოთხე წევრი იპოვეს

გასულ კვირას, „შერატონ მეტეხი პალასის“ დარბაზში ჯგუფმა „ქუჩის ბიჭებმა“ პრესკონფერენცია გამართა. მათ დამსწრე საზოგადოებას თავიანთი ახალი ალბომი – "SOS" – წარუდგინეს, თან დასძინეს, რომ ალბომს ასეთი სახელწოდება იმიტომ კი არ მიანიჭეს, რომ ჯგუფში მხოლოდ სამნი დარჩნენ, არამედ იმიტომ, რომ ისინი მსოფლიოში არსებული ყველანაირი ძალადობის წინააღმდეგნი არიან. ალბომში ჯგუფის წევრების სოლო სიმღერებიც არის შესული. ყველა სიმღერა ჯგუფის ყოფილი წევრის – ირაკლი ნოზაძის ვოკალის თანხლებით არის ჩაწერილი. „ქუჩის ბიჭებმა“ საჩუქრად გადასცეს ჟურნალისტებს 13 სიმღერით დაკომპლექტებული, ახალი ალბომის CD და აუდიოვერსიები.

მოგვიანებით, ჯგუფის წევრებმა მათი ახალი, მეოთხე წევრი – პაატა ცეცხლაძე წარუდგინეს საზოგადოებას. აქამდე, პაატა „სიონის“ საკათედრო ტაძარში გალობდა. როგორც ბიჭებმა თქვეს, მას ხელს შეუწყობენ იმაში, რომ პარალელურად, სიონის ტაძარში კვლავაც იგალობოს. „ქუჩის ბიჭებმა“ ახალ წევრთან და მერაბ სეფაშვილთან ერთად, უკვე ჩაწერეს ერთი სიმღერა. ამასთანავე გვაცნობეს, რომ უახლოეს მომავალში, ეგვიპტეში გაიმართება „საქართველოს დღეები“, სადაც ქართულ ქორეოგრაფიულ ანსამბლებთან ერთად, „ქუჩის ბიჭებიც“ მიიღებენ მონაწილეობას. პრესკონფერენციის შემდეგ, ჯგუფის წევრებმა გადაწყვიტეს, ჟურნალისტებისთვის მათი ახალი წევრის ვოკალური მონაცემებიც გაეცნოთ და ექსპრომტად „მრავალჟამიერი“ შეასრულეს. ■

ჯიდევ ერთი ახალი კინოთეატრი თბილისში

როგორც კინოთეატრ „რუსთაველის“ ხელმძღვანელებმა ამ დღეებში ჟურნალისტებს აცნობეს, მალე გლდანში მისი ფილიალი – „ახმეტელი“ გაიხსნება. ფილიალის ხელმძღვანელმა, ბაკურ ლაშქარავამ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ „რუსთაველთან“ შედარებით, ახალ კინოთეატრში ბილეთები გაცილებით იაფი იქნება. მენეჯერები უახლოეს მომავალში კინოთეატრის გახსნას ვარკეთილშიც გეგმავენ, ხოლო 4-5 წელიწადში, მთელი საქართველოს მასშტაბით 7-8 ახალი კინოთეატრის გახსნას ვარაუდობენ. პრემიერად „ახმეტელში“ ფილმის – „ზღვის მბრძანებელი“ – ჩვენება მოეწყობა. მას პირველად ჟურნალისტები და მიწვეული პოლიტიკოსები იხილავენ. ■

მოამზადა ნათია ქივიძემ

ვინ ხართ თქვენ: კაპიტანი, მესაჭე თუ მგზავრი?

როგორც ცნობილია, ნებისმიერი ჩვენგანის ხასიათი ვლინდება ამა თუ იმ ადამიანთან ურთიერთობისას და ამა თუ იმ სიტუაციაში არჩევანის გაკეთებისას. თუ გსურთ, უკეთ გაიცნოთ თავი, ქვემოთ შემოთავაზებულ 15 შეკითხვას, პასუხის მოცემული სამი ვარიანტიდან — „დიახ“, „არა,“ „არ ვიცი“ — მიუწერეთ ერთ-ერთი.

შემოთავაზებულ პირველ, მე-3, მე-5, მე-7, მე-9, მე-11, მე-13 შეკითხვებზე დადებითად გაცემული პასუხებისთვის დაიწერეთ 10 ქულა; მე-2, მე-4, მე-6, მე-8, მე-10, მე-12, მე-14, მე-15 შეკითხვებზე გაცემული უარყოფითი პასუხებიც 10 ქულით შეაფასეთ; მესამე ვარიანტის — „არ ვიცის“ არჩევისას, თითოეული პასუხისთვის 5 ქულა დაიწერეთ.

1) ყოველთვის ვგრძნობ პასუხისმგებლობას იმასთან დაკავშირებით, რაც ჩემს ცხოვრებაში ხდება.

2) ამდენი პრობლემა არ მექნებოდა ცხოვრებაში, ზოგიერთ ადამიანს ჩემდამი დამოკიდებულება რომ შეეცვალა.

3) უპირატესობას მოქმედებას ვანიჭებ და საკუთარი წარუმატებლობის მიზეზებზე ფიქრით თავს არასოდეს ვიწუხებ.

4) ზოგჯერ მეჩვენება, რომ უბედურ ვარსკვლავზე ვარ გაჩენილი.

5) ჩემი აზრით, ლოთობით დაავადებული ადამიანები საკუთარ ავადმყოფობაში თავად არიან დამნაშავენი.

6) ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ჩემს ცხოვრებაზე პასუხისმგებლობა იმ ადამიანებს ეკისრებათ, რომელთა გავლენითაც ისეთ პიროვნებად ჩამოვყალიბდი, როგორიც დღეს ვარ.

7) როცა ვცივდები, არასოდეს მივმართავ ექიმს, თვითმკურნალობას ვამჯობინებ.

8) ჩემი აზრით, ქალის აგრესიულ და ანჩხლ ქცევაში, ხშირ შემთხვევაში, სხვა ადამიანები არიან დამნაშავენი.

9) ჩემი აზრით, ძალისხმევის მეშვეობით შესაძლებელია ნებისმიერი პრობლემის გადაჭრა და ძალზე მაღიზიანებენ ის ადამიანები, რომლებიც გამუდმებით რაღაც ცხოვრებისეულ სირთულეებზე წუწუნებენ.

10) ყველას მადლიერი ვარ, ვინც კი ოდესმე სიკეთე გამიკეთა, ამიტომ მეც სიამოვნებით ვუწვდი დახმარების ხელს სხვა ადამიანებს.

11) მომხდარი კონფლიქტის შემდეგ, ვცდილობ ხოლმე, გავერკვე სიტუაციაში და უპირველეს ყოვლისა, კრიტიკულად სწორედ საკუთარ ქმედებას ვაფასებ.

12) გზაზე შავმა კატამ თუ გადამირბინა, აუცილებლად ქუჩის მეორე მხარეს გადავალ.

13) შექმნილი გარემო-პირობების მიუხედავად, ჩემი აზრით, ადამიანი უნდა იყოს ძლიერი და დამოუკიდებელი.

14) მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი ნაკლოვანებების შესახებ ჩემთვის კარგადაა ცნობილი, მსურს, ირგვლივმყოფები ჩემი საქციელის მიმართ შემწყნარებლები იყვნენ.

15) ჩვეულებრივ, მე ვეგუები სიტუაციას, როცა ზემოქმედების არანაირი ბერკეტი არ გამაჩნია.

დაანგამეთ ქულები

100-150: თქვენ საკუთარი ცხოვრების კაპიტანი ბრძანდებით. ყველაფრის პასუხისმგებლობას, რაც კი თქვენს ცხოვრებაში ხდება, საკუთარ თავზე იღებთ. წინააღმდეგობების გაზვიადება არ გჩვევიათ და საკუთარ პრობლემებსაც თავადვე უმკლავდებით. ცხოვრებას იმ ამოცანად აღიქვამთ, რომლის ამოხსნაც მხოლოდ და მხოლოდ თქვენს ხელშია. ის კი, თუ რა ხდება ასეთ დროს თქვენს სულში, გარშემომყოფთათვის გამოცანად რჩება.

50-99: საკუთარი ცხოვრების მესაჭე თავადვე ბრძანდებით, მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში, არც იმის წინააღმდეგი ხართ, რომ საჭევარი თქვენზე გამოცდილ ადამიანს მიანდოთ. ცხოვრების გზაზე წარმოქმნილ სირთულეებსაც საკმაოდ ობიექტურად აფასებთ. მოქნილობა, გონიერება და ალღო — აი, ის თვისებები, რომელიც თქვენს ცხოვრებაში ყოველთვის მოკავშირის როლს თამაშობს. იმ შემთხვევაში კი, როცა პასუხისმგებლობა არ გეკისრებათ, მაგრამ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე მიგაჩნიათ, რომ თქვენი ჩარევა აუცილებელია, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას არასოდეს ერიდებით. სხვათა შორის, ზუსტად ხვდებით იმასაც, თუ რა შემთხვევაში უნდა მოიქცეთ ასე. ამიტომაცაა, რომ ერთნაირად წარმატებით ახერხებთ ირგვლივმყოფებთან და საკუთარ თავთან ურთიერთთანხმობაში თანაარსებობას.

49-ზე ნაკლები: ხშირ შემთხვევაში, ცხოვრებაში მგზავრის ფუნქციით კმაყოფილდებით. იოლად ემორჩილებით გარეშე ძალების ზეგავლენას და ხშირად ამბობთ: ისეთი მდგომარეობაა შექმნილი, რომ... რა ვქნა, ბედმა ასე გამიჭრა... და სხვა. შექმნილ ცხოვრებისეულ სირთულეებში, საკუთარი თავის გარდა, ყველას და ყველაფერს ადანაშაულებთ. ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა თქვენთვის მიუწვდომელია. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ირგვლივმყოფებთან მშვიდობიანი თანაარსებობის უნარით ნამდვილად გამოირჩევით.

„ბრიჯიტ-ჯონსის“ ავტორს შვილი შეეძინა

ბრიტანელ მწერალს, 43 წლის ჰელენ ფილდინგს – ავტორს სახელგანთქმული რომანისა „ბრიჯიტ ჯონსის დღიური“ – ვაჟი შეეძინა. ამის შესახებ ფართო საზოგადოებას მისმა პრესმდივანმა აცნობა. დედაშვილი თავს შესანიშნავად გრძნობს.

მწერლის ნაწარმოების მიხედვით გადაღებულ ამავე სახელწოდების ფილმს, სადაც მთავარ როლებს, რენე ზელვეგერი, კოლინ ფერტი და ჰიუ გრანტი ასრულებენ, არნახული წარმატება ხვდა წილად. ამჟამად „დღიურების“ მეორე ნაწილის გადაღება მიმდინარეობს.

ჟურნალისტმა ჰელენ ფილდინგმა უიღბლო ბრიჯიტის ამბის თხრობა თავდაპირველად Independent-ის ფურცლებზე დაიწყო, შემდეგ – Daily Telegraph-ში განაგრძო... შედეგად მწერალმა რომანი „ბრიჯიტ ჯონსის დღიური“ გამოაქვეყნა, რომელიც შემდეგ 20-ზე მეტ ქვეყანაში დაიბეჭდა.

2002 წელს ფილდინგმა დაწერა რომანის გაგრძელება სახელწოდებით: „ბრიჯიტ ჯონსი: გონიერების ზღვარზე“. ■

დიპლომატიური ხუსიური ნახოხუსიური აღმოჩნდა

ჰაგის პოლიციელებს, რომლებიც ხორვატიის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის ნივთებს ამოწმებდნენ, სიუპრიზი ელოდათ: ნივთების თვალიერებისას, მას 1 კილოგრამი კოკაინი აღმოუჩინეს.

დაპატიმრებული რომ ნამდვილად ხორვატიის სსს-ს თანამშრომელი და დიპლომატიური კურიერი იყო, ნიდერლანდებში ამ ქვეყნის საელჩომ დაადასტურა.

ამავე დროს, ხორვატიის საელჩომ განაცხადა, რომ ხორვატიის სსს-ს თანამშრომელი ჰოლანდიაში როგორც კერძო პირი, ისე ჩავიდა. ■

დიეტა-საოცრების ავტორი 120 კილო ყოფილა



პროფესორ ატკინსის სახელგანთქმული დიეტა, არც ისე ეფექტური ყოფილა, როგორც ავტორი ირწმუნებოდა. გამოირკვა, რომ დიეტოლოგი, რომელიც თავის დროზე ჰოლივუდის თითქმის ნახევარს არწმუნებდა, უარი ეთქვათ ნახშირწყლებსა და უჯრედისებზე, ხოლო უპირატესობა ხორცეულისთვის მიენიჭებინათ, სიცოცხლის ბოლო წლებში საგრძნობლად გასუქებულა; სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე კი, გულის შეტევაც გადაუტანია.

ეს ყველაფერი მას შემდეგ გაირკვა, რაც აქტივისტ-ვეგეტარიანელთა ჯგუფის (ვეგეტარიანელები ყოველთვის ნეგატიურად იყვნენ განწყობილნი ამგვარი დიეტების მიმართ) მოთხოვნით, პათანატომებმა ატკინსის ავადმყოფობის ისტორია და მისი სიკვდილის მიზეზების შესახებ დასკვნა გამოაქვეყნეს. აღმოჩნდა, რომ საშუალო სიმაღლის პროფესორი დაახლოებით 120 კგ-ს იწონიდა; მას ნამდვილად აწუხებდა გული და არტერიულ წნევასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა. 72 წლის ატკინსის სიკვდილის მიზეზად კი თავის ქალის ტრავმა ქცეულა, რომელიც დაცემის შედეგად განუვითარდა. თუ რატომ დაეცა პროფესორი – გრძნობა დაკარგა თუ უბრალოდ ფეხი დაუცდა – ეს ზუსტად არავინ იცის, რადგან გარდაცვლილის ოჯახის წევრები გვამის გაკვეთის სასტიკი წინააღმდეგნი ყოფილან.

მითქმა-მოთქმა დიეტოლოგის ჭარბი წონის გარშემო მას შემდეგ ატყდა, რაც ნიუ-იორკის მერმა – მაიკლ ბლუმბერგმა ერთ-ერთი ტელევიზიის ეთერში ატკინსს სქელი უწოდა (რადგან ეგონა, რომ ტელეკამერები უკვე გამორთული იყო) და ამით პროფესორის მეუღლის აღშფოთება გამოიწვია. მან მერს ცილისწამებასა და გარდაცვლილის ხსოვნის შეურაცხყოფაში დასდო ბრალი. ბლუმბერგი იძულებული გახდა, გაცხარებული ქალბატონისთვის ბოდიში მოეხადა. ახლა კი, პათოლოგანატომების მიერ გამოქვეყნებული მასალები მოწმობს, რომ მერის სიტყვებში ცილისწამების ნატამალიც არ ერია.

სულ ცოტა ხნის წინ, სამედიცინო წრეებშიც ალაპარაკდნენ დიეტა-საოცრების მავნებლობის შესახებ. ამგვარი დიეტის დაცვა განსაკუთრებით საშიში ზაფხულში ყოფილა: სიცხეში ახალგაზრდა და ჯანმრთელ ორგანიზმსაც კი უძნელდება ცილების დიდი რაოდენობით გადამუშავება და შესაძლოა, ორგანიზმი გაუწყლოების საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს. ამასთან ერთად, ამგვარმა კვებამ შეიძლება სისხლში ქოლესტერინის დონის მატება გამოიწვიოს.

ახლა უკვე, როცა პროფესორის გარდაცვალების დეტალებს ნათელი მოეფინა, დიეტის მოწინააღმდეგეებს ახალი და ამავე დროს, საკმაოდ დამაჯერებელი მიზეზი მიეცათ მის გასაკრიტიკებლად. ■

ოჰიენტასიდანჯახგულმა ზღვის ლომმა ტრასაზე 105 კმ გაიარა

ცენტრალურ კალიფორნიაში, გზატკეცილზე, მაშველებმა ზღვის ლომი დაიჭირეს, რომელიც როგორც ჩანს, ოკეანიდან ამოვიდა და შემდეგ გზა აებნა. ვარაუდობენ, რომ ზღვის ლომმა მიმართულება დაკარგა. საბოლოოდ, 135-კილოგრამიანი ცხოველი ტრასაზე აღმოჩნდა და დაახლოებით 105 კმ გაიარა. გაოცებულმა მძღოლებმა ამის შესახებ პოლიციას აცნობეს.

როგორც CNN იტყობინება, მაშველებმა სელაპი ზღვის ძუძუმწოვართა ცენტრში მიიყვანეს, სადაც, მეცნიერების ზედამხედველობის ქვეშ რამდენიმე დღეს გაატარებს, შემდეგ კი მას ოკეანეში გაუშვებენ.

„ხანდახან სელაპები ისე შორს მიცურავენ, რომ უკან დასაბრუნებელ გზას ვეღარ პოულობენ. სწორედ ასე დაემართა ტრასაზე „მოსეირნე“ ცხოველს.“ – განაცხადა ძუძუმწოვართა ცენტრის თანამშრომელმა – სინტინ შრამმა და დასძინა, რომ ამჟამად ზღვის ლომი საიმედო ხელშია და თავს შესანიშნავად გრძნობს. ■

ფოტოკუჩიოზები



თქვენ შეგიძლიათ ჩვენი სპეცქურნალისჯი გახდეთ...

F 1224
2004

66/10

ეროსული, ითხელეთ
ასოსმენტი ეროსულელებს
სტილებსთ
ელოდეთ სეპტემბერთან!

ყველანაირ ინფორმაციას – სპეციალური ნომრებიდან გაეცანით